გივი ჯამბურია

ქართული ფეოდალიზმის საკითხები

გამომცემლობა **არტანუჯი**
თბილისი 2007

კრებულში წარმოდგენილი სტატიები, რომლებიც ქვეყნდებოდა თსუ-სა და ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო ჟურნალებში, ეხება ქართული ფეოდალიზმის რამდენიმე ძირითად საკითხს. ყურადღება გამახვილებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში დღესაც საკამათო საკითხებზე. კრებული გათვალისწინებულია როგორც სპეციალისტების, ისე ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის. წინამდებარე წიგნი საინტერესო გამოცემაა საქართველოს ისტორიის სპეციალობის სტუდენტებისათვის და შესაძლებელია მისი სახელმძღვანელოდ გამოყენება.

© გ. ჯამბურია, 2007.
© გამომცემლობა არტანუჯი, 2007.

ISBN 978-99940-59-06-5

სარჩევი

წინასიტყვაობა 5

სამთავრო-სენიორალური სისტემა ადრეფეოდალური ხანის საქართველოში 7

იმუნიტეტი საქართველოში (VI-XIV სს.) 36

ბატონყმობის საკითხისათვის 65

ბატონყმობისაგან განთავისუფლების ფაქტები საქართველოში (XII-XIII სს.) 88

სამთავრო-სენიორალური სისტემა ერთიანი მონარქიის არსებობის ხანაში (XI-XIV სს.) 98

სათავადოთა საკითხისათვის 121

„მოქალაქეთა" საკითხისათვის გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში 162

Questions of Georgian Feudalism (Summaries) 169

Вопросы грузинского феодализма (Резюме) 173

წინასიტყვაობა

ქართული ფეოდალიზმი ტიპოლოგიურად დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის მსგავსია. სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით დასავლეთ ევროპის ქვეყნები – საფრანგეთი, დასავლეთ გერმანია, ესპანეთი და სხვ. – და საქართველო დაახლოებით ერთდროულად და ერთნაირი ტემპით ვითარდებოდნენ ადრეფეოდალური და განვითარებული ფეოდალიზმის პირველ ეტაპზე (XIII საუკუნის 30-იან წლებამდე – მონღოლთა მიერ საქართველოს დაპყრობამდე).

ივ. ჯავახიშვილი როცა განიხილავდა ქართული ფეოდალიზმის ანუ პატრონყმობის ინსტიტუტებს, წერდა: „ქართული პატრონყმობა გასაოცრად მიემსგავსება და გვაგონებს დასავლეთ ევროპის საშუალო საუკუნეების ფეოდალურ ნეს-წყობილებას, ე. ნ. ფეოდალიზმს. როგორც საქართველოში პატრონყმობა, ისე, დასავლეთ ევროპაშიც ფეოდალური ნეს-წყობილება სახელმწიფო და სოციალური ცხოვრების საზოგადო მოვლენა იყო, საერთო თვისება ჰქონდა“.[1]

ქართული და დასავლეთ ევროპული ფეოდალიზმის მსგავსებაზე მიუთითებდნენ ჯერ კიდევ XIX ს-ში მ. ბროსე და ა. ხახანაშვილი, აგრეთვე, XX საუკუნის მეცნიერები: ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, ლ. მუსხელიშვილი, გ. მელიქიშვილი, ან. ნოვოსელცევი და სხვ. ქართული და დასავლეთევროპული ფეოდალიზმის მსგავსება სავსებით აშკარაა ისეთი ინსტიტუტების მიხედვით, როგორიცაა: მსხვილი ფეოდალური მიწათმფლობელობა ანუ სენიორალური სისტემა, ვასალიტეტი, იმუნიტეტი, ბატონყმობის საკითხი, მსახური-მინისტერიალი და სხვ.

ჩვენს ნაშრომში აღნიშნულ საკითხთაგან განხილულია სენიორალური სისტემა, იმუნიტეტი, ბატონყმობა. საკითხის განხ-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ნ. II, ნაკვ. I, თბ., 1928, გვ. 93.

ილვისას დასავლეთ ევროპის მიმართ ვეყრდნობით რუსი და დას. ევროპის მედიევისტთა გამოკვლევებს, ამასთანავე ვცდილობდით მოკლედ გადმოგვეცა უფრო გავრცელებული და მიღებული შეხედულებანი. რაც შეეხება საქართველოს, აქ ჩვენი შრომა გამოკვლევის ხასიათს ატარებს. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია პირველწყაროებზე და იმ აზრთა სხვადასხვაობაზე, რაც ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

კრებულში შესული სტატიები სხვადასხვა დროს ქვეყნდებოდა სხვადასხვა ჟურნალებში და კრებულებში. იბეჭდება მცირე ცვლილებით.

თსუ შრომები. ტ. 227. 1982. გვ. 81-100.

სამთავრო-სენიორალური სისტემა ადრეფეოდალური ხანის საქართველოში

ადრეფეოდალური ხანა უაღრესად მნიშვნელოვანი ეპოქაა ქართველი ხალხის სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ისტორიის ასპარეზიდან მიდის ანტიკური ხანის სოციალური წყობილება და იდეოლოგია; მოდის ახალი წოდებანი და ახალი ტიპის მინათმფლობელობა, ახალი იდეოლოგია ქრისტიანობის სახით. აღმავლობას განიცდის ქართული მწერლობა და საერთოდ კულტურა, ხდება ქართველი ხალხის შემდგომი კონსოლოდაცია, ამ მრავალფეროვან და რთულ საკითხთაგან ჩვენ აქ მხოლოდ ერთ საკითხს – ფეოდალურ მსხვილ მინათმფლობელობას ანუ სენიორალურ სისტემას – განვიხილავთ.

ფეოდალური მსხვილი მონათმფლობელობა და მისი ორგანიზაცია, რომლის მიზანია ფეოდალური რენტის მიღება, საისტორიო ლიტერატურაში სხვადასხვა სახელითაა ცნობილი. საფრანგეთში ასეთ ორგანიზაციას ადრე ვილას, ხოლო შემდეგ სენიორიას (1, 113), ინგლისში – მანორს, ხოლო რუსეთში ვოტჩინას უწოდებენ. საქართველოში სენიორიისა და ვოტჩინის შესატყვის ფეოდალურ ორგანიზაციას ადრე და განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში სამთავრო ერქვა, გვიანსაშუალო საუკუნეებში კი – სათავადო (2). უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ მთელი საშუალო საუკუნეების მანძილზე მსხვილ მინათმფლობელობას, მსხვილ ფეოდალურ ორგანიზაციას ეწოდება სახლი. მაგალითად, ადრეფეოდალურ ხანაში გვხვდება „მეფის სახლი" (სეფე), „მცხეთის სახლი", „პიტიახშის სახლი" და სხვ. (3, 141), უფრო გვიან – „ბაღვიეაშთა სახლი" (4, 326), „დიასამიძის სახლი", „ხურსიძის სახლი", „ყაფლანიანთ სახლი" და სხვ. („სახლი" ამ შემთხვევაში გულისხმობს სამფლობელოს).

სენიორიის წარმოშობის შესახებ საისტორიო ლიტერატურაში სხვადასხვა აზრი არსებობს. ფრანგ მედიევისტთა სკოლა მარკ ბლოკის მეთაურობით სენიორიას მიიჩნევს ფეოდალიზმისათვის ყველაზე

მეტად დამახასიათებელ მსხვილ სამეურნეო ორგანიზაციად, მაგრამ, მ. ბლოკის აზრით, სენიორია წარმოიშვა ფეოდალიზმის „გარეშე და ფეოდალიზმამდე დიდი ხნით ადრე" (5, 1). იმავე სკოლის მეცნიერი პროფ. რ. ბუტრიუში, რომელმაც სპეციალური ნაშრომი დაწერა ორ ტომად სენიორალური სისტემის შესახებ, „სენიორია და ფეოდალიზმი" ძირითადად იზიარებს მ. ბლოკის შეხედულებას სენიორიის წარმოშობაზე, მაგრამ მისგან განსხვავებით, იგი არ აიგივებს ეგვიპტის ან მესოპოტამიის მსხვილ მინათმფლობელობას ფეოდალური ხანის მსხვილ მიწათმფლობელობასთან. მათ შორის განსხვავებას ის ხედავს იმაში, რომ ძველი აღმოსავლეთის მოიჯარადრეები გადასახადს მხოლოდ სახელმწიფოს უხდიდნენ. ადრესაშუალო საუკუნეების სენიორიის წინაპარს ის ხედავს რომაული აფრიკის „პომესტიეში" ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნისათვის. მაგრამ „საბატონო შრომის" („ბარშჩინის") არარსებობა იმ სამფლობელოებში აიძულებს ბუტრიუშს სენიორალური სისტემის წარმოშობა უფრო აქეთ გადმოიტანოს და დაათარიღოს რომის იმპერიის ბოლო პერიოდით. რ. ბუტრიუშის აზრით, „სენიორია რომაული განვითარების შედეგია და „კრიზისული სიტუაციის" პროდუქტი და, ამდენად, ის ფეოდალიზმზე გაცილებით ადრე წარმოიშვება" (5, 18).

რ. ბეტრიუშის აზრით, ფეოდალიზმი და სენიორია არ ემთხვევა ერთმანეთს ტერიტორიულადაც. მაგალითად, ბიზანტიაში მსხვილი მინათმფლობელობა იყო, მაგრამ ფეოდალური წყობილება არ იყოო (5, 18).

ფეოდალიზმის გავრცელების საკითხთან დაკავშირებით აქ შეიძლება ითქვას, რომ რ. ბუტრიუშის აზრით, ფეოდალიზმი არის სპეციფიკური მოვლენა საშუალო საუკუნეებისა, რომელიც განვითარდა განსაზღვრულ ტერიტორიაზე და რომლის ცენტრი იყო მდინარეების ლუარისა და რეინის აუზები და რომელიც, გარდა დასავლეთ ევროპისა, გვხვდება მხოლოდ იაპონიაში. საქართველოსა და სომხეთს განიხილავს იმ ქვეყნების რიგში, სადაც ფეოდალიზმი არ იყო (5, 191).

სპეციალისტების აზრით, მსხვილი მიწათმფლობელობა არსებობდა როგორც ძველ აღმოსავლეთში, ისე რომის იმპერიაში, მაგრამ ისინი ემყარებოდნენ ექსპლოატაციის სხვა ფორმებს, ვიდრე შუასაუკუნეების სენიორია.

ახალი ტიპის მსხვილი მინათმფლობელობის ჩამოყალიბება დასავლეთ ევროპაში, რ. ბუტრიუშის აზრით, ინყება IV-V საუკუნეებში და საბოლოო ჩამოყალიბებულ სახეს იღებს VIII-IX სს-ში. პროფ. ი. ბესმერტნის აზრით, ეს პროცესი უფრო გვიან ინყება, კერძოდ, VI-VII საუკუნეებში; საბოლოოდ ჩამოყალიბებულ სახეს სენიორია, მისი აზრითაც, VIII-IX საუკუნეებში იღებს (6, 58). მსხვილი მინათმფლობელობა ანუ სენიორია, რომლის „ფორმირება – ნერს ი. ბესმერტნი – მთელი ადრეფეოდალური ხანის მანძილზე მიმდინარეობს, ნარმოადგენს ფეოდალიზაციის პროცესის მნიშვნელოვან გამოვლინებას. მინათმფლობელობის გაბატონებულ ფორმად „ვოტჩინა" დასავლეთ ევროპის დიდ ნანილში ხდება უკვე 8-9 საუკუნეებიდან" (8, 755). სენიორიის ფორმირების პროცესში მასში იქმნება იძულების ორგანოები (მმართველობის სისტემა, პოლიციური და სამხედრო რაზმები, სასამართლო), რომლის მიზანია დაიმორჩილოს და უზრუნველყოს მწარმოებლის ექსპლოატაცია სენიორიის ფარგლებში. მხოლოდ ადრეფეოდალური ხანის სენიორიაში მოქცეული და დამორჩილებული მწარმოებლები მაინც ინარჩუნებენ სათემო ორგანიზაციას (8, 755).

სპეციალისტების აზრით, ვოტჩინა-სენიორიები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან: 1. ეკონომიკური სტრუქტურით – როგორია დომენის როლი და გლეხობის ექსპლოატაციის ტიპი; 2. სიდიდის მიხედვით – მსხვილი, საშუალო და ნვრილი; 3. მინათმფლობელობის სოციალური კუთვნილების მიხედვით – საერო და საეკლესიო სენიორიები; 4. მინათმფლობელის საკუთრების უფლების იურიდიული საფუძვლით – ბეგარა ნარმოიშვა ფეოდისაგან (წყალობისაგან) თუ ალოდისაგან (კერძო საკუთრებისაგან) (8, 755).

ადრეფეოდალური ხანის სენიორიაში საბატონო მეურნეობა (დომენიალური მეურნეობა) მერყეობდა მთელი სამფლობელოს 1/3-დან 1/5-მდე. საგლეხო საკომლოთა მფლობელები შრომითი ბეგარის გარდა იხდიდნენ აგრეთვე ღალას ნატურით და იშვიათად ფულითაც. სენიორიის მთელ შემოსავალში, აღებულ ხანაში, ი. ბესმერტნის აზრით, დომენის შემოსავალი სჭარბობდა ნატურალური გამოსაღებიდან შემოსავალს. ადრეფეოდალური ხანის სენიორიებში გვხვდება აგრეთვე დომენის გარეშე სენიორიებიც, უფრო მეტად შედარებით ნვრილი სამფლობელოების სახით. იქ ექსპლოატაციის ფორმა არის არა ბარშჩინა, არამედ ნატურალური გამოსაღები (8, 755).

ადრეფეოდალური ხანის სენიორალური სისტემისათვის დამახასიათებელია სანარმოო ძალების დაბალი დონე, სოფლის მეურნეობისა და ხელოსნური შრომის შეერთება. წარმოების მიზანი იყო სენიორის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და ატარებდა ნატურალურ ხასიათს (8, 755).

საქართველოში მსხვილი მინათმფლობელობის და, კერძოდ, ფეოდალური მინათმფლობელობის ნარმოქმნის საკითხს მრავალი მეცნიერი შეხებია. არც ადრეფეოდალური ხანის სამთავრო-სენიორალური სისტემა დარჩენილა მკვლევართა ყურადღების გარეშე. მკვლევართა ცალკეულ დებულებათა გარდა, მოგვეპოვება სპეციალური გამოკვლევებიც საერო და საეკლესიო სენიორიების შესახებ.

აკად. ს. ჯანაშიას აზრით, „პიტიახშის სახლი" ადრეფეოდალური ხანის სენიორია იყო (13, 20-21). სენიორიებად მიაჩნია მას აგრეთვე საერისთავოთა ის ნანილი, რომელიც სიძე-ერისთავებს მამულობით გადასცა არჩილ მეფემ VIII საუკუნეში (15, 286-287).

აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, „VI-X საუკუნეების საქართველო ესაა ადრეფეოდალური ურთიერთობის ქვეყანა, პატრონყმობის ქვეყანა, სენიორიების ქვეყანა" (17, 208). სენიორიებად მიაჩნია მას ადრეფეოდალური ხანის სამთავროები, რომლის „ნარმოშობა, ნ. ბერძენიშვილის აზრით, საზოგადოებრივი განვითარების კლასობრივი ურთიერთობის გარკვეულ საფეხურზე აუცილებელი იყო. ძლიერისა და სუსტის, მფლობელისა და მნარმოებლის შესაქმების, მათი კლასობრივი ურთიერთობის პოლიტიკური ფორმა ეს წვრილი სამთავრო იყო. სულ მცირე მთავრები უფრო მსხვილ მთავრებს ახლდნენ, მის კარს შეადგენდნენ" (17, 222). ნ. ბერძენიშვილის აზრით, ადრეფეოდალურ ხანაშივე „დასრულდა ამ სენიორიების პროგრესულობა: ქვეყნის შემდგომი განვითარება მის გაერთიანებას, სენიორიების მოსპობას გულისხმობდა" (17, 203).

სენიორალური სისტემისა და ვასალიტეტის არსებობის შესახებ ქართლსა და ტაო-კლარჯეთში მიუთითებს აკად. გ. მელიქიშვილი: „ქართლსა და ტაო-კლარჯეთში აზნაურთა სრული მეფობა სუფევს, ისინი ვინმეს მოხელეები კი არა, სრულუფლებიანი მემამულეები არიან, აქ მინისმფლობელობის იერარქიული სტრუქტურაც სახეზეა, სიუზერენ-ვასალიტეტის სისტემა მტკიცედაა ფეხმოკიდებული და მთავრის ხელისუფლებაც მკვეთრად ატარებს ცნობილი primus inter pares-ის ინსტიტუტის სახეს". მხოლოდ, მისი აზრით, კახეთსა და

დასავლეთ საქართველოში „მსხვილ ფეოდალურ მინისმფლობელობას ჯერ კიდევ, ეტყობა, ფეხი ვერ აქვს მტკიცედ მოკიდებული, გაბატონებული ნრის ზედაფენა – დიდებულები, ნარჩინებულები აქ ჯერ კიდევ მსხვილ მემამულეებად, სენიორებად კი არ არიან ქცეული, არამედ მეფის მოხელეებს ნარმოადგენენ (25, 56).

ადრეფეოდალური ხანის მსხვილი ფეოდალური მინათმფლობელობის ზოგიერთი საკითხი განხილულია პროფ. ივ. სურგულაძის გამოკვლევაში „საკუთრების უფლება ფეოდალურ საქართველოში IV-X საუკუნეებში". ივ. სურგულაძის აზრით, ვარსქენ „პიტიახშის სახლი" მის სამფლობელოს, სენიორიას ნარმოადგენდა. ვარსქენს ჰყავდა „საკუთარნი" ანუ ვასალები აზნაურების სახით (16, 175-176). მისი აზრით, სენიორიები გამრავლდნენ და მრავალსაფეხურიანი ვასალიტეტი ჩამოყალიბდა IX-X საუკუნეებში, ტაო-კლარჯეთის სამთავროში (16, 190).

პროფ. შ. ბადრიძემ ნაშრომში – „სენიორალური ხელისუფლების ზოგიერთი პოლიტიკური ნიშნისათვის ადრეფეოდალურ ქართლში" – სპეციალურად განიხილა სენიორალურ სისტემასთან დაკავშირებით უფალ-მამფლობის ინსტიტუტი და „ადრეფეოდალური ქართლის ხელისუფლებაში გადმონაშთის სახით შემონახული... პატრონომიის მრავალი ელემენტი" (19ᵃ, 149).

ადრეფეოდალური ხანის ზოგიერთი საეკლესიო სენიორია სპეციალურად შეისწავლა ბ. ლომინაძემ. მათ შორის აღსანიშნავია „შიო მღვიმე" და „გარეჯის სენიორია" (27).

მკვლევარ გ. ძიძიგურის მიხედვით, ადრეფეოდალური ხანის „სენიორები" ანუ მთავრები უფრო მოხელეები არიან, ვიდრე მესაკუთრე მფლობელები (34, 125). ამ შეხედულებას ჩვენ ვერ გავიზიარებთ. ჩვენი აზრით, ადრეფეოდალური ხანის ბოლო ეტაპზე (VII-VIII სს-ში) ბარის საქართველოში ძირითადად დამთავრდა სათემო მიწების ფეოდალიზაცია და სამთავრო-სენიორალური სისტემის ჩამოყალიბება მიწის იერარქიული საკუთრებითა და ვასალიტეტით.

აკად. დ. მუსხელიშვილის სტატიაში – „ფეოდალიზმის ხანის საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციისათვის (IV-IX სს.)" – სენიორალური სისტემის საკითხიცაა დასმული. მისი აზრით, არჩილ მეფის რეფორმის შედეგად VIII საუკუნის შუა ხანებში საბოლოოდ დამყარდა „სენიორალური რეჟიმი" (38, 155).

ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ კრებულში გამოქვეყნდა პროფ. თ. პაპუაშვილის სტატია „ფეოდალური სენიორიების წარმოქმნა-განვითარების ისტორიიდან საქართველოში (IV-XI სს.)", რომელშიც ძირითადად სწორადაა წარმოდგენილი სენიორიების წარმოშობის საკითხი და გამეორებულია ადრე გამოთქმული დებულებები ადრეფეოდალური ხანის სენიორიების შესახებ (39).

ადრეფეოდალური ხანის მსხვილი ფეოდალური მიწისმფლობელობის და ვასალიტეტის ზოგიერთი საკითხი განხილულია აკად. მ. ლორთქიფანიძის (35), ა. ბოგვერაძის (35), ლ. ჯანაშიას (36) და სხვ. შრომებში.

მიუხედავად აღნიშნულისა, ადრეფეოდალური ხანის სენიორალური სისტემის მრავალი საკითხი ჯერ კიდევ შეუსწავლელია. ჩვენი სტატიის მიზანიც განსაზღვრულია: გაარკვიოს სამთავრო-სენიორალური სისტემის წარმოშობისა და განვითარების ეტაპები და მისი გავრცელების მასშტაბი, აგრეთვე, რამდენადმე მისი სოციალური სტრუქტურა.

მსხვილი მიწათმფლობელობის არსებობას მკვლევარნი ანტიკური ხანის საქართველოში ვარაუდობენ. აკად. გ. მელიქიშვილის აზრით, გვიანანტიკური ხანის მსხვილი მიწათმფლობელობა ჩვენში წარმოდგენილი იყო სატაძრო მეურნეობის, კერძო მსხვილი საკუთრების და სამეფო დომენის სახით. ამას გარდა, არსებობდა მიწის თემური საკუთრებაც (10, 570-609). სატაძრო ორგანიზაცია დიდ მამულებს ფლობდა, „სადაც თეოკრატიული ზედაფენა და სრულუფლებიანი სატაძრო თემი ექსპლოატაციას უწევდა დამოკიდებული სოფლების მოსახლეობას და აგრეთვე მონებს" (10, 589).

მსხვილი კერძო მიწათმფლობელობა, გ. მელიქიშვილის აზრით, ძირითადად იყო „სამეფო საგვარეულოსა და სამხედრო-სამოხელეო არისტოკრატიის წარმომადგენელთა მიწის ნაკვეთები, რომლებიც მათ მიცემული ჰქონდათ სამსახურის გასამრჯელოდ ან სამეფო მიწის ფონდიდან. მიწის ამავე კატეგორიას ქმნიდა ყიდვა-გაყიდვის შედეგად მოპოვებული მიწის ნაკვეთებიც" (10, 593).

მკვლევართა აზრით, მსხვილი მიწათმფლობელობა არის სამეფო დომენი (სეფე-სახლი, სეფე-ყანა), რომელსაც ამუშავებს იბერიის საზოგადოების IV გენე, ლაოი, და რომელიც ყველაფერს აკეთებს, რაც საჭიროა პირველი გენესათვის – ე. ი. სამეფო სახლისათვის.

მიუხედავად იმისა, თუ ვინ არიან ისინი სოციალურად – გლეხი თუ მეთემე, წარმოადგენენ მეფის სახლის საკუთრებას და სეფე ქვეყანას ამუშავებენ, ალბათ, შრომითი ბეგარის საფუძველზე (ამდენად, სავარაუდებელია, აქ ადგილი აქვს ფეოდალური ექსპლოატაციის ელემენტებს). სამეფო დომენის შემოსავალი იხარჯებოდა სეფე-სახლისა თუ სეფე-ნულების, აგრეთვე, სახლეულთა თუ ტაძრეულთა შესანახად. სეფე ქვეყანას განაგებდა არა სამხედრო-ადმინისტრაციული მოხელე – ერისთავი, არამედ სამეურნეო-ადმინისტრაციული მოხელე (ეზოსმოძღვარი?).

სეფე-სახლის საკუთრებისაგან განსხვავებული საკუთრებაა სამეფო ანუ სახელმწიფო საკუთრება, რომელიც ძირითადად შედგება თავისუფალი სასოფლო თემებისაგან და ერისაგან – ეროვანთაგან. ესაა ტერიტორიები, რომლებსაც განაგებენ ერისთავები. ერისთავებს გამოჰყავდათ ჯარი და ჰკრეფდნენ სამეუფო ხარკს (გადასახადს). ეს უკანასკნელი შედიოდა სახელმწიფო ხაზინაში და იხარჯებოდა არა სეფე-სახლის საჭიროებისათვის, არამედ ომის სანარმოებლად, ციხე-ქალაქების, გზებისა თუ არხების მშენებლობისათვის და სხვ.

იბერიის „დიდი მეფე" სახელმწიფოს მეთაური იყო, სეფე-სახლის ანუ დომენის მიმართ კი იგი მამასახლისი უნდა ყოფილიყო. ამ ტერმინმა და მისმა შინაარსმა, ზოგიერთი ცვლილებით, როგორც ჩანს, დიდხანს შემოინახა თავი. ბაგრატ IV-ის „სამამასახლისო" სნორედ მის დომენს უნდა ნიშნავდეს. სამეფო (სახელმწიფო) და სეფე (სამამასახლისო) რომ ერთმანეთს ფარავდეს, მაშინ, ცხადია, საჭირო არ იქნებოდა ბაგრატ IV-ს აღენიშნა, რომ სოფელი ბარევანი, რომელიც მან ოპიზას გადასცა, მისი სამამასახლისო საკუთრებისაგან იყო (28, 9). მეფე და მამასახლისი (ან სამეფო და სამამასახლისო) კლასობრივ საზოგადოებაში არასოდეს არ ფარავს ერთმანეთს. მეფეს, როგორც სახელმწიფოს მეთაურს, არასოდეს არ ეწოდება მამასახლისი. მამასახლისი გვაროვნულ წყობილებაში გვარის ანუ სახლის უფროსი (უხუცესი), მამა იყო, კლასობრივ საზოგადოებაში კი სასოფლო თემის თუ სოფლის, ან ქალაქის (მაგ., მცხეთის მამასახლისი), ან კიდევ სეფე-სახლის მამა (უხუცესი) უნდა ყოფილიყო.

აქ მოკლედ აღნიშნული მსხვილი მინათმფლობელობა ძველი ტიპის მიწათმფლობელობაა. მასში ფეოდალური ექსპლოატაციის ფორმები მხოლოდ ელემენტების სახით შეიძლება ვივარაუდოთ.

ახალი ტიპის ანუ ფეოდალური ხასიათის მსხვილი მიწათმფლობელობის ჩამოყალიბება საქართველოში აშკარა გამოკვეთილი ნიშნებით IV საუკუნიდან ინყება. მსხვილი ფეოდალური მიწათმფლობელობის ანუ სამთავრო-სენიორალური სისტემის ნარმოშობა და განვითარება საქართველოში მთელი ადრეფეოდალური ხანის მანძილზე მიმდინარეობს და ძირითადად, სრულდება IX საუკუნეში. აღნიშნული პროცესი შეიძლება ორ ძირითად პერიოდად გავყოთ: პირველი პერიოდი იფარგლება IV-V, მეორე პერიოდი კი – VII-IX საუკუნეებით.

პირველი პერიოდი აღსავსეა დიდი მნიშვნელობის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ძვრებით. მკვლევართა აზრით (ს. ჯანაშია, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია და სხვ.) IV საუკუნეში ფეოდალური ურთიერთობანი იმდენად შესამჩნევია, რომ ქვეყანა უკვე შევიდა ადრეფეოდალური ურთიერთობის ხანაში. ქრისტიანული რელიგიის ოფიციალურ სარწმუნოებად გამოცხადება IV საუკუნეში როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, გარდამტეხი მნიშვნელობის მოვლენა იყო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. აკად. ს. ჯანაშიას აზრით, ქრისტიანობა ჩვენში შემოვიდა ახალი ნარჩინებულების, სამხედრო არისტოკრატიული ნრის, აზნაურთა რელიგიად და ხელი შეუნყო მის შემდგომ დანინაურებას. ქრისტიანობა, ცხადია, უმტკივნეულოდ არ შემოსულა. პირველ რიგში, აღსანიშნავია წარმართული სატაძრო მეურნეობათა მოშლა და ქურუმთა სოციალური ფენის დამხობა. მკვლევართა აზრით, სატაძრო მეურნეობათა დიდი მამულები მეფის ახალი არისტოკრატიის – აზნაურობის და ახალი კულტის მსახურთა ხელში გადადის თანდათან (ნიშანდობლივია, რომ ჩვენამდე მოაღნია IV-VI საუკუნეების ქრისტიანული კულტის ნაგებობებმა და ვერ მოაღნია თითქმის ვერც ერთმა წარმართული კულტის ნაგებობამ. ახლა აღმოჩენილი ძველი საკულტო ნაგებობები ძირფესვიანადაა დანგრეული, რაც მხოლოდ დროის ან უცხოელთა შემოსევის შედეგი კი არ უნდა იყოს, არამედ შინაგან სამამულო თუ იდეოლოგიურ ბრძოლასაც მნიშვნელოვანი ნვლილი უნდა ედოს ამ საქმეში).

აღნიშნულ პერიოდში ადგილი აქვს საქალაქო ცხოვრების ერთგვარ დაცემას, წარმოების ცენტრი ქალაქიდან სოფელში გადადის. აღნიშნული პერიოდის შინაგანი ცხოვრებიდან აღსანიშნავია აგრეთვე, ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმები (კათალიკოსობის შემოღება, ახალი საეპისკოპოსოების დაარსება და სხვ.).

საგარეო ფაქტორთაგან აღნიშნულ ხანაში აღსანიშნავია სასანიდური ირანის აგრესია აღმოსავლეთ საქართველოში და ქართლის სამეფო ხელისუფლების გაუქმება (523 ნ.). ორივე აღნიშნულმა მომენტმა ხელი შეუწყო ქვეყნის ფეოდალიზაციასა და აზნაურთა გაძლიერებას.

VI საუკუნის მეორე ნახევარში ერისმთავრობის ინსტიტუტის გაჩენით მთავრდება ქართლში ფეოდალური სახელმწიფოს პოლიტიკური ორგანიზაცია და ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარება სნრაფად მიდის აღმავლობისაკენ.

მსხვილი ფეოდალური მიწათმფლობელობის განვითარებაში მნიშვნელოვანი ეტაპია VII-IX სს-ბი. IX საუკუნეში მთავრდება სენიორალური სისტემის ჩამოყალიბება განვითარებული ვასალიტეტითა და იმუნიტეტით. შინაგანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მოვლენა იყო არჩილის რეფორმები და საკოლონიზაციო მოძრაობა ტაო-კლარჯეთში IX საუკუნეში. საგარეო ფაქტორთაგან აღნიშნულ პერიოდში აღსანიშნავია არაბთა ბატონობის მეორე პერიოდი (VIII ს. 40-იანი წლებიდან), რომლის დროსაც მნიშვნელოვნად დაზიანდა ქვეყნის ეკონომიკა, ცხადია, გარკვეულად შეაფერხა მსხვილი მინათმფლობელობის განვითარება (სეფე-წულების განყვეტა და სხვა IX ს. დასაწყისში), მაგრამ ეს მაინც დროებითი მოვლენა აღმოჩნდა. IX საუკუნის ტაო-კლარჯეთში კვლავ ეკონომიკური აღმავლობაა და მსხვილი მინათმფლობელობის აყვავებასთან გვაქვს საქმე.

აღნიშნული პერიოდი აგრეთვე ქართული სალიტერატურო ენისა და კულტურის მთელს საქართველოში გავრცელების ხანაა და ახალი ეტაპი ქართველი ხალხის შემდგომი კონსოლიდაციის საქმეში (11, 23-26).

ს. ჯანაშიას, გ. მელიქიშვილის, ს. ერემიანის და სხვ. გამოკვლევებიდან ჩანს, რომ ამიერკავკასიაში, კერძოდ საქართველოში, ფეოდალურ ურთიერთობათა ელემენტები ჯერ კიდევ ძველი და ახალი ერის მიჯნაზე ჩანს და ადრემონათმფლობელურ ურთიერთობებთან შედარებით ზრდის ტენდენციით გამოირჩევა. როგორც ძველი ქართული ეროვნული ტრადიცია გვიმოწმებს, სეფენულთა, ქურუმთა და სხვათაგან განსხვავებით, ახლად დანინაურებული სოციალური ფენის სახელი აზნაურობა ყოფილა. აზნაური, როგორც ცნობილია, უცხოური ტერმინია, უფრო ძველი და ქართული უნდა იყოს მთა-

ვარი, რომელიც მოდის სიტყვა თავისაგან. მთავარი, საფიქრებელია, ჯერ კიდევ ანტიკური ხანის გაბატონებული კლასის ზოგადი სახელი უნდა ყოფილიყო, რომელიც შემდეგ ახალი არისტოკრატიის, აზნაურთა ზოგად სახელადაც გავრცელდა.

ს. ჯანაშიას აზრით, გვიანანტიკურ ხანაში ფეოდალური ურთიერთობანი და მისი შესაბამისი წოდებანი საზოგადოებრივ ურთიერთობათა მხოლოდ ერთი კომპონენტია მონათმფლობელობის გვერდით. IV საუკუნიდან, განსაკუთრებით ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, რომელსაც თან ახლდა ერთგვარი გადატრიალება აგრარულ ურთიერთობაში, სწრაფად ხდება აზნაურთა დანინაურება და გამრავლება, V საუკუნისათვის, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების გაბატონებული ნაწილი თითქმის მთლიანად აზნაურობაა (კვლავ რჩება მცირე რაოდენობით ძველი სამყაროს უმაღლესი სოციალური ფენა – სეფენულები).

აზნაურთა პირველი ანუ ზედა ფენა V საუკუნის ძეგლის „შუშანიკის წამების" მიხედვით, არის დიდ-დიდნი აზნაურნი ანუ ნახარარნი (წამების სომხურ თარგმანში), რომელიც ქართულ მთავარს შეესატყვისება (33, 116, 124). აზნაურთა ქვედა ფენა კი არის აზნაურნი (მცირე აზნაურნი). შუშანიკის წამების მონაცემებს ადასტურებს V საუკუნის სომეხი ისტორიკოსი ფავსტოს ბუზანდი. იგი, ეხება რა სომეხი სარდლის მუშეღის მიერ ქართლის ერთი ნაწილის დაპყრობას, იბერიის გაბატონებულ საზოგადოებაში, გარდა ფარნავაზიანებისა (ანუ სეფენულებისა), ასახელებს აზატებს (წვრილი ფეოდალები სომხეთში, უდრის ჩვენს წვრილ აზნაურებს) და ნახარარებს (მსხვილი ფეოდალები, რომელთაც ექვემდებარებოდნენ აზატები; ნახარარი შეესატყვისება ჩვენს მთავარს) (12, 162-163).

აზნაურთა წოდების წარმოქმნა და შემდეგ მასში იერარქიის გაჩენა სწორედ მსხვილი ფეოდალური საკუთრების ჩამოყალიბებას უკავშირდება. IV საუკუნის ბოლოსათვის სახელმწიფო, სასეფო და თემური საკუთრების გვერდით უკვე არსებობს აზნაურთა და ეკლესიის მიწათმფლობელობა, რომელნიც ზრდის განსაკუთრებული ცხოველუნარიანობით გამოირჩევიან.

ქრისტიანული საეკლესიო ორგანიზაცია, რომელმაც შეცვალა წარმართული ეკლესია და მისი იდეოლოგია, მალე მისი სამფლობელოების მემკვიდრეც შეიქმნა. აკად. ს. ჯანაშიას აზრით, ქრისტიანულ საეკლესიო „მიწისმფლობელობას მე-5 საუკუნეში უკვე

მთლიანად ეჭირა ძველი (მონათმფლობელური) სატაძრო მემამულეობის ადგილი" (13, 287). ქრისტიანული ეკლესიის სამფლობელოების ძირითადი ნაწილი მეფისა და აზნაურებისაგან ნყალობად მიღებული სოფლებისა და აგარაკებისაგან შედგებოდა. თავიანთი მამულების გაფართოების მიზნით ეკლესია და მისი მესვეურები ხშირად ყიდულობდნენ სოფლებს, აგარაკებს და გლეხებს. მირიან მეფეს ნინოს საფლავსა ზედა აუშენებია „ეკლესიაჲ ფრიად დიდი" ბოდს და შეუწირავს მისთვის „მრავალნი სოფელნი და აგარაკნი" (14, 161-162). „ქართლის მოქცევის" ცნობით, მეფე ვარაზბაკურის ზეობაში (IV ს. ბოლო) „აღაშენეს აზნაურთა წმიდა იგი ეკლესიაჲ მცხეთას და დაამოთაულეს დიდსა მას ეკლესიასა სოფლებითა და ქარდაგებითა ქართლსა შინა" (14, 92). მეორე ნუსხით იგივე ცნობა ასე გამოიყურება: „აღაშენეს აზნაურთა ეკლესია გ/იორგ/ი წ/მიდი/სა მცხეთას და მიათ/ვა/ლეს დიდსა მ/ა/ს ეკლესიასა სოფლებითურთ". აქ „წმ. ეკლესია" შეცვლილია ნმ. გიორგით" და „დაამოთაულეს" – „მიათვალეთი" (14, 92). აქ მოტანილი ცნობებიდან ჩანს, რომ აზნაურობა არის მფლობელი და განმკარგულებელი დიდძალი სოფლებისა და აგარაკებისა, რომელთა ნაწილს ეკლესიას უნყალობებს. აქედან მოკიდებული ხშირდება ცნობები „სოფლებისა და აგარაკების", „დაბების", ცალკე „აგარაკების" შეწირვის, სყიდვის, ნყალობის, გაანდერძების და სხვ. შესახებ. ს. ჯანაშიას აზრით, „განსაკუთრებით საინტერესოა ცნობა ეკლესიის შინაგანი ურთიერთობისა და ორგანიზაციის შესახებ. როცა „აზნაურთა" კორპორაციამ ეს ახალი ტაძარი ააშენა ნმ. გიორგის სახელობაზე, ამ დროისათვის მცხეთაში და ქართლის ზოგიერთ სხვა მსხვილ ცენტრში უკვე აგებული იყო ტაძრები (მცხეთის ქვემო ეკლესია, მცხეთის ზემო ეკლესია, ერუშეთის, მანგლისის, წილკნის და ნეკრესის ეკლესიები, ...), ქართლის ეკლესია უკვე გარკვეულს, არცთუ მცირე – ტერიტორიის მიხედვით, ორგანიზაციას წარმოადგენდა, რომელსაც თავისი სამმართველო აპარატი ჰქონდა და მმართველი ჯგუფი ჰყავდა. აზნაურებსაც მათ მიერ ახლად აგებული ტაძარი სწორედ ამ ორგანიზაციაში შეუყვანიათ... ქართლის ეკლესიის მეთაურის კათედრალისათვის დაუქვემდებარებიათ. მაგრამ დაქვემდებარებული ერთეული მარტო ნაგებობით (და მრევლით) კი არ განისაზღვრებოდა. ეს იმავე დროს გარკვეული სამეურნეო ერთეულიც იყო: მას თან მიჰყვება საკუთარი „სოფლები

და ქარდაგები" (შატბ. საკითხავი). ცხადია, რომ აქ მფლობელობის ობიექტი და ქონება იგულისხმება" (15, 284-285).

აქ მოტანილი მსჯელობიდან ჩანს, რომ საერო (აზნაურთა) და საეკლესიო მიწათმფლობელობაში ჩანს ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი საკუთრების პირობითი ხასიათი. აზნაურთა შენირული მამულის უზენაესი განმკარგულებელი, როგორც ეს ლიტერატურაშია აღნიშნული, არის შემწირველი, მას რჩება განახლების უფლება და განსაკუთრებულ შემთხვევაში გამონირვის უფლებაც. აზნაურს, თავის მხრივ, ეს მიწა მიღებული აქვს მეფისგან სამსახურის პირობით და მისი უზენაესი განმკარგულებელიც მეფეა. მეორე მხრივ, ეკლესიისადმი შენირული სოფელი და აგარაკი, თვით ტაძრით, დაქვემდებარებულია მცხეთის ეკლესიისადმი. ამდენად, აქ, ვფიქრობ, უკვე ჩანს მიწის ფეოდალური იერარქიული საკუთრების ჩანასახები (თუ მეტი არა).

ახლად წარმოქმნილი საეკლესიო ფეოდალური მიწათმფლობელობის ნიმუშებად უნდა მივიჩნიოთ საეპისკოპოსოების ცენტრი – ეკლესიები მათდამი შენირული სოფლებითა და აგარაკებით. V საუკუნის მეორე ნახევარში ასეთი საეპისკოპოები ყოფილა ჯავახეთში – ნუნდისა, ქვემო ქართლში – ბოლნისისა და მანგლისისა, კახეთ-კუხეთში – რუსთავისა, ნინოწმინდისა, ჭერემისა, ჩელთისა, ხორნაბუჯისა, აგარაკისა, შიდა ქართლში – ნიქოზისა და სხვ. (15, 229).

ადრეფეოდალური ხანის მსხვილი მიწათმფლობელობის – „პიტიახშის სახლის" – შესახებ საინტერესო ცნობებია V საუკუნის ავტორის იაკობ ხუცესის თხზულებაში (14, 11-29).

საპიტიახშო თითქმის მთელ ქვემო ქართლს მოიცავდა. წყაროებით ცნობილი პირველი ადგილობრივი პიტიახში არის არშუშა V საუკუნის შუახანებში, იმავე საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობს მისი შვილი ვარსქენი, VI საუკუნეში და VII საუკუნის დასაწყისში გვხვდება კვლავ ამ სახლის წევრი, ორივე არშუშა. ამგვარად, ორი საუკუნის მანძილზე (თუ მეტი არა) არშუშას ჩამომავლები ქვემო ქართლის გამგებლები თუ მფლობელები არიან. „გასაგებია – წერს ს. ჯანაშია – თუ როგორ კარგად შეეძლო ამ სახლს ასეთი პოლიტიკური მდგომარეობის გამოყენება თავის სოციალურ და ეკონომიკურ ძლიერების შემდგომ ზრდისა და განდიდებისათვის" (13, 277).

„პიტიახშის სახლი" მთელ საპიტიახშოს წარმოადგენდა თუ მხოლოდ მისი ნაწილი იყო? ს. ჯანაშია მთელ ქვემო ქართლს პიტიახ-

შის „სამფლობელოს“ უწოდებს. მისი აზრით, „საპიტიახშოს მთელი მოსახლეობა, როგორც საერო, ისე სასულიერო, მის სრულ განკარგულებაში იმყოფებოდა“ (15, 227). მართალია, აღებული პერიოდი (V-VI სს.) ის ხანაა, როცა ხშირად მოხელე და მემამულე ემთხვევა ერთმანეთს. მაგრამ, როგორც „მეფის სახლი“ არ წარმოადგენდა მთელ სამეფოს, არამედ მხოლოდ მეფის დომენი (სეფე) იყო, ასევე „პიტიახშის სახლი“ უნდა ყოფილიყო არა მთელი საპიტიახშო, არამედ მხოლოდ პიტიახშის მამული. V საუკუნის სომხური წყაროს ცნობაზე დაყრდნობით დ. მუსხელიშვილი არკვევს, რომ პიტიახშის მამული უნდა ყოფილიყო საპიტიახშოს ერთ-ერთი პროვინცია – ტაშირი (38, 155).

ვარსქენ პიტიახში წოდებრივად აზნაურობას ეკუთვნის, მხოლოდ მის ზედაფენას – მთავრებს. იგი არის პიტიახშის სახლის „უფალი“ ანუ სენიორი, ყავს „საკუთარნი“ ანუ ვასალები აზნაურების სახით. უფლის მეუღლე დედოფალია, ყავთ „სახლის“ ეპისკოპოსი, ტაძრის (სასახლის კარის) მღვდელი. უფლის ტაძარში ტრიალებს მრავალი მსახური, მონა-მხევალი და სხვ. სახლის უფალს მთელი გუნდი ჰყავს მსახურ-პოლიციელებისა, მტარვალებისა, ციხის დარაჯებისა და მხლებელ-მოლაშქრეების სახით. მის მოსამსახურეთა ეს ფენა მოსახლეობის დაბალი ფენიდან, ვარსქენის „სახლის“ სოფლებიდან თუ დაბებიდან არიან გამოსულნი. დიდია ვარსქენის უფლება მისი ოჯახის წევრებზე: ცოლზე, ძმაზე და სხვ. უფრო დიდი ჩანს ეს უფლება მის მსახურებზე, რომელთაც ძალიან ეშინიათ ვარსქენისა – არ ცემოს ან არ მოკლას კიდეც. ვარსქენის „სახლში“, როგორც ჩანს, მრავალი დაბა თუ სოფელია, აგრეთვე აგარაკი. დაბებისა და სოფლების მცხოვრებნი, ცხადია, ვარსქენს ემორჩილებიან და ალბათ გადასახადს უხდიან.

ფრიად დამახასიათებელია ფედერალური ეტიკეტის დაცვა ვარსქენ პიტიახშის მიერ. ირანიდან ნამოსული ვარსქენი, როცა თავის სამფლობელოს საზღვარს მოადგა, სპეციალური შიკრიკი დააწინაურა და ამცნო თავის „სახლს“ და მოუწოდა „რათა წინა მიეგებნენ მას აზნაურნი და მისნი ძენი და მსხაურნი მისნი, რაჲთა მათ გამო, ვითარცა ერთგული, სოფლად შევიდეს“ (14, 12). „ერთგულება“ კი სენიორ-ვასალის ურთიერთობის ერთი მთავარი კომპონენტი და მის „სამუქფოდ“ წყალობის საფუძველია. რა თქმა უნდა, არაა, გამორიცხული, რომ ვარსქენს სხვა აზნაურებიც დახვედროდა, მაგრამ

იაკობ ხუცესის ცნობაში ვარსქენის „სახლის“ ხალხზეა ლაპარაკი (ძენი, მსახურნი). ასე რომ არ იყოს, მაშინ მთელი საპიტიახშოს აზნაურები და მსახურები უნდა შეხვედროდნენ მას, რაც პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა.

ს. ჯანაშიას აზრით, „ქართლის პიტიახში მხოლოდ ერთი „მთავართაგანი“ იყო. შესაძლოა... ის სხვებზე შემძლე და წარჩინებულიც ყოფილიყო. მაგრამ აზნაურობის წრეში, ეჭვს გარეშეა, ამ დროს უკვე არის სხვა ისეთი ოჯახებიც, რომლებიც მეტ-ნაკლებად ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფებიან. ესენი არიან არა მარტო „დიდ-დიდნი“ აზნაურები, როგორც მათ იაკობ ხუცესი იხსენიებს“ (15, 228). დაახლოებით ასეთივე სამფლობელოები უნდა ჰქონოდათ ევსტატე მცხეთელის ცხოვრებაში მოხსენიებულ მთავრებს: გრიგოლ მამასახლისს, არშუშა პიტიახშს (14, 34), აგრეთვე ევაგრესა და სხვა მთავრებს. ასეთი მთავრები კი მრავლად იყვნენ ქართლში V-VI საუკუნეებში.

როგორც საეკლესიო, ისე საერო ფეოდალის სამფლობელო ძირითადად შედგებოდა სოფელ-დაბებისა და აგარაკებისაგან, რომელთაგან ზოგი მამული იყო, ზოგი ახლად ნაწყალობევი და ზოგიც ნასყიდი. სოფელი და დაბა ტყე-საძოვრით არის სამფლობელოს ის ნაწილი, რომელიც სენიორის, უფლის მიერ მწარმოებელზეა გადაცემული საბეგროდ, აგარაკები კი, რომლებიც, მკვლევართა აზრით, დაუსახლებელი, საყანე ადგილებია (16, 194-195), სენიორიის პირობებში საბატონო მეურნეობას უნდა წარმოადგენდეს, რომელსაც იმავე სენიორიის სოფელ-დაბის მცხოვრებნი ამუშავებენ შრომითი ბეგარის საფუძველზე, შრომითი ბეგარა კი, წარმოშობს ბატონყმობას. უფალი, რომელსაც საბატონო მეურნეობა აქვს აგარაკების სახით, იძულებულია იზრუნოს მუშა-ხელით მისი უზრუნველყოფისათვის და დაამაგროს ის მუშაკი მიწაზე. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს მსხვილ სამფლობელოში საბატონო მეურნეობის ხვედრითი წონის განსაზღვრას. დასავლეთ ევროპაში, ადრეფეოდალურ ხანაში, საბატონო მეურნეობა უფრო მეტად 1/3-მდე იყო (უფრო იშვიათად 1/5-მდე). სამწუხაროდ, ქართული წყაროები არ იძლევიან სათანადო ცნობებს ამ საკითხის გასაშუქებლად. მაგრამ სოფელ-დაბების გვერდით ხშირი ხსენება აგარაკებისა გვაფიქრებინებს, რომ საბატონო მეურნეობას არცთუ მცირე ადგილი უნდა სჭეროდა აღებული ხანის საერო და საეკლესიო მსხვილ მინათმფლობელობაში.

დიდი წარმატება მოიპოვა ფეოდალთა კლასის ზედაფენამ, მთავრებმა, VI საუკუნეში, მეფობის გაუქმებასთან დაკავშირებით, როცა ჯერ სპარსეთის მთავრობის წარმომადგენელმა „დაუნერა საერისთავოთა მათთა მამულობა შვილითიშვილამდე", შემდეგ კი ამის დადასტურება ბერძენთა მეფისაგანაც მიიღეს (4, 217, 221). სუმბატ დავითის-ძის აზრით, „ვინათგან მოაკლდა მეფობა შვილთა გორგასლისათა, მით ჟამითგან ეპყრა ქართლისა აზნაურთა ვიდრე ამათადმდე. არამედ დაესრულა უფლება ქართლისა აზნაურთა ბოროტთა საქმეთა მათგან" (4, 373).

მეფობის გაუქმების შედეგად მთელი ქართლი აზნაურთა ხელში აღმოჩნდა. გარდა მამულებისა, აზნაურებმა საერისთავოებიც მემკვიდრეობით დაიჩემეს. ქართლის ერისმთავრის ხელისუფლების დაწესებაც დიდ აზნაურთა წარმატება იყო. მათ შექმნეს ისეთი პოლიტიკური სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც კიდევ უფრო ამტკიცებდა („აკანონებდა") მომხდარ ფაქტს. ჯუანშერის ცნობით, ერისმთავარმა „ერისთავნი ქართლისანი ვერ ცვალნა საერისთავოთაგან მათთა, რამეთუ სპარსთა მეფისაგან და ბერძენთა მეფისაგან ჰქონდეს სიგელნი მკვდრობისათჳს საერისთავოთა მათთა, არამედ იყვნეს მორჩილებასა გუარამ კურაპალატისასა" (4, 221). ერისმთავარი ცნობდა საერისთავოების მამულობას, ერისთავთა მორჩილების პირობით. ერისმთავარი თვითმპყრობელი მეფე კი აღარ იყო, არამედ დიდი მთავარი და პირველი თანასწორთა შორის. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ VI საუკუნის მთავრები ყველა ერისთავი არ იყო, რა თქმა უნდა. მათი უმეტესობა მემამულეობით უნდა ყოფილიყო მთავარი და არა მოხელეობა-მემამულეობით.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ამბები აღმოსავლეთ საქართველოს ეხებოდნენ, ეს იყო დიდი მნიშვნელობის მოვლენა, რომელმაც ხელი შეუწყო მსხვილი მიწათმფლობელობის სწრაფ ზრდას, სენიორალური სისტემის გაღრმევებას, შეუვალობის მოპოვებას თუ მითვისებას. უმეფობის ხანაში გამრავლებული სამთავრო-სენიორიებში მწარმოებლის ერთადერთი განმკითხველი, ცხადია, მისივე უფალი იყო. არსებითად იგივე ვითარება გრძელდებოდა ერისმთავრობის დაწესების შემდეგაც.

შეიძლება ითქვას, რომ VI საუკუნეში დამთავრდა ქართლში აგრარული გადატრიალება, რომელიც ჯერ კიდევ IV საუკუნეში დაიწყო ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შედეგად.

აკად. ს. ჯანაშიას აზრით, „მეექვსე საუკუნიდან მთელ საქართველოს მინა-ნყალზე შეუზღუდავად მკვიდრდება ფეოდალური საწარმოო ნესი, ფეოდალური საკუთრება და სახელმწიფოებრიობა, ფეოდალური იდეოლოგია" (13, 127). აკად. ნ. ბერძენიშვილიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა VI საუკუნის აქტს. მისი აზრით, ესაა სამთავრო-სენიორიების ნარმოშობა-განვითარებაში მნიშვნელოვანი ეტაპი (17, 180).

მსხვილი მიწათმფლობელობის, სამთავრო-სენიორალური სისტემის შემდგომი განვითარების ხანაა VII-IX სს. აღნიშნული თვალსაზრისით აღებულ ხანაში ორ მნიშვნელოვან მოვლენას ჰქონდა ადგილი. ერთი ეს იყო არჩილის ე. წ. რეფორმები VIII საუკუნის შუა ხანებში და მეორე – არაბთა ბატონობის გაძლიერებასთან დაკავშირებული საკოლონიზაციო მოძრაობა ტაო-კლარჯეთში.

ჯუანშერის მოთხრობით, არჩილ მეფემ შეასრულა რა ანდერძი თავისი ძმის მირისა, ამ უკანასკნელის ასულები ცოლად მისცა ქართლის ექვს ერისთავს და ქართლიც ამისდა მიხედვით გაჰყო: ნახევარი მისცა ერისთავებს, ნახევარი კი თავისთვის დაიტოვა (4, 240-241). ეს ცნობა თუ ერთი მხრივ, როგორც მკვლევარნი აღნიშნავენ, ნიშნავს იმას, რომ არჩილმა აღიარა ქართლის ერისთავთა მემკვიდრეობითი უფლება საერისთავოებში, მეორე მხრივ, და ეს უფრო მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რამდენადმე აღადგინა ერისთავთა მოხელეობა და მიტაცებული ქვეყნების ნახევარი სამეფოდ გამოაცხადა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ფეოდალური სახელმწიფოს ორგანიზაციისა და მიწის ფეოდალური იერარქიის, აგრეთვე ვასალიტეტის განვითარების თვალსაზრისით ლეონ აფხაზთა მთავრის, რომელსაც „მემკვიდრეობით" და „მამულობით" ჰქონია ტერიტორია კლისურითგან „მდინარედმდე დიდად ხაზარეთად", არჩილისადმი ვასალური დამოკიდებულება (4, 242).

შემდეგ ქართლში გადმოდის არჩილი. მასთან მიდის „მთავარი ერთი" ადარნასე ბაგრატიონი, რომელიც ადრე სომხითის ერისთავი ყოფილა, მაგრამ მურვან ყრუს შემოსევის შემდეგ კლარჯეთს გახიზნულა, მან არჩილს თხოვა: „უკეთუ ინებო და მყო მე ვითარცა მკჯდრი შენი, მომეც ქვეყანა და მისცა შულავერი და არტანი" (4, 243).

არჩილი შემდეგ კახეთში გადავიდა და იქაური საქმენი განაგო: „პოვნა ნუქეთს მთავარნი... და არა ინება მისგან ნაღებად ნუქეთი"

(4, 243), იძულებით მონათლა ნუხპატის პროვინციის წარმართნი; რანის, ჰერეთისა და სხვა პროვინციებში მთავრები დასხა და დაიქვემდებარა და სხვ.

ჯუანშერის მიერ დახატულ არჩილის მთელს ამ მოღვაწეობაში ნათლად ჩანს ფეოდალური სახელმწიფოს მნიშვნელობა მთელი საქართველოს მასშტაბით მინის იერარქიული საკუთრებისა და სიუზერენულ-ვასალური სისტემით.

დაბოლოს ჯუანშერის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ცნობა: „ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი და აზნაურ ყვნა იგინი“ (4, 243). ვფიქრობ, რომ ეს ფაქტი ნიშნავს კახეთში ფეოდალიზაციის პროცესის დასასრულს (რა თქმა უნდა, აზნაურები კახეთში მანამდეც მრავლად უნდა ყოფილიყვნენ). კახეთის ფეოდალურ ზედაფენას შეემატა აზნაურთა ახალი ნრე ტაძრეულყოფილების სახით, რომელთაც მეფისგან მიიღეს მინა სამხედრო სამსახურის პირობით.

ნ. ბერძენიშვილი, რომელმაც პირველმა გაამახვილა ყურადღება არჩილის რეფორმების მნიშვნელობაზე, ნერს: „ადრეფეოდალურ ხანაში ჩვენ გვაქვს ამ ხანის შესაფერისი „რეფორმები“: VI საუკუნის აქტი და VIII საუკუნის აქტი. აქედან ჩვენ მივიღეთ (ორივეს შედეგად) ფეოდალური სამეფო სენიორიებით (მთავრებით, დარბაზით, მეფით...)“ (17, 180).

კიდევ უფრო დასრულებული სახე მიიღო მსხვილმა ფეოდალურმა მინათმფლობელობამ ანუ სამთავრო-სენიორალურმა სისტემამ სამცხესა და ტაო-კლარჯეთში IX საუკუნეში.

ტაო-კლარჯეთი, როგორც ცნობილია, არაბთა შემოსევების შედეგად ძალიან დაზიანდა: მოსახლეობა შემცირდა, ეკონომიკა მოიშალა. მას შემდეგ, რაც ქართლის ეს პროვინციები ბიზანტიის გავლენის ქვეშ მოექცა და არაბთა ბატონობისაგან მოისვენა, ქვეყანაში მშვიდობიანობა შეიქმნა. იმავე ხანებში მიმძლავრებული აღმოჩნდა შიდა ქართლი, ადარნასე ბაგრატიონი, რომელიც არჩილ მეფის ერისთავი იყო VIII საუკუნის 60-იან ნლებში, არაბთა მძლავრობის გამო, სამხრეთ საქართველოში გადავიდა და ბაგრატიონთა სამშობლოს შეაფარა თავი.

VIII საუკუნის ბოლოს და IX საუკუნის დასაწყისიდან არა მარტო ფეოდალები, არამედ მნარმოებელი მოსახლეობაც მასობრივად მიედინება სამხრეთ საქართველოში. დიდი აღმშენებლობითი მუშ-

აობა გააჩაღა იქ ადარნასეს შვილმა აშოტ კურაპალატმა. იგი დიდი ამალით გადავიდა ქართლიდან და არტანუჯში დამკვიდრდა და შეუდგა სამფლობელოს ორგანიზაციას. მან მრავალი სოფელი იყიდა, ზოგი ახლად ააშენა, ზოგი დაიმორჩილა, ზოგიც, სავარაუდებელია, თავისით დაემორჩილა ძლიერ ფეოდალსა და ხელისუფალს. ანალოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ, საფიქრებელია, მისი ამალის ნევრი „მთავრებიც". პარალელურად მიმდინარეობს დიდი სამონასტრო მშენებლობა. ქვეყანაში ნამდვილად დიდი აღმშენებლობითი მუშაობა გაჩაღდა. განვითარდა მსხვილი მინათმფლობელობა, საქალაქო ცხოვრება, ვაჭრობა და ხელოსნობა, გაიშალა სასწავლო და სამეცნიერო მუშაობა, განვითარდა ფილოლოგიური და საისტორიო მეცნიერება, ფილოსოფია და სამართალი, არქიტექტურა და სხვ. აქედან დასავლეთ საქართველოშიც ვრცელდებოდა სამონასტრო მშენებლობა და კულტურა. IX ს. ქართველი ხალხის კონსოლიდაციის საქმეში კიდევ ერთი ახალი ეტაპი იყო.

აშოტის მეფობის ბოლო ხანებისათვის აშოტის სამფლობელო მოიცავდა სამცხეს, ჯავახეთს, ტაოს, შავშეთს, აჭარას, ნიგალს, სპერს, არტანს, და ნანილობრივ შიდა ქართლის ნანილსაც (17ª, 449). აშოტის გარდაცვალების შემდეგ (826 ნ.) სამთავრო თანდათან ნანილდება მის შთამომავლებს შორის. IX საუკუნის ბოლოს და X საუკუნის დასაწყისში იქ უკვე გვხვდება ხან სამი, ხან ოთხი მეფე, აგრეთვე მამაფალი, ერისთავთ-ერისთავი და სხვ., რომელთაც თავთავიანთი სამთავროები და სამფლობელოები აქვთ, მათ ქვევით არიან აგრეთვე სხვა დიდი თუ მცირე მთავრები, რომლებიც ერთმანეთზე არიან ვასალურად დაქვემდებარებულნი. უზენაესი სიუზერენია ჯერ კურაპალატი და მერე „ქართველთა მეფე" (18).

აღნიშნული ფეოდალური ორგანიზაცია შეიქმნა ტაო-კლარჯეთში იმ დროს, როცა ანალოგიური პროცესი უკვე განვლილი ჰქონდა ქართლის შიდა პროვინციებს და კახეთს. იქ ახალი ფეოდალური ორგანიზაცია ტრადიციების გადალახვის გზით მიმდინარეობდა, და ის ძველი ტრადიციები რამდენამდე აფერხებდა კიდეც ახლის განვითარებას. ტაო-კლარჯეთში კი ახლის შექმნა იმდენად ტრადიციის განვითარება კი არ იყო, რამდენადაც კოლონიზაციისა. ხელოვნურად, ზევიდან იქმნებოდა ან მზამზარეული ფორმის სახით გადმოჰქონდათ ქართლში არსებული იერარქიული საკუთრებისა და ვასალიტეტის ორგანიზაცია (რა თქმა უნდა, არ გამოვრიცხავთ ტრადიცია-

საც). ამიტომ ტაო-კლარჯეთში უფრო მკვეთრად და „ნმინდა“ სახით ჩამოყალიბდა როგორც სენიორია, ისე ვასალიტეტი. თუ ქართლსა და კახეთში ორ-სამ საფეხურიან ვასალიტეტთან გვაქვს საქმე, ტაო-კლარჯეთში გვხვდება სამ და ოთხ საფეხურიანი ვასალიტეტიც (16, 190). ასე მაგალითად, უმაღლეს სიუზერენს, კურაპალატს, ექვემდებარებოდა გვერდითი შტოს სამფლობელოები – მცირე სამეფოები, ამ უკანასკნელთ ე. წ. „დიდი მთავრები“ (ანუ დიდებული აზნაურები), მაგალითად ჩორჩანელისა თუ დაფანჩულის მსგავსნი, ან კიდევ ლიპარიტ ბაღვაშის მსგავსნი, რომელთაც ვასალებად ყავდათ მცირე აზნაურები. ამ ურთიერთდამოკიდებულების საფუძველი იყო მიწა, მინის ფეოდალური საკუთრება სამხედრო სამსახურის პირობით. მთელს ამ ურთიერთობაში, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ხელშეკრულებითი საწყისი, რომელიც დამახასიათებელი იყო დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმისათვის იმავე ხანაში. ასეთი ხელშეკრულებითი ვასალიტეტის ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ ლიპარიტ ბაღვაშის დაქვემდებარება IX საუკუნის 80-იან ნლებში დავით ბაგრატიონისადმი. „მატიანე ქართლისაში“ ნათქვამია: „შეიპყრა ლიპარიტ ქუეყანანი თრიალეთისანი, აღაგო ციხე კლდეკართა და იპატრონა დავით ბაგრატის-ძე“ (4, 258). ვფიქრობთ, ეს არის კალსიკური ტიპი ახლად ნარმოქმნილი ვასალური დამოკიდებულებისა, რომლის საფუძველი ტრადიცია კი არ არის, არამედ შეთანხმება, გარიგება, ხელშეკრულება. თანაც დავითს კი არ გადაუცია ეს ქვეყანა ლიპარიტისათვის, არამედ თავად დაიპყრო, თავისი უფლების დასაცავად ციხეც ააგო და შემდეგ თავად ამოირჩია ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთაგან ერთ-ერთი, დავითი (შეიძლებოდა სხვაც აერჩია, ჰქონდა კიდეც სხვასაც საამისო პრეტენზია) და შეთანხმების შედეგად მის ვასალობაში შევიდა. აქ უნდა ვიგულისხმოთ ხელშეკრულება, რომელიც ორივე მხარეს გარკვეულ ვალდებულებას აკისრებდა. რომელიმე მხარის მიერ პირობის დარღვევას, საფიქრებელია, ვასალურ-სიუზერენული ურთიერთობის განყვეტა მოჰყოლოდა. ასეთი ხელშეკრულებითი ურთიერთობა ამ ერთი ფაქტით არ ამოინურებოდა ალბათ. ჩვენი ვარაუდით, სნორედ ასეთი ტიპის ურთიერთდამოკიდებულება უნდა ყოფილიყო მეტად გავრცელებული IX საუკუნიის ტაო-კლარჯეთში. ანალოგიური ხელშეკრულებითი დამოკიდებულების ფაქტია დაცული აგრეთვე მერჩულეს თხზულებაში საერო ფეოდალის – დაფანჩულისა და ხანძთის მონასტრის ურთიერთობაში.

ამ მოსაზრების სასარგებლოდ მიუთითებს ბაგრატ კურაპალატის სამართლის ნიგნის (IX ს.) შემდეგი ორი მუხლი: „თუ უსამართლოდ პატრონსა ყმაჲ ნაუვიდეს, თორმეტი გლეხი შეეკაზმოს" (19, 468). (ყმა ამ შემთხვევაში ვასალ-ფეოდალს გულისხმობს) ე. ი. ამ მუხლიდან ჩანს, რომ ყმას „უსამართლოდ" ნასვლა არ შეუძლია, მაგრამ თუ მაინც ნავიდა, ჯარიმას გადაახდევინებენ პირობის დარღვევისათვის (12 გლეხს). აქედან ისიც ჩანს, რომ ვასალს „უსამართლოდ" არ შეუძლია ნასვლა, თორემ „სამართლით" კი შეუძლია, ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ პირობა ახლა სიუზერენმა დაარღვია. მეორე მუხლში ნათქვამია: „თუ უსამართლოდ პატრონმან ყმაჲ გაძარცოს, თორმეტი გლეხი დაუურვოს" (19, 468). აქ საინტერესოა ისიც, რომ ორივე მხარე ერთნაირი ზომით (12 გლეხი) ჯარიმდება. სავარაუდებელია, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან, რომლის დარღვევის უფლება არც ერთ მხარეს არა აქვს.

ლიპარიტ ბაღვაშის დამოკიდებულება დავით კურაპალატისადმი რომ ვასალური იყო და, პირველ რიგში, სამხედრო სამსახურს ითვალისწინებდა, ჩანს იქიდან, რომ, როცა დავითსა და ნასრა გუარამის ძეს შორის ბრძოლა ატყდა, ლიპარიტი დავითის მხარეზე იბრძვის. ხოლო როცა „იბრძოდეს სომეხნი და აფხაზნი ქართლსა ზედა", „ნასრა, ძე გუარამისი, და გურგენ იყვნეს აფხაზთა კერძ, ხოლო დავით და ლიპარიტ უშუელდეს სომეხთა" (4, 259).

IX-X საუკუნეებში ტაო-კლარჯეთი მთლიანად დაფარული იყო მეფე-ხელმნიფეებით, დიდი და მცირე მთავრებით და მათი სამთავროებით, აგრეთვე სამონასტრო ორგანიზაციებით. „დიდი მთავრის" ტიპიურ სამფლობელოს ანუ სამთავროს საუცხოო ნიმუშებია გაბრიელ დაფანჩულისა და გრიგოლ ჩორჩანელის მამულები.

გიორგი მერჩულეს თხზულების „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" მიხედვით „იყო ვინმე აზნაური დიდებული წინაშე აშოტ კურაპალატისა და ერქუა მას სახელი გაბრიელ დაფანჩული და აწ ნათესავთა მისთა ჰრქვიან დაფანჩულნი" (აქ იგულისხმება ამ სახელის არსებობა საუკუნენახევრის მანძილზე, (20, 32). მის სამფლობელოს ჰქვია „სახლი" გაბრიელ დაფანჩულისა, რომლის „უფალი" თავად არის. გაბრიელი იმავე ძეგლში იხსენიება „მთავრად", „ერისმთავრად", „მეფის აზნაურად", აგრეთვ, „დიდებულად" (20, 33-38). გაბრიელის წინადადებით მოხდა „შეზავება" გაბრიელსა და გრიგოლ ხანძთელს შორის, რომლის შინაარსი ისაა, რომ ხანძთის მონასტერი შედის დიდი

ფეოდალის მფარველობაში. ამიერიდან ამ მონასტერში უნდა დაეწესოს დაფანჩულის სახლის წევრი და აგრეთვე, იმავე მონასტერში უნდა დაიკრძალოს სახლის გარდაცვლილი წევრი. გაბრიელის წინადადებით გრიგოლმა ააშენა აგრეთვე, გაბრიელის მამულში ს. გუნათლეს დედათა მონასტერი, სადაც დაეწესებოდა გაბრიელის „ერის... მონესეი დედაკაცი" და დაემარხებოდნენ მისი სახლის „დედანი" (20, 35). ეს ასე მომხდარა კიდეც და გრძელდებოდა X საუკუნის შუახანებამდე, ძეგლის შედგენის დრომდე (და, ალბათ, დიდხანს შემდეგაც). სამაგიეროდ გაბრიელმა თავს იდვა მონასტრების მატერიალური უზრუნველყოფა (როგორც შენების დროს, ისე შემდეგაც), რაშიც, ცხადია, პირველ რიგში, მონასტრისათვის სოფლებისა და აგარაკების გადაცემა უნდა ვივარაუდოთ.

ხანძთის მონასტრისათვის დაფანჩულის მიერ ბოძებული ტერიტორია გამოირჩეოდა თურმე მზის მცხუნვარებით, კარგი ჰაერითა და წყლით. ჰქონიათ „მაღნართა (ტყე) სიმრავლეჲ ურიცხჳ, და მცირედი რაჲმე სხუაჲცა ნუგეშინის-საცემელი" (20, 40). მაგრამ, რადგან ის ადგილები ყოფილა „ღირღლოვანთა მათ ფიცხელთა მნუერვალთა მათ ღადოსათა", ამის გამო „სათესავი ყანაჲ და სათიბელი ქვეყანაჲ" საკმარისი არ ჰქონიათ (20, 40).

გაბრიელმა გრიგოლ ხანძთელი წარუდგინა აშოტ კურაპალატს, რომელმაც „შენირნა ადგილნი კეთილნი და შატბერდისა ადგილი აგარაკად ხანძთისა" (20, 41). აქ, ერთი მხრივ, საინტერესოა ის ფაქტი, რომ მოციქულად გამოდის მონასტრის პატრონი გაბრიელი, რადგან იგი დაინტერესებულია თავისი მონასტრის უზრუნველყოფით, ხოლო, მეორე მხრივ, ამიერიდან მონასტერი უნდა „ულოცვიდეს" ახალ „შემწირველსაც", რომელიც შენირულ მამულზე ინარჩუნებდა უზენაესი მესაკუთრის უფლებას და, მაშასადამე, მონასტერს მეორე სენიორიც უჩნდება. იგივე ცნობა ფრიად მნიშვნელოვანია მონასტრის სამფლობელოსა და მისი მეურნეობის დასახასიათებლად. აქედან ჩანს, რომ მონასტერი ფლობს ხშირი ტყით დაფარულ მთაგორიან ადგილებს, სათესავ ყანას (აგარაკებს) და სათიბელ ქვეყანას. რადგან სათიბელი ადგილები სჭირდებოდა მონასტერს, ცხადია, მას ჯოგიც უნდა ყოლოდა. ჯოგის მოვლას, სათიბების გათიბვას, აგარაკების დამუშავებას და ამასთან დაკავშირებულ მთელ მეურნეობას, რა თქმა უნდა, მონასტერი ბერების შრომით ვერ შეძლებდა. სავარაუდებელია, მის განკარგულებაში უნდა ყოფილიყო სოფლე-

ბიც, რომელთა მცხოვრებნიც, შრომითი ბეგარის საფუძველზე, დაამუშავებდნენ და მოუვლინდნენ მთელ მეურნეობას.

მსხვილი მიწათმფლობელობის კიდევ უფრო ნათელი სურათი ჩანს სერაპიონ ზარზმელის თხზულებაში (14, 319-347) გიორგი ჩორჩანელის „საბრძანებლის" სახით. „ეს საბრძანებელი – ნ. ბერძენიშვილის აზრით – პოლიტიკური საჯარო უფლება კი არ არის, არამედ ის მამული თუ მონაგები უძრავ-მოძრავი ქონება, რომელიც გიორგიმ შემდეგ თავის დისშვილებს „საკუთრებით განუთვისა" (21, 109), ე. ი. სენიორია.

გიორგი ჩორჩანელი იყო ქვაბლიანის ხევის ერთ-ერთი „მთავარი დიდი და ნარჩინებული", რომელიც გამოირჩეოდა „სიმდიდრითა და სიმრავლითა ერთა და აგარაკთაჲთა, რომლისა სივრცე საზღვართ-ვრცელ და მრავალ იყო". იგი იყო „უფალი ადგილთა მათ". მისი ტაძარნი „შენ იყვნენ სანახებსა ჩორჩანისასა და ზანავისასა", სადაც, როგორც ჩანს, ჰქონია კარის ეკლესია და ჰყოლია „ხუცესნიცა „საცეცხურ-საკუმევლებითა" (21, 324-5). ჩორჩანელის სამფლობელო შედგებოდა დაბა-სოფლებისა და აგარაკებისაგან, რომელთა ნაწილი „მამული" (ე. ი. მემკვიდრეობითი), ხოლო ნაწილი „მონაგები მისი" (ე. ი. მის მიერ შეძენილი) ყოფილა. ჩორჩანელის დაბა-სოფლებში არსებული ტყეებიც ჩორჩანელის საკუთრება ყოფილა (16, 186; 22, 91). იმ დროისათვის არა მარტო სოფლები და აგარაკები იყო ფეოდალთა ხელში, არამედ ტყეებიცა და საძოვრებიც კი ფეოდალთა საკუთრებად ითვლებოდა.[1]

გიორგი ჩორჩანელმა თავის მამულში საკმაოდ დიდი ტერიტორია გამოუყო ბერებს მონასტრის მშენებლობისათვის. მატერიალური შემწეობაც მისცა მონასტრის მშენებლობისათვის, შემდეგ კი „სოფლებნიცა მისცა კაცმან მან ღმრთისაგან გიორგი" (14, 335).

გიორგი ჩორჩანელი უშვილო ქვრივი იყო და პირაპირი მემკვიდრე არ ჰყავდა. ამის გამო „ყოველივე, რაჲცა აქუნდა, და მამული და ყოველნი ეკლესიანი და მონაგები მისი დასა მისსა შეჰვედრა და შვილთა მისთა საკუთრებით განუთჳსა (14, 339). გიორგი ჩორჩანე-

[1] გავიხსენოთ გაბრიელ დაფანჩულისა და ხანძთის მონასტრის ტყეები და საძოვრები. აგრ. ბაგრატ IV-ის სიგელის ცნობა, რომლის მიხედვით გუარამს (IX ს.) ტყე და საძოვრები უბოძებია ოპიზის მონასტრისათვის (ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 9).

ლის ანდერძით, ზარზმის მონასტერსაც „მდიდრად მიეცა ყოველივე უხუებით: აგარაკნი თავისუფლებით და საქონელი მრავალფერი და სიმრავლე საჴედართა და მრონეულთა“ (14, 339). აქედან ჩანს, რომ ჩორჩანელის სამფლობელო ანუ მამული მისი საკუთრებაა და გასხვისების უფლებით სარგებლობს. ამასთანავე, იგივე მამული შეუვალობით სარგებლობს, რომ ჩორჩანელს შეუძლია აგარაკები და სხვა ეკლესიას „თავისუფლობით“ (იმუნიტეტი) გადასცეს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩორჩანელმა თავისი სამფლობელო დისშვილებს უანდერძა, რომლებიც სამცხის „დიდი მთავრის მირიანის“ შვილები იყვნენ, „ჩორჩანელის სახლი“ მაინც არ მოშლილა (როგორც ჩანს, ერთ-ერთმა მისმა დისშვილმა ჩორჩანელობა მიიღო) და იგი, როგორც ცალკე ფეოდალური ერთეული, იმავე სახელით XVI საუკუნის დასაწყისამდე არსებობს. XVI საუკუნიდან კი იგივე ფეოდალური სახლი ანუ სამთავრო ცნობილია „ხურსიძის სახლის“ ანუ სათავადოს სახელით (23, 243-245).

ანალოგიური ტიპის მსხვილ სამფლობელოებად უნდა მივიჩნიოთ აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მრავალი ფეოდალური გვარის – ფავნელების, ტბელების, ძამელების, ბაღვაშების, კორინთელის, ბივრიტელის, ფხვენელის, მარილელის, ჯოჯიკ მთავრის, ბეშქენ ბაჰლაუნდისა და მისი შვილის „დიდი მთავრის მირიანის“ და სხვათა მრავალთა სამთავროები და ეკლესია-მონასტრები. ის ფაქტი, რომ ადრეფეოდალური ხანის ფეოდალთა გვარები ძირითადად სოფლების სახელებიდან მოდის (ფავნელი, ჩორჩანელი, მარილელი, ტბელი და სხვ.), მიუთითებს იმას, რომ ისინი თავიანთ სამფლობელოებს მემამულეობით ფლობენ და არა მოხელეობით. დაახლოებით ანალოგიურ სამფლობელოებს ვვარაუდობთ ჩვენ აღებული ხანის დასავლეთ საქართველოს ბარში მთავარ ივანე შავლიანის (4, 258), ბაღვაშთა კაცხის მამულის, არგვეთელი მთავრების დავით და კონსტანტინეს (24, 14) და სხვა მათ მსგავს მთავართა და ეკლესია-მონასტრების სამფლობელოების სახით. წყაროების სიმცირე არ იძლევა საშუალებას რომელიმე მთავრის სამფლობელოს დასახასიათებლად. XI საუკუნის ნიკორწმინდის იადგარის (23, №4) მიხედვით იმერეთის ფეოდალური საზოგადოება განვითარების მაღალ საფეხურზე იმყოფება. ფეოდალთა კლასი იქ შედგება მთავრებისაგან ანუ დიდებული აზნაურებისაგან (იოანე ლიპარიტის ძე, კახაბერი, ერისთავთ-ერისთავი მიქელ, ვარაზ-ვაჩე, წირქვალელის ძე და სხვ.) და აზნაურებისაგან

(ჯინჭარაისძე, დებორიანისძე, აბულახტარი და სხვ.), რომელთაგან ნიკორწმინდის ეპისკოპოსმა გლეხები, მიწები და სხვა ქონება ზოგი შენირულობით, ზოგი კი სყიდვით შეიძინა. დიდძალი გლეხებისა და მამულების მფლობელია თვით ნიკორწმინდის ეკლესია (აგრეთვე მონასტერი). მწარმოებელთა კლასი კი ძირითადად გლეხობისაგან შედგება. ასეთ განვითარებულ ფეოდალურ საზოგადოებას მხოლოდ XI საუკუნის შემოქმედებად ვერ მივიჩნევთ. აქ აღნიშნული საზოგადოება მთელი ადრეფეოდალური ხანის მანძილზე ყალიბდებოდა. ზემო იმერეთში VIII-IX საუკუნეებში დაახლოებით ისეთივე სამთავროები უნდა ყოფილიყო, როგორიც ქართლსა და კახეთში იყო იმავე ხანებში.

რაც შეეხება საეკლესიო-სამონასტრო მსხვილ მიწათმფლობელობას, უკვე აღინიშნა, რომ იგი ჯერ კიდევ IV საუკუნიდან ყალიბდებოდა საერო მსხვილი მიწათმფლობელობის პარალელურად. VIII-IX სსაუკუნეები საეკლესიო და სამონასტრო მიწათმფლობელობის განვითარების თვალსაზრისით ნამდვილი აყვავების ხანა იყო. გამრავლდა საეპისკოპოსო ეკლესიები და მათზე გადაცემული მამულები, შეიქმნა ახალი მსხვილი სამონასტრო ორგანიზაციები, განსაკუთრებით სამხრეთ საქართველოში. უბრალო ჩამოთვლაც კი ნათელყოფს მათს დიდ მნიშვნელობას იმდროინდელ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. საეპისკოპოსო ცენტრები და მონასტრები იყო ქართლში: მცხეთა, თბილისი, ცურტავი, შიომღვიმე, ბოლნისი, ურბნისი, წილკანი, ლარგვისი, იკორთა და სხვ.; კახეთში: ზედაზენი, გარეჯა, ნეკრესი, მარტყოფი, ნინოწმინდა, ბოდბე, და სხვ.; კლარჯეთში: ოპიზა, ხანძთა, შატბერდი, პარეხი, ბერთა, მიძნაძორი, წყაროსთავი, ანჩი; ტაოში: იშხანი, ოშკი, ხახული, პარხალი, ბანა, კალმახი; შავშეთში: ტბეთი; სამცხეში: ანყური, ზარზმა, ჯავახეთში: კუმურდო; დასავლეთ საქართველოში: კაცხი, ვანი, მარტვილი, წალენჯიხა, მოქვი და სხვ. (26).

ადრეფეოდალური ხანის საეპისკოპოსო ეკლესიების მიწათმფლობელობის შესახებ ცნობები უაღრესად მცირეა. რაც შეეხება მონასტრებს, იქ მასალები უფრო იძლევიან საშუალებას წარმოვაჩინოთ მათი მფლობელობის სურათი.

ბ. ზარზმელისა და გ. მერჩულეს თხზულებათა მონაცემების განხილვისას მოკლედ ხანძთისა და ზარზმის მონასტრების მიწათმფლობელობასაც შევეხეთ. აღინიშნა, რომ მონასტრების მფლობ-

ელობაში იყო მრავალი სოფელი (იქ მცხოვრები მნარმოებლებით) და აგარაკი, ტყე, საძოვარი და სათიბი, ყავდათ ჯოგები და სხვ. ჩვეულებრივ, მონასტრებს სოფლები და აგარაკები გადაეცემოდა „თავისუფლობით" (ს. ზარზმელი), რაც შეუვალობას ნიშნავს.

აქ მოკლედ უნდა შევჩერდეთ შიომღვიმის მონასტრის მიწათმფლობელობაზე, რომელიც შეიძლება ტიპიურ საეკლესიო-ფეოდალურ ორგანიზაციად მივიჩნიოთ.

შიომღვიმის მონასტერი მდებარეობს მცხეთის რაიონში, სარკინის მთაზე, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, თბილისიდან 30 კმ-ზე. იგი დააარსა VI საუკუნის მეორე ნახევარში ერთ-ერთმა 13 სირიელ მამათაგანმა, შიომ. პირველი ეკლესია აგებულ იქნა VI საუკუნის მეორე ნახევარში, შიოს სიცოცხლეშივე, იოანე ნათლისმცემლის სახელზე. XII საუკუნეში დავით აღმაშენებელმა ააშენა ღვთისმშობლის სახელობის დიდი უგუმბათო ეკლესია. მონასტერს აკრავს კლდეში ნაკვეთი ქვაბები, რომელთაც ბერები თავიდანვე საცხოვრებლად იყენებდნენ. მათი რიცხვი ასზე მეტია. ჯერ კიდევ შიოს სიცოცხლეში 25 ბერი ყოფილა იქ, ცოტა უფრო გვიან კი – 2000-მდე (ეს რიცხვი გადაჭარბებული უნდა იყოს). მონასტერი თავიდანვე კათალიკოსის დაქვემდებარებაში ყოფილა, XII საუკუნიდან სამეფოა, XIV საუკუნიდან კი სათავადო – ზედგინიძე-ამილახვრებისა (27, 19-31).

„შიომღვიმის მონასტერი ერთ-ერთ მსხვილ სამეურნეო-ფეოდალურ ორგანიზაციას წარმოადგენდა – წერს ბ. ლომინაძე, – მონასტრის საკუთრებაში იყო მრავალი ყმა-მამული. მთლიანი სოფლები და ცალკეული კომლები გაფანტულად სხვადასხვა სოფლებში, წისქვილები, ზეთსახდელები, სავაჭრო დუქნები, მსხვილფეხა საქონლის ჯოგი და სხვ." (27, 35). სოფელთა დიდი ნაწილი გარს ერტყა მონასტერს, ზოგი კი შორსაც ჰქონდა. ეს მინათმფლობელობა, ცხადია, თანდათან იქმნებოდა. VI საუკუნის ბოლოს მონასტრის განკარგულებაშია ორი სოფელი – სხალტბა და გოროვანი ევაგრესაგან მოსყიდული (28, 21).

ევაგრეს წინამძღვრობაში მონასტერში მისულა მეფე ფარსმანი მთავრებითურთ (ევაგრეც ქართლის ერთ-ერთი მთავარი იყო ბერად აღკვეცამდე). მეფემ მიანიჭა „მონასტერსა მას ოთხნი რჩეულნი სამეუფოთა დაბათაგან და დაწერა ჴელითა თავისითა თავისუფლებაი მათი და მისცა ევაგრეს ოცდაათი ლიტრა ოქრო ეკლესიათა მათთვის საჴმარად"... (29, 111).

VII საუკუნის დასაწყისში მონასტერში მისულა ქართლის კათალიკოსი ბართლომე და ერისმთავარი სტეფანოზი. ეს უკანასკნელი უკმაყოფილო დარჩენილა მიღებით „და მისტაცნა ორნი აგარაკნი და თქუა, არა მივსცე შეურაცხის-მყოფელთა მამული ჩემი". შემდეგ, თითქოს, შიოს შეგონებით სტეფანოზი იძულებული გამხდარა უკან დაებრუნებინა „ორნი დაბანი დაბათაგან სამეუფოთა ურჩეულესნი". გარდა ამისა, მისივე ბრძანებით „ყოველნი ეკლესიანი განათავისუფლნენ მძლავრებისაგან და ჴარკის მოჴდისა" (30, 204-205). აქ საინტერესოა ის ფაქტი, რომ ადრე მეფის მიერ შენირულ დაბებს თავის მამულად თვლის სტეფანოზი, აგრეთვე, სოფლები ადრეც შეუვალობით იყო შენირული და ახლაც შეუვალობით შესწირა.

X საუკუნისათვის, შემორჩენილი ცნობების მიხედვით, მონასტერს 17-მდე სოფელი ჰქონდა, ზოგი ნასყიდი და ზოგიც შენირული (28, 3, 21). მთელი სამფლობელო სარგებლობდა შეუვალობით (საგადასახადო, სასამართლო, ადმინისტრაციული – 28, 3, 10, 20 და სხვ.).

მონასტრის სოფლებში ცხოვრობდნენ გლეხები შენირულნი (მეაღაპენი) და ნასყიდნი. გლეხობა იხდიდა შრომით და ნატურალურ ბეგარას (28, 3-4), ამუშავებდნენ აგარაკებს, უვლიდნენ ჯოგებს და სხვ. საბატონო მეურნეობა (აგარაკები, სათიბი, ტყე, ჯოგები) საკმაოდ მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო მონასტრის სამფლობელოში, მაგრამ რამდენი, დადგენა არ ხერხდება. ის კი შეიძლება ითქვას, რომ როგორც სამონასტრო, ისე საერო ფეოდალთა სამფლობელოებში გლეხობაზე გადაცემული მინა და, ამდენად გლეხური მეურნეობანი, გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო, ვიდრე საბატონო მეურნეობა.

მონასტრებს თავისი მოხელეები ჰყავდა: წინამძღვარი, მამასახლისი, იკონომოსი, მთავარდიაკონი, დიაკონი, გადასახადის ამკრეფი, ალბათ მანდატურიც და სხვ. ეს უკანასკნელნი უფრო მეტად საერო პირები იყვნენ (27, 4).

ადრეფეოდალური ხანის სენიორია იყო მსხვილი მინათმფლობელობა და მსხვილი მეურნეობა, მაგრამ აკად. ს. სკაზკინის აზრით, ეს მსხვილი მეურნეობა ემყარებოდა წვრილ გლეხურ წარმოებას პრიმიტიული ტექნიკის პირობებში. სენიორია, როგორც გაბატონებული კლასის სამეურნეო ფორმა, იყო არა იმდენად წარმოების ორგანიზაცია, რამდენადაც ორგანიზაცია ფეოდალური რენტის მისაღებად (9, 77).

ადრეფეოდალური ხანის მსხვილ მინათმფლობელობაში გაბატონებული იყო ნატურალური მეურნობა. მეურნეობის ნატურალურ ხასიათს განსაზღვრავდა არა ის, რომ თითქოს იმ დროს არაფერს არ ყიდდნენ და არ ყიდულობდნენ, არამედ ის, რომ ნარმოების მიზანი იყო მინათმფლობელის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რისთვისაც თითქმის ყველაფერი მზადდებოდა იმავე მეურნეობაში (31, 175-176).

ფეოდალური საკუთრება, რომელიც ნარმოგვიდგება როგორც „მინის საკუთრება მასზე მიმაგრებული გლეხური შრომით" (32, 23), განსაზღვრავდა საშუალო საუკუნეებში მთელი ეკონომიური ცხოვრების ნატურალურ ხასიათს (31, 175).

საქართველოში მსხვილი მინათმფლობელობის განვითარების პირველ ეტაპზე (IV-VI სს.) საბატონო მეურნეობაში გამოყენებული მუშახელი იყო თავისუფალი, თუ ნახევრად თავისუფალი მეთემეროვანი, გლეხი, მსახური, მონა (აგრეთვე მონა-მხევალი), მეორე ეტაპის ბოლოს (IX ს-ში) კი – გლეხი, მსახური და მონა-მხევალი. ცალკეულ შემთხვევებში მთელი ადრეფეოდალური ხანის მანძილზე გვხვდება დაქირავებული შრომის გამოყენებაც, განსაკუთრებით მშენებლობებში, მაგრამ მისი როლი უაღრესად მცირე იყო.

ადრეფეოდალური ხანის სამთავრო-სენიორიის სოციალური სტრუქტურა IX საუკუნის ბოლოსათვის შემდეგი სახისა იყო: დიდი მთავარი ანუ დიდებული აზნაური, აზნაური, მსახური, გლეხი. ეროვანი ბარის საქართველოში ფაქტიურად აღარ არსებობდა (ეროვანი შემორჩა საქართველოს მთიანეთს როგორც მწარმოებელთა ერთი ნაწილი).

ლიტერატურა

1. **Марк Блок**, Характерные черты французской аграрной истории, М., 1957, с. 113.
2. ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1959, გვ. 33; **ნ. ბერძენიშვილი**, საქართველოს ისტორიის საკითხები, ნ. VII, თბ., 1974, გვ. 222, 137 და სხვ.
3. **ივ. ჯავახიშვილი**, ქართული სამართლის ისტორია, I, თბ., 1928.
4. ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბ., 1955.
5. Проблемы феодализма, реферативный сборник, ч. I, М., 1975.
6. История Франции, т. I, М., 1972.
7. **М. А. Барг**, Проблемы социальной истории, М., 1973.

8. Ю. Бессмертный. Вотчина. СИЭ, т. 3.
9. С. Д. Сказкин. Избранные труды по истории. т. I, М., 1973.
10. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970.
11. შ. მესხია, ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის ძირითადი პერიოდები, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, 1973.
12. История Армении Фавстова Бузанда. Ереван, 1953. იხ. აგრეთვე, ლ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 179.
13. ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, თბ., 1949.
14. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1964.
15. ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, 1952.
15*. К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 21.
16. ივ. სურგულაძე, საკუთრების უფლება ფეოდალურ საქართველოში IV-X საუკუნეებში. ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, I, თბ., 1973.
17. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ნ. VII, 1974.
17*. მ. ლორთქიფანიძე, ტაო-კლარჯეთი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973.
18. შ. ბადრიძე, „ქართველთა სამეფოს" პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან, თსუ შრომები, 113, 1965.
19. ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედ., ტ. I, თბ., 1963.
19*. კრებული: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, I, თბ., 1970.
20. გიორგი მერჩულე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, პ. ინგოროყვას რედ., თბ., 1949.
21. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975.
22. ნ. ეაჩნაძე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1975.
23. ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედ., ტ. III, თბ., 1970.
24. ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბ., 1973.
25. გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973.
26. ლ. მენაბდე, ძველი ქართული მნერლობის კერები, ტ. I, ნ. II, თბ., 1962.
27. ბ. ლომინაძე, შიომღვიმე, თბ., 1953; ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, თბ., 1966.
28. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1965.
29. ცხოვრება შიოსი და ევაგრესი, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების ნიგნთა ძველი რედაქციები, თბ., 1955.
30. თხრობა სასნაულთათჳს მამისა შიოსთა, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების ძველი რედაქციები, თბ., 1955.
31. С. Д. Сказкин, Очерки по истории западноевропейского крестянства в средные века, М., 1968.
32. К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 3.

33. **იაკობ ცურტაველი**, მარტვილობა შუშანიკისა, ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, ფოტოტიპური გამოცემა, თბ., 1978.
34. **გ. ძიძიგური**, ზოგიერთი საკითხი საქართველოში ფეოდალური რენტის გენეზისის ისტორიიდან, „საისტორიო კრებული", VII, თბ., 1977.
35. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973.
36. **Н. С. Джанашиа**, „Мученичество Шушуник" как исторический источник, 1978.
37. **Е. А. Косминский**, Исследования по аграрной истории Англии XIII в., М-Л., 1947.
38. **დ. მუსხელიშვილი**, ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციისათვის, ჟურნ. „მაცნე", ისტორიის... სერია, 2, თბ., 1980.
39. კრებული: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია, თბ., 1980, გვ. 78-94.

კრებ. „ანამკი". თსუ გამომცემლობა. 2002. გვ. 76-106.

იმუნიტეტი საქართველოში (VI-XIV სს.)

„იმუნიტეტი" ლათინური სიტყვაა (immunitas) და ნიშნავს რაიმესაგან განთავისუფლებას. იმუნიტეტის ქართული შესატყვისია „თავისუფლება".[1] საბუთს, რომლითაც ფორმდებოდა საიმუნიტეტო პრივილეგია, „თავისუფლების ბრძანება" ეწოდებოდა.[2] ის ფაქტი, რომ სიტყვა „თავისუფლება" თითქოს სიტყვასიტყვითი თარგმანია „იმუნიტეტისა", იმუნიტეტი კი გვიან რომაულ იმპერიაში უკვე მოქმედებდა (აღნიშნავდა მოსახლეობის ცალკეული ჯგუფებისა თუ მინების, სახელმწიფო გადასახადებისაგან თუ ვალდებულებებისაგან განთავისუფლებას), შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ ჩვენშიც ეს ტერმინი და ინსტიტუტიც ჯერ კიდევ ძველ სამყაროში და შესაძლოა რომის გავლენითაც კი იყოს შემოსული.

XI საუკუნეში „თავისუფლებისა" და „განთავისუფლების" გვერდით გვხვდება, იმავე მნიშვნელობით, ტერმინი „შეუვალობა".[3]

XI საუკუნის პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონში „თავისუფლებისა" და „შეუვალობის" სინონიმად იხმარება აგრეთვე „აზნაურება".[4]

XII საუკუნეში „თავისუფლობისა" და „შეუვალობის" პარალელურად შემოდის სპარსული სიტყვა „აზადი". იგი პირველად ჩანს თამარ მეფის 1188 წლის სიგელში გელათის მონასტრისადმი.[5] მონღოლთა ბა-

---

[1] ცხორება შიოსი და ევაგრესი, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ი. აბულაძის გამოც., თბ., 1955, გვ. III.

[2] ფავნელის დაწერილი, IX ს., ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის რედ., 1965, გვ. 4.

[3] შენირულობის სიგელი ბაგრატ IV-ისა შიომღვიმისადმი, ქ. ს. ძეგლები, II, 1965, გვ. 7.

[4] ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბ., 1971, გვ. 74.

[5] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 26.

ტონობის დროიდან კი იმუნიტეტის სინონიმად ვრცელდება „თარხნობაც". აღნიშნული ტერმინოლოგიური სიჭრელისდა მიუხედავად, თვით გვიანსაშუალო საუკუნეებშიც კი იმუნიტეტის ქართულ შესატყვისად ძირითადად კვლავ „თავისუფლება" და „შეუვალობა" იხმარება.

მედიევისტების აზრით, იმუნიტეტი არის იმ უფლებათა ჯამი, რომლებიც მოიპოვეს ფეოდალებმა გლეხობის ძალით დაყმევების პროცესში და რომლითაც ახორციელებდნენ ისინი თავიანთ უფლებას გლეხობაზე. იმუნიტეტი გულისხმობდა ფეოდალის საგადასახადო, სასამართლო და ადმინისტრაციულ პრივილეგიებს. იმუნიტეტი იყო მიწის ფეოდალური საკუთრების ატრიბუტი და მისი ზედნაშენი, იგი იყო გარეშე ეკონომიური იძულების მნიშვნელოვანი იარაღი. მისი მთავარი მიზანი იყო ფეოდალური რენტის მიღების უზრუნველყოფა. რუსი მკვლევრის დ. გრამენიცკის აზრით, იმუნიტეტის ინსტიტუტი ფეოდალური ნყობილების ერთ-ერთი ბურჯია. ამ ინსტიტუტის დახმარებით ხორციელდება „გარეშე ეკონომიური იძულების" იმ ფაქტორის მოქმედება, რომელმაც ასეთი დიდი და აუცილებელი როლი შეასრულა ფეოდალური ფორმაციის დამყარებაში, ფეოდალური წარმოების წესის დამკვიდრებაში და მშრომელთა ფეოდალური ექსპლოატაციის საქმეში. იმუნიტეტის შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს, აღნიშნავდა კ. მარქსი, „კონცენტრირებული და ორგანიზებულ" საზოგადოებრივ ძალადობასთან,[1] რომელიც სახელმნიფოსაგან გამოდის. იმუნიტეტმა გაამაგრა ცალკეული პირებისაგან გამომავალი კერძო ძალადობისა და უფლების აქტები, ამიტომ ამ ინსტიტუტის შესწავლა მის განვითარებაში და მოქმედებაში წარმოადგენს მნიშვნელოვან ისტორიულ ინტერესს.[2]

იმ საკითხებზე, თუ როდის წარმოიშვა იმუნიტეტი, რა მიზანი ჰქონდა მეფეს, როცა იმუნიტეტს გასცემდა და რა მიზანი ჰქონდა თვით იმუნისტს და სხვ., აზრთა დიდი სხვადასხვაობა იყო.

XIX საუკუნის ცნობილი ფრანგი მეცნიერის ფიუსტელ დე კულანჟის აზრით, იმუნიტეტი წარმოიშვა ფრანკთა დესპოტური სახელმწიფოს მოხელეთაგან თავის დაცვის მიზნით. მისი აზრით, იმუნისტების ტერიტორია მთლიანად იყო დაცული ადგილობრივ მოხელეთა ჩარე-

---

[1] **К. Маркс**, Капитал, т. I, гл. 24.

[2] **Д. С. Граменицкий**, К вопросу о происхождении и содержании франкского иммунитета, Ср. В. II, 1946, с. 133.

ვისაგან და პირდაპირ მეფეს ემორჩილებოდნენ. დ. გრამენიცკის აზრით, ფ. დე კულანჟი ცდება. არც ისე იყო საქმე, რომ თითქოს მეფის მოხელეებს სულ არ მიუწვდებოდათ ხელი საიმუნიტეტო ტერიტორიაზე და არც სახელმწიფო ხელისუფლება იყო ისეთი დესპოტური, როგორც ფ. დე კულანჟს მიაჩნდა.[1] აქ უნდა აღინიშნოს, რომ ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია რამდენადმე აზვიადებდა იმუნიტეტის როლს იმ მხრივ, რომ თითქოს განყვეტილი იყო კავშირი მეფის ხელისუფლებასა და საიმუნიტეტო ტერიტორიას შორის. ამ შეხედულებამ გავლენა მოახდინა ქართულ ისტორიოგრაფიაზედაც. ჩვენში არის შეხედულება, რომლის მიხედვით დასავლეთევროპული იმუნიტეტი თითქოს განსაკუთრებული მოვლენაა და იქაური ფეოდალები განსაკუთრებული დიდი უფლებებით სარგებლობდნენ და თითქმის დამოუკიდებელ ხელმწიფეებს წარმოადგენდნენ. ვფიქრობ, რომ ეს შეხედულება მცდარია.

მეორე ფრანგმა მეცნიერმა კრელმა სპეციალური მონოგრაფია უძღვნა ფრანგულ იმუნიტეტს. ის თვლის, რომ იმუნიტეტი გვიან რომაულ იმპერიაშიც უნდა ყოფილიყო. ყველა მეცნიერი არ იზიარებს ამ შეხედულებას, მაგრამ აკად. ე. კოსმინსკის აზრით, იმუნიტეტის ჩანასახები იყო გვიანრომაულ იმპერიაში.[2]

პირველი ძეგლი, რომელშიც მოხსენებულია ფრანკთა იმუნიტეტი, არის 614 წლის ედიქტი ხლოტარ II-ისა. ამ ედიქტში ნათქვამია, რომ გრაფებმა არ უნდა დაარღვიონ ეკლესიის თუ სხვათა იმუნიტეტი, გაცემული წინამორბედი მეფეების მიერო (ე. ი. ეს არის არაპირდაპირი ცნობა).

პირველი ჩვენს დრომდე მოღწეული დოკუმენტები გაცემულია VII საუკუნის შუა ხანებში. ამ დოკუმენტების მიხედვით ორი სახის იმუნიტეტი ყოფილა ფრანკთა იმპერიაში. ერთი სახე ისაა, როცა ფეოდალს გადასცემენ ფისკის მიწებს და იქ გადასახადის აკრეფის უფლებას და აგრეთვე სასამართლო ჯარიმის აკრეფის უფლებას (აქ იგულისხმება რამდენადმე სასამართლო იურისდიქციაც). ასეთი იმუნიტეტის მაგალითად მკვლევრები ასახელებენ 647 წელს, მეფე სიგიბერტ II-ის წყალობის წიგნს მონასტრისადმი, რომელიც ააგეს

---

[1] **Д. С. Граменицкий**, К вопросу о происхождении и содержании франкского иммунитета, Ср. В, II, 1946, с. 136-137.

[2] СЭ, I გამოც., ტ. 27, 1933.

სამეფო მინაზე არდენის ტყეში. მონასტერს გადაეცა ტყის ნაკვეთები (სახელმწიფო მინა) და გადასახადების აკრეფის უფლება[1].

მეორე სახე იმუნიტეტის ბოძებისა (ამასთანავე, უფრო მთავარიც) არის ცალკე პირის თუ კორპორაციისადმი ბოძებული იმუნიტეტი თავიანთ საკუთარ სამფლობელოზე. ასეთი ყველაზე ადრინდელი საბუთია 635 წ. დიპლომი დაგობერტ I-ისა რესბახის მონასტრისადმი. მთავარი შინაარსი დიპლომისა არის ის, რომ მონასტერი თავისუფლდება ეპისკოპოსის დაქვემდებარებისაგან და ენიჭება აბატის თავისუფლად არჩევის უფლება. დიპლომი იცავს აგრეთვე მონასტრის მამულებს ხელყოფისაგან (იქვე).

იმუნიტეტის მთავარი შინაარსი იყო თანამდებობის პირთა ფეოდალის სამფლობელოში შესვლის აკრძალვა სასამართლოს წარმოებისა და სახელმწიფო გადასახადების ასაკრეფად. ხშირად გრაფები და სხვა მოხელეები აჭარბებდნენ ხელისუფლებას და ავიწროებდნენ მონასტრებს, ეკლესიებს და მათ ხალხს. იმუნიტეტი იცავდა მათ ამ მოხელეებისაგან (იქვე). ფრ. ენგელსის აზრით, იმუნიტეტი „в эпоху непрестанных гражданских войн, грабежей и конфискации защищал владения церкви от насилия"[2].

ადრეული და განვითარებული ფეოდალიზმის მანძილზე თითქმის გამუდმებით მიმდინარეობს ბრძოლა პოლიტიკური უფლებებისა და იმუნიტეტისათვის მეფესა და ფეოდალებს შორის. მეფე იძულებულია ცნოს ფეოდალთა მიერ ამ უფლებების მითვისება, რაც გამოიხატა საიმუნიტეტო სიგელების გაცემაში. აი, ამით გამოიხატა ხელისუფლების ჩარევა საიმუნიტეტო ურთიერთობებში. ფრანკთა იმპერიაში ეს მოხდა კაროლინგების დროს (განსაკუთრებით კარლოს დიდის დროს), რის გამოც იმუნიტეტმა მიიღო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და გადაიქცა საჯარო-უფლებრივი ხასიათის ნიშნების მატარებელ ინსტიტუტად. თანდათან საიმუნიტეტო სასამართლო გადაიქცა აუცილებელ სავალდებულო სასამართლო ინსტიტუტად, ასეულის (ადმინისტრაციული ერთეული) სასამართლო კომპეტენციით (დაბალი იურისდიქციით), მაგრამ ამავე დროს მიმდინარეობდა მსხვილ ფეოდალთა პოლიტიკური უფლებების ზრდა.[3] ფრანკთა იმუ-

---

[1] დ. გრამენიცკის დასახ ნაშრ. გვ. 150

[2] Франкский период, 1938, с. 66.

[3] Н. С. Михайловская, Каролингский иммунитет, Ср. В., вып. II, 1946, с. 188.

ნიტეტი მემამულე-იმუნისტს გადასცემდა სასამართლო დარგში დაბალ იურისდიქციას (სამოქალაქო და ნვრილი სისხლის საქმეებს, დიდი და მნიშვნელოვანი საქმეები მეფის სასამართლოს ექვემდებარებოდა). იმუნიტეტმა ფართო განვითარებას მიაღწია X-XII საუკუნეებში. შემდეგ, საფრანგეთში ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისდა კვალად ხდება იმუნიტეტის შეზღუდვა. ზოგიერთ ქვეყანაში კი, მაგალითად, ბატონყმობის მეორე გამოცემის ქვეყნებში, შემცირების მაგივრად იმუნიტეტი გვიანსაშუალო საუკუნეებში ღრმავდება.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გავრცელებული იმუნიტეტი განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან იმუნიტეტის განვითარებისა და სიღრმის მიხედვით.

გერმანული იმუნიტეტის შესახებ საინტერესო გამოკვლევა აქვს პროფ. ნ. კოლესნიცკის. იგი თავის ნაშრომში – „Эволюция территориального устройства в Германии в IX-XII вв."[1] ცალკე გამოყოფს ქვეთავს – „Иммунитет и его эволюция". მისი აზრით, იმუნიტეტი საერთო საკანონდებლო აქტით კი არ დგინდებოდა, არამედ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ცალკე გაცემული აქტით. ამიტომ სხვადასხვა პირისადმი გაცემული იმუნიტეტი სხვადასხვა დონისა იყო.

გერმანიაში საიმუნიტეტო სიგელები ყოფილა მხოლოდ საეკლესიო მიწათმფლობელობის მიმართ. საერო ფეოდალების მიმართ, დაწყებული IX საუკუნიდან, სრულიად არაა საიმუნიტეტო სიგელები.[2] ნ. კოლესნიცკის აზრით, ეს ფაქტი არ შეიძლება აიხსნას დოკუმენტების დაკარგვით. საერო ფეოდალები იმუნიტეტის გარეშე სარგებლობდნენ იმ პრივილეგიებით, რომლებიც ეკლესიას და მონასტრებს ჰქონდათ მინიჭებული იმუნიტეტით. უფრო მეტიც, მათ ჰქონდათ ისეთი ძალა, რომ ხშირად არღვევდნენ ეკლესიის პრივილეგიებს, რის წინააღმდეგაც იყო მიმართული მეფეთა მიერ გაცემული დიპლომები.

საერო ფეოდალების ისეთი პრივილეგიები, როგორიც ჰქონდა ეკლესიას, ისტორიკოსთა მიერ დამტკიცებულია ფაქტიური მონაცემებით (და არა პირდაპირი საიმუნიტეტო სიგელებით). ამდენად, აღნიშნავს ნ. კოლესნიცკი, ჩვენს ხელთ არსებული მეფეთა მიერ

---

[1] Ср. В. вып. IX, 1957.

[2] ფრანკთა კაროლინგების სახელმწიფოში ადგილი ჰქონდა საერო პირებისადმი იმუნიტეტის ნყალობის ცალკეულ შემთხვევებს.

გაცემული სიგელების მხოლოდ ერთი ნაწილია სახელმწიფოში მოქმედი საიმუნიტეტო პრივილეგიებისა. მაგრამ მისი შინაარსი გვიხსნის სამამულო-საიმუნიტეტო უფლების არსს, რომელიც დამახასიათებელი იყო ფეოდალური მიწათმფლობელობისათვის საერთოდ.[1]

ფეოდალები, იღებდნენ რა ფორმალურ იმუნიტეტს, უკვე გააჩნდათ ის უფლებები, რაც ჩვეულებრივ იმუნიტეტით იყო გათვალისწინებული. მათ სჭირდებოდათ მხოლოდ გარანტია, რომ არ ჩაერეოდნენ გარედან. თუ არ იყო ჩარევა ან ძალიან არ ანუხებდათ ის, არც კი ცდილობდნენ ფორმალური იმუნიტეტის მოპოვებას. მაგრამ ფაქტობრივად მათი იურისდიქცია ისეთივე ან მეტიც კი იყო, როგორიც ეკლესიის საიმუნიტეტო სამფლობელოებში.[2]

ნ. კოლესნიცკის აზრით, იურისდიქცია არ იყო მთავარი იმუნიტეტში. იურისდიქცია საშუალება იყო ფეოდალური რენტის მისაღებად და ექსპლოატირებულთა ნინააღმდეგობის დასათრგუნავად.[3]

საფრანგეთისაგან განსხვავებით, სადაც XIII საუკუნიდან, როცა ცენტრალიზაცია იზრდება და იმუნიტეტი მცირდება, გერმანიაში იმუნიტეტი იზრდებოდა და ზოგიერთ შემთხვევაში სამფლობელოს გარეთაც კი ვრცელდებოდა. ეს გარემოება ზოგჯერ ხელს უწყობდა ტერიტორიული სამფლობელოს (ჩვენი გვიანი სამთავროს მსგავსი) წარმოქმნას.[4]

მნიშვნელოვანი თავისებურებებით გამოირჩევა ინგლისური იმუნიტეტი (სოკა) კონტინენტის იმუნიტეტისაგან. პროფ. ე. გუტნოვას სტატიაში – „К вопросу об иммунитете в Англии"[5] – სპეციალურადაა განხილული ინგლისური იმუნიტეტი და ნაჩვენებია მისი თავისებურებანი. როგორც ე. გუტნოვა აღნიშნავს, ინგლისელი ისტორიკოსები ზოგჯერ მთლიანად უარყოფენ ინგლისში იმუნიტეტის არსებობას მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ ფეოდალთა სასამართლო-ადმინისტრაციული უფლებანი ყოველთვის არ ემყარებოდა მეფის წყალობის სიგელებს. ამის გამო ისინი იმუნიტეტის მაგივრად უფრო ხშირად ფეოდალთა სასამართლო-ადმინისტრაციულ და პოლიტი-

---

[1] ნ. კოლესნიცკის დასახ. ნაშრომი, გვ. 154-155.
[2] იქვე, გვ. 163.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 166.
[5] Ср. В., вып. III, 1951.

კურ პრივილეგიებს უწოდებენ უბრალოდ „თავისუფლებებს“ ან „პრივილეგიებს“. მაგრამ თუ განვიხილავთ იმუნიტეტს, როგორც ერთ-ერთ ძირითად იარაღს გარეეკონომიკური იძულებისა, რომელიც უზრუნველყოფს დაქვემდებარებული გლეხების მორჩილებასა და მათ ექსპლოატაციას, მაშინ XII-XIII საუკუნეების ინგლისში იმუნიტეტის არსებობა არავითარ ეჭვს არ იწვევსო – აღნიშნავს ე. გუტნოვა.[1]

ინგლისში იმუნიტეტური ურთიერთობების წარმოშობა განეკუთვნება ანგლოსაქსურ პერიოდს – VIII-IX სს. XI საუკუნეში ჩნდება მეფის ქარტიები, რომლებიც მსხვილ ფეოდალებს გადასცემდა „სოკას უფლებას“ გარკვეულ ტერიტორიაზე და რომელსაც ბევრი საერთო ჰქონდა IX-X საუკუნეების. ფრანგულ იმუნიტეტთან.[2]

ინგლისში საიმუნიტეტო უფლებანი ყოველთვის არ იყო გაფორმებული დოკუმენტით – იგი ხშირად ემყარებოდა ტრადიციას, მფლობელობის სიძველეს, მიწის საკუთრების უფლებას. უფრო მეტად შემორჩენილია ცნობები და დოკუმენტები ან მისი ასლები საეკლესიო ფეოდალებისა, ისევე როგორც ეს იყო VIII-IX საუკუნეების კონტინენტზე (სადაც საიმუნიტეტო დოკუმენტები თითქმის მხოლოდ საეკლესიო ორგანიზაციებს ეკუთვნოდათ), მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ არ იყო საერო ფეოდალების იმუნიტეტი.[3]

XIII საუკუნის ინგლისში გვხვდება ისეთი იმუნიტეტიც, როცა ლორდს უფლება ჰქონდა გაესამართლებინა მძიმე სისხლის დამნაშავე, რომელიც შეესაბამება XI-XII საუკუნეების კონტინენტის იმუნიტეტს (თუმცა ორივეგან ასეთი შემთხვევები იშვიათი იყო).[4]

ინგლისელ ფეოდალთა ფორმალური დამოუკიდებლობის მწვერვალი იყო საკუთარი კანცელარიის ქონების უფლება და საკუთარი დადგენილებებისა და განკარგულებების გამოცემის უფლება. ეს უფლება, რომელიც სამფლობელოს გადააქცევდა პატარა ტერიტორიულ სამთავროდ, იშვიათი იყო. კიდევ უფრო იშვიათი იყო საკუთარი ზარაფხანის ქონების უფლება.[5]

---

[1] Ср. В., вып. III, гв. 105.
[2] იქვე, გვ. 121.
[3] იქვე, გვ. 107.
[4] იქვე, გვ. 110.
[5] იქვე, გვ. 111.

გადასახადებისაგან მთლიანი განთავისუფლება ეძლეოდა მხოლოდ საეკლესიო ორგანიზაციებს. საერო ფეოდალებს კი, თუნდაც ძალიან დიდებს, ჩვეულებრივ ათავისუფლებდნენ მხოლოდ ადგილობრივი გადასახადებისაგან. საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადებისა და ვალდებულებებისაგან, როგორც ჩანს, საერო ფეოდალები არ თავისუფლდებოდნენ. XIII საუკუნის ბოლოს ინგლისელ ფეოდალთა საგადასახადო იმუნიტეტი თანდათან კარგავს მნიშვნელობას, რადგან მთავარი გადასახადი ხდება გადასახადი მოძრავ ქონებაზე, რომელიც არ იყო მოხსენებული საიმუნიტეტო ქარტიაში.[1]

გარდა აქ ჩამოთვლილი საიმუნიტეტო უფლებებისა, არსებობდა აგრეთვე ცალკეული უფლებანი, რომელნიც ავსებდნენ არსებულ იმუნიტეტს, ზოგჯერ კი ნარმოადგენდა ფეოდალის ერთადერთ პროვილეგიას. ასეთები იყო: ლორდის უფლება დამნაშავის ქონების კონფისკაციისა, იმ შემთხვევაშიც, თუ იგი გასამართლებული იყო მეფის სასამართლოს მიერ; ასევე ჯარიმის აღების, ნადირობის, ბაზრისა და იარმარკის დაარსების უფლება და სხვა.[2]

მანორიალური კურია მნიშვნელოვანი იარაღი იყო უკვე დაქვემდებარებული მწარმოებლის ექსპლოატაციისათვის და იყო მათგან დამატებითი შემოსავლის მიღების ნყარო (ჯარიმების სახით). იგი აგრეთვე ხელს უწყობდა მწარმოებლის დაქვემდებარებას და დაყმევებასაც კი.[3]

ინგლისური იმუნიტეტის თავისებურებათაგან შეიძლება აღინიშნოს: ეკლესიის უფრო ფართო იმუნიტეტი. საერო ნვრილი ფეოდალები არ სარგებლობდნენ ფართო იმუნიტეტით (მხოლოდ ზოგიერთი მისი სახეობით სარგებლობდნენ). სრული იმუნიტეტი არც დიდ ფეოდალებს ქონდათ (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა).[4]

სამხედროვალდებული იყო ყველა ფეოდალი და თავისუფალი. ლაშქრის შეყრა მეფის ბრძანების გარეშე აკრძალული იყო.[5]

---

[1] Ср. В., III, 1951, გვ. 111.
[2] იქვე, გვ. 112.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 116.
[5] იქვე, გვ. 117.

ადმინისტრაციული იმუნიტეტი ზოგჯერ არ ათავისუფლებდა მანორს მეფის მოხელის შესვლისაგან.

ინგლისში მანორიალური სისტემის გვერდით, რომელიც ადგილობრივი მმართველობის როლსაც ასრულებდა, არსებობდა აგრეთვე ძველი, ფეოდალიზმამდელი, ადგილობრივი ორგანოები, რომლებიც ინგლისის ფეოდალურმა სახელმწიფომ თავისი ინტერესებისათვის გამოიყენა. ეს იყო ასეულებისა და საგრაფოების კრებები, რომლებიც საზღვარს უდებდნენ იმუნიტეტის უფლებების გაზრდას. საიმუნიტეტო ტერიტორიაც და ადგილობრივი ადმინისტრაციაც სახელმწიფო კონტროლს ემორჩილებოდა. ეს იყო შედეგი იმისა, რომ მეფის ხელისუფლება ინგლისში შედარებით ყოველთვის უფრო ძლიერი იყო, ვიდრე კონტინენტზე. სწორედ ეს არის ინგლისის ფეოდალიზმის ერთ-ერთი თავისებურება (მათ შორის იმუნიტეტისაც), მაშინ როცა IX-XII საუკუნეებში საფრანგეთსა და გერმანიაში იმუნიტეტის განვითარებასთან ერთად ეცემა ცენტრალური ხელისუფლება და ფეოდალების ხელში იყრის თითქმის მთელი სასამართლო-ადმინისტრაციული ძალაუფლება, ინგლისში იმუნიტეტი ვითარდებოდა ერთდროულად შედარებით ცენტრალიზებული სახელმწიფოს ფორმირებასთან ერთად.[1]

ინგლისისთვისაც დამახასიათებელი იყო ბრძოლა ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციისათვის, როგორც ეს სხვა ქვეყნებში იყო. ეს იყო ბრძოლა შინაკლასობრივი, რომელიც არ ატარებდა ანტაგონისტურ ხასიათს. როგორც მეფე, ისე მსხვილი ფეოდალები დაინტერესებულნი იყვნენ გლეხთა კლასის ექსპლოატაციის ორგანიზაციით. მაგრამ ეს არ უშლიდა მათ ხელს ებრძოლათ ერთმანეთთან პოლიტიკური უფლებებისა და შემოსავლისათვის.[2] XIII საუკუნის ბოლოსათვის სასწორი მეფის მხარეზე გადაიხარა. იწყება იმუნიტეტის შეზღუდვა და მეფის ცენტრალური და დაგილობრივი სამოხელეო აპარატის განმტკიცება-გაძლიერება. ამის მიზეზი, მრავალთაგან ერთი, ის იყო, რომ ინგლისში IX-XI საუკუნეებში ფეოდალიზმი ნელა ვითარდებოდა და ნორმანდთა დაპყრობების დროისათვის ჯერ კიდევ მრავლად იყვნენ თავისუფალი მნარმოებელნი, რომლებიც

---

[1] Ср. В., III, 1951, გვ. 122-124.

[2] იქვე, გვ. 120-121.

ჯერ კიდევ არ გადაქცეულიყვნენ ვილანებად. XIII საუკუნიდან კი როცა უკვე დაინყო სასაქონლო მეურნეობის განვითარება, ნაწილი ვილანებისა გათავისუფლდა გამოსყიდვის გზით და თავისუფალთა რიცხვი გამრავლდა. ნერილი რაინდობაც ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებით იყო დაინტერესებული. XIII საუკუნის კლასობრივი ბრძოლის გამწვავებამ მსხვილი ფეოდალებიც აიძულა მხარი დაეჭირათ ცენტრალური ხელისუფლებისათვის.[1] ყველაფერმა ამან ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისდა კვალად თანდათან შეზღუდა იმუნიტეტი.

ბიზანტიაში X-XV სს-ში გავრცელებული იყო ექსკუსია (საგადასახადო შეღავათები), რომელიც დაახლოებით დასავლეთევროპულ იმუნიტეტს ეთანაბრება. ექსკუსია პირველად წყაროებში ჩანს X საუკუნიდან, თუმცა ცნობილი ბიზანტისტის უსპენსკის აზრით, იგი VI-VII საუკუნეებიდან უნდა ყოფილიყო გავრცელებული. ექსკუსიის მთავარი შინაარსი იყო სახელმწიფო გადასახადებისაგან განთავისუფლება და სახელმწიფო მოხელეთა ექსკუსატის სამფლობელოში შესვლის აკრძალვა. XIII-XV საუკუნეებში ექსკუსიის ფარგლები გაფართოვდა და სასამართლოს წარმოების უფლებაც შეიძინა. ამასთანავე, სახელმწიფო ინარჩუნებდა მაღალი იურისდიქციისა და კონტროლის უფლებას.[2]

რუსეთში იმუნიტეტი პირველად ფიქსირებულია XII ს. სიგელებში (გრამოტებში) (საგადასახადო იმუნიტეტი და დაბალი სასამართლო იურისდიქცია). XIV-XVII სს-ში ხდება იმუნიტეტის თანდათანი შეზღუდვა, თუმცა იგი შეზღუდული სახით თვით XIX საუკუნემდე არსებობდა. გაუქმდა 1861 ნ. (გადმონაშთები არსებობდნენ თვით XX საუკუნემდე).[3]

ქართულ ისტორიოგრაფიაში იმუნიტეტის შესახებ პირველი სტატია გამოაქვეყნა ალ. ხახანაშვილმა – „იმუნიტეტი საქართველოში".[4] ა. ხახანაშვილის აზრით, „იმუნიტეტი იყო პრივილეგია სამართლის

---

[1] Ср. В., III, 1951, გვ. 124-125.

[2] А. Каждан, Экскусия, СИЭ, т. 16, с. 438-439.

[3] Иммунитет, СИЭ, т. 5, с. 806.

[4] ა. ხახანაშვილი, იმუნიტეტი საქართველოში, გაზ. „ცნობის ფურცელი", 1901 ნ. (მეორედ გამოქვეყნდა ნიგნში – „ბატონყმობა საქართველოში", 1910, ქუთაისი, გვ. 161-180).

წარმოებისა და ხარჯის განევაში" (გვ. 163). სავსებით სწორად შეუნიშნავს ა. ხახანაშვილს, რომ, როგორც ევროპაში, ისე რუსეთში „სამონასტრო მოსახლკარეთა იმუნიტეტი უფრო თვალსაჩინო და ფაქტებით შეიარაღებულია, აგრეთვე ჩვენშიც საეკლესიო პირთა იმუნიტეტი აღნუსხულია მრავალი მაგალითებით"[1] (ა. ხახანაშვილი არ გამორიცხავს საერო იმუნიტეტსაც). სწორად შეუნიშნავს ა. ხახანაშვილს, რომ დასავლეთ ევროპასა და რუსეთში თანდათან შეიზღუდა იმუნიტეტი, საქართველოში კი იგი უცვლელი დარჩა თვით XVIII საუკუნის ბოლომდეო. ა. ხახანაშვილს შეუმჩნეველი არ რჩება ბაჟის იმუნიტეტიც.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ქართული პატრონყმობა გასაოცრად მიემსგავსება და გვაგონებს დასავლეთ ევროპის საშუალო საუკუნეების ფეოდალურს წესწყობილებას, ე. წ. ფეოდალიზმს".[2] ივ. ჯავახიშვილი მოკლედ მიმოიხილავს იმ ტერმინებსა და ინსტიტუტებს, რომლებსაც ბევრი საერთო აქვთ დასავლეთ ევროპის ფეოდალურ ტერმინებთან და ინსტიტუტებთან.[3] შემდეგ კი წერს: „მაგრამ მრავალ ზემოაღნიშნულ ცხად მსგავსებას გარდა, რომელიც ქართულ პატრონყმობასა და დასავლეთ ევროპის ფეოდალურ წესწყობილებას ემჩნევა, მათ შორის ერთი არსებითი განსხვავებაც იყო. დასავლეთ ევროპაში ფრანგი და გერმანელი პატრონი „ფეოდალი", „სენიორი" თავის საპატრონო ქვეყნის უზენაესი გამგე იყო, მის ხელთ იყო სახელმწიფო სამართლის უძვირფასესი განძი: მართლმსაჯულებისა და გადასახადების აკრეფის უფლება. მის ხელთ იყო როგორც სისხლისა, ისე სამოქალაქო სამართალი და სასამართლო. მისი განაჩენი უზენაესი და უქცეველი იყო (A. Esmein, ფრანგული სამართლის ისტორია, 181-182). მაშასადამე, დასავლეთ ევროპის სენიორებს და მათ საპატრონოს ე. წ. „იმუნიტეტი" ჰქონდათ".[4]

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ XIX საუკუნის დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია აჭარბებდა იმუნიტეტის ფარგლების შეფასებაში. მისი გავლენის შედეგია, რომ ივ. ჯავახიშვილი

---

[1] ა. ხახანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 164.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ნ. II, ნ. I, თბ., 1928, გვ. 95.

[3] იქვე, გვ. 96-102.

[4] იქვე, გვ. 99.

დასავლეთევროპულ იმუნიტეტს მიანერს უზენაეს სასამართლო უფლებას. სინამდვილეში კი სასამართლო და საგადასახადო იმუნიტეტი არ ყოფილა ყოვლის მომცველი. ჩვეულებრივ, მხოლოდ დაბალი იურისდიქცია (სამოქალაქო და ნვრილი სისხლის სამართლის საქმეები) იყო იმუნისტის კომპეტენცია.

„საქართველოშიც არსებობდა „შეუვალობა", მაგრამ იგი არას დროს სახელმწიფო ცხოვრების საზოგადო მოვლენად არ ყოფილა, არამედ მხოლოდ გამონაკლისს შეადგენდა. ამასთანავე იგი თითქმის მხოლოდ სახელმწიფო გადასახადებს ეხებოდა და სასამართლო შეუვალობა საქართველოში არასდროს არ ყოფილა. გადასახადების შეუვალობაც უმეტესად საეკლესიო და სამონასტრო ყმებს ჰქონდათ მინიჭებული. მაინცდამაინც ჩვეულებრივ საპატრონო ყმებსაც სახელმწიფო თავის გადასახადებს თავისვე მოხელეთა ხელით ართმევდა ხოლმე და მათ პატრონებს ამასთან საქმე არ ჰქონდათ. არც ერთი შემთხვევა არა გვაქვს, რომ სასამართლოს შეუვალობა რომელსამე პატრონსა და მის ყმებს მინიჭებული ჰქონდეს".[1]

„... მხოლოდ საქართველოს ეკლესიას ერთობლივ ჰქონდა სასამართლო შეუვალობის უფლება და მისი ყმები მხოლოდ საეკლესიო სასამართლოს ემორჩილებოდნენ, მაგრამ ეს უპირატესობაც მარტო საპატრონყმო უფლებისა და ნესწყობილების ნიადაგზე არ არის აღმოცენებული".[2]

ახლა, რა თქმა უნდა, ძნელი არ არის შევნიშნოთ, რომ ივ. ჯავახიშვილის აქ წარმოდგენილი დებულებები არც ევროპისა და არც საქართველოს მიმართ ზუსტი არაა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, არც ევროპაში ყოფილა იმუნიტეტი სრული და აბსოლუტური (ზოგიერთ ცალკეულ გამონაკლისს გარდა, ისიც იმ შემთხვევაში, როცა მამული ტერიტორიულ სამთავროდ გადაიქცა, მაგალითად გერმანიაში ჩვენი გვაიანი სამთავროების მსგავსად). საქართველოშიც ადრიდანვე არსებობდა როგორც საგადასახადო, ისე სასამართლო იმუნიტეტი.

ს. ჯანაშიას აზრით, იმუნიტეტი ერთიანობის ხანის საქართველოში „ფართოდ იყო გავრცელებული".[3]

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 100.
[2] იქვე, გვ. 101.
[3] ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 420.

ბ. ლომინაძემ ნაშრომში „შიომღვიმე" განიხილა შიომღვიმის მონასტრის იმუნიტეტის საკითხიც. მან საკუთარი სწორად აღნიშნა, რომ მონასტერი სარგებლობდა საგადასახადო და სასამართლო შეუვალობით; სწორად მიუთითა, რომ შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს სასამართლოც წარმოადგენდა".[1] ბ. ლომინაძის აზრით, შიომღვიმის სასამართლო შეუვალობა გამონაკლისი იყო და არც საგადასახადო იმუნიტეტი ჰქონდა ყველა მონასტერს.[2] ეს მოსაზრება სწორი არ არის. ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს ეკლესიას ერთობლივ ჰქონდა სასამართლო იმუნიტეტი XII საუკუნიდან. რაც შეეხება საგადასახადო იმუნიტეტს, არც ის იყო მხოლოდ შიომღვიმისათვის დამახასიათებელი.

რ. მეტრეველის აზრით, დ. აღმაშენებელს მეფობის პირველ პერიოდში ეკლესიის უფლებები შეუზღუდავს, „შემდგომში კი ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ გაძლიერებასთან ერთად, დავით აღმაშენებელს, შეუვალობა მიუნიჭებია ეკლესიისათვის" (დიდნი საქმენი, თბ., 1978, გვ. 112).

საინტერესო მოსაზრებანი აქვთ გამოთქმული საგადასახადო და სასამართლო შეუვალობის შესახებ მ. ბერძნიშვილსა[3] და გ. აკოფაშვილს. გ. აკოფაშვილის აზრით, იმუნიტეტი ჩვენში ადრეფეოდალურ ხანაში წარმოიშვა და დიდ განვითარებას მიაღწია. XI-XII საუკუნეებში კი ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების კვალდაკვალ იმუნიტეტი მნიშვნელოვნად იზღუდება.[4]

ილ. ანთელავა თავის წიგნში – „XI-XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები" – ეხება იმუნიტეტის საკითხსაც. მისი აზრით, „ეკლესიებისათვის ბოძებული შეუვალობა ძირითადად საგადასახადო პრივილეგიას წარმოადგენდა. დადასტურებულია შიომღვიმის ძალზე შეზღუდული სასამართლო იურისდიქციაც" (გვ. 169). ჩვენი აზრით, ეს შეხედულება სწორი არაა. შიომღვიმეს „ძალზე შეზღუდული სასამართლო იურისდიქცია"

---

[1] ბ. ლომინაძე, შიომღვიმე, თბ., 1953, გვ. 38.

[2] იქვე, გვ. 39.

[3] მ. ბერძნიშვილი, საქართველო XI-XII საუკუნეებში, თბ, 1970, გვ. 68, 87-90.

[4] გ. აკოფაშვილი, ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან XI-XII სს. საქართველოში, თბ., 1984, გვ. 53-63.

კი არა, ძალზე ფართო სასამართლო შეუვალობა ჰქონდა, მათ შორის „სასჯულო“ საქმეთა შეუვალობაც. ჩემი აზრით, არც შემდეგი დებულებაა სწორი: „ერთიანობის ხანის ქართული საეკლესიო იმუნიტეტი დაახლოებით, მეტ-ნაკლებად იგივე სიღრმისაა, რაც ადრეფეოდალური დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა იმუნიტეტი... ზოგ შემთხვევაში კი ფრანგული იმუნიტეტი უფრო ფართოცაა“ (გვ. 179). არც ისაა სწორი, რომ საერო იმუნიტეტის შესახებ ცნობები მხოლოდ XIV ს-დან გაგვაჩნდეს (გვ. 174).

ჯ. სტეფნაძის აზრით, „XII საუკუნის და XIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს იმუნიტეტი შეზღუდულია და მხოლოდ ეკლესია-მონასტერებს აქვთ“. მისი შეხედულებით, „სწორი უნდა იყოს აზრი (მითითებულია ილ. ანთელავას ზემოდასახელებული ნაშრომი – გ. ჯ.) იმის შესახებ, რომ თუ კი ყველაზე პრივილიგირებულ შიომღვიმისა და გელათის მონასტრებს ასეთი შეზღუდული შეუვალობა გააჩნიათ, სხვა ეკლესიებს უფრო ვიწრო უფლებები ექნებოდათ“. ჩვენ ამ შეხედულებასაც ვერ ვიზიარებთ.[1]

გვიანსაშუალო საუკუნეების იმუნიტეტის შესახებ საინტერესო მოსაზრებანი აქვთ გამოთქმული ნ. ბერძენიშვილს, ვ. გაბაშვილს, ო. სოსელიას, მ. ლეკვეიშვილს და სხვ. მაგრამ ამ საკითხს ამჟამად არ ვეხებით.

* * *

პირველი ცნობა „თავისუფლების“ ანუ იმუნიტეტის არსებობის შესახებ დაცულია შიოსა და ევაგრეს ცხოვრებაში და მიემართება შიომღვიმის მონასტერს VI საუკუნეში. იქ მოთხრობილია, რომ ევაგრეს წინამძღვრობაში (VI ს. II ნახ.) მონასტერში მისულა მეფე ფარსმანი მთავრებითურთ. მეფემ „მიანიჭა უკუე მონასტერსა მას ოთხნი რჩეულნი სამეუფეოთა დაბათაგან და დაწერა ჴელითა თჳსითა თავისუფლებაᲘ მათი და მისცა ევაგრის ოცდაათი ლიტრა ოქრო ეკლესიათა მათთჳს სახმარად“...[2]

---

[1] ჯ. სტეფნაძე, საქართველო XII ს. და XIII ს-ის პირველ მეოთხედში, თბ., 1985, გვ. 27.

[2] ასურელ მოღვანეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, თბ., 1955, გვ. 111.

ეს არის პირველი ცნობა იმუნიტეტის არსებობის შესახებ საქართველოში. მართალია, იგი არაპირდაპირი ცნობაა (დოკუმენტი, რომელიც თავისი ხელით დაწერა მეფემ, ჩვენამდე არ მოღნეულა), მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი დიდი მნიშვნელობის ცნობაა.

შემდეგი ცნობა ეხება იმავე მონასტერს VII ს-ის დასაწყისისათვის. იმ დროს მონასტერში მისულა ქართლის კათალიკოსი ბართლომე და ერისმთავარი სტეფანოზი. ეს უკანასკნელი უკმაყოფილო დარჩენილა მიღებით, რის გამოც „მისტაცნა ორნი აგარაკნი და თქუა, არა მივსცე შეურაცხის-მყოფელთა მამული ჩემი". ამის გამო სტეფანოზი დასაჯა შიომ – დააბრმავა და „განცოფა". ბოლოს იძულებული გახდა სტეფანოზი უკან დაებრუნებინა აგარაკ-დაბანი, რისთვისაც მოიპოვა კურნება. „მოუწოდა უკუე სტეფანოზ მწიგნობარსა თჳსსა და უბრძანა მას, რათა დაწერნეს ორნი დაბანი დაბათაგან სამეუფოთა ურჩეულესნი. მერმე აღიღო ჴელითა თჳსითა ქარტაჲ იგი და დადვა საფლავსა ზედა ნმიდისა შიოჲსსა"... შემდეგ თვალები აეხილა სტეფანოზს... „და დაამტკიცა უკუე ჴელით ნერილი იგი ჴელითა თჳსითა, და მასვე ჟამსა დაწერა პროარტაკი და დაამტკიცა ჴელითა თჳსითა და ნარსცა ყოველსა შინა ქუეყანასა ქართლისასა, რაჲთა ყოველნი ეკლესიანი განათავისუფლდნენ მძლავრებისაგან და ხარკის მიჴდისა".[1] ეს ცნობაც უაღრესად საინტერესოა. აქ პირდაპირაა დასახელებული რისგან განთავისუფლდა მონასტერი. მონასტერი განთავისუფლდა „მძლავრებისაგან" (მოხელეთა?) და „ხარკის მიხდისაგან". და რაც უფრო მნიშვნელოვანია, იქ ნათქვამია, რომ ქართლის „ყოველნი ეკლესიანი განათავისუფლდნენ" მძლავრებისა და ხარკისაგან. ე. ი. ამ ცნობის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართლის მთელ ეკლესიას მიუღია იმუნიტეტი (საგადასახადო, ადმინისტრაციული და ალბათ სასამართლოც).

რადგან ცნობა არაპირდაპირია და გვიან დანერილ თხზულებაშია შემონახული, ამიტომ ძნელია გადაჭრით ითქვას, თუ რამდენად ზუსტადაა მოსული ჩვენამდე დასახელებული ცნობა.

მაგრამ თუ აქ გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ მეფე გიორგი III-მ 1178 წელს მთელს საქართველოს ეკლესიას მისცა „თავისუფლება" ანუ იმუნიტეტი,[2] მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასეთი რამ საქა-

---

[1] ლეონიდ სასანელიძეს მიმაჩნია შეფასება. იქვე, გვ. 204-205.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ი. დოლიძის რედ., 1965. გვ. 24.

რთველოში ადრეც შეიძლებოდა ყოფილიყო და შესაძლოა სნორედ სტეფანოზ ერისმთავრის დროიდანაც კი.

ცნობა იმუნიტეტის („თავისუფლების") შესახებ შემონახულია აგრეთვე სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში, რომელიც X საუკუნეშია დაწერილი, მაგრამ მოთხრობილია IX საუკუნის ამბავი. თხზულების მიხედვით, დიდმა მთავარმა გიორგი ჩორჩანელმა, რომელიც უშვილო ქვრივი იყო, თავისი სამფლობელო სიკვდილის წინ ანდერძით გადასცა თავის დისშვილებს: „ყოველივე, რაჲცა აქუნდა, და მამული და ყოველნი ეკლესიანი და მონაგები მისი დასა მისსა შეჰვედრა და შვილთა მისთა საკუთრებით განუთკსა". გიორგის ანდერძით, ზარზმის მონასტერსაც „მდიდრად მიეცა ყოველივე უხუებით: აგარაკნი თავისუფლებით და საქონელი მრავალფერი და სიმრავლე საჴედართა და მრონეულთა"[1] აქედან ჩანს, რომ ჩორჩანელის სამფლობელო ანუ მამული მისი საკუთრებაა და გასხვისების უფლებით სარგებლობს. ამასთანავე, იგივე მამული შეუვალობით სარგებლობს, რომ ჩორჩანელს შეუძლია აგარაკები ეკლესიას „თავისუფლობით" გადასცეს.

უფრო ადრე, როცა ზარზმის მონასტრის მშენებლობა დამთავრდა „ღმრთის-მსახურმან გიორგი მისცნა ყოველნი საჴმარნი, ჯორები და კარაულები, და რაოდენი რაჲ უჴმდა სიმრავლესა ძმათასა. ხოლო წმიდამან მან განაჩინნა წესნი და კანონნი საეკლესიონი... ვინა (ი)ცა სოფლებნიცა მისცნა კაცმან მან ღმრთისამან გიორგი".[2] აქედან ჩანს, რომ ჩორჩანელს არამარტო აგარაკები, არამედ სოფლებიც უბოძებია მონასტრისათვის. და მიუხედავად იმისა, რომ ამ ციტატაში არაა ნახსენები „თავისუფლება", ვფიქრობ, ისიც „თავისუფლებით" იქნებოდა გადაცემული მონასტრისათვის, რადგან სნორედ იმ სოფლის გლეხებს უნდა დაემუშავებინა „თავისუფლებით" გადაცემული აგარაკები (საბატონო მეურნეობის სახნავი მიწები), მომსახურეობდნენ მონასტერს და საერთოდ ყველაფერი გაეკეთებინათ და ერჩინათ ბერები. გიორგის მიერ დადებული „წესნი და კანონნი", ცხადია, მონასტრის ტიპიკონია, რომელშიც მონასტრის შინაგანაწესის გარდა, მონასტრის ქონების, მათ შორის სოფლებისა და გლეხების, მოვლისა და ექსპლოატაციის წესიც იქნებოდა განსაზღვრული. ყველაფერი ეს

---

[1] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1964, გვ. 339.

[2] იქვე, გვ. 335.

კი გულისხმობს საგადასახადო და სასამართლო შეუვალობის არსებობას, როგორც ფეოდალური რენტის მთავარ წყაროს.

თხზულებაში არ ჩანს უზენაესი ხელისუფალი, რომლისგანაც შეიძლებოდა განთავისუფლებული ყოფილიყო ჩორჩანელის მამული. შეიძლება არც ჰქონდა ჩორჩანელს „თავისუფლება" დოკუმენტით გაფორმებული. თუ დასავლეთ ევროპის იმუნიტეტის ანალოგიას მოვიშველიებთ, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩორჩანელის მამულის „თავისუფლება" ემყარებოდა მიწის საკუთრების უფლებას. წარმოადგენდა მიწის საკუთრების ატრიბუტს და განმტკიცებული იყო ტრადიციით. ამდენად, ჩამი აზრით, ამ ცნობაში ჩვენ გვაქვს დადასტურება როგორც საეკლესიო (ზარზმის მონასტრისა), ისე საერო ფეოდალის (გ. ჩორჩანელის) იმუნიტეტისა.

უფრო მდიდარია კონკრეტული ცნობებით იმუნიტეტის შესახებ IX საუკუნის დოკუმენტი „ნასყიდობის დაწერილი ფავნელისა შიომღვიმისადმი". შიომღვიმის მონასტერმა ფავნელთაგან იყიდა ოთხი სოფელი და ორი გლეხი მეხუთე სოფლიდან. საბუთის მინანერში (გამოცემაში № 2 საბუთი) მიქელ მემღვიმე წერს: „გარდავე ლიხთიმერით და მოვიღე თავისუფლობისა ბრძანება კონსტანტინესა და ბაგრატისი, კახთა მეფეთა ფალლესი და კუირიკესი.

მითავისუფლებიან მეფეთა და დედოფალთაგან, და დიოფალთა და დიდებულთაგან, აზნაურთა და მათთა ცოლთაგან; მითავისუფლებიან ყოველთავე ჴელოსანთაგან: მოლარეთაგან, მეულუფეთა, მეჯინიბეთა, მესაბანჯრეთა, მეგოდრეთა, მეჯამეთა, ყოველთავე დარბაზით გამოსულთა ჴელოსანთაგან".[1]

დასავლეთ ევროპის ქვეყნების იმუნიტეტში ერთ-ერთი მთავარი მომენტია ფეოდალის სამფლობელოში მეფის მოხელეთა შესვლის აკრძალვა. ეს არის იგივე ადმინისტრაციული იმუნიტეტი. სწორედ ასეთი იმუნიტეტის დადასტურება გვაქვს IX საუკუნის ამ დოკუმენტში. გარდა ადმინისტრაციული იმუნიტეტისა, ზემომოტანილი ციტატიდან ისიც ჩანს, რომ მონასტრის სოფლები განთავისუფლებულია სახელმწიფო გადასახადებისაგან. აქ არაფერია ნათქვამი სასამართლო იმუნიტეტის შესახებ. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მონასტერი განთავისუფლებული იყო „ყოველივე დარბაზით

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 4.

გამოსულთა ჭელოსანთაგან" და, მაშასადამე, სასამართლოს მოხელეების შესვლისაგანაც, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მონასტრის სოფლებში მცხოვრებ საკუთარ გლეხთა სამართალიც მონასტრის მოხელეთა ხელში იქნებოდა (მით უმეტეს, რომ ქართლში ცენტრალური ხელისუფლება ფაქტობრივად არც კი არსებობდა).

აქ შეიძლება ერთი გვიანი ანალოგია გავიხსენოთ. გვიანსაშუალო საუკუნეების ქართლში „სამკვიდროდ და სამამულედ" ბოძებული მამულების წყალობის წიგნებში არსად არაა პირდაპირ მითითებული, რომ ამ მამულზე მოსახლე გლეხების სამართალი ფეოდალის უფლებას შეადგენდა (თუმცა სხვა მასალებიდან ცნობილი იყო, რომ თავადს მოსამართლის უფლებებიც ჰქონდა). სამაგიეროდ, საამისო პირდაპირი მითითებანი მოგვეპოვება ორენოვანი ქართულ-სპარსული საბუთების სპარსულ ნაწილში, რომელიც არსებითად საბუთის ქართული ნაწილის განმარტებას წარმოადგენს. ავიღოთ, მაგალითად, 1651 წლის მამულის წყალობის წიგნი, მიცემული როსტომ მეფის მიერ პაატა ჯავახიშვილისადმი. ჯავახიშვილმა წყალობად მიიღო თავისივე სამკვიდრო წილი ნოდორეთში „სამკვიდროდ და საბოლოოდ".[1] დოკუმენტში არაფერი არაა ნათქვამი იმუნიტეტის არცერთ სახეობაზე. ამ დოკუმენტის მიხედვით სრული უფლება აქვს მკვლევარს განაცხადოს, რომ ჯავახიშვილს არავითარი იმუნიტეტი არა აქვსო. იმავე საბუთის სპარსულ ნაწილში კი ნათქვამია: „იმ ადგილის (გლეხებმა) ხსენებული პირი თავის სრულუფლებიან თიულდარად უნდა იცნონ, (ყოველ) წელიწადს (თავისი მალუჯათი და) სხვა გამოსაღები და სახელმწიფო გადასახადი იმ ქვეყნის დასტურლამალის თანახმად (მას გადაუხადონ) და (სამართლის) საქმეები, სისხლის (სამართლის) საქმეთა გარდა, მას (გადასცენ გადასანყვეტად და ყოველ) წელიწადს ახალ ბრძანებას ნუ მოითხოვენ".[2] ასეთი საბუთები მრავლადაა. ე. ი. აქ კონკრეტულად მითითებულია საგადასახადო და სასამართლო იმუნიტეტზე, ქართულში კი არაფერი ამის მსგავსი ნათქვამი არაა. აქედან ის დაკვნა გამოდის, რომ ქართული საბუთების ფორმულა „მკვიდრად და სამამულედ" ან კიდევ „შეუვალად" ბოძებული თავისთავად გულისხმობდა სასამართლო

---

[1] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ვ. ფუთურიძის თარგმანი, თბ., 1955, გვ. 221.

[2] იქვე, გვ. 222.

იმუნიტეტსაც. არაა გამორიცხული, რომ ასეთივე ვითარება იყო ადრეფეოდალური ხანის და ერთიანობის ხანის მიმართაც, როცა საბუთში ზოგადადაა ნათქვამი „თავისუფლებისა" და „შეუვალობის" შესახებ (მით უმეტეს, რომ სხვა მასალით ისიც ჩანს, რომ სასამართლო შეუვალობაც ჰქონდათ ერთიანობის ხანის ფეოდალებს).

შედარებით მრავალფეროვანი მასალა მოგვეპოვება შიომღვიმის მონასტრის შესახებ, ამიტომ ამ მონასტრის იმუნიტეტზე უფრო ვრცლად შევჩერდებით.

შემდეგი დოკუმენტი, რომელიც მონასტრის იმუნიტეტს ეხება, არის 1057 წლის მეფე ბაგრატ IV-ის წყალობის წიგნი შიომღვიმისადმი. მეფემ მონასტერს უბოძა მანგლისის ჭევს სოფელი ბორცვისჯვარი და გაუთავისუფლა „ყოვლისა შესავლისა და გამოსავლისაგან: საჴელმწიფოისა, საერისთავოისა, სააზნაუროისა, საციხისთავოისა, საჴევისუფლოისა, საბანჯრისა, საჴიდისა, საკოშრისა და ყოვლისა ღმრთისა დაბადებულისა შესავლისა და გამოსავლისაგან. და არა რაი ზედა-აც, თუინიერ სამსახურებელისა მის წმიდისა ლავრისა მღუიმისა, რამეთუ თავისუფლობით შემიწირავს ყოველსავე მეუნებლისა და დამაკლებლისაგან".[1]

აქედან სრულიად ნათელია, რომ მონასტერმა ამ სოფლისათვის მიიღო თავისუფლება სახელმწიფო და ყოველგვარი სამოხელეო გადასახადისაგან, აგრეთვე ერისთავისა და სხვა მოხელეთა შესვლისაგან.

საბუთს ამოწმებს „გიორგი ქართლისა კათალიკოზი", რომელიც ნერს: „ან ვინცა ვინ... იკადროს ანუ შლად, ანუ ცვალებად ანუ შესავალად და საჴევისუფლოდ გაჴადოს, ანუ ბეგარი და გამოსავალი რაი დასდევს, და ვითა დაუწერია და გაუთავისუფლებია, მას-ზედა მკუიდრად და შეუვალად არა იპყრან ჰრისხვამცა მამაი, ძე და სული ნმიდაი".[2] კათალიკოსი თავის მინაწერში ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მონასტერი განთავისუფლებულია გადასახადებისაგან („ბეგარი და გამოსავალი") და მოხელეებისაგან, კერძოდ ასახელებს „ჴევისუფალს".

და ბოლოს, სიგელს ამოწმებს და „ამტკიცებს" იოანე ძე ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავისა.[3] იოანეს დამტკიცება აქ იმიტომ იყო

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 5-6.
[2] იქვე, გვ. 7.
[3] იქვე.

საჭირო, რომ ბორცვის-ჯვარი თრიალეთის საერისთავოში შედიოდა. თრიალეთის ერისთავი კი იოანე იყო. ახლა, რადგან სოფელი გამოდიოდა ერისთავისა და მის მოხელეთა უფლებიდან, საჭირო იყო მისი თანხმობა და დამტკიცება.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ერისთავს ეკითხებოდა არა მარტო სახელმწიფო და საერისთავო გადასახადის აღება, არამედ საერისთავოს მცხოვრებთა სასამართლოც. ერისთავის ხელქვეითი მოხელე, ჭევისუფალი, სასამართლო უწყების ადგილობრივი მოხელე უნდა იყოს. ამდენად, ერისთავისა და მისი მოხელეების, განსაკუთრებით ხევისუფლის შესვლის აკრძალვა სასამართლო შეუვალობასაც (დაბალი იურისდიქციით) უნდა გულისხმობდეს.

1072 წელს ტახტზე ახლად ასულ გიორგი მეფეს ეახლნენ მემღვიმენი, თან მიიტანეს ძველნი სიგელნი მეფეთანი და „დანერილნი მთავართა ყოველთა... საქონელთათვის მათთა" და ითხოვეს შეუვალობის განახლება. მეფემ შეინყნარა მემღვიმეთა თხოვნა და გასცა შეუვალობის განახლების წიგნი: „ვითა თუით პირველთა სიგელთა სწერიან. და ვითა შემწირველთა ჭელით-წერილსა შინა სწერიან შეუვალობისა და თავისუფლობისა მათისათუის.

ან ჩუენცა მასვე ზედა გაგუითავისუფლებიან ესე ყოველნი საქონელნი მღუიმისანი ყოვლისა შესავლისა და გამოსავლისაგან: საჭელმწიფოისა, საერისთვოისა, საციხისთვოისა, საჭევისუფლოისა, შურტჯათა და ჩინებულთაგან და ყოველთა საქმის მოქმედთაგან".[1]

როგორც ამ სიგელიდან ჩანს, წინარე ხანებში მონასტრის იმუნიტეტი დაურღვევიათ და ზოგიერთი სახის ვალდებულება დაუდვიათ მღვიმის ყმა-მამულისათვის. გიორგი II იმისაგანაც ათავისუფლებს მონასტერს: „და ვითა სამსახურებელი ციხეთაჲ არაი ზედა სდებია და, ჟამთაშლილობისათა შინა ოდესმე, მძლავრთა და უღმრთოთა კაცთა მათ ზედა რაიცა ბეგარი დაუც და რაიცა დაჭირებითი სამსახური უქნევია, ანუ სამუშაოი, ანუ სუხრაი, ანუ ბაჟი აღებულა, ვითა არაი ზედა სდებია, ესე ყოველი აგუიხდია, გარდაგუიგდია და ყოვლისაგანვე გაგუითავისუფლებიან, და ვითა პირველთა სიგელთა შინა უწერია გაგებით, მას წესსა ზედა იყუნენ".[2]

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 10.

[2] იქვე, გვ. 11.

ეს საიმუნიტეტო სიგელი ყურადღებას იქცევს იმ მხრივაც, რომ ამ სიგელით შიოს მონასტერი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟისაგანაც. თანაც, იქ აღნიშნულია, რომ ბაჟისაგან მონასტერი ადრეც ყოფილა თავისუფალი. ახლა მეფემ ბაჟის იმუნიტეტიც აღუდგინა მონასტერს (ევროპულ იმუნიტეტში ბაჟის იმუნიტეტიც გვხვდება).

მღვიმის მონასტერი დაარსებიდან დავით აღმაშენებლამდე ქართლის კათალიკოზს ექვემდებარებოდა. დავითმა კი იგი სამეფო მონასტრად აქცია და მთელი რიგი მშენებლობანი ჩაატარა. ბოლოს განნესება – ანდერძიც დაუდო, რომელშიც დადგენილია მონასტრის შინაგანანესი, ყმა-მამულის მოვლის რიგი და სხვ. იგი მეტად ძვირფას ცნობებს იძლევა მონასტრის იმუნიტეტის შესახებ. მასში გახსნილია ის ფორმულები, რომლებიც წინარე საიმუნიტეტო სიგელებში მოკლედ და მშრალად იყო მოცემული.

განნესება-ანდერძში მოთხრობილია დავითის ბრძანებით ეკლესიის აშენებაზე, მის მიერ გაკეთებულ შენირულობებზე და სხვ. შემდეგ დავითი აღნიშნავს: „ვითარად მამათა და პაპათა ჩემთაგან სიგელნი ჰქონან სოფელთათვის... რაჲცა სიბოროტითა ჟამთათა შეცვალებულ იყო, მე კულა გამიახლებიან იგი სიგელნი ანუ მეფეთა შენირულთა ანუ მთავართა ვიეთმე და თჳთ ძუელი და ძუელის-ძუელი ნასყიდი მონასტრისაგან, ყოველი უბეგროდ, უბაჟოდ და უწყენელად კულა მომიხსენიებია ნმიდისა მამისა შიოსთჳს.

ქალაქს ტფილისს, რომელი სპარსთა ქონებასა ჰქონებია, და რომელი აწ უყიდია და რომელი მე მომიჴსენებია იგი, და ანუ წალმართ მოიგონ იგიცა, ყველა უბაჟოდ და უსუხრაოდ ყოვლისა სასეფოჲსა გამოსავლისაგან ჰქონდეს"[1]

მონასტრის სასამართლო იმუნიტეტთან დაკავშირებით ბ. ლომინაძე წერს: „ეს პრივილეგია მონასტერს პირველად დავით აღმაშენებელმა მიანიჭა და იგი გაჰყვა მას XIV საუკუნემდე".[2] ამ მოსაზრების საფუძველი შემდეგია – დავითი წერს: „ვითა წინამძღუარსა შჯულისა ჩუენისსასა, მეუფესა იოანეს ქართლისა კათალიკოზსა უბრძანებია და მოუნიჭებია ეკლესიისა ჩემისადა, რომელ საქონებელნი სოფელნი და აგარანი ჰქონიან მღვმესა, საშჯულოჲ სამრეგლოჲ არს ყოველგან,

[1] ქართული სამართლის ძეგლები, თბ., ტ. II, გვ. 14.
[2] ბ. ლომინაძე, შიომღვიმე, 1953, გვ. 39.

თჳთ მემლჳმისა დიაკონმან მოისამართლოს და ეკლესიისა ზეთად მოახმაროს".[1]

აქ მოხსენიებული „საშჯულო სამრებლო", სჯულის საქმე, ჩემი აზრით, არის არა ჩვეულებრივი სამოქალაქო ან სისხლის სამართლის საქმე, არამედ სჯულის, ეკლესიის, საკანონო საქმე, რომელიც კათალიკოზის კომპეტენცია იყო, და არა მეფისა. ამიტომ დავითმა კი არ მიანიჭა ეს უფლება მონასტერს, არამედ ქართლის კათალიკოსმა, როგორც თვით დავითი წერს. დავითის დამატებული აქ ისაა, რომ ადგენს: „საშჯულოჲ სამრებლოჲ... დიაკონმან მოისამართლოს" და შემოსავლით მონასტრისათვის საჭირო ზეთი შეიძინოსო.

რაც შეეხება სამფლობელოს სამოქალაქო საქმეთა გარჩევის უფლებას, ის, როგორც უკვე აღინიშნა, ადრიდანვე უნდა ჰქონოდა მონასტერს. ანდერძის ერთი ადგილიც იმას ადასტურებს, რომ ეს უფლება ჰქონდა მონასტერს და ის დავითის შემოღებულად არ იგულისხმება.

ანდერძში ნათქვამია: „სხუაჲ: ნაბჭობი, და ქულბაქთაჲ, და საზეთეთაჲ, და წისქჳლთაჲ ყოველი შესამოსლად განეყოფოდის".[2] ნაბჭობი ნიშნავს ნასამართლევს, სასამართლოს შემოსავალს. როგორც აქ მოხსენიებული ქულბაქი, წისქვილი და საზეთე არ დაუარსებია დავითს, არამედ არსებობდა მანამდე, ასევე არსებობდა მონასტრის სასამართლო. ახალი და დავითის განწესებული აქ ისაა, რომ ქულბაქის, სასამართლოს, წისქვილის შემოსავალი „ყოველი შესამოსელად განეყოფოდის".

მღვიმის მონასტერს 3000 ცხვრისათვის შეუვალობა ჰქონია. დავითმა 2000 ცხვარი კიდევ შესწირა და 5 ათასი ცხვრისათვის „სიგელი შეუვალობისაჲ" უბოძა: „უსაბანჯოდ, უბაჟოდ და უწყინრად დგესა და იარებოდის..."[3]

ამას გარდა, დავითმა მონასტერი გაათავისუფლა კათალიკოზის დაქვემდებარებისაგან: „თჳთ ძუელთა და აწინდელთა ქართლისა კათალიკოზთა ჴელნი ვითარად ჰქონან, არცა ქართლისა კათალიკოზის საქმე არს მღჳმესა ზედა, არცა ვის სხჳსა ეპისკოპოზისა, არცა ზვერი, არცა მეფეთა, არცა მუხრანისა მგეთა, არცა მღჳმისა

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 14.

[2] იქვე.

[3] იქვე.

შედგომად ვის აქუს ჴელმწიფებაი, არცა მათთა აგარაკთა და საქონებელთა-თანა ვის საქმე-უც".[1]

მონასტერს თავისი პატრონისადმი სიმბოლური ვალდებულება ედო: „ოდეს მუხრანს ვიყვნეთ, წმიდისა შიოს ხატსა შეგუამთხჳნენ, სამი სეფისკვერი, ერთი ფილას საზედაშე და ფარჩითა კაპარი გკეელოგიონ..."[2]

ბერების მიერ არჩეულ წინამძღვარს მეფე ამტკიცებდა და არგანს გადასცემდა.[3]

დღემდე მოღწეულია შიომღვიმის მონასტრის მრავალი „სიგელი შეუვალობისა". ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია გიორგი III-ის 1170 წლის შეუვალობის განახლების სიგელი. გიორგი მეფემ განუახლა მონასტერს საგადასახადო, ადმინისტრაციული, „სასჯულო მოსავალი", „სამართალი წმიდისა უდაბნოისა", გაათავისუფლა „ბაჟისაგან ვაჭარნი და გლეხნი მათნი".[4] მაინც ზოგიერთი გამოსაღები დადებია მონასტერს სამეფოდ. იმათგან ნაწილი კვლავ ამოკვეთა მეფემ, ნაწილი კი დაუტოვა. ასე მაგ., რუეთელთა, შიოსუბნელთა და ჩიქუნურთა დაადო ორი დღე სახნავი და ორი დღე სამკალი. აგრეთვე ჭურის რეცხვა (სხალტბელთა) და ტაიჭის შენახვა (აგარის სოფელმა).[5]

შემდეგაც ხდებოდა მონასტრის მამულს რაიმე დაედებოდა და კვლავ ცდილობდა გათავისუფლებას და ხშირად სანადელსაც აღნევდა. მონღოლთა ბატონობის პერიოდში მონასტერი დაქვეითდა. XIV საუკუნიდან მღვიმე მეფემ ზედგინიძეებს გადასცა და, ამგვარად, სამეფო მონასტერი სათავადო მონასტრად იქცა.

გიორგი III-ისა და ქართლის ერისთავის შეუვალობის განახლების წიგნებიდან კარგი სურათი იხატება მონასტრის სასამართლო იმუნიტეტის ფარგლებისა და თვით სასამართლოს წარმოებისა. ჩანს, რომ მონასტერს თავისი მოსამართლენი ყავდა, თავისი ყმების სამოქალაქო და სისხლის წვრილ საქმეებს თვითონ არჩევდა. სხვა სამფლობელოს მცხოვრებთან თუ წარმოიშვებოდა დავა, მაშინ ორივე

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 17.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 22-23.
[5] იქვე.

მხარის მოსამართლე მონაწილეობდა სასამართლოში. „სამართალი სამპარავთ-მეძებლოი არცარაი ნინაის შესრულა, ნუცა სადა ან შევლენ ჩუენნი მპარავთ-მეძებელნი, თუინიერ თუ გარეთი ნაპარავი შეღა-ჴდეს მღუიმისა გლეხსა. თუ მრავალჯერ ეპაროს მას კაცსა, ანუ ჩამოარჩონ ჩუენთა ჩენილთა, ანუ გაპატიჟონ. და თუ გარდაიხუენოს სხუაგან, სდევდნენ ჩუენნი ჩენილნი. და მისსა საქონელსა თანა არა უც ჩუენთა მპარავთ-მეძებელთა, თუით მემღუიმისა ჴელისუფალმან თავნი ნაპარევისა პატრონსა შეუქცივნეს და სამართალი წმიდისა უდაბნოსათუის აიღოს".[1]

მკითხველის ყურადღება დიდხანს შევაჩერეთ შიომღვიმის მონასტრის იმუნიტეტზე. ჯერ ერთი, მასალები ყველაზე მეტი ამ მონასტერზე შემოგვრჩა. მეორეც, ამ მონასტრის იმუნიტეტი, შეიძლება ითქვას, კლასიკური ნიმუშია ქართული საეკლესიო იმუნიტეტისა.

შიომღვიმის მონასტრის იმუნიტეტი, რა თქმა უნდა, არ იყო გამონაკლისი. იმუნიტეტი ჰქონდა სხვა ეკლესია-მონასტრებსაც.

XI საუკუნის დასაწყისში მელქისედეკ კათალიკოსმა სვეტიცხოვლის მთელს სამფლობელოს მოუპოვა „სიმტკიცე შეუვალობისა" (რაც იმუნიტეტის აღდგენას უნდა გულისხმობდეს).[2]

მთელი საქართველოს მასშტაბით იმუნიტეტის განახლებას გულისხმობს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის შემდეგი ცნობა: დავითმა „განათავისუფლნა არა მონასტერნი ოდენ და ლავრანი მოსაკარგვეთა მაჭირვებელთგან, არამედ ხუცესნიცა სამეფოსა შინა მისსა ყოვლისა ჭირისა და ბეგრისაგან, რათა თავისუფელათა საღმრთო მსახურება მოუპყრან ღმერთსა"[3] აქ არა მარტო საქართველოს ეკლესია-მონასტრების შეუვალობაზეა საუბარი, არამედ, ჩემი აზრით, მთელი საქართველოს ხუცესთა (სოფლის მღვდელთა), „ყოვლისა ჭირისა და ბეგარისაგან", ანუ ბატონყმობისაგან განთავისუფლებაზეც.

როგორც ცნობილია, 1178 წელს მეფე გიორგი III-მ საქართველოს ეკლესია-მონასტრებს ერთობლივ მიანიჭა „განთავისუფლება". როგორც ჩანს, საქართველოს ეკლესიის მესვეურებმა არსებითი დახმარება გაუწიეს გიორგი მეფეს დემნა-ორბელთა აჯანყების პერი-

---

1 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 22-23.
2 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, თბ., 1984, გვ. 27.
3 ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1957, გვ. 353.

ოდში, რის სამაგიეროდაც ეკლესიის ხელმძღვანელებმა იმუნიტეტი მოითხოვეს. როგორც თვით გიორგი III წერს: „ამისვე მიზეზისათვის შეკრბეს ყოველნი სამეფოისა ჩუენისა მონაზონნი და ეპისკოპოსნი იმერნი და ამერნი, კათალიკოზი, მოძღუარი და ყოველნი მეუდებნოენი და მათცა გუიბრძანეს და მოგუაჴსენეს დაჭირვებულობაᲘ ეკლესიათაᲘ და განრყუნაᲘ სასჯულოთა საქმეთა.

ამისათუის განვაჩინეთ კაცნი ყოველგან და განვაგეთ გულსმოდგინედ შეკაზმვაᲘ და განთავისუფლებაᲘ წმიდათა ღმრთისა ეკლესიათაᲘ და გლახაკთაᲘ, რომელი თუით დაწერ/ილი/...“ და შემდეგ (მინანერი): „... ვითა მონასტრისა წესსა ჰმართებს, ეგრე დაგვიჭირავს და ყოველი უსამართლო ბეგარი აგვიჴსნია...“[1]

ე. ი. საქართველოს ეკლესია-მონასტრებმა მიიღეს საგადასახადო და ალბათ სასამართლო იმუნიტეტი (დაბალი იურისდიქციით).

იმუნიტეტი ჰქონდა გელათის მონასტერსაც. 1188 წელს თამარ მეფემ გელათის მონასტერს არგვეთში მდებარე სოფელი ჭორვილა შესწირა: „მკუიდრად, თავისუფლად და შეუვალად ყოვლისა შესავლისა და გამოსავლისაგან, ვითა თუით სხუანი საქონელნი მის მონასტრისანი აზადნი და შეუვალნი არიან... და არცა ვისი ჴელი შევიდო/დეს/ არაის გუარის კაცისაი: არა /ჩუენი/ არა ჩუენთა სამეფ/ოთა ჴელისუფალთა/...“[2]

რუსუდან მეფემ იმუნიტეტი მიანიჭა კავთის წმიდა გიორგის ეკლესიის მამულს: „ესე ბრძანებაი ჩემი არს – რუსუდან ნებითა ღმრთისაითა აზადად და შეუვალ არს მამული მათი, ნასყიდით და ყოვლითა საწესოთ. ნუვინ შალავთ ბრძანება/სა ამას/“.[3]

გელათის მონასტერს რომ საგადასახადო და ადმინისტრაციულ შეუვალობას გარდა სასამართლო იმუნიტეტიც რომ ჰქონდა, ამის შესახებ პირდაპირი მითითება გვაქვს.

1271 წელს მეფე დავით ნარინმა ნასყიდი სოფელი საბანელა შესწირა გელათის მონასტერს. სოფელს დაადო ბეგარა 50 ლიტრა ცვილი, რომელსაც გელათის „კანდელაკის ხელითა მიიღებდენ“ მონასტერში. მონასტრის მოხელის, კანდელაკის, უფლება-მოვალეობათა აღნუსხვისას ხაზგასმულია შემდეგი: „თუ სოფელშიგან თუ რაᲘ სა-

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 24-25.
[2] იქვე, გვ. 26.
[3] იქვე, გვ. 36.

სისხლო საქმე იყოს, მასაც კანდელაკი იურვოდეს..."[1] გამოდის, რომ გელათის მონასტერს არა მარტო სამოქალაქო სამართლის საქმეთა გარჩევის უფლება ჰქონდა, არამედ „სასისხლო საქმის" გარჩევის უფლებაც, რაც ფართო სასამართლო იურისდიქციას გულისხმობს.

ქვემო ქართლის ერთ-ერთი მონასტრის ტიპიკონის ჩვენამდე მოღნეული ნაწყვეტიდან ჩანს, რომ იმ მონასტერსაც შეუვალობა ჰქონია. ტიპიკონში ნათქვამია: „ღმრთივ გკირგკინოსნისა მეფეთა შორის მეფეთა-მეფისა თამარის დღეგრძელობაჲ და ნარმართებაჲ და შენდობაჲ უფროჲსად აღემატოს და ითქუმოდის, რომელმან დიდი გულისმოდგინებაჲ აჩუენა და სოფელნი და აგარაკნი შემოსწირნა და სხუანი აგარაკნი თქუენნი შესავლობისაგან და შეუვალ ყვნა და ყოველი ხარკი და ბაგარი /ამო/გჴადა...".[2]

იმუნიტეტი ჰქონდა რკონის მონასტერსაც. კახა მეჭურჭლეთუხუცესმა იყიდა სოფ. ხოვლე (XIII ს. შუა ხანები) და შესწირა რკონის მონასტერს „სამსახურითა და ბეგარითა". მაგრამ ამ სოფელში მოსახლე ორი გლეხი „ხოხალაისძე და აბესაძე კავთას შენირულნი იყვნეს... ესენი ბეგარას, რაითაც შენირულნი არიან, მუნ მიიღებდნენ; და სამართალი და მამითადი განაღამცა თქუენივე იყოსო" – მიმართავს კახა მონასტრის ხელმძღვანელებს.[3] აქედან გამოდის, რომ ფეოდალმა სასამართლო იმუნიტეტი, რომლითაც თავად სარგებლობდა, გადასცა მონასტერს. და ეს ითვლება სრულიად ჩვეულებრივ საქმედ და განსაკუთრებულ ყურადღებას ამ საკითხს არც აქცევენ.

რაც შეეხება საერო ფეოდალების იმუნიტეტს, გვიანსაშუალო საუკუნეებისათვის მრავალი საიმუნიტეტო სიგელი გაგვაჩნია, მაგრამ ადრეფეოდალური და ერთიანობის ხანის საერო ფეოდალთა იმუნიტეტის შესახებ ცნობები მცირე მოგვეპოვება. გერმანიის იმუნიტეტის მიმოხილვისას აღვნიშნეთ, რომ იქ საერო ფეოდალთა იმუნიტეტის შესახებ არც ერთი დოკუმენტი არა აქვთ. ამას იმით კი არ ხსნიან, რომ დოკუმენტები დაიკარგა, ან იმუნიტეტი არ ქონდათ, არამედ იმუნიტეტი ქონდათ, დოკუმენტი კი არ სჭირდებოდათ, თავისთავად იგულისხმებოდა, როგორც ატრიბუტი მინის საკუთრები-

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 74.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედ., ტ. III, თბ., 1970, გვ. 133.

[3] იქვე, ტ. II, გვ. 59.

სა. ანალოგიური მდგომარეობა უნდა ვიგულისხმოთ საქართველოს მიმართაც, თუმცა ჩვენ კონკრეტული მასალაც გაგვაჩნია საერო ფეოდალების იმუნიტეტის შესახებ.

აქ შეიძლება ითქვას, რომ ვარსქენ პიტიახშის ან გრიგოლ მამასახლისის თუ სხვათა სამფლობელოებს საკუთარი მმართველობის აპარატი და სასამართლოც გააჩნდათ. ან კიდევ, მეფობის გაუქმების შემდეგ VI საუკუნეში ერისთავებისათვის მამულობით დამტკიცება საერისთავოებისა სპარსთა და ბერძენთა მეფეთაგან, იქ იმუნიტეტი თავისთავად იგულისხმება.

უფრო კონკრეტულად შეგვიძლია ვიმსჯელოთ VIII-IX საუკუნეებზე, როცა სენიორალურმა სისტემამ აყვავებას მიაღწია. უნდა ვიფიქროთ, რომ გიორგი ჩორჩანელმა, რომელმაც თავისი სამფლობელოს ნაწილი გადასცა ზარზმის მონატერს „თავისუფლობით", თავად ჰქონდა ეს „თავისუფლობა". ასევე ითქმის მისი დროის სხვა დიდ მთავრებზე (გაბრიელ დაფანჩული, მირიან ბაჰლაუნდი თუ სხვანი), ან კიდევ უფრო გვიანი დროის დიდ ფეოდალებზე (ბაღვაშები, ჯაყელები, თმოგველები, ფავნელები, ტბელები და სხვა და სხვა).

ასე მაგალითად, ჩვენ არ მოგვეპოვება სურამელებისადმი გაცემული საიმუნიტეტო სიგელი, მაგრამ მოგვეპოვება თვით სურამელის (ქართლის ერისთავის გრიგოლის) მიერ შიომღვიმისადმი გაცემული შეუვალობის დაწერილი. სოფ. გავაზი (კოტმითურთ), რომელიც IX საუკუნეში იყიდა მონასტერმა ფავნელთაგან და შეუვალობაც ჰქონდათ, XIII საუკუნეში სურამელთა სახლის შესავალი გამხდარა. როგორც თავად გრიგოლ ერისთავი წერს, „ნახევრისა სამართლისა ჩვენნი ხელისუფალნი აიღებდეს, „საჴმარსაც მოჰკრეფდეს, სამუშაოცა უწე/რია/... და შენუხებულნი იყვნენ წმიდანი მამანი".[1]

გრიგოლ ერისთავი ადგენს: „ნუცა ჴელისფალი შევა, ნუცა ციხისთავი... ნუცა მესაჴმარე, /ნუცა მოსამა/რთლე და ნუ რაი მაწყინარი, ნუცა მენუკვარი, ნუცა მოხარაჯე, ნუცა მესაბანჯრე, ვინაითგან თჳთ წმიდათა მეფეთაგან და ჩუენისა სახლისაგანცა წმიდისა შიოს ცხვარნი და მეცხვარენი ყოველსა ადგილსა თავისუფალნი არიან და შეუვალნი საბანჯრობისაგან და მისი სიგელიცა აქუნდა დაწერილი ჩუენისა სახლისაგან წმიდისა უდაბნოსა მღჳმისასა".[2]

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 37.

[2] იქვე.

სრული დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სურამელთა სახლს თავად ჰქონდა იმუნიტეტი, რომ შეუძლია სხვას გადასცეს ის უფლებები. ასევე შეიძლება ითქვას თორელთა სახლის შესახებ, რომლის ერთი წამომადგენელი – კახა მეჭურჭლეთუხუცესი – საგადასახადო შეუვალობასა და სამართლის უფლებას გადასცემს რკონის მონასტერს.

საერო ფეოდალისადმი გაცემულმა ზოგიერთმა საიმუნიტეტო სიგელმა თუ „დანერილმა" ჩვენს დრომდეც მოაღწია. ასეთია მაგალითად, XII საუკუნის დასანყისში დავით აღმაშენებლის მიერ ნიანია ნიანიასძისადმი გაცემული სიგელი. კახეთის დიდმა ფეოდალმა არიშიანმა თხოვა დავით მეფეს გაენთავისუფლებინა სამსახურისაგან ნიანია, რომელიც თურმე „ბერი კაცი იყო, ლაშქრობაი აღარ შეეძლო". დავითის სიგელში ნათქვამია: „ან, გაგუიშუია ნიანია, მისითა მამულითა, ზითვად ნაქონები ვეძისჴვეითა, გაგუითავისუფლებია ყოვლისა გამოსავლისა და შესავლისა საჴელმწიფოისა და სათხოვარისაგან და ყოვლისა..."[1] (აკლია). ამ სიგელში აქცენტი გაკეთებულია არა ჩვეულებრივ იმუნიტეტზე, არამედ სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლებაზე („გაგუიშვია"), რომლისაგან არავინ არ თავისუფლდებოდა და, რისთვისაც ჰქონდა მას მიცემული მამული იმუნიტეტით. განსაკუთრებული შემთხვევის – სიბერისა და ალბათ მემკვიდრის არყოლის გამო გაათავისუფლა ნიანია დავით მეფემ სამხედრო სამსახურისაგან და მამულიც დაუტოვა იმუნიტეტით (მამულის დატოვების საფუძვლად სიბერის გარდა დასახელებულია მისი ნამზითვობა).

არსენ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესმა 1241-42 წწ. მგელა აბულახტარისძეს, იმის გამო, რომ ის ბათოსთან ახლდა არსენს, უბოძა სოფ. ღუერკი „ერთგულად მსახურებასა შინა... ჭყონდიდისა საყდრისა მპყრობელთასა მკუიდრად, სამამულოდ, თავისუფლად, შეუვალად და შეუცვალებლად ყოვლისა შესავლისა და გამოსავლისაგან".[2]

1338 წელს გიორგი ბრწყინვალემ ივანე თორელ-ჯავახიშვილს უბოძა „კოურისა ძირსა მონასტერი ათენაგუენი სამკუიდროდ და შეუცვალებლად... ყოველითა სამართლიანითა მძღვრითა და თავისუფლად..."[3]

---

[1] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, თბ., 1984, გვ. 51.
[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 158.
[3] იქვე, ტ. II, გვ. 97.

1348 წელს ანდრონიკე მეფემ ნითლოსან ქვენიფნეველს უბოძა „ქართლის სოფელნი: კარბაი და გარეჯარბაკურისუბანი მისითა სამართლიანითა მძღვრითა მკუიდრად, სამამულოდ, შეუვალად და შეუცვალებლად...“[1] და სხვ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ იმუნიტეტი ანუ თავისუფლება-შეუვალობა საქართველოში წარმოიშვა ჯერ კიდევ ადრეფეოდალურ ხანაში. პირველი ცნობა მონასტრის იმუნიტეტის შესახებ შემონახული გვაქვს არაპირდაპირ ცნობაში და ეხება VI საუკუნის მეორე ნახევარს. იმუნიტეტი გავრცელდა VIII-IX საუკუნეებში, კიდევ უფრო განვითარდა XI-XII საუკუნეებში. ჩვენში, ისე როგორც დასავლეთ ევროპაში, უპირატესი გავრცელება საეკლესიო იმუნიტეტს ჰქონდა. დასავლეთ ევროპისაგან განსხვავებით, ჩვენში ეკლესიას ერთობით ჰქონდა იმუნიტეტი, ხშირი იყო ეკლესია-მონასტრების იმუნიტეტის ხელყოფა საერო ფეოდალებისა და მეფის მოხელეებისაგან (შემდგომში ხელახალი განახლებით).

საერო მსხვილი ფეოდალები ისეთივე და ზოგჯერ უფრო მეტი იმუნიტეტით სარგებლობდნენ, როგორც ეკლესია-მონასტრები. ქართული განთავისუფლება-შეუვალობა გულისხმობს საგადასახადო, ადმინისტრაციულ და სასამართლო იმუნიტეტს. შეუვალობა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, არ ყოფილა აბსოლუტური და სრული. ზოგიერთი ვალდებულება კვლავ რჩებოდა საიმუნიტეტო პირს. სასამართლო უფლებაც, ჩვეულებრივ, სამოქალაქო და ნვრილ სისხლის საქმეებს მოიცავდა.

სამხედრო ვალდებულებისაგან არც ერთი ფეოდალი არ თავისუფლდებოდა. ხშირი იყო აგრეთვე ბაჟის იმუნიტეტი (უფრო ეკელსია-მონასტრებში).

შეუვალობა საქართველოშიც გარეეკონომიკური იძულების იარაღი და ფეოდალური რენტის მიღების მთავარი წყარო იყო. ქართული შეუვალობა თავისი შინაარსითა და ფარგლებით ძალიან უახლოვდება ფრანგულ და გერმანულ იმუნიტეტს.

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 99.

ჟურნ. „მაცნე". № 4. თბ. 1979. გვ. 172-188.

ბატონყმობის საკითხისათვის

ბატონყმობა სპეციალისტების მიერ ფეოდალიზმის ერთ ეტაპადაა მიჩნეული, იმ ეტაპად, როცა ყველაზე სრულადაა განხორციელებული ფეოდალის არასრული საკუთრება მწარმოებელზე.

ბატონყმობის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია: 1. გლეხის მიწაზე მიმაგრება; 2. ფეოდალის უფლება გლეხის მიწიანად, ზოგან უმიწოდ, გაყიდვისა; 3. გლეხის მოქალექეობრივი უფლებების უკიდურესად შეზღუდვა (ბეითალმანის უფლება, ფიზიკური დასჯა, უძრავი ქონების გასხვისების უფლების უქონლობა, ზოგან პირველი ღამის უფლება და სხვ.). ეს მომენტები სხვადასხვა ქვაყანაში და სხვადასხვა დროს სხვადასხვა ძალით ვლინდებოდა.[1]

საშუალო საუკუნეების იურისტების აზრით, ყმა-გლეხად ითვლებოდა ადამიანი, რომელიც ერთსა და იმავე სენიორზე იყო დამოკიდებული სამი მომენტით. ეს იყო პირადი, საადგილმამულო და სასამართლო დაქვემდებარება.[2] აკად. ს. სკაზკინის აზრით, ადრეშუასაუკუნეებში შეიძლება ეს სამი მომენტი ყოველთვის ერთად არ იყოს, მაგრამ ბატონყმობის გვიანდელ ფორმებში, მაგალითად, „ბატონყმობის მეორე გამოცემისას", იგი თითქმის ყველგან საყოველთაო მოვლენა იყო.[3]

კ. მარქსის აზრით, ფეოდალური ურთიერთობის დროს მწარმოებელი, რომელსაც ფეოდალის მიწა უჭირავს და ამისთვის გარკვეულ გადასახადს იხდის, ამა თუ იმ ხარისხით მაინც პირადად არათავისუფალ ადამიანად ითვლება.[4] ბატონყმობა კი ამ პირადი არათავისუ-

---

[1] СИЭ, ტ. 8, გვ. 68.

[2] С. Д. Сказкин, Очерки по истории западноевропейского крестьянства в средние века, М., 1968, с. 105.

[3] იქვე.

[4] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 3, ნაწ. 2, თბ., 1959, გვ. 410-411.

ფლების უფრო სრული გამოხატულებაა. კ. მარქსის განსაზღვრით, ბატონყმობა წარმოიშვა შრომითი ბეგარისაგან. საბატონო მეურნეობის არსებობამ აუცულებელი გახადა გლეხის მინაზე მიმაგრება, რათა მას დაემუშავებინა ბატონის მიწა.[1] სადაც არ განვითარდა საბატონო მეურნეობა და არ იყო შრომითი ბეგარა, არც ბატონყმობა წარმოშობილა. ბატონყმობის გავრცელებას ადრე და განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში განსაზღვრავდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ჩამორჩენილობა და მეურნეობის ნატურალური ხასიათი.[2]

ადრეფეოდალური ხანის დასავლეთ ევროპაში ბატონყმობის ორი მთავარი წყარო იყო: 1. სრული საკუთრების შეზღუდვა მონაზე, რომელიც მიწაზე იქნა დასმული და 2. თავისუფალი მეთემის არათავისუფალ მიწისმჭრელად გადაქცევა. ეს პროცესი მიმდინარეობდა მსხვილ ფეოდალურ მეურნეობაში ანუ სენიორიაში („ვოტჩინა", „მანორი"), სადაც გაბატონებული იყო შრომითი რენტა.

დასავლეთ ევროპაში ბატონყმობა ყველაზე ადრე ესპანეთში გავრცელდა. იქ ეს პროცესი მიმდინარეობდა VI-VIII საუკუნეებში. VIII საუკუნისთვის უკვე ყმა-გლეხთა კატეგორიას შეადგენდა წარმოშობით და მდგომარეობით სხვადასხვა კატეგორიის მწარმოებელი (სერვები, ლიბერტინები, კოლონები). მათ ყიდდენ მიწიანად და უმიწოდ, შეიძლებოდა გასაჩუქრება, მზითვში გაცემა და სხვ. ანალოგიური პროცესი საფრანგეთში მიმდინარეობდა VIII-X საუკუნეებში. X-XI საუკუნეთა მიჯნაზე გლეხობის დიდი ნაწილი – სერვები – მიწაზეა მიმაგრებული. ინგლისში ბატონყმობა დამკვიდრდა X-XI სს. გერმანიაში აღნიშნული პროცესი მიმდინარეობდა VIII-XI საუკუნეებში და სხვ.[3]

განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში, ერთი მხრივ, ღრმავდება ბატონყმური ურთიერთობანი, მეორე მხრივ კი, ქალაქებისა და საქონლო მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებით იწყება ბატონყმობის შესუსტება და ზოგან კი გლეხობის განთავისუფლებაც (გამოისყიდვის გზით). XIII საუკუნიდან საფრანგეთში, ინგლისში, აგრეთვე ესპანეთში, იტალიაში და სხვ. მიმდინარეობს გლეხობის პირადი დამოკიდებულებისაგან განთავისუფლება. XV საუკუნეში

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, 1954, გვ. 300-301.

[2] С. М. Каштанов, Крепостное право, СИЭ, ტ. 8, გვ. 68.

[3] იქვე, გვ. 69-70.

დასავლეთ ევროპის ძირითად ქვეყნებში ბატონყმობა ფაქტობრივად აღარ არსებობს (თუმცა ცალკეულ შემთხვევებში, მაგალითად საფრანგეთში, კვლავ არის ცდები გლეხობის ხელახლა, ან ახალი ფენების დაყმევებისა. იქ ბატონყმობა, შეზღუდული მასშტაბით, თვით დიდ ბურჟუაზიულ რევოლუციამდე გაგრძელდა).

იმ პერიოდისათვის, როცა დასავლეთ ევროპაში ძირითადად დასრულდა გლეხობის პირადი განთავისუფლება, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ახალი ძალით იფეთქა ბატონყმურმა ურთიერთობამ. ამ მოვლენას ფრ. ენგელსმა „ბატონყმობის მეორე გამოცემა" უწოდა ბატონყმობის „პირველი გამოცემისაგან" განსხვავებულად, რომელსაც ადგილი ჰქონდა დასავლეთ ევროპაში „ადრე და ნაწილობრივ განვითარებული ფაოდალიზმის პერიოდში".[1] დასავლეთ ევროპაში სასაქონლო მეურნეობის განვითარებამ, ქალაქების ზრდამ, კაპიტალიზმის ჩასახვამ და განვითარებამ წარმოშვა მოთხოვნილება სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე, განსაკუთრებით მარცვლეულზე. ამ ვითარებამ ხელი შეუწყო აღმოსავლეთ ევროპაში დიდ საბატონო მეურნეობათა განვითარებას, სადაც მზადდებოდა სასაქონლო პური დასავლეთ ევროპაში გასატანად. იმავე ვითარებამ ხელი შეუწყო შრომითი ბეგარის გავრცელებას და გლეხობის მიწაზე მიმაგრებას. ასეთი მდგომარეობა შეიქმნა აღმოსავლეთ გერმანიაში, პოლონეთში, უნგრეთში, ჩეხიაში და სხვ. (ზოგიერთი მეცნიერის აზრით რუსეთშიც). ევროპის ზოგ ქვეყანაში (ნორვეგია, შვეცია) ბატონყმობა საერთოდ არ განვითარებულა.

საქართველოში ბატონყმობა, როგორც ფეოდალისა და გლეხის (არათავისუფალი, მიწაზე მიმაგრებული მწარმოებელი) დამოკიდებულების აღმნიშვნელი ცნება XIX საუკუნის ისტორიკოსთა შრომებში შემუშავდა. მანამდე კი წყაროებში ფეოდალიზმის სინონიმად იხმარებოდა და მოიცავდა ფეოდალური საზოგადოების ყველა წოდებისა და ფენის ურთიერთობას, მეფიდან გლეხამდე.

ტერმინები „პატრონყმობა" და „ბატონყმობა" იდენტური ცნებებია.[2]

---

[1] **С. Д. Сказкин**, Второе издание крепостничества, СИЭ, т. 3, გვ. 882.

[2] **ზ. რატიანი**, პატრონყმობისა და ბატონყმობის რაობის გარკვევისათვის. ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, თბ., 1971.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ბატონყმობის გამარჯვების შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს. უფრო გავრცელებულია ნ. ბერძენიშვილის მოსაზრება, რომლის მიხედვით ბატონყმობამ საქართველოში XI-XII საუკუნეებში გაიმარჯვა. სხვა მოსაზრებებით, ეს ფაქტი XIII-XIV, XIV-XV, ან კიდევ IX-X საუკუნეებში მოხდა.

ტ. ბატონყმობა ორი სიტყვისაგან შედგება: ბატონი (პატრონი) და ყმა. „პატრონი" წყაროებში IX საუკუნიდან გვხვდება[1] და ნიშნავს ბატონს, სენიორს. მანამდე კი, და ზოგჯერ შემდეგაც იმავე მნიშვნელობით იხმარებოდა ტერმინი „უფალი". სულხან-საბა ორბელიანისა და ნ. ჩუბინაშვილის განმარტებით, უფალი, პატრონი და ბატონი სინონიმებია (იხ. მათი ლექსიკონები). ივ. ჯავახიშვილის აზრით, „პატრონი რომლისაგანაც შემდეგში თანდათანობით ქართული სამწერლო ენის „ბატონი" და მეგრული „პატონი", „პატენი"... წარმოდგა", რომაული „პატრონუს"-იდან უნდა იყოს წარმოშობილი, მაგრამ შინაარსით კი არ ემთხვევა ერთმანეთს.[2] ქართული წყაროები პატრონსა და ბატონს არ ასხვავებენ ერთმანეთისაგან. მხოლოდ ადრე პატრონი იხმარებოდა, რომელიც სასაუბრო ენაში „ბატონად" გადაკეთდა (გვაქვს შუალედური ფორმაც – „ბატრონი"), სასაუბრო ენიდან კი კვლავ შევიდა ლიტერატურაში. ტერმინი ბატონი გვხვდება XV საუკუნიდან, გახშირდა XVII საუკუნეში და გაბატონდა XVIII საუკუნეში. მაგრამ XVIII და თვით XIX საუკუნის პირველ ნახევარშიც ბატონის პარალელურად პატრონიც იხმარებოდა იმავე მნიშვნელობით. პატრონად იწოდებოდნენ მეფე და ფეოდალები.

ტერმინი „ყმა" („ყრმა") უფრო ძველია, ვიდრე პატრონი. თავდაპირველად ყრმა ბავშვისა და ახალგაზრდის მნიშვნელობით იხმარებოდა, მაგრამ ადრიდანვე მიუღია მას მეორე, სოციალური მნიშვნელობა.

სახარების ტექსტებში ყრმას შემდეგი მნიშვნელობანი აქვს: 1. ბავშვი, ჩვილი, 2. ახალგაზრდა, 3. ვაჟი, 4. სოციალური (მონა,

---

[1] დანერილი ფავნელისა, ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის რედ., გვ. 3-4; სამართალი ბაგრატ კურაპალატისა, ქსძ, I, გვ. 466-469; გ. მერჩულე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, პ. ინგოროყვას რედ. გვ. 118; მატიანე ქართლისა, ქ.ც.ხ., I, ს. ყაუხჩიშვილის რედ., გვ. 258. და სხვ.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ნ. II, ნაწ. I, თბ., 1928, გვ. 102, 105.

მოსამსახურე (მსახური)).[1] შუშანიკის წამებაშიც ორივე მნიშვნელობით არის ნახმარი „ყრმა“.[2] რამდენიმე მნიშვნელობით იხმარება ყმა ვეფხისტყაოსანშიც: 1. ახალგაზრდა, 2. ვაჟი, 3. მოყმე (რაინდი), 4. სოციალური (მოყმე ავთანდილი არის დიდებული, ჰყავს თავისი ყმები, ამავე დროს არის როსტევან მეფის ყმა).[3] სახარებაში თუ ყმა უმეტეს შემთხვევაში ბავშვისა და ახალგაზრდის მნიშვნელობით იხმარებოდა, ვეფხისტყაოსანში მისი უმთავრესი მნიშვნელობა სოციალურია, სხვაზე დაქვემდებარებულ პიროვნებას აღნიშნავს. გვიანსაშუალო საუკუნეებშიც არ დაუკარგავს სიტყვა „ყმას“ თავისი ორი მნიშვნელობა. მაშინაც ყმა ახალგაზრდასაც ნიშნავდა და დაქვემდებარებულ ადამიანსაც.

ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს შეხედულება, რომლის მიხედვით საქართველოში არსებობდა თავისუფალ მწარმოებელთა ფენა, რომლის მოვალეობა პატრონის წინაშე იყო მოლაშქრეობა და რომელსაც მდაბიორ-მოლაშქრეთა ანუ ყმა-მოლაშქრეთა ფენას უწოდებენ.

ჩვენი აზრით, ყმათა ცალკე სოციალური ფენა არ არსებობდა. ყმა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საზოგადოების რომელიმე ფენას ან წოდებას აღნიშნავდა. მათეს სახარების შატბერდული რედაქციის ყრმას XI საუკუნის რედაქციაში მონა (რუსულის слуга) ენაცვლება (მათე, 8, 9). სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაშიც ყმა მონას ენაცვლება: გიორგი ჩორჩანელმა უბრძანა „ერთსა ვისმე მონათაგანსა: წარვედ მსწრაფლ... ცან ძალი საქმისაჲ ამის და მაუწყე ჩუენ... ხოლო წარვიდა მყის ყრმა იგი“.[4] აქ მოხსენებული მონა, რომელსაც ყრმა ენაცვლება, ცხადია, არაა ანტიკური ხანის მონა. იგი ფეოდალური ურთიერთობისათვის კარგად ცნობილი მსახურია, რომელიც ფეოდალს „ბეგარას“ პირადი სამსახურით უხდის.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნში (IX ს., სხვა შეხედულებით XI ს.) „ყმა“ ორჯერ იხსენიება და ორივე შემთხვევაში

---

[1] ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბ., 1948-1949, გვ. 652.

[2] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურული ძეგლები, ნ. I, თბ., 1964, გვ. 18, 21.

[3] ვეფხისტყაოსნის სიმფონია, ა. შანიძის რედ., 1956, გვ. 336-337; შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, 1951 წ. გამოც., გვ. 202, სტრ. 992.

[4] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1964, გვ. 325, 327.

ფეოდალს გულისხმობს: „148. თუ უსამართლოდ პატრონმან ყმაი გაძარცოს, თორმეტი გლეხი დაუურვოს. 149. თუ უსამართლოდ პატრონსა ყმაი წაუვიდეს, თორმეტი გლეხი შეეკაზმოს".[1] ვფიქრობთ, ისეთი ყმა, რომელსაც შეიძლება ჯარიმად 12 გლეხი გადაახდევინონ, ან 12 გლეხი გადაუხადონ, შეიძლება მხოლოდ დიდებული ან აზნაური იყოს.

პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონში (XI ს.) რამდენჯერმეა მოხსენებული „ყმა" („ყრმა"). ამ ტერმინის ქვეშ იქაც სხვადასხვა შემთხვევაში საზოგადოების სხვადასხვა წოდება თუ ფენა იგულისხმება.[2]

XIII საუკუნის საჩივრის წიგნში მომჩივნის მხლებლები ერთ შემთხვევაში ყმებად, მეორე შემთხვევაში კი მსახურებად არიან დასახელებულნი.[3] იმავე წიგნში მოხსენებული ატენელი ყმები („ატენითაცა ყმები წამოგუისხა") და მომჩივნის, რომელიც თავად დიდებულია, „აზნაურისა ყმები", ჩვენი აზრით, გლეხები არიან.[4] გლეხებად მიგვაჩნია ჩვენ ის „აზნაურის ყმანი (რომელნიც) მათთა პატრონთა სწორად იმოსებოდეს" თამარის ეპოქაში.[5] აქ შესადარებლად აღებულია აზნაურის ყმა, რომელიც ფეოდალური საზოგადოების ყველაზე დაბალ საფეხურზე დგას, მის ქვევით არავინ არაა, ყველაზე ღარიბია და ამიტომაა საკვირველი მათი კარგად შემოსვა. ასეთი, ცხადია, იმ დროს მხოლოდ გლეხი შეიძლებოდა ყოფილიყო. 1344 წლის ერთ დოკუმენტში დასახელებულია „მემღვიმის ყმანი: მზარეული იაი, გორისძე დიაკონი ბექენი, გოროვნელი აბაშაი, წეროვნელი ცეცხლაისძე იაი"[6] – ყველანი გლეხები.

ყმა რომ ფეოდალური საზოგადოების ცალკე ფენა ყოფილიყო, სამართლის ძეგლებში მისი სისხლის ფასიც იქნებოდა განსაზღვრუ-

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, I, ი. დოლიძის რედ., თბ., 1963, გვ. 468.

[2] ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში, თბ., 1971, გვ. 70-71, 109 და სხვ.

[3] ს. კაკაბაძე, XIII საუკუნის საჩივრის წიგნი, საისტორიო კრებული, ნ. III, თბ., 1928, გვ. 99.

[4] იქვე, გვ. 98.

[5] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 369.

[6] ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, თ. ჟორდანიას გამოცემა, გვ. 71-72.

ლი დიდებულის, აზნაურის, მსახურის, გლეხის, ჰეროვნის, სამღვდელოს, ვაჭრის და სხვათა გვერდით.

წარმოდგენილი მასალიდან, ვფიქრობთ, ნათელი უნდა იყოს, რომ ყმა ვასალის აღმნიშვნელია და ყველა დაქვემდებარებული ფენის თუ წოდების წარმომადგენლის აღსანიშნავად იხმარებოდა ქართულ ნარატიულ თუ დოკუმენტურ წყაროებში. როგორც „პატრონი" არ აღნიშნავს საზოგადოების ერთ ფენას, ისევე „ყმა" არ აღნიშნავს საზოგადოების ერთ კონკრეტულ ფენას. მაგალითად, მეფის ყმა არის მთავარი (ანუ დიდებული აზნაური), დიდებულის ყმა არის აზნაური და ყველა ამათი კი – გლეხი (მსახურითურთ). მხოლოდ გლეხი არ არის პატრონი, რადგან არ ჰყავს ყმა და მხოლოდ მეფე არ არის ყმა, რადგან არ ჰყავს პატრონი. თუ ყმა ფეოდალია (დიდებული, აზნაური) იგი თავის პატრონთან ვასალურადაა დამოკიდებული; თუ ყმა მწარმოებელია, მაშინ იგი გლეხურადაა დამოკიდებული. სამღვდელო და ვაჭარი ზოგი ფეოდალთა წოდებას ეკუთვნოდა, ზოგი – გლეხურს, ამიტომ მათი პატრონზე დამოკიდებულებაც სხვადასხვაგვარი იყო. ამდენად, ყმათა ცალკე ფენა – თავისუფალი მოლაშქრეებისა არ არსებობდა.

ს. ჯანაშიას, გ. მელიქიშვილის და სხვათა გამოკვლევებიდან ჩანს, რომ საქართველოში ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ფეოდალური ურთიერთობანი უკვე წყობის სახითაა ჩამოყალიბებული და ადრემონათმფლობელურ ურთიერთობებთან შედარებით ზრდის ცხოველუნარიანობით გამოირჩევა. ძველი ქართული ეროვნული ტრადიციის მიხედვით სეფენულთა, ქურუმთა და სხვათაგან განსხვავებით, ახალი სამხედრო არისტოკრატიის სახელი აზნაური უნდა ყოფილიყო. აზნაურებად მიაჩნია ივ. ჯავახიშვილს II საუკუნის I ნახევარში რომში ჩასული ქართველი მეფის ფარსმანის მხლებელნი, რომელთაც დიონ კასიოსი „პროტოის" სახელით მოიხსენიებს (მარკოზის სახარების ქართულ თარგმანში ბერძნული „პროტოი" თარგმნილია აზნაურად).[1]

თუ ადრე აზნაურობა გაბატონებული საზოგადოების მხოლოდ ერთი ნაწილი უნდა ყოფილიყო, V საუკუნეში (შესაძლოა ქრისტიანობის

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ნ. I, თბ., 1928, გვ. 195. იხ. აგრეთვე საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973, გვ. 139 (ა. ბოგვერაძის ტექსტი).

მიღების დროიდანაც), V საუკუნის ორიგინალური ძეგლის „შუშანიკის წამების“ მიხედვით, მთელი გაბატონებული კლასის სახელი არის აზნაური. აზნაურობა უკვე გაყოფილია ორ ფენად: 1. დიდ-დიდნი აზნაურნი (ანუ მთავარნი – მსხვილი ფეოდალები) და 2. აზნაურნი (წვრილი ფეოდალები).[1] V საუკუნის სომეხი ისტორიკოსი ფავსტოს ბუზანდი IV საუკუნის ქართლის გაბატონებულ საზოგადოებაში, გარდა ფარნავაზიანებისა, ასახელებს ნახარარებს (მთავრებს) და აზატებს (აზნაურებს).[2]

ანალოგიური სურათია სომხეთშიც, სადაც წყაროთა შედარებით სიმრავლის პირობებში უფრო ნათლადაა ეს საკითხი გარკვეული. IV საუკუნეში სომხეთში მთელ ფეოდალთა კლასს ეწოდება აზატი, რომლის ზედა ფენაა ნახარარები (მსხვილი ფეოდალები) და ქვედა ფენა – აზატები (წვრილი ფეოდალები, რომლებიც მეფისა და ნახარარების ვასალებად ითვლებიან).[3]

IV საუკუნის ბოლოსათვის სახელმწიფო საკუთრებისა (ტერიტორიები, რომლებსაც ერისთავები მართავენ და რომელშიც შედის სასოფლო-თემური და წვრილი კერძო საკუთრებაც) და სასეფოს (მეფის დომენის) გვერდით უკვე გვხვდება საეკლესიო და დიდი თუ მცირე აზნაურთა მიწათმფლობელობა. წყაროების უქონლობა არ იძლევა საშუალებას თვალი გავადევნოთ პროცესს. შედარებით ნათელი და რეალური ვითარების ამსახველი ცნობები IV საუკუნის შესახებ მოგვეპოვება. მირიან მეფეს ნინოს საფლავსა ზედა აუშენებია „ეკლესიაჲ ფრიად დიდი“ ბოდს და შეუმკია „იგი ყოვლითა სამკაულითა“ და შეუნირავს „მრავალნი სოფელნი და აგარაკნი“.[4] IV საუკუნის ბოლოს „აღაშენეს აზნაურთა წმინდა იგი ეკლესიაჲ მცხეთას და დაამოთაულეს დიდსა მას ეკლესიასა სოფლებითა და ქარდაგებითა ქართლსა შინა“.[5]

---

[1] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1964, გვ. 27.

[2] История Армении Фавстоса Бузанда, Ереван, с. 162-163.

[3] История армянского народа, ч. I, Ереван, 1951, с. 63-65 (ს. ერემიანის ტექსტი); იხ. აგრეთვე, ლ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 84-85.

[4] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 161-162.

[5] იქვე, გვ. 92.

„მოქცევაი ქართლისაის" ამ ცნობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ს. ჯანაშია. მართლაც, ჯერ ერთი, აქ ჩანს გზა, როგორ იქმნებოდა საეკლესიო მიწათმფლობელობა (ერთი გზა, არის სხვაც), და მეორეც, აზნაურობა არის მფლობელი და განმკანგურებელი სოფლებისა და აგარაკებისა, რომელთა ნაწილს ეკლესიას უწყალობებს.[1] აქედან მოკიდებული ხშირდება ცნობები „სოფლებისა და აგარაკების", დაბების, ცალკე აგარაკების შენირვის, სყიდვის, წყალობის, გაანდერძების, გამონირვის, ხელახლა შენირვის და სხვ. შესახებ. ფეოდალებისა და ეკელესიების მფლობელობაში მყოფი სოფლები და აგარაკები ზოგი მამულობითია, ზოგი დროებით მფლობელობაში და ზოგი კიდევ ნასყიდი.

კიდევ უფრო მკაფიო სურათი მსხვილი მიწათმფლობელობისა გვაქვს V საუკუნის ცნობებში. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა იაკობ ხუცესის თხზულება, რომელშიც საინტერესო ცნობებია ადრეფეოდალური ხანის მსხვილი სენიორიის – „პიტიახშის სახლის" შესახებ. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, პიტიახშის სახლი, ან კიდევ „მეფის სახლი" (სომხური ცნობა VI საუკუნისა) არის ის მიწა-წყალი, რომელიც პიტიახშის ან მეფის სამფლობელოს (სეფეს) შეადგენდა. ს. ჯანაშია ეთანხმება ივ. ჯავახიშვილის მიერ „სახლის" განმარტებას და უმატებს: „მხოლოდ ჩვენი აზრით, ეს „სამფლობელო" ფეოდალური ხასიათისაა. სახლი აქ სენიორიას აღნიშნავს, ადრინდელ ფეოდალურ მნიშვნელობით".[2]

ვინ არის პიტიახშის სენიორიის მცხოვრებნი სოციალურად? უპირველეს ყოვლისა, ისინი „უაზნონი" არიან. ვინ იგულისხმება უაზნონში? ის ვინც აზნაური არ არის – მსახური, მონა, მხევალი, მინისმოქმედი. მინისმოქმედთა ერთი ნაწილი უთუოდ გლეხია, ე. ი. თავისუფალი არაა. სულ თავისუფალნი არც სხვები უნდა იყვნენ. ვარსქენის სენიორიაში მოხვედრილი მინისმოქმედი უკვე ნახევრად არათავისუფალია, რადგან გადასახადი უნდა გადაიხადოს, სამხედრო და ადმინისტრაციულ-სასამართლოს ხაზით კი მის მოხელეებს უნდა დაემორჩილოს. ასეთი ადამიანისათვის ორი-სამი თაობა სრულიად საკმარისია, რომ იგი ყმა-გლეხად გადაიქცეს. სასოფლო თემიც კი,

---

[1] ს. ჯანაშია, შრომები, I, თბ., 1949, გვ. 286.

[2] იქვე, გვ. 20, სქ. 3.

თუ ის ფეოდალის სამფლობელოში აღმოჩნდა, გადაიქცევა დაქვემდებარებულ თემად და ბატონყმურ თემადაც კი.[1]

დაახლოებით ასეთივე სენიორები უნდა ყოფილიყვნენ და ასეთივე სამფლობელოები უნდა ჰქონოდათ ევსტათე მცხეთელის ცხოვრებაში მოხსენებულ სამოელ კათალიკოსს („მცხეთის სახლი"), გრიგოლ მამასახლისს, არშუშა პიტიახშს და სხვა მთავრებს, რომელთა მსგავსნი მრავლად იყვნენ V-VI საუკუნეების ქართლში. სენიორიებად მიაჩნია ს. ჯანაშიას საეპისკოპოსოს ცენტრი – ეკლესია მათდამი შეწირული სოფლებითა და აგარაკებით, რომელთა რიცხვმა VI საუკუნის ბოლოს 30-მდე მიაღწია.

როგორც აღვნიშნავდით, ფეოდალის სამფლობელო შედგებოდა სოფელ-დაბებისა და აგარაკებისაგან. სოფელი და დაბა თავიანთი ტყე-საძოვრებით არის სამფლობელოს ის ნაწილი, რომელიც უფალის მიერ მწარმოებლებზეა გადაცემული საბეგროდ (მიუხედავად იმისა, ეს მიწები მართლა თავად გადასცა უფალმა მწარმოებლებს, თუ მწარმოებლები თავიანთი სათემო მიწებით მოხვდნენ სენიორიაში). აგარაკები კი, რომლებიც კერძო მფლობელობაში მყოფი დაუსახლებელი, საყანე ადგილებია,[2] სენიორიის პირობებში საბატონო მეურნეობას უნდა წარმოადგენდეს, რომელთაც იმავე სენიორიის სოფლის მცხოვრებნი ამუშავებენ შრომითი ბეგარის საფუძველზე. შრომითი ბეგარა კი, წარმოშობს ბატონყმობას. უფალი, რომელსაც საბატონო მეურნეობა აქვს იძულებულია იზრუნოს მუშახელით მისი უზრუნველყოფისათვის და დაამაგროს მწარმოებელი მინაზე.

განსაკუთრებულ გავრცელებას სამთავრო-სენიორალურმა სისტემამ VIII-IX საუკუნეებში მიაღწია. ამ ხანის ტიპიურ სენიორიად შეიძლება მივიჩნიოთ გიორგი ჩორჩანელის „საბრძანებელი", რომელიც აღწერილია ბასილ ზარზმელის თხზულებაში „ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა".[3] ნ. ბერძენიშვილის აზრით, ეს საბრძანე-

---

[1] С. Д. Сказкин, Избранные труды по истории, М., 1973, с. 78.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, 1970, გვ. 594-595 (გ. მელიქიშვილის ტექსტი); ივ. სურგულაძე, საკუთრების უფლება ფეოდალურ საქართველოში IV-V საუკუნეებში, ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, I, თბ., 1973, გვ. 194-195.

[3] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 319-347; ნ. ვაჩნაძე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1975.

ბელი პოლიტიკური საჯარო უფლება კი არ არის, არამედ მამული და მონაგები.[1]

ჩორჩანელის სამთავრო-სენიორია გამოირჩეოდა „სიმრავლითა ერთა". ვინ იყო ჩორჩანელის ერი? – ის, ვინც ჩორჩანელის სამფლობელოში ცხოვრობდა და ემორჩილებოდა მას, როგორც უფალს. ჩორჩანელის ერთაგან პირველ რიგში აღსანიშნავია მისი ვასალები, მცირე მთავრები (ანუ აზნაურები), რომლებიც „მთავარნი არიან და საკუთარნი დიდისა მის მთავრისანი" (ძეგლები, I, გვ. 325). ჩორჩანელის ერთაგან ანუ „საკუთართაგან", ანუ „წინაშემდგომელთაგან" თხზულებაში მოხსენებულია აგრეთვე „ყრმა იგი" „მონათაგანი" და „მკვირცხლმავალნი" (გვ. 326), რომელნიც გამოსულნი არიან მოსახლეობის დაბალი ფენებიდან, კერძოდ „ქვეყნისმოქმედთაგან". ისინი ცხოვრობდნენ სოფლებსა და დაბებში, ჰქონდათ საკუთარი მეურნეობა უფალ ჩორჩანელის მიწაზე, რომელიც სარგებლობაში ჰქონდა მას გადაცემული და რისთვისაც იხდიდა ბეგარას. იგივე ამუშავებდა უფლის მრავალრიცხოვან აგარაკებს (საბატონო მეურნეობა) შრომითი ბეგარის საფუძველზე. იგივე ქვეყნისმოქმედნი აძლევდნენ ჩორჩანელს მონა-მსახურსა თუ „მკვირცხლმავლებს" და სხვ. უფლებრივადაც საკმაოდ შეზღუდულნი ყოფილან ეს „ქვეყნისმოქმედნი", რადგან შესაძლებელი ყოფილა მათი მონასტერზე შეწირვა (თხზულებაში მხოლოდ სოფლების შეწირვაზეა საუბარი, მაგრამ იმ სოფლებში ქვეყნისმოქმედნი ცხოვრობდნენ, რომლებიც მონასტრის განკარგულებაში გადადიოდნენ). ჩორჩანელის სამფლობელოებში მცხოვრები მწარმოებლები ალბათ ჩორჩანელის ადმინისტრაციასა და სასამართლოს უნდა დამორჩილებოდა, რადგან, როგორც ცნობილია, ფეოდალიზმის დროს პოლიტიკური უფლებები მიწის საკუთრებასთანაა დაკავშირებული. თუ ყველაფერ ზემოთქმულს იმასაც დავუმატებთ რომ საერთოდ სენიორიაა ის ადგილი, სადაც თავისუფალი მწარმოებელი ყმა-გლეხად იქცევა და არა მარტო ერთეული მწარმოებლები, არამედ მთელი სოფლობით, მაშინ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ჩორჩანელის ერის ის ნაწილი, რომელიც „ქვეყნისმოქმედია" – წოდებრივად ყმა-გლეხია – ე. ი. თავისუფლებადაკარგული მწარმოებელია. ჩორჩანელის სამთავრო-

[1] **ნ. ბერძენიშვილი**, საქართველოს ისტორიის საკითხები, ნ. VIII, გვ. 109.

სენიორიის ანალოგიური სამფლობელო იყო გაბრიელ დაფანჩულის მამული, რომლის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული გიორგი მერჩულეს თხზულებაში „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა". ანალოგიურ სამფლობელოებად მიგვაჩნია ჩვენ აგრეთვე სამცხის მთავრის მირიანის, ბაღვაშთა კაცხის მამული, ფავნელთა, ტბელთა სამფლობელოები და სხვ.

გლეხის, თავისუფლებადაკარგული მწარმოებლის, არსებობას მკვლევარნი ადრიდანვე ვარაუდობდნენ. სტრაბონის IV გენე, ლაოი, რომელნიც სამეფო საგვარეულოს ემსახურებოდნენ, სწორედ „გლეხები" უნდა ყოფილიყვნენ.[1] ასეთი გლეხები, სავარაუდოა, „სეფენულებსა" და გაბატონებული კლასის სხვა ნევრებსაც უნდა გასჩენოდათ და თანდათან გამრავლებოდათ კიდეც. მწარმოებელთა ყმა-გლეხად ქცევის პროცესი სწრაფად ძლიერდება ადრეფეოდალური ხანის საერო და საეკლესიო სენიორიებში, რომლებიც V-VI საუკუნეებში წარმოიშვნენ, ხოლო გამრავლდნენ და თითქმის მთელი ბარის საქართველო მოიცვეს VIII-IX საუკუნეებში. იმ ხანის სენიორიებში საკმაოდ განვითარებული ჩანს საბატონო მეურნეობანი აგარაკებისა და ზვრების სახით, აგრეთვე საბატონო მესაქონლეობა დიდი ჯოგების სახით. საბატონო მეურნეობა, ვიმეორებთ, ემყარება შრომით ბეგარას, ეს უკანასკნელი კი, როგორც ცნობილია, ბატონყმობის საფუძველია.

ჩვენში, ისე როგორც დასავლეთ ევროპაში, ყმა-გლეხობის ჩამოყალიბება ძირითადად ორი გზით უნდა მომხდარიყო – მონების განთავისუფლებითა და უფლის მინებზე დასმით (განსაკუთრებით სეფე სახლის მინები) და, უფრო მეტად, თავისუფალ მეთემეთა ცალკე ნარმომადგენლების თუ მთელი თემის დაყმევებით, როგორც სეფე-ქვეყანაში, ისე „პიტიახშის სახლში" თუ ჩორჩანელის, დაფანჩულის, ბაღვაშთა და სხვა დიდებულთა სამფლობელოებში.

დასავლეთ ევროპაში ბატონყმობის განვითარებაში გარკვეული როლი შეასრულა მევენახეობამ. მევენახეობისა და მებაღეობის როლი მნიშვნელოვანი იყო საქართველოს სოფლის მეურნეობაშიც. ზვრებისა და ბაღების გაშენებას დიდი დრო და დიდი შრომა სჭირდებოდა. საბატონო მეურნეობაში, ცხადია, ამ სამუშაოს გლეხები ასრულებდნენ შრომითი ბეგარის საფუძველზე. იგივე ვითარება

[1] ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 161, 167.

– გლეხის მეურნეობაში ვენახისა და ბაღის გაშენება, ხელს უწყობდა გლეხის მინაზე დამაგრებას და შემდეგ მიმაგრებასაც.

ამრიგად, გლეხობა, რომელიც პირველ საუკუნეებში მწარმოებელთა ერთი მცირე ნაწილი უნდა ყოფილიყო, თანდათან გამრავლდა, ჯერ მწარმოებელთა დიდი ნაწილი შეიქნა, შემდეგ კი ბარის მთელ მწარმოებელ საზოგადოებას ეწოდა. როდის მოხდა ეს? – სანამ ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, საჭიროა გაირკვეს: რატომ არის, რომ გლეხი არ იხსენიება V-XV საუკუნეების ორიგინალურ აგიოგრაფიულ და მხატვრულ ლიტერატურაში, აგრეთვე მრავალ საისტორიო თხზულებაში. გლეხი მოხსენებულია მხოლოდ ჯუანშერის თხზულებაში „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა" (ერთხელ), დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან (ორჯერ) და ჟამთააღმწერელთან (ერთხელ). გლეხი არ იხსენიება ლეონტი მროველთან, მატიანე ქართლისაში, სუმბატ დავითისძის თხზულებაში, თამარის ისტორიკოსებთან და ლაშა-გიორგის დროინდელ მემატიანესთან. თამარის პირველმა ისტორიკოსმა იქაც კი არ ახსენა გლეხი, სადაც მისი ხსენება თითქოს აუცილებელიც კი იყო: „გააზნაურდეს ქუეყნისა მოქმედნი, და გადიდებულდეს აზნაურნი და გაჭელმწიფდეს დიდებულნი".[1] XIII საუკუნეში მწარმოებელი საზოგადოების ზოგადი სახელი რომ გლეხია, ეს სადავო არაა, თანაც აქ ნოდებანია ჩამოთვლილი: დიდებული, აზნაური და მოსალოდნელი იყო გლეხი (არის კი ქვეყნისმოქმედი, რომელიც იმ დროს გლეხია). თუ გავითვალისწინებთ, რომ გლეხი ბიბლიის ადრეულ თარგმანებში მიწის მუშის გვერდით ზოგჯერ ნიშნავს უქონელს, ღატაკს, გლახას,[2] მაშინ ცხადი იქნება ფეოდალური წრეების ქედმაღლური დამოკიდებულების „საფუძველი".

ანალოგიური მდგომარეობა ყოფილა ევროპის ფეოდალურ საზოგადოებაშიც, კერძოდ საფრანგეთში. ფ. ენგელსი ამ ვითარებას შემდეგნაირად ხსნის: „Все, что не входит в феодальную иерархию, так сказать, не существует; вся масса крестьян, народа, даже не упоминается в феодальном праве".[3]

ამდენად, გლეხის მოუხსენებლობა საისტორიო თუ სხვა ხასიათის თხზულებებში არ მოწმობს იმას, რომ გლეხი არ არსებობდა,

---

[1] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ., II, გვ. 34.
[2] ი. აბულაძე, შრომები, II, თბ., 1975, გვ. 29.
[3] Архив Маркса и Энгельса, т. X, 1948, с. 280.

ან მცირერიცხოვანი იყო. ტერმინ გლეხს ხმარობენ მხოლოდ მაშინ, როცა მისი შეცვლა სხვა სიტყვით შეუძლებელია: როცა გლეხს ყიდულობენ და ყიდიან, ან საზღაურში გასცემენ, ან ბეგარას ადებენ და სხვა მისთანები. ასეთი ძეგლებია სიგელ-გუჯრები და სამართლის წიგნები. საისტორიო თხზულებებში კი, სადაც იშვიათად ახსენებენ გლეხს, ჩვეულებრივ, დამცირებულის ეპითეტად იყენებენ. ასე მაგალითად, ჯუანშერი V საუკუნის მოვლენების გადამცემისას აღნიშნავს, რომ სპარსელებმა დაიპყრეს ჯორჯანნი ომით და „მიერითგან იქმნეს ჯორჯანნი გლეხად, რომელნი აწ არიან მებეგრენი სპარსთანი".[1] დავითის ისტორიკოსთან: 1. „გლეხთა იხილემცა ოდეს არაბთა მეფენი მოჰყვანდეს ტყვედ", 2. დავითმა „მტუერად დასხნა სპარსნი, ხოლო გლეხად მთავარნი მათნი"[2] (ერთადერთი გამონაკლისია ამ მხრივ ჟამთააღმწერელის ცნობა, რომელიც ეხება XIII საუკუნის შუა ხანებს: „ცხრასა გლეხსა, სრულისა მიწისა მქონებელსა, ერთი ლაშქარს ნარმავალი კაცი შეაგდიან"[3]).

სხვა ვითარებაა თარგმნილ ძეგლებში: ი. აბულაძის ნაშრომში, „ძველი ქართული ლექსიკიდან", რომელშიც გლეხის ეტიმოლოგიაა განხილული, მოტანილია ციტატი გამოუქვეყნებელი თარგმანიდან – „რიფსიმეანთა წამების წიგნიდან", რომელიც „მერვე ს-ზე უადრესი და მეცხრე ს-ზე გვიანდელი არ უნდა იყოს".[4] იქ ნათქვამია: რიფსიმეს სანახავად შეიკრიბნენ: „მთავარნი მათგანნი, იგიცა ერთიერთსა ჰჴდებოდა და სრბით მივიდოდეს ხილვად სიკეთესა მისსა, და აზნაურნი იგი აღრეულად გლეხითურთ ეტენებოდეს"... (იქვე, გვ. 25). ამ შემთხვევაში გლეხს სომხურში „ამბოხ" (დაბალი ხალხი) შეესატყვისება და „ქალაქ ვალარშაპატის დაბალ მასას ეწოდება" (იქვე). X საუკუნის სვანურ მრავალთავში ნათქვამია: „და გამოსნერედ კაცთა და პირუტყვთა და ხეთა, მეფეთა და გლეხთა..." (იქვე). აქ გლეხს სომხურში შეესატყვისება „რამიკ" (მოსახლეობის დაბალი ფენა, გადასახადის გადამხდელი). ი. აბულაძეს გამორკვეული აქვს, რომ გროგოლ ოშკელს (X ს.) სომხურის „შინაკანი" (სოფლის დაბალი მოსახლეობა) უთარგმნია გლეხად (გვ. 28-29). და ბოლოს ი. აბულაძე

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 187.
[2] იქვე, გვ. 342, 351.
[3] იქვე, II, გვ. 235.
[4] ი. აბულაძე, შრომები, II, თბ., 1976, გვ. 25.

ასკვნის: „გლეხი ძველად ჩვენში ხმარებულა ფართო შინაარსით, მოსახლეობის სოციალურად დაბალი ფენის აღმნიშვნელად, და ვიწროთი – ამ დაბალ ფენაში შემავალი ქალაქელი (რიფსიმიანთა წამების მიხედვით) თუ სოფლელი უბრალო ხალხის ანუ „გლეხის" ამსახველად (გრიგოლი ოშკელის თარგმანის მიხედვით").[1] ე. ი. VIII-X საუკუნეების ქართველი მთარგმნელების მიხედვით, რომელთა მიერ სომხური ტერმინები „რამიკი", „ამბოხი" და „შინაკანი" გადმოღებულია ერთი ქართული ტერმინით – „გლეხით", საქართველოს მთელი მწარმოებელი მოსახლეობა გლეხია (არათავისუფალია), რომელიც დაპირისპირებულია აზნაურებთან ანუ ფეოდალებთან.

ადრეფეოდალური ხანის თარგმნილი ლიტერატურის ცნობებს ადასტურებს ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის (IX საუკუნის შუა ხანები) მონაცემები, რომელიც ტაო-კლარჯეთის სამთავროს შეეხება.[2] სამართლის წიგნის მიხედვით სახეზეა ფეოდალთა და გლეხთა კლასი. ფეოდალთა კლასში შედის მაღალი სამღვდელოება, დიდებულები და აზნაურები.

მაღალი სამღვდელოება უპირატესობით სარგებლობს საერო ფეოდალებთან შედარებით. მეფის შემდეგ ყველაზე დიდი პატივით სარგებლობს ეპისკოპოსი, რომელიც, კოდექსის მიხედვით, „მეორე მეფეა" (ძეგლში კათალიკოსი არ იხსენიება, რადგან იგი მხოლოდ ტაო-კლარჯეთს ეხება). ასევე დიდი უპირატესობით სარგებლობს სამართლის მიხედვით მოძღვარი, მღვდელი, მონაზონი, ხუცესი და სხვ. ამ მხრივ საოცრად ემთხვევა ერთმანეთს გიორგი მერჩულეს თხზულებისა და სამართლის წიგნის მონაცემები სამღვდელოების დიდი უპირატესობის შესახებ.

დიდებული დიდი მფლობელია აზნაურისაგან განსხვავებით. დიდებულის სახლის გაყრისას საუხუცესოდ ერთი სოფელია, აზნაურის გაყრისას კი, თუ იგი ყმიანია, მხოლოდ ერთი კომლი გლეხი. დიდებულს არ ხელეწიფების მონაზვნის ან მღვდლის შეპყრობა (ნინააღმდეგ შემთხვევაში მას ჯარიმა გადახდება). დიდებული მეფის ვასალია (პატრონი და ყმა). პატრონს უფლება არა აქვს ყმა გაძარც-

---

[1] ი. აბულაძე, შრომები, II, გვ. 29.

[2] ჩვენ ვემხრობით იმ აზრს, რომლის მიხედვით სამართლის წიგნი ეკუთვნის ბაგრატ I კურაპალატს (IX ს.).

ვოს (ასეთ შემთხვევაში პატრონმა ყმას 12 გლეხი უნდა დაუურვოს). დიდებულს „უსამართლოდ" პატრონისაგან ნასვლა არ შეუძლია (თუ მაინც წავიდა, ყმამ პატრონს 12 გლეხი უნდა „შეუკაზმოს").[1] ამ ორი მუხლიდან ისე ჩანს, თითქოს პატრონსა და ყმას შორის ხელშეკრულება იდებოდა, რომლის დარღვევა „უსამართლოდ" არც ერთს არ შეეძლო. დიდებულის მოკვლის შემთხვევაში „საპირო" (შესარიგებელი) 30000 თეთრია (მუხ. 160). ცხადია, მთელი სისხლის ფასი რამდენჯერმე მეტი იქნებოდა, მაგრამ ის მუხლი აკლია სამართალს.

აზნაურები სამართლის წიგნში ორი კატეგორიაა: ტაძრობილი და უტაძრო. ორივეს ცალ-ცალკე აქვს სისხლი და „საპირო" გაჩენილი („საპირო" ტაძრობილისათვის – 17000, ხოლო უტაძროსათვის – 12000. მუხლი 160).

ბაგრატის სამართლის მიხედვით, მწარმოებელთა საზოგადოებას გლეხი ეწოდება. მას თავისუფლება დაკარგული აქვს. ეს ჩანს იქიდან, რომ გლეხებს ასხვისებენ, „სისხლში" აძლევენ, ჯარიმის საზღაურად იხდიან და სხვ. ასე მაგალითად: „სადაცა მაცხოვრისა ხატი ესუენოს სამცველოდ ქუეყანისა, საუპატიოდ ოცდაათი გლეხი მართებს, თორმეტი – ყოვლად წმიდისა, თორმეტი – მთავარანგელოზთა, თორმეტი – სხუათა წმიდათა მღვდელთმოძღუართა, მოციქულთა, წმიდის გიორგისა, ნათლისმცემლისა და სხუათა წმიდანთა" (მუხ. 121). შემდეგ: „თუ (საპატიო) დიაცსა აგინოს, თორმეტი გლეხი დაუურვოს მარტივითა სახსრითა" (მუხ. 130). გლეხი ჯარიმის საზღაურად დასახელებულია აგრეთვე 148-149 მუხლებში, რომლებიც ზემოთ უკვე მოვიტანეთ. გლეხი დასახელებულია აგრეთვე 153-ე მუხლში (აზნაურის გაყრისას სახუცესო ერთი გლეხი). დაბოლოს, გლეხი დასახელებულია 160-ე მუხლში: გლეხის სისხლის „საპირო" 7000 თეთრია. თუ ამ უკანასკნელ მუხლს არ მივიღებთ მხედველობაში, გლეხის პიროვნებისა და მისი საკომლოს და სხვ. დაცვის შესახებ სამართალში არაფერია ნათქვამი. სამართლის წიგნი თავგამოდებით იცავს ეპისკოპოსებსა და ეკლესიის სხვა მსახურთ, დიდებულებს, აზნაურებს, გლეხი კი იმდენად არსებობს ამ სამართალში, რამდენადაც იგი საჭიროა გაბატონებული ფენების ინტერესების დაცვისა თუ მათი ქონებრივი მდგომარეობის განსაზღვრისათვის.

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედ., I, გვ. 468, მუხ. 148, 149.

სოციალური ფენებიდან სამართლის წიგნში დასახელებულია აგრეთვე დიდვაჭარი. იგი დასახელებულია იმათ რიგში, ვინც მოსამართლედ შეიძლებოდა ყოფილიყო. მოსამართლედ მოძღვრისა და „მეფეთა წინაშე ზრდილი და ნამყოფი კაცის" გვერდით დასახელებულია აგრეთვე „კარგი სოფლისა მამასახლისი" (მუხლი 100).

სამართლის წიგნში მოხსენებული არ არის ფეოდალური საზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფენა – მსახური. მსახურთა ფენის არსებობა წყაროებით დადასტურებულია V საუკუნიდან. ამდენად, სამართლის წიგნში მსახურთა მოუხსენებლობა არ შეიძლება აიხსნას მათი არარსებობით. ხომ არ აკლია სამართლის წიგნს ის მუხლები, რომლებშიც შეიძლება მსახური ყოფილიყო მოხსენებული? ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სამართლის წიგნს უნდა აკლდეს ზოგიერთი მუხლი. მაგრამ სამართალში მსახური რომ ხსენებული ყოფილიყო, სადმე მაინც გამოჩნდებოდა, რადგან სამი ნოდება – დიდებული, აზნაური და გლეხი ხშირადაა მოხსენებული სხვადასხვა მუხლში და სხვადასხვა სიტუაციაში. მაგალითად, სამართალში დიდებული ნახსენებია შვიდჯერ, აზნაური თერთმეტჯერ და გლეხი ცხრაჯერ. 160-ე მუხლში, რომელშიც განსაზღვრულია „საპირო" დიდებულის, ორი კატეგორიის აზნაურის და გლეხის, ცხადია, უნდა ყოფილიყო „მსახურიც", თუ ის ცალკე ნოდება იყო და ცალკე სისხლი ჰქონდა. შემდეგ: ერთმანეთზე მიყოლებულ სამ მუხლში მოცემულია დიდებულის, აზნაურის და გლეხის გაყრის წესი (მუხ. 153, 154, 155), მსახური არ ჩანს. ხომ არ შეიძლება, რომ მსახურნი არ იყრებოდნენ? ჩვენი აზრით, ამის ერთადერთი მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ის გლეხთა წოდებაში იგულისხმება. ბაგრატის სამართლის შედგენის დროისათვის ის ჯერ კიდევ არ არის ისე დაწინაურებული, რომ მებეგრე გლეხისაგან ცალკე გამოყონ და ცალკე სისხლი დაუდგინონ. ჩვენი აზრით, მსახურთა დაწინაურებასა და ერთგვარ აღზევებას ადგილი აქვს ერთიანი მონარქიის არსებობის ხანაში, XI-XII საუკუნეებიდან, როცა დიდი სახელმწიფოს ბრწყინვალე სამეფო კარს მრავალრიცხოვანი მოხელე მსახურები სჭირდებოდა. ასევე, წარმატებით წარმოებულმა ომებმა, რომლებშიც მსახურებიც მონაწილეობდნენ, საშუალება მისცა მსახურებს ქონებრივი თუ სოცილაური აღზევებისა, რაც აისახა კიდეც მისი სისხლის ფასის გადიდებაში მებეგრე გლეხთან შედარებით (ბექა-აღბუღას სამართალი, ძეგლის დადება,

ვახტანგის სამართალი და სხვ. თუმცა, წოდებრივად მაინც გლეხთა კლასში დარჩნენ). აღნიშნული ვითარება შესაძლოა მიუთითებდეს ძეგლის შედგენის დროზეც – ერთიანი მონარქიის წინარე ხანაზე.

ბაგრატის სამართლის წიგნზე მსჯელობის დასკვნად შეიძლება ითქვას, რომ სამართალში წარმოდგენილია ფეოდალური საზოგადოების ორი ძირითადი კლასი – ფეოდალები (დიდებული, აზნაური) და გლეხობა; აგრეთვე განვითარებული ვასალიტეტი (მეფე-დიდებული-აზნაური), რომელიც სენიორალურ სისტემასაც გულისხმობს. ამდენად, სამართალში წარმოდგენილია ბატონყმური ურთიერთობის საზოგადოება, რომელიც განვითარებული ფეოდალიზმის ეტაპზე იმყოფება.[1]

აქ განხილულ სხვადასხვა ხასიათის წყაროთა მონაცემებს ემოწმება და ადასტურებს ქართული დოკუმენტური წყაროებიც. ჩვენს დრომდე მოღწეული პირველივე საბუთით, ფავნელის დანერილით (IX ს.), დოკუმენტურად დასტურდება ბაგრატის სამართალში წარმოდგენილი სამივე ნოდება: დიდებული, აზნაური და გლეხი.[2] დიდმა ფეოდალმა ფავნელმა შიომღვიმეს მიჰყიდა ოთხი სოფელი იქ მცხოვრები მოსახლეობით და ორი გლეხი. ეს სოფლებია: ცხევერეთი, გველდესი, გავაზელნი და კოტმანი; ქვემო გველდეს კი მიჰყიდა „ორი გლეხი: შულიასძე და ტარიკასძე". საფასურში მიიღო „ოცდაათი ლიტრა ოქრო, ოცდაათი ლიტრა ვერცხლი ნმინდისა შიოს კუბოსა შემონაყარი"... და სხვ. (გვ. 3). შემდეგ მემღვიმემ აფხაზთა და კახთა მეფეთაგან (როგორც ჩანს, ქართლი მაშინ მათ ხელში იყო)

---

[1] მ. ლორთქიფანიძის აზრით, ბაგრატის სამართალი განვითარებულ ფეოდალურ საზოგადოებას ასახავს. მხოლოდ მას მიაჩნია, რომ სამართლის წიგნი XI საუკუნის ძეგლია და არა IX საუკუნისა. იხ. მ. ლორთქიფანიძე, სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XII ს. საქართველოში (ბატონყმობის გამარჯვების საკითხისათვის), კრებ.: საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 32-50.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედ., II, გვ. 3-5, საბ. № 2. ამ გამოცემაში წარმოდგენილი № 2 საბუთი არ არის დამოუკიდებელი საბუთი. იგი № 1 საბუთის მინაწერია (შემონახულ პირშიც ერთადაა წარმოდგენილი). ამ ნასყიდობის წიგნის ნამდვილობა დასტურდება გიორგი II-ის 1072 წლის შიომღვიმისადმი მიცემული სიგელით, გიორგი III-ის 1170 წლის შიომღვიმისადმი მიცემული შეუვალობის განახლების სიგელით და ქართლის ერისთავის გრიგოლის დაწერილით (1245-1250 წწ.), იხ. ქართული სამართლის ძეგლები, II, № 6, 9, 18.

„თავისუფლობისა ბრძანება“ მოიპოვა და ფავნელთაგან ნასყიდი სოფლები და გლეხები შეუვალი გახადა (ე. ი. იმუნიტეტი მოიპოვა).[1] აქ დასახელებული სოფლების მცხოვრებნი, როგორც ჩანს, გლეხებია (არათავისუფალი მწარმოებლები), რადგან შესაძლებელი ყოფილა მათი გაყიდვა. მათვე ადევთ შრომითი და ნატურალური ბეგარა (ღალა) შიომღვიმის მონასტრისადმი. რადგან მონასტერს შეუვალობა აქვს, ახლად ნასყიდი სოფლის გლეხები მონასტრის სასამართლოსა და ადმინისტრაციას ემორჩილებიან. ზემოდასახელებული სოფლებისა და აგრეთვე მღვიმის სხვა სოფლების მცხოვრებნი რომ მართლაც გლეხებია, ეს პირადპირაა ნათქვამი გიორგი II-ის 1072 წლის შეუვალობის განახლების სიგელში. გიორგი II-მ განუახლა მღვიმეს შეუვალობა და გაათავისუფლა სახელმწიფო გადასახადებისაგან „სოფელნი და აგარანი მათნი“: „აგარა ციხედიდს, გლეხნი და მინაი – ნიჩბისს, გლეხნი და მინაი – კოდალს, და წინარეჴს, და შუარეჴს, ადლეთს, შედარს, და ძუელ ღრდულეთს, და ცხირეთს ცხევერი და გავაზელნი, გუელდესი და კოტმანი, კლდეკართა ქუეშე ბორცუის ჯუარი და ბჭითი, ზეგანთა მოუგონელნი სვინეთს და ფურჴიდს“ (ძეგლები, II, გვ. 10). ასეთსავე ვითარებას ვვარაუდობთ ჩვენ ქართლის სხვა სოფლებშიც.

მელქისედეკ კათალიკოსის დანერილიდან ჩანს, რომ მას სვეტიცხოვლის ეკლესიისათვის შეუმატებია თავისი „მოგებული“ (შენირული და ნასყიდი) 135 სოფელი თავიანთი მცხოვრებლებით და ორი მონასტერი. ამას გარდა „კაკს ვაჭარნი იბ“ (12), „თეძს გლეხნი სამნი ფუძითა სრულითა“, „ოტათლოანს გლეხი ა, ციხედიდს გლეხი ა, ორნივე ფუძითა სრულითა“ და სხვ.[2]

XI საუკუნის ნიკორწმიდის იადაგარიდან ჩანს, რომ ნიკორწმიდელს თავისი ეკლესიისათვის შეუძენია (შენირული და ნასყიდი) 33 გლეხი სხვადასხვა სოფელში (რაჭაში, ოკრიბასა და სხვა ადგილებში), რომელთაც ადევთ ბეგარა.[3]

---

[1] „მითავისუფლებიან მეფეთა და დედოფალთაგან, და დიოფალთაგან და დიდებულთაგან, აზნაურთა და მათთა ცოლთაგან; მითავისუფლებიან ყოველივე ხელოსანთაგან“... (სამართლის ძეგლები, II, გვ. 4).

[2] ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 18-20.

[3] იქვე, გვ. 27-34; **მ. ბერძნიშვილი**, ნიკორწმიდელის „დანერილი“, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნ. 34, 1962.

1123 წლის დავით აღმაშენებლის ანდერძში შიომღვიმისადმი ნათქვამია: ანდერძი არ შეცვალოს არავინ „ანუ მეფემან, ანუ მთავარმან, ანუ ეპისკოპოსმან, გინა მონაზონმან, გინა ჴელისუფალმან ვინ, თუნდა გლეხმან და თუნდა აზნაურმან".[1] აქ ორ მოპირდაპირე ნოდებად, თანაც მთელი საქართველოს მასშტაბით, დასახელებულია გლეხი და აზნაური.

თუ დავით აღმაშენებლის ზემომოტანილ ანდერძში ფეოდალური საზოგადოების ორ მთავარ დაპირისპირებულ ნოდებად დასახელებულია აზნაური და გლეხი, იმავე ეპოქის მეორე ძეგლში, რუის-ურბნისის ძეგლის წერაში (1103 წ.) ასეთ ორ ნოდებად დასახელებულია „აზნაური და მდაბიორი".[2] ეს დადგენილება უნდა წაეკითხათ ხალხისათვის, რომლის დიდი ნაწილი გლეხი იყო, გლეხი კი მოხსენიებული არ არის (არც სხვა მწარმოებელი). ვფიქრობთ, რომ ამ ფრაზაში „მდაბიორი" არ გულისხმობს საზოგადოების რომელიმე კონკრეტულ ნოდებას თუ ფენას. მდაბიორში იგულისხმება სოფლისა თუ ქალაქის დაბალი, მშრომელი მოსახლეობა (გლეხი, მსახური, ხელოსანი, შესაძლოა ნვრილი ვაჭარიც, მთიელები – ეროვანი და სხვ.). ასევე შეიძლება ითქვას „ნვრილი ერისა" თუ „ქვეყნისმოქმედის" შესახებაც (ეს უკანასკნელი ტერმინი უფრო კონკრეტული შინაარსისაა და უმთავრესად გლეხს უნდა მიემართებოდეს).

როგორც აქ განხილული მასალებიდან და მასთან დაკავშირებული მსჯელობიდან ჩანს, უკვე IX საუკუნეში საქართველოს ბარის მწარმოებლები გლეხებად ინოდებიან, IX საუკუნიდან მოყოლებული, როცა პირველად გვხვდება გლეხი იურიდიული ხასიათის დოკუმენტში, იგი ყოველთვის ბეგარავალდებული და არათავისუფალ კაცს ენოდება, რომლის ყიდვა-გაყიდვა კანონით ნებადართულია. გლეხები იყიდება სოფლობით და ცალკე კომლებად, ზოგჯერ უმინოდაც, ხდება მისი შეწირვა ცალკეულად და მთელი სოფლობით, გაიცემა წყალობად, ანდერძით, გასცემენ ჯარიმაში, სისხლის საზღაურად, ექვემდებარება უფალ-პატრონის ადმინისტრაციას და სამართალს და სხვ. რაც შეეხება საქართველოს მთის მოსახლეობას, მათი უმეტესი ნაწილი თავისუფალი მწარმოებელია – ეროვანი, და გადაადგ-

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 17.

[2] იქვე, III, გვ. 123.

ილების თავისუფლებით სარგებლობენ. მაგრამ მთლად თავისუფალნი მაინც არ არიან. ისინი სახელმწიფო ყმებად განიხილებიან და გარკვეული ვალდებულებანი აკისრიათ მის წინაშე (მოლაშქრეობა, მეციხოვნეობა, ზოგიერთი სხვა სამსახურიც...). მთაში ერთიანობის ხანაში გლეხებიც გვხვდებიან, რომლებიც უმთავრესად ეკლესია-მონასტრებისა და დიდი მოხელეების (ერისთავები და სხვ.) ყმობაში იმყოფებიან.

მთის გარდა, თავისუფალი მწარმოებლები ბარის საქართველოშიც, განსაკუთრებით ქალაქებში, უნდა ვიგულისხმოთ. თვით გლეხობაშიც არის გარკვეული ჯგუფები გლეხებისა, რომლებიც განსხვავდებიან გლეხობის ძირითადი ფენებისაგან და გარკვეული შეღავათები თუ ნახევრად თავისუფლება გააჩნიათ. ასეთებად შეიძლება მივიჩნიოთ ნებიერი, გარეთმოსული გლეხი, „მომართებული ყმა" და სხვ.

იყო თუ არა აღიარებული კანონმდებლობით ფაქტობრივი ბატონყმური ურთიერთობა. ე. ი. არსებობდა თუ არა ერთიანი კანონი, რომელიც კრძალავდა გლეხის წასვლას, ან ნასული გლეხის დაბრუნება სავალდებულო იყო თუ არა?

წყაროთა სიმცირის პირობებში პირდაპირი პასუხი ძნელია, ისე კი ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია ასეთი კანონის თუ ცალკეული დადგენილებების არსებობა ადრიდანვე (ნინააღმდეგ შემთხვევაში რა ფასი ექნებოდა გლეხების ნასყიდობის, წყალობის თუ შეწირვის აქტებს).

ბექა-აღბუღას სამართლის ნიგნიდან ვიცით, რომ ოცდაათნლიანი ხანდაზმულობა (წასული გლეხის 30 ნლის განმავლობაში ძებნის უფლება) „პირველადვე დაწესებული" ყოფილა (მუხ. 77), ე. ი. გაცილებით უფრო ადრინდელი, ვიდრე ეს ძეგლია შედგენილი (XIV ს.).

მხითარ გოშის „სომხურ სამართალში" (XII ს.) მწარმოებელი მიწაზე მიმაგრებული ჩანს. სომეხი მკვლევრები ამ საკითხზე დაობენ – მთელ სომხეთს ეხება გოშის ცნობა, თუ მხოლოდ ჩრდილოეთ სომხეთს, რომელიც საქართველოს სახელმწიფოში შედიოდა. ბევრი მკვლევრის აზრით, ეს ჩრდილოეთ სომხეთს ეხება და საქართველოს სახელმწიფოში არსებულ მდგომარეობას ასახავს.[1]

ოცდაათნლიანი ხანდაზმულობის ინსტიტუტი, რომელიც ებრაელთა სამართალში ყოფილა და იქიდან კი ქრისტიანული ქვეყნების

---

[1] **მ. ლორთქიფანიძე**, დასახ. ნაშრ., გვ. 45-48.

სამართალსაც შეუთვისებია,[1] ქართული სინამდვილისთვისაც ადრიდანვე უნდა ყოფილიყო ცნობილი. ოცდაათწლიანი ხანდაზმულობის შესახებ კანონი ბიზანტიაში 491 წლიდან არსებობს (კოლონები, რომელთაც 30 წლის განმავლობაში ეჭირათ მინა საღალოდ, კარგავდნენ სხვა ბატონთან წასვლის უფლებას). ბიზანტიის გავლენით ეს კანონი შესაძლოა საქართველოშიც ყოფილიყო ცნობილი. 692 წლის ტრულის საეკლესიო კრების კანონებში არის მუხლი საეკლესიო მიწების ოცდაათწლიანი ხანდაზმულობის შესახებ (თუ ეკლესია სოფელს ან აგარაკს 30 წლის განმავლობაში ფლობს, შემდეგ მისი წაღება „არავის ჴელეწიფების"). ეს დადგენილება შემდეგ შევიდა სჯულის კანონში, არის იგი ექვთიმე მთაწმიდელის მიერ თარგმნილ „მცირე სჯულის კანონში" (XI საუკუნის დასაწყისი).[2] მართალია, აქ მიწის ჭერის ხანდაზმულობაზეა ლაპარაკი, მაგრამ იგი ერთი მხარეა ხანდაზმულობის იმ ინსტიტუტისა, რომელიც ყოველგვარი ქონების (მათ შორის ყმა-გლეხის) ხანდაზმულობას გულისხმობს. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ხანდაზმულობის კანონი IX-XII საუკუნეების საქართველოშიც უნდა ყოფილიყო მიღებული.[3]

IX ს. ჩვენი აზრით, ბატონყმობის გამარჯვების საუკუნეა. აქედან მოყოლებული იგი არსებობდა საქართველოში, ზოგიერთი სახეცვლილებით, თვით XIX საუკუნის 60-იან წლებამდე.

ფეოდალიზმის ბატონყმური ეტაპი საქართველოში ორ პერიოდად შეიძლება გაიყოს. პირველი პერიოდი მოიცავს IX-XIV საუკუნეების – საქართველოს გაერთიანებისა და ერთიანი მონარქიის ხანას, როცა ბატონყმობა, დასავლეთ ევროპის ქვეყნების მსგავსად, არ იყო ყოვლისმომცველი და თავისუფალი თუ ნახევრად თავისუფალი მწარმოებლები ჯერ კიდევ არსებობენ, განსაკუთრებით საქართველოს მთიანეთში და აგრეთვე ქალაქებში. მეორე პერიოდი მოიცავს XV-XIX საუკუნის პირველ ნახევარს, საქართველოს პოლიტიკური დაშლილობისა და სენიორალური სისტემის გაღრმავების ხანას, როცა, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მსგავსად, ბატონყმობა

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ნ. II, ნან. II, გვ. 404.

[2] მცირე სჯულის კანონი, ე. გიუნაშვილის რედ., თბ., 1972, გვ. 44.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ნ. II, ნან. II, გვ. 404.

ხდება ყოვლისმომცველი და თავისუფალი მწარმოებელი უკვე აღარ არსებობს (ზოგიერთი მაღალმთიანი რაიონის გამოკლებით), ბატონყმური ექსპლოატაცია უაღრესად მკაცრია და მახინჯ ფორმებ იღებს. იგი მნიშვნელოვნად ამუხრუჭებს საწარმოო ძალების განვითარებას (XVIII საუკუნეში განახლდა ბატონყმობის უღლისაგან განთავისუფლების პროცესი თავდახსნის გზით, მაგრამ იგი იმდენად სუსტია, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების განვითარებაზე არსებით გავლენას ვერ ახდენს).

თსუ შრომები. ტ. 349. 2003. გვ. 128-138.

ბატონყმობისაგან განთავისუფლების ფაქტები საქართველოში (XII-XIII სს.)

დასავლეთ ევროპაში განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში, განსაკუთრებით მის პირველ ეტაპზე, ჯერ კიდევ ძლიერდება და ღრმავდება ბატონყმური ურთიერთობანი. მაგრამ მალე, თითქმის პარალელურად, XI საუკუნის ბოლოსა და XII საუკუნის დასაწყისიდან ქალაქებისა და ფულად-სასაქონლო ურთიერთობათა განვითარებასთან დაკავშირებით იწყება ბატონყმობის შესუსტებისა და შემდეგ გლეხობის ბატონყმობისაგან თანდათანობით განთავისუფლება გადასახადების გამოსყიდვის გზით, ადგილი აქვს აგრეთვე მეფეთა ცალკეულ განკარგულებებს ამა თუ იმ სოფლის თუ სოფლების ჯგუფის განთავისუფლების შესახებ.

XII საუკუნის საფრანგეთში მწარმოებელთა უდიდესი ნაწილი სერვები (დაყმევებული მწარმოებლები) იყვნენ, XIV საუკუნეში კი სერვებს პირადად თავისუფალი მწარმოებლები – ვილანები სჭარბობდნენ (1, 227).[1] დაახლოებით ანალოგიური ვითარებაა ინგლისშიც. XII-XIII საუკუნეებში ჯერ კიდევ მრავლად იყვნენ იქ ვილანები – ასე ეწოდებოდა ინგლისში დამოკიდებულ მწარმოებლებს, XV საუკუნისათვის კი მწარმოებელთა უდიდესი ნაწილი უკვე თავისუფალი იყო (1, 227-228). XII-XIV საუკუნეებში ანალოგიური პროცესი მიმდინარეობდა დასავლეთ გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთში და სხვ.

„კლასიკური სერვაჟის" ქვეყანაში, საფრანგეთში, ადგილი აქვს გლეხთა ამოძრავებას და მათ თვითნებურ გადასვლას ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე, კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გლეხთა განთავისუფლებისა მთელს დასავლეთ ევროპაში იყო სნორედ ფარული თუ აშკარა კლასობრივი ბრძოლის გაფართოება (1, 229-230).

მეორე ძირითადი მიზეზი გლეხთა განთავისუფლებისა გამოსყიდვის გზით იყო სენიორთა სურვილი ერთბაშად მიეღოთ დიდი თანხა სერვის განთავისუფლებისათვის (2, 100-101).

გლეხობის პირადი დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ დასავლეთ ევროპაში XII-XIII საუკუნეებში ხდება საბატონო მეურნეობათა შემცირება და, მაშასადამე, მცირდება შრომითი ბეგარა, რომელიც, საფუძველია ბატონყმობისა. ამის შედეგად ზედმეტი ხდება გლეხის მინაზე მიმაგრება. მებატონე მოქმედების თავისუფლებას აძლევს გლეხს, რომელიც სასაქონლო მეურნეობაში ებმება და თავის დასახსნელ ფულს შოულობს.

გლეხთა განთავისუფლების ცალკეული ფაქტები ჩრდილო და შუა იტალიაში აღინიშნება ჯერ კიდევ XI საუკუნის ბოლოდან. პროცესი თანდათან ღრმევდება და ფართოვდება XII-XIII საუკუნეებში. ამის მიზეზი ის იყო, რომ ჩრდილო და შუა იტალიაში ყველაზე ადრე დაინყო ქალაქებისა და სასაქონლო მეურნეობის განვითარება. XIII-XIV საუკუნეებში იტალიაში უკვე არსებობდნენ კერძო მფლობელთაგან და ბატონყმობისაგან თავისუფალი სასოფლო კომუნები. რაც შეეხება იტალიის სამხრეთს – სიცილიის სამეფოს, იქ იმავე ხანებში ადგილი აქვს საპირისპირო მოვლენებს – თავისუფალ მწარმოებელთა დაყმევებას, რაც, როგორც ჩანს, დაკავშირებული იყო ვაჭრობისა და ხელოსნური მრეწველობის დაქვეითებასთან იტალიის სამხრეთში (3, 68-70).

XV საუკუნისათვის დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ბატონყმობა ფაქტობრივად უკვე აღარ არსებობდა (თუმცა მთლიანად კი არ მოსპობილა).

რას ნიშნავს ანუ რას გულისხმობს გლეხთა ეს განთავისუფლება?

აკად. ს. სკაზკინის აზრით, „ზოგადი პასუხი ამ კითხვაზე ძნელი არაა. „განთავისუფლება" ეს არის უშუალო მწარმოებელთათვის პირადი თავისუფლების მინიჭება სამინო და სასამართლო დაქვემდებარების დატოვებით" (1, 231-232). ამდენად, ეს განთავისუფლება არ ყოფილა სრული. ჩვეულებრივ გლეხი თავისუფლდებოდა პირადი დამოკიდებულებისაგან გამომდინარე გადასახადებისაგან, მაგრამ იხდის მინის ჭერასთან დაკავშირებულ გადასახადებს და ემორჩილება სენიორის ადმინისტრაციასა და სასამართლოს, რჩება სენიორის ქვეშევრდომად. განთავისუფლების მოწმობად ითვლება სენიორის მიერ გაცემული დოკუმენტი (ქარტია) გლეხებისადმი. დოკუმენტში ჩამოთვლილია განთავისუფლების პირობები და ის გადასახადები,

რისგანაც თავისუფლდება გლეხი, და ჩამოთვლილია ის გადასახადები, რომლებიც მომავალში უნდა გადაიხადოს გლეხმა (იქვე).

გლეხთა განთავისუფლების პირობები დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, თუ ამა თუ იმ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა იყო. ხანდახან პირად თავისუფლებას იღებდა გლეხი, თუ დატოვებდა ყოველგვარ უძრავ-მოძრავ ქონებას ან მემკვიდრეობით „ჭელს", ვთქვათ, მამასახლისობას ან „მეიერისას", რომლისგანაც მას გარკვეული შემოსავალი ჰქონდა; ხანდახან სენიორი ათავისუფლებდა სერვს ახალი ფულადი გადასახადების დაკისრების შემდეგ. ასე მაგალითად, ტიბო შამპანელმა თავისი ხუთი სოფლის გლეხები გაათავისუფლა (1261 წ.) იმ პირობით, რომ ყოველი გლეხი ამიერიდან გადაუხდის ბატონს ერთ სანყაო ქერს და ექვს „დენიეს" ფულად. ან კიდევ პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის 12 გლეხი გაანთავისუფლეს იმ პირობით, რომ მათ ამიერიდან უნდა გადაიხადონ ორმაგი „ცენზი" (განსხვავებით ადრინდელი ერთმაგისა). ან კიდევ: სოფ. როზუას გლეხები თავისუფლდებიან იმ პირობით, რომ ყოველწლიურად უნდა გადაიხადონ „ცენზი" 18 ლივრის ოდენობით (1, 233).

განთავისუფლებულ გლეხს შეუძლია წავიდეს და ქალაქში დასახლდეს, ან მოხელე გახდეს, ან კიდევ რაინდად ეკურთხოს. შეძლებული გლეხი ხანდახან ახერხებს თავისი ბატონის ვასალად გახდომას. მაგრამ არ უნდა გადავაჭარბოთ განთავისუფლების მნიშვნელობა, აღნიშნავდა აკად. ს. სკაზკინი. ზოგიერთი გადასახადი, როგორც უკვე აღინიშნა, რჩება გლეხს, მათ შორის სასამართლო, სასმელის გადასახდელი, ბაჟები და სხვ. ამგვარად, სრული თავისუფლება იშვიათი იყო, უფრო ხშირად ეს იყო გადასახადების შემცირება და ზოგიერთი მათგანის ფულით შეცვლა. გამოსასყიდი თანხის სიდიდე და დარჩენილი გადასახადები ხშირად უფრო მძიმე მდგომარეობაში აგდებდა გლეხებს, ვიდრე ადრე იყვნენ ისინი. მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ გლეხმა პირადი თავისუფლება და წასვლის უფლება მოიპოვა.

საქალაქო ცხოვრებისა და სასაქონლო-ფულადი მეურნეობის განვითარება ჩვენში IX-X საუკუნეებში იწყება, მაღალ განვითარებას კი XI-XII საუკუნეებში აღწევს. ე. ნ. „ახალქალაქების" ხანა სწორედ IX-X საუკუნეებში იწყება. პარალელურად ადგილი აქვს შრომითი და ნატურალური ბეგარის ფულადი რენტით შეცვლის ფაქტებს და,

საერთოდ, ფულადი რენტის მნიშვნელოვან ზრდას, რაც გულისხმობს გლეხის ბაზართან დაკავშირებას; ადგილი აქვს გლეხობაში ქონებრივ დიფერენციაციას. კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას. ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ საქართველოშიც უნდა ჰქონოდა ადგილი გლეხობის მისწრაფებას ბატონყმობის უღლისაგან განთავისუფლებისათვის გადასახადების გამოსყიდვისა თუ სხვა გზით. გ. აკოფაშვილის აზრით, XII საუკუნეში „მიმდინარეობს გლეხთა ქონებრივი დიფერენციაციის მკვეთრი გაღრმავება... (გლეხი) ცდილობს მოიშოროს ქედიდან ბატონყმური უღელი სათანადო საფასურის გაღებით... გლეხობა ცდილობს მდგომარეობის შემსუბუქება მოიპოვოს ანდა სრულიად გაექცეს ბატონყმურ ჩაგვრას“ (4, 72).

დ. მეგრელაძის აზრით, XIII საუკუნის „თავისუფალი გლეხები (თავისუფალი მუშახელი) უცხო არ უნდა ყოფილიყო მონღოლებამდელ საქართველოში, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ ქვეყნად მზადდებოდა წინამძღვრები სოციალურ-ეკონომიკური ძვრებისათვის, მაგრამ საგარეო ფაქტორი განვითარებას ამუხრუჭებდა“ (5, 163).

გლეხობის ფულად-სასაქონლო მეურნეობაში ჩაბმის ფაქტად შეიძლება დავასახელოთ სამცხეში ალის მონასტრის შემოსავლის ნუსხა, მიცემული ბოცო (ჯაყელის) მიერ XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე. ნუსხაში ჩამოთვლილია მონასტრის გლეხები, რომელთაც ადევთ მხოლოდ ფულადი გადასახადი:

1. ქენიდარას ასორმოცდახუთი თეთრი
2. სალასძესი – 40
3. ვალელასძესი – 65
4. ბარსაბსამან – 50
5. ნამორამან – 24
6. ვაქებჭესა აძეს – ?
7. ცელაფოარამან – 24
8. ხევრადოლამან – 34
9. თორაომ – 34
10. ქედათირასი –
11. ქორაქოლორამან – 34
12. საწაფეთა – 20 (6, 28-29).

დ. მეგრელაძის გამოანგარიშებით სამცხეში „24 „მინა“ იძლევა 1500 თეთრს (საშუალოდ 80 თეთრი თითო „მინიდან“). ცალკეული

პირები მონასტრებს... უხდიან 40, 160, 300 თეთრის ცვილს და ა. შ." (5, 163).

ალის მონასტრის სხვა საბუთებიდანაც ჩანს, რომ ამ მონასტრის გლეხების გამოსაღებში ჭარბობს ფულადი რენტა (არის ნატურით გადასახადიც) (6, 31-32). ეს და სხვა ფაქტები უთუოდ მოწმობს გლეხის ბაზართან კავშირს.

რაც შეეხება კლასობრივ ბრძოლას, იგი გამწვავებულია. ამის მონმობაა გლახაკთა ფენის მნიშვნელოვნად გამრავლება XII საუკუნის საქართველოში და სახელმწიფო შემოსავლის მეათედის გამოყოფა გლახაკთათვის, რაც ჯერ კიდევ IX საუკუნეში ტაო-კლარჯეთში შემოღებული ღონისძიების განახლება იყო. ასევე, კლასობრივი ბრძოლის გამწვავებისა და გაღრმავების მოწმობაა მეკობრეობის გაძლიერება და მის წინააღმდეგ მიღებული მკაცრი ღონისძიება გიორგი III-ის მიერ (7, 147; 8, 69).

XI-XIII საუკუნეების საქართველოში გლეხთა დიდ აჯანყებასაც ჰქონდა ადგილი. 1028 წელს სამხრეთ საქართველოში, კერძოდ შავშეთ-კლარჯეთში, მოხდა „წვრილი ერის" აჯანყება. როგორც ვ. გაბაშვილმა გამოარკვია, „XI ს. ქართველი ისტორიკოსები (სუმბატ დავითისძე და „ქართლის მატიანეს" ავტორიც) აჯანყებულებს შორის გულისხმობენ არა მარტო „წვრილ ერს" საზოგადოდ, არამედ გლეხებსაც" (9, 235). ვ. გაბაშვილის აზრით, შავშეთ-კლარჯეთის ამ აჯანყების ძირითადი ბირთვი სწორედ პირადთავისუფლებადაკარგული გლეხობა იყო, რომელიც იბრძოდა თავისუფლების მოპოვებისა თუ შენარჩუნებისათვის (რომელთაც იგი ჯერ კიდევ გააჩნდათ), თანაც, გლეხობის ეს აჯანყება საკმაოდ მრავალრიცხოვანი ყოფილა და საკმაოდ დიდხანსაც გაგრძელებულა – 1030-1031 წლებშიც ეს ბრძოლა არ ყოფილა დამცხრალი. „ყველა ნიშნის მიხედვით ეს იყო გლეხთა ერთ-ერთი ყველაზე დიდი აჯანყება ფეოდალური საქართველოს ისტორიაში" – ასკვნის ვ. გაბაშვილი (9, 240-241).

დიდ აჯანყებას ჰქონდა ადგილი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში თამარის მეფობის ბოლო ხანებში. „ისტორიანი და აზმანის" ავტორის თქმით, თამარის მეფობაში „იწყეს მთეულთა განდგომად, კაცთა ფხოველთა და დიდოთა" (7, 111). ისინი იბრძოდნენ ფშავ-ხევსურეთში ფეოდალურ ურთიერთობათა დანერგვის წინააღმდეგ და კლავდნენ და ძარცვავდნენ მთავრობის მოხელეებს. მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო. მემატიანის თქმით, დიდოელთ და ფხოველთ

„იწყეს რბევად და ხოცად და ტყუეობად ცხადად და ღამით“ (იქვე). თამარ მეფის ბრძანებით მოენყო დიდი ლაშქრობა ივანე ათაბაგის მეთაურობით. დიდი ლაშქარი, რომელშიც მონაწილეობდნენ დვალნი, ცხრაზმელნი, მოჯევენი, ჯადელნი, ცხავატელნი, ჭართალნი, ერწოთიანელნი და დურძუკეთის ლაშქარი, სამი თვე მოუნდა აჯანყების ჩაქრობას. ათაბაგის ლაშქარმა „იწყეს ბრძოლად, და რბევად, და კვლად, და ტყუებად და დაწუათ“ (7, 111). აჯანყებულები დამარცხდნენ. მათ ათაბაგს მძევლები მისცეს და კვლავ „აღუთქვეს მსახურებად ხარაჯა“ – სახელმწიფო გადასახადი (10, 152).

გლეხობის ბრძოლა ბატონყმობის წინააღმდეგ ბარში და მთიელთა ბრძოლა საერთოდ ფეოდალური ინსტიტუტებისა და მეფის მოხელეების წინააღმდეგ – ეპოქის მოთხოვნა იყო. ბატონყმური ურთიერთობანი, ქალაქებისა და სასაქონლო-ფულადი მეურნეობის განვითარების პირობებში, მნიშვნელოვნად აფერხებდა სანარმოო ძალების განვითარებას. ამდენად, საქართველოშიც უნდა ვივარაუდოთ დასავლეთ ევროპაში მიმდინარე პროცესების ანალოგიური მოვლენები. აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, XII საუკუნე ეს იყო ქართული ფეოდალიზმის, ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრიობისა და კულტურის მწვერვალი. XIII საუკუნისათვის ქართულმა ფეოდალიზმმა ამონურა განვითარების შესაძლებლობანი. იწყებოდა ახალი ხანა – ფეოდალურ ურთიერთობათა რღვევის ხანა. მისი აზრით, ეს იყო ეპოქა ადრეული რენესანსისა, შოთას „ვეფხისტყაოსანი“ კი ჰუმანისტური იდეების ლიტერატურული გამოხატულება. ვეფხისტყაოსნის ფრაზა – „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები“ (ე. ი. არათავისუფალი მწარმოებლები – ალბათ გლეხებიც), უთუოდ არის იმდროინდელი მოწინავე საზოგადოებრიობის ჰუმანისტურ შეხედულებათა ანარეკლი.

იმავე შეხედულებათა გამოხატულებაა სტროფი:

„ფილოსოფოსნი შემოკრბეს
ამაზედ ჰქონდათ ცილობა:
პატრონი ყმასა რითა სჯობს
და ჭკუას გამოცდილობა?
ათასად გვარი დაფასდა,
ათი ათასად – ზრდილობა,
თუ კაცი თავად არ ეარგა,
ცუდია გვარიშვილობა“ (11, 96).

ნ. მარს ეს ლექსი შოთა რუსთაველისად მიაჩნდა. შერმადინ ონიანმა მონოგრაფიულად შეისწავლა ეს სტროფი და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი შოთა რუსთაველს უნდა ეკუთვნოდეს (11, 96) ნ. ბერძენიშვილი ფიქრობდა, რომ „მარი იმაში მაინც მართალია, რომ ეს აზრი და ლექსიც XII საუკუნის ნაყოფია, და თუ შოთასი არაა, შოთას შაირით შექმნილი კია... რაც შეეხება ლექსში მოცემულ აზრს, ის ყველაზედ უფრო სწორედ ამ სოციალური შფოთის ხანაში შეიძლება ნარმოშობილიყო... ეს ლექსი მთელი ამ ეპოქის (XII ს. – გ. ჯ.) ქართული ჰუმანიზმის პოლიტიკური შინაარსია“ (12, 82-83).

ქართული წყაროების დიდი ნაწილის დაღუპვის გამო ჩვენთვის საინტერესო ფაქტებს ცოტას მოუღწევია. ასეთ ფაქტებად მე მიმაჩნია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მონათხრობი დავითის ერთი ღონისძიების შესახებ და დავით ნარინის სიგელი ხეფინისხეველთა და წაქველთადმი.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის გადმოცემით, დავითმა „განათავისუფლნა არა მონასტერნი ოდენ და ლავრანი მოსაკარგავეთა მაჭირვებელთაგან, არამედ ხუცესნიცა სამეფოსა შინა მისსა ყოვლისა ჭირისა და ბეგარისაგან, რათა თავისუფალთა საღმრთო მსახურება მიუპყრან ღმერთსა“ (13, 353). დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ეს ცნობა არ ყოფილა უყურადღებოდ დატოვებული ჩვენს ისტორიოგრაფიაში.

გ. აკოფაშვილის აზრით, ამ ცნობაში ჩანს, რომ დავითი „ათავისუფლებს მონასტრებსა და ლავრებს არა მარტო ამ მოსაკარგავეთა შესვლისაგან საეკლესიო სენიორების შიგნით, არამედ „ყოვლისა ჭირისა და ბეგრისაგანაც“, ე. ი. ყოველგვარი სახელმწიფო გადასახადებისაგან და ვალდებულებებისაგან ათავისუფლებს საეკლესიო პირთ, რათა მათ „მსახურება მიუპყრან ღმერთსა“ (4, 62). მაშასადამე, მკვლევარი ამ ცნობაში მონასტრებისა და მათ მსახურთა სახელმწიფო გადასახადებისაგან შეუვალობის მინიჭებას ხედავს. განსაკუთრებული აზრი აქვს რ. მეტრეველს. მისი აზრით, დავითის ისტორიკოსის ცნობიდან „ნათელია, რომ დაბალი რანგის სამღვდელო პირებს თავისუფლება გარკვეულ პერიოდში დაკარგული ჰქონდათ და გლეხების მდგომარეობაში ყოფილან. დავით აღმაშენებლს მათთვის ბეგარა ამოუკვეთია და თავისუფლება მიუნიჭებია“ (14, 296-197). ჩვენ ვიზიარებთ ამ შეხედულებას.

ჩვენი აზრით, ამ ერთ წინადადებაში ორ მნიშვნელოვან მოვლენაზეა საუბარი:

1. დავითმა მონასტერნი და ლავრანი გაათავისუფლა „მოსაკარგავთა მაჭირვებელთგან" – საგადასახადო უწყების სახელმწიფო მოხელეთაგან. ე. ი. სახელმწიფო გადასახადების შეუვალობა უბოძა.

2. მთელი საქართველოს („სამეფოსა შინა მისსა") სოფლის ხუცესნი (მღვდელნი) გაანთავისუფლა „ყოვლისა ჭირისა და ბეგრისაგან". რა თქმა უნდა, ეს ხუცესნი არ არიან მონასტრის ბერები, ან მხოლოდ სამეფო სოფლების ხუცესნი. საქმე მთელ საქართველოს ეხება და ისინი სხვადასხვა დიდებულების (ბაღვაშების, აბულეთისძეების, ტბელების, ჯაყელების და სხვების და სხვების) ყმები არიან და ბეგარას იხდიან. მათი ყოველგვარი ბეგრისაგან განთავისუფლება დიდი სახელმწიფოებრივი ღონისძიება იყო და გულისხმობდა კერძო ფეოდალთა ყმობიდან სოფლის ხუცესთა (მღვდელთა) განთავისუფლებას, ბეგრისაგან განთავისუფლება პირადი დამოკიდებლობიდან განთავისუფლებასაც ნიშნავდა, ბეგრის დადება კი – გაგლეხებას, ანუ პირადი თავისუფლების დაკარგვას. ასე იყო ეს დასავლეთ ევროპაში და ასე იყო საქართველოშიც.

ამ მხრივ საინტერესოა ჯუანშერის ცნობა, რომლის მიხედვით დაპყრობა და ბეგარის დადება გაგლეხებას ნიშნავს. ჯუანშერი მოგვითხრობს: სპარსელებმა დაიპყრეს ჯორჯანნი „და მიერითგან იქმნნეს ჯორჯანნი გლეხად. რომელნი ან არიან მებეგრენი სპარსთანი" (13, 187).

ეს ცხადია, დიდი სახელმწიფოებრივი ღონისძიება იყო. მას დავითის სხვა დიდ ღონისძიებებთან ერთად (ეკლესიის გაწმენდა მონინააღმდეგეთაგან, ჭყონდიდელისა და მწიგნობართუხუცესის თანამდებობათა შეერთება, სააჯო კარი და სხვ.) პოლიტიკური მიზანი უნდა ჰქონოდა – სოფლის სამღვდელოების თავის დასაყრდენად გადაქცევა.

იგივე მნიშვნელობისა უნდა იყოს დავით ნარინის 1261 წლის სიგელი ხეფინისხეველთა და ნაქველთადმი. სიგელში ნათქვამია, რომ ჯერ კიდევ გიორგი III-ისაგან ჰქონიათ მიცემული სიგელნი „შეწყალებისა და შეუვალობისანი"; დავითის სიგელი ამ შეწყალების განახლებაა. დავითი ბრძანებს „შევინყალენით და სიგლითა ამით ჩვენცა დაუმტკიცეთ და შეუვალი ვქმენით და გამოვიყვანეთ ყოვ-

ლისა შესავლისაგან: სახელმწიფოისა, საერისთავთ-ერისთავოისა და საჴელისუფლოისა" (8, 168). დავითის დადებული უნდა იყოს მხოლოდ საკლავის გადასახადი ქათმის სახით. თუ გლეხები უნებართვოდ ტყეში ნადირს მოკლავდნენ, ტყისმცველთაგან დაისჯებოდნენ. ჩვეულებრივ, გადაახდევინებდნენ ტყისმცველთა „გარეთ, შიგა ნუ ჩაუდგებიან... თუ კაცი მოკლან ცეცხლისა შეუდებლობაი და მოურბევლობაი, ვითა გიორგი მეფისაგან ბოძებულსა სიგელსა შიგან უნერია – ყე, ჰაგრე იყოს და იგინი დაუურველობასა ნუ იქნმენ" (8, 168).

სიგელიდან ჩანს, რომ გიორგი III-ს ეს ორი სოფელი გაუთავისუფლებია ყოველგვარი გადასახადისაგან და მოხელეებსაც კი არ ჰქონდათ იქ შესვლის უფლება. თუ დასავლეთ ევროპის სათანადო ფაქტების ანალოგიას გავითვალისწინებთ, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს ორი სოფელი გიორგი III-მ ბატონყმობისაგან გაათავისუფლა, ეს ვითარება დაადასტურა დავით ნარინმა 1261 წელს.

უაღრესად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ე. თაყაიშვილის გადმოცემით დავით ნარინის სიგელის დედანი ხელთ ჰქონია ხეფინისხეველ ერთ გლეხს (8, 167). ეს იყო მოწმობა ამ გლეხების თავისუფლების შესახებ.

ჩვენ არ ვიცით გლეხებმა გამოისყიდეს თავიანთი გადასახადები, თუ რაიმე სხვა დამსახურების გამო ებოძათ თავისუფლება (ასეც ხდებოდა). ის კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას რომ ანალოგიური ფაქტები სხვაც ბევრი უნდა ყოფილიყო, განსაკუთრებით XII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIII საუკუნის დასაწყისში, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო ჩვენი დოკუმენტური მასალის დიდი ნაწილი დაღუპულია.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური აღმავლობა მკვეთრად შეაჩერა მონღოლთა ასწლოვანმა ბატონობამ და შემდეგ თემურლენგისა და სხვა დამპყრობელთა შემოსევებმა. საქართველო ეკონომიკურად დაქვეითდა და პოლიტიკურად დაიშალა, ბატონყმობისაგან განთავისუფლების ახლად დაწყებული პროცესი დიდი ხნით შენყდა, სამთავრო-სენიორალური სისტემა კვლავ გაღრმავდა, ბატონყმობამაც უფრო მკაცრი და ზოგჯერ მახინჯი ფორმე-

ბიც კი მიიღო („ტყვის სყიდვა" – ადგილობრივი გლეხის უცხოეთში გაყიდვა). მთელი ეს ვითარება საგარეო ფაქტორებმა განაპირობეს.

ლიტერატურა

1. С. Д. Сказкин, Очерки по истории западноевропейского крестьянства в средние века, М., 1968, с. 227.
2. История Франции, т. I. М., 1972.
3. С. М. Каштанов, Крепостное право, СИЭ, т. 8.
4. გ. აკოფაშვილი, ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან XI-XII ს.ს. საქართველოში, თბ., 1984.
5. კრებული „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია", თბ., 1980.
6. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XIII-XIV სს.) თბ., 1982.
7. ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959.
8. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი IX-XIII სს., შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984.
9. ვ. გაბაშვილი, გლეხთა 1028 წლის აჯაყება სამხრეთ საქართველოში, საიუბილეო კრებული „ივანე ჯავახიშვილი", თბ., 1976.
10. საქართველოს ისტორიული ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979.
11. შ. ონიანი, ეკუთვნის თუ არა რუსთველს ლექსი „ფილოსოფოსნი შემოკრიბეს", თბ., 1976.
12. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VII, თბ., 1974.
13. ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1955.
14. რ. მეტრეველი, დავით IV აღმაშენებელი, მეფე თამარი, თბ., 2002.

კრებ. „საქართველოს შუა საუკუნეების
ისტორიის საკითხები". VIII. თბ. 2005. გვ. 112-133.

სამთავრო-სენიორალური სისტემა ერთიანი მონარქიის არსებობის ხანაში (XI-XIV სს.)

ნაშრომის პირველ თავში ჩვენ განვიხილეთ ადრეფეოდალურ ხანაში მსხვილი ფეოდალური მიწათმფლობელობის წარმოქმნის საკითხი და ვცადეთ დაგვემტკიცებინა, რომ როგორც საერო, ისე საეკლესიო სენიორიები ადრეფეოდალური ხანის მეორე ეტაპზე (VII-IX სს.) არსებობდა სისტემის სახით – ე. წ. სამთავროთა სისტემის სახით, არა მხოლოდ საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში, არამედ ბარის მთელ საქართველოში.

აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, „ადრეფეოდალურ ხანაშივე დასრულდა ამ სენიორიების პროგრესულობა: ქვეყნის შემდგომი განვითარება მის გაერთიანებას, სენიორიების მოსპობას გულისხმობდა... სამსაუკუნოვანი ბრძოლა..." (1, 203).

როგორც სენიორალური სისტემა არ იყო პროგრესული ერთიანობის ხანაში, ასევე, ჩემი აზრით, არც ბატონყმობა შეიძლებოდა პროგრესული ყოფილიყო XII საუკუნეში, ქალაქების განვითარების, ხელოსნური მრეწველობისა და ვაჭრობის ფართო განვითარების ხანაში. ქვეყნის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება მოითხოვდა არა მარტო სამთავრო-სენიორალური სისტემის შეზღუდვას, არამედ ბატონყმობის შეზღუდვასაც.

ასე მოხდა კიდეც XII საუკუნის საფრანგეთში და დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში. საქართველოშიც ჰქონდა ადგილი ქალაქური თავისუფალი ვაჭრულ-ხელოსნური მოსახლეობის მნიშვნელოვან ზრდას, განსაკუთრებით, XII საუკუნის მეორე ნახევარში და XIII საუკუნის პირველ მესამედში, მაგრამ ვერც ეს პროცესი მივიდა ბოლომდე ჩვენში...

სენიორალური სისტემა და შრომითი ბეგარა განაპირობებდა ბატონყმობის არსებობას დასავლეთ ევროპაშიაც და ჩვენშიც. დასავლეთ ევროპაში საბატონო მეურნეობის შემცირებამ, რასაც მოყვა

შრომითი ბეგარის შემცირება და ფულადი რენტის ზრდა, ხელი შეუწყო ბატონყმობის შეზღუდვას და შემდეგ, ფაქტობრივად, მის სრულ გაუქმებას. მაგრამ, რადგან საქართველოში ერთიანი მონარქიის ხანაშიც ვერ მოხერხდა სენიორალური სისტემის არსებითი შეზღუდვა, ბატონყმობაც განაგრძობს არსებობას და გაღრმავებასაც კი.

როგორც ცნობილია, ბაგრატ III-მ, დავით აღმაშენებელმა, გიორგი III-მ მთელი რიგი ღონისძიებები გაატარეს მსხვილი ფეოდალების შესაზღუდავად... მეორე მხრივ, ისინი აწინაურებდნენ დაბალი ნრიდან გამოსულ ნიჭიერ და მეფის ერთგულ მოღვაწეებს (მსახურთუხუცესი და ერისთავთ-ერისთავი, „აზნაურის ყმა" აფრიდონი, ამირსპასალარი ყუბასარი და სხვ.).

ჩემი აზრით, სამთავრო-სენიორალური სისტემა ერთიანი მონარქიის ხანაშიც განაგრძობს არსებობას მთელი საქართველოს მასშტაბით რამდენადმე შეცვლილი და ზოგჯერ შეზღუდული სახითაც, მაგრამ ერთიანი მონარქიის არსებობის მთელი ხანა, განსაკუთრებით, XII საუკუნის ბოლოდან, სამთავრო-სენიორალური სისტემის აყვავების ხანადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ. ამდენად, სათავადოთა სისტემის მიჩნევა ნ. ბერძენიშვილის მიერ „სენიორიების მეორე გამოცემად", უნდა გავიგოთ, როგორც მოვლენის გაღრმავება, არსებულის გაგრძელების აზრით, და არა სრულიად ახალი მოვლენის გაჩენა. სათავადო-სენიორია იმ სახით, როგორიც იყო იგი XV-XVIII საუკუნეებში ანუ გვაიანსაშუალო საუკუნეებში იყო ჩამორჩენილობა და არა ადრეფეოდალურ ხანაში – ადრე ის პროგრესულ როლს შეასრულებდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.

საინტერესოა, ივ. ჯავახიშვილის დაკვირვება ტერმინ „თავადზე". ეს ტერმინი წყაროებში XI საუკუნიდან ჩანს (არაა გამორიცხული, რომ მანამდეც იხმარებოდა). „მატიანე ქართლისაში" ნათქვამია, რომ „თავადთა ამის სამეფოსათა ნიანია..., ივანე... და ვარდან სუანთა ერისთავმან... აუშალეს ქვეყანა" (ქ. ცხ., I, გვ. 315-316). ან კიდევ: „სამთა თავადთა განძისათა" (იქვე, გვ. 312) და სხვ. ხშირად იხსენიება ტერმინი „თავადი" თამარის პირველ ისტორიკოსთან: „იხილნა მეფემან... ხელისუფალნი და თავადნი დიდებულნი და აზნაურნი"(ქ. ცხ., II. გვ, 33), თამართან „შევიდნეს თავადნი და დასხდეს წესისაებრ" (იქვე, გვ. 109) და სხვ. ტერმინი „თავადი" ხშირად იხმარება „უამთააღმწერელთანაც": „თავადნი საქართველოსანი" (ქ. ცხ. II, გვ. 155), „ვეზრახნეთ თავადთა იმერთა" (იქვე, გვ. 242) და

სხვ. ივ. ჯავახიშვილის დასკვნით: „თავადი დიდი გვარის უფროსი და თავი ყოფილა, რომ „თავადი" თავდაპირველად ნოდებრივი ღირსება არ იყო და „თავადის" ყოველი მახლობელი ნათესავიც კი „თავადად" არ ითვლებოდა, არამედ მხოლოდ თვითონ ის პირადად, ეს XVIII საუკუნემდე კარგად ყოფილა შენახული „დიდებული თავადის ცნებაში" (2, გვ. 219). ე. ი. თავადი დიდებულის ანუ მთავრის (სამფლობელოს) უფროსი იყო. ივ. ჯავახიშვილის დასკვნით, „როგორც მთავრისაგან მისი საბრძანებელის აღსანიშნავად „სამთავრო" იყო ნაწარმოები, ისევე „თავადი"-სგან წარმომდგარია „სათავადო" (2, გვ. 218).

ტერმინი „სათავადო" ტერმინი „სამთავროს" სინონიმად დადასტურებულია XII ს-ში. მაგ., „ისტორიანისა და აზმანის" ავტორი ნერს, რომ თამარმა „განაჩინა ამირსპასალარი სარგის მხარგრძელი... უბოძა ლორე სათავადო და სამთავრო სომხითსა შინა" (ქ. ცხ., II, გვ. 33). ე. ი. ლორე სარგისს სამემკვიდრეო მამულად გადასცეს (აქ შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ ეს ერთადერთი შემთხვევა არ იქნებოდა, როცა სამთავროს სინონიმად ტერმინი „სათავადო" იხმარებოდა).

ივ. ჯავახიშვილის აზრით, „დიდებული" ნოდება არ იყო. დიდებული იყო თითქოს ის პირი, რომელსაც დიდი თანამდებობა ჰქონდა მეფისაგან მიღებული. ჩემი აზრით, ეს შეხედულება სწორი არ არის. ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნში (IX ს.) და ბექა-აღბუღას სამართალში დაფიქსირებულია „დიდებული", როგორც ნოდება და შეფასებულია მისი სისხლი განსხვავებით აზნაურისაგან. ტერმინი „დიდებულის" სინონიმი იყო „მთავარი" (და აქედან სამთავრო).

რატომ შეიცვალა ტერმინი „სამთავრო" ტერმინი „სათავადოთი"? ჩემი აზრით, ამის მიზეზია ის, რომ საქართველოს დაშლის შედეგად თანდათან ჩამოყალიბდა (სამი სამეფოს გარდა) ხუთი ტერიტორიული ერთეული – სამთავრო (ოდიშის, გურიის, სამცხე-საათაბაგოს, აფხაზეთის და სვანეთის). ამის გამო ტერიტორიული სამთავროსაგან განსასხვავებლად დიდებულის მამულს – სამთავროს ეწოდა სათავადო, დიდებულის სახლის უფროსის – თავადის მიხედვით. ეს არის ტერმინთა ტექნიკური ცვლა, ამდენად სათავადო-სენიორია ერთიანობის ხანის სამთავრო-სენიორიის პირდაპირი გაგრძელებაა და, ამდენად, პრინციპულად ახალ მოვლენასთან არა გვაქვს საქმე. რა თქმა უნდა, გარკვეულ ცვლილებებს ჰქონდა ადგილი, რაც გამოწვეული იყო საქართველოს დაშლითა და ცენტრალური

ხელისუფლების დასუსტებით, რასაც ზოგიერთი მოვლენის (იმუნიტეტი და სხვ.) გაღრმავება მოჰყვა, მაგრამ, ვიმეორებ, ეს არ იყო პრინციპულად ახალი მოვლენა.

ჩვენამდე მოაღწია ერთიანობის ხანის მსხვილი, როგორც საერო, ისე საეკლესიო სენიორიათა ნუსხამ. ეს არის „წმიდისა და ცათა მობაძავისა კათოლიკე სამოციქულოსა საპატრიარქოსა მცხეთისა ეკლესიისა ძუელთაგან საქონებელნი და სამწყსონი სამცხეს თავადნი და სოფელნი" (3, 31-36). ეს დოკუმენტი შედგენილია 1516 წლის ახლოს. ნუსხაში ნაჩვენებია როგორც ძველი, ერთიანობის ხანის ფეოდალური საგვარეულოები, ისე XVI საუკუნის დასაწყისში არსებული სათავადო გვარები.

როგორც პ. ინგოროყვამ სწორად აღნიშნა, დოკუმენტის შემდგენს ხელთ ჰქონია ძველი სია სამცხე-საათაბაგოს ფეოდალური საგვარეულოებისა ანუ იმდროინდელი ტერმინი რომ ვიხმაროთ, „სამთავროებისა", და რომელიც შედგენილი უნდა ყოფილიყო არა უადრეს 1191 წლისა და არა უგვიანეს 1280 წლისა (4).

ნუსხის დიდი მნიშვნელობის გამო იგი სრულად მოგვაქვს აქ:

1. კავკასიძე მისითა მამულითა.
2. პარხალი მისითა შესავლითა და აზნაურისშვილებითა საყმოდ (და) სამწყსოდ.
3. სამძივარი მისითა სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა (გოგიბასშვილსა აქუს).
4. ბუმბულისძენი მათითა სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა (ავალიშვილთა და სლესართა აქუს).
5. ლონგოსძენი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა (ლასურისძეთა აქუს).
6. ჴერჴემლისძე სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა (თაქთირისძეთა აქუს).
7. ჩორჩანელი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა, ერისთავთ-ერისთავი (ხურსიძესა აქუს).
8. ღობიერნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა (დიასამიძეთა აქუს).
9. აბუსერიძენი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა.
10. ბოცოსძენი, სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა (ოლადასშვილთა აქუს).

11. ოთარი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა (შალიკაშვილთა აქუს).
12. ხერთვისარნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა (ქამქამისძისა ეულზედა არიან, ამატაკიანთა აქუს).
13. თმოგველნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა (შალიკაშვილთა ელისბაალს და იოთამს აქუს).
14. ბულლადარასშვილნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა (რჩეულაანთა და ფროდიანთა აქუს).
15. ასპანისძენი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა (სფირიდონს აქუს).
16. კალმახელი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა (უზნასძეთა აქუს).
17. დუკისძენი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა.
18. ფანასკერტელნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა.
19. სპასალარნი სამით სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა.
20. ხახულარნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა.
21. ანძაველნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა.
22. კოპასძენი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა.
23. თუხარელნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა.
24. მონასტერი ოშკი მისითა შესავლითა.
25. დიდი და პატიოსანი ვარძიის მონასტერი მისითა შესავლითა და ეკლესიის შვილებით უნაკლულოდ (3, 31-36).

აქ დასახელებული სამი მონასტრის – ოშკის, პარხლის და ვარძიის – გარდა, რა თქმა უნდა, სამცხე-საათაბაგოში სხვაც მრავალი მონასტერი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს სამი მონასტერი იყო ჯერ კიდევ დარჩენილი სახელმწიფო საკუთრებაში, დანარჩენები კი ფეოდალთა საკუთრებაში ითვლებოდა.

ამ სამი მონასტრის გარდა ნუსხაში ჩამოთვლილია 21 ფეოდალური სახლი თავთავიანთი „სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა" და ერთი ფეოდალური გვარი „კავკასიძე მისითა მამულითა". აქ აღნუსხულ ფეოდალურ სახლებს, გარდა ერთისა, თითო სასაფლაო და მონასტერი უწერია. მხოლოდ სპასალართა მიმართ არის აღნიშნული „სამით სასაფლაოთა, მონასტრითა და

კარის ეკლესიითა". სპასალარნი ჯაყელები არიან. ისინი ჯერ კიდევ XIII საუკუნეში ყველაზე დიდი მფლობელები არიან სამცხეში და, როგორც ჩანს, რამდენიმე შტოდ განიყოფებიან და ამიტომაც აქვთ სამი სასაფლაო და მონასტრები. სპასალარნი აქ XII საუკუნის ბოლოსა და XIII საუკუნის პირველი ნახევრის მდგომარეობით არიან წარმოდგენილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. XVI საუკუნის დასაწყისის მდგომარეობით, როცა ისინი სამცხე-საათაბაგოს მთავრები იყვნენ, სამცხის ჩვეულებრივ თავადებთან ერთ სიაში და ერთ რიგში ვერ იქნებოდნენ წარმოდგენილნი, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ XII-XIII საუკუნეებში მეფის ვასალები იყვნენ. XVI საუკუნეში კი სამცხის ფეოდალები უკვე სპასალართა ვასალები არიან.

ნუსხის 22 ფეოდალური სახლიდან 9 ძველი გვარია და მოდის ადრეფეოდალური ხანიდან ან XI-XII საუკუნეებიდან, 13 კი – ახალი გვარია, რომლებიც XIII-XV საუკუნეებში დაწინაურდნენ.

ნუსხაში მოხსენებულ გვართაგან ყველაზე ძველი ჩანს ჩორჩანელი (VIII-IX საუკუნიდან მაინც, შესაძლოა უფრო ძველიც იყოს). ყოველ შემთხვევაში, IX საუკუნეში ჩორჩანელი იყო ქვაბლიანის ხევის „მთავარი დიდი და ნარჩინებული", რომელიც გამოირჩეოდა „სიმდიდრითა და სიმრავლითა ერთა და აგარაკთაითა, რომლისა სივრცე საზღვართ ვრცელ და მრავალ იყო" (5).

მიუხედავად იმისა, რომ უშვილო ჩორჩანელმა თავისი სამფლობელო ჯერ კიდევ IX საუკუნეში ანდერძით დისშვილებს გადასცა, რომლებიც სამცხის „დიდი მთავრის მირიანის" შვილები იყვნენ, ჩორჩანელის სახლი მაინც არ მოშლილა (ჩანს, ერთმა დისშვილმა ჩორჩანელობა მიიღო) და იგი, როგორც ცალკე ფეოდალური ერთეული, იმავე სახელით ერთიანობის ხანაშიც არსებობს. პავლე ინგოროყვას მიხედვით, ჩორჩანელები XIII საუკუნის ბოლომდე არიან თავიანთ სამფლობელოში, შემდეგ კი იმავე სამფლობელოში ხურსიძენი ჩანან (4, 93).

ადრეფეოდალური ხანიდანვე მოდის ფეოდალური სახლი – სამძივარი, რომელიც სამცხის სამძივის ხევიდან უნდა იყოს (ნ. ბერძენიშვილი). სამძივარი ნიშნავს სამძივის ხევის მფლობელს, მესაკუთრეს. სამძივართა სამფლობელო XVI საუკუნის დასაწყისისათვის უჭირავს გოგიბასშვილებს (6).

XI-XII საუკუნეებში დაწინაურებული ფეოდალური სახლებია: აბუსერიძენი, ბოცოსძენი, კალმახელი, სპასალარნი (ჯაყელები),

თმოგველნი და სხვ. XIII საუკუნეში დაწინაურებულნი ჩანან ღობიერნი, ფანასკერტელნი და სხვანი. დანარჩენი სახლების ანუ სენიორიების ჩამოყალიბების დრო, ნყაროთა უქონლობის გამო უცნობია, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ ზოგიერთი მათგანი ადრეფეოდალური ხანიდანაც მოდიოდეს, ყოველ შემთხვევაში, XIII საუკუნის პირველ ნახევარს ვერ გადმოცილდებიან, რადგან ე. წ. „ძველი" ნუსხა XIII საუკუნის პირველ ნახევარზე გვიან არ შეიძლება იყოს შედგენილი.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ძველი ნუსხის 22 ფეოდალური სახლიდან 9 საგვარეულო იგივე დარჩა და არსებობდა XI-XII საუკუნეებიდან XVI საუკუნის დასანყისამდე და ზოგიერთი შემდეგაც. ეს გვარებია: აბუსერიძენი, კავკასიძე, დუკისძენი, ფანასკერტელნი, სპასალარნი, ხახულარნი, ანძაველნი, თუხარელნი, კოპასძენი. აქ საინტერესოა ის გარემოება, რომ დიდებულის ანუ მთავრის და მისი სამფლობელოს პირდაპირი მემკვიდრეა თავადი და მისი სამფლობელო – სათავადო. გარდა ამისა, საინტერესოა ისიც, რომ არსებობს მყარი ფეოდალური ერთეულები, სამთავრო-სათავადოები, რომლებიც თვით ადრეფეოდალურ ხანაში არსებობენ, შემდეგ ერთიანობის ხანაშიც კვლავ ერთ სახლად არიან და დაშლილობის პერიოდშიც გადადიან. იცვლება ფეოდალური სახლის, სენიორიის გვარსახელი, მაგრამ სამფლობელო იგივე რჩება.

ერთ-ერთი ფეოდალური სახლი, რომელიც XI საუკუნიდან თვით XVI საუკუნემდე არსებობდა და რომელსაც ადრე დიდებული ეწოდებოდა, შემდეგ კი თავადი, არის აბუსერიძის სახლი. ამ გვარის ჩვენთვის ცნობილი პირველი წარმომადგენელია იოანე აბუსერისძე, არტანუჯის ერისთავი, რომელიც ბაგრატ IV-ის მეფობის პირველ ნლებში იხსენიება. ამ დროს აბუსერისძენი დიდი მოხელეებია. ისინი არიან კლარჯეთის (არტანუჯის) და ხიხათა (აჭარის) ერისთავები და ციხისჯვარისა და ანყურის სამეფო ციხეების გამგებლები XI საუკუნის მეორე ნახევარში. XII-XIII საუკუნეებში აბუსერისძენი მხოლოდ აჭარის (ხიბათა) ერისთავთ-ერისთავები არიან. XIV საუკუნეში ცნობილია ამირსპასალარი ივანე აბუსერისძე (გარდ. 1355 ნ.). XVI საუკუნეში სამცხე-საათაბაგოს რიგითი თავადები არიან (შემდეგ აღარ ჩანან). მათი ძირითადი მამულები აჭარაში უნდა ყოფილიყო, საგამგებო ქვეყნები კი – კლარჯეთსა და სამცხეში (7).

ძველი ნუსხის 13 საგვარეულო რომ შეიცვალა ახლით (ჩორჩანელი – ხურსიძით, კალმახელი – უზნაძით, ღობიერნი – დიასამიძით,

თმოგველნი – შალიკაშვილით და სხვ.), ამის მთავარ მიზეზად ჩვენ მიგვაჩნია სამცხის სამთავროს გამოყოფა ცალკე პოლიტიკურ ერთეულად საქართველოს ერთიანი სახელმწიფოსაგან. ორივე ეს მოვლენა ერთდროულად, XIV-XV საუკუნეებში მიმდინარეობდა. ის ფეოდალები, რომლებიც საქართველოს მეფის ვასალად ან მოხელედ ითვლებოდნენ, თავს არ უდებდნენ ჯაყელებს და თავად გადადიოდნენ შიდა ქართლში, ზოგიერთ შემთხვევაში კი, ისინი მეფესთან ერთად იბრძოდნენ ჯაყელების წინააღმდეგ და ეს უკანასკნელნი აძევებდნენ სამცხე-საათაბაგოდან. სამცხე-საათაბაგოდან გადასული ფეოდალური გვარებია: თმოგველნი (შემდეგ თმოგველ-უჯარმელები), ფანასკერტელ-ციციშვილნი, თორელ-ჯავახიშვილები და სხვ.

როგორც უკვე ითქვა, „ნუსხაში" სულ 25 ფეოდალური ერთეულია აღრიცხული, აქედან 22 დიდებულის სახლია, 3 კი მონასტერია. რა თქმა უნდა, მონასტერი სამცხე-საათაბაგოში გაცილებით მეტი იყო, ვიდრე აქაა აღნიშნული. როგორც ჩანს, „ნუსხის" ძველი ნაწილის შედგენისას (და ასევე XVI საუკუნის დასაწყისშიც) მხოლოდ ეს სამი მონასტერი ყოფილა სახელმწიფო (თუ საკათალიკოსო), დანარჩენი მონასტრები უკვე დიდებულთა ხელში ყოფილა. ამიტომაა, რომ სხვა მონასტრები ცალკე არაა დასახელებული. ყოველი ფეოდალური გვარის, გარდა ერთისა, გასწვრივ კი აღნიშნულია: სასაფლაო, მონასტერი და კარის ეკლესია. ე. ი. დიდებულის სახლის ატრიბუტი ყოფილა მონასტერიც, თანაც ეს მონასტრები, რაც არ უნდა დიდი იყოს ის, ცალკე ფეოდალური ერთეული აღარაა – იგი დიდებულის სენიორიის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია.

თუ რას წარმოადგენდა დაახლოებით 21 დიდებულის მონასტერი, ამის საილუსტრაციოდ შეიძლება აქ მოკლედ განვიხილოთ თმოგველთა სახლი და მისი მონასტერი ვაჰანი (ანუ ვანი).

თმოგველები დიდ ფეოდალთა, მხარგრძელთა ერთი შტოა. XII საუკუნის 90-იან წლებამდე თმოგვის ციხე და მისი მხარე სამეფო იყო და ამა თუ იმ დიდმოხელეზე გაიცემოდა „საპატიოდ" სიცოცხლის განმავლობაში. მაგალითად, 1190-91 წლამდე იგი დროებით სამფლობელოდ ეჭირა ამირსპასალარ გამრეკელ თორელს, უფრო ადრე კი მსახურთუხუცეს აფრიდონს. 1190-91 წელს კი თმოგვი უბოძეს სარგის ვარაზის-ძე მხარგრძელს (8). მხოლოდ არ ჩანს მაშინვე მამულობით უბოძეს სარგისს თმოგვი, თუ შემდეგ გადაიქცა მამულად.

ყოველ შემთხვევაში, ბასილი ეზოსმოძღვარი სარგისს უკვე თმოგველ-ლად იხსენიებს (8, 128). თმოგველთა საგვარეულო მონასტრად იქცა ვაჰანის მონასტერი, რომელიც 1204 წელს ჯერ კიდევ სამეფო მონ-ასტერი იყო. მაგრამ მალე, 1206 წელს ახლოს, როცა გარდაიცვალა სარგის თმოგველი და მისი მემკვიდრე გახდა მხარგრძელ (თაყიადინ) თმოგველი, მონასტერიც უკვე თმოგველების ხელშია. მხარგრძელ თმოგველმა თავის მონასტერს შეუდგინა ტიპიკონი, რომელიც სრულ ნარმოდგენას გვაძლევს დიდებულის მონასტრის შესახებ (9, 16-18).

თმოგველთა მამული მდებარეობს თმოგვის მხარეში. იგი მოიცავს რამდენიმე ათეულ სოფელს, სადაც ცხოვრობენ მისი გლეხები და რომლებიც ამუშავებენ თმოგველთა სახლის „აგარაკებს, ვენახებს და ორნატთ". თმოგველთა სახლს ჰყავს აგრეთვე ვასალი აზნაურები, რომლებიც ორი კატეგორიისაგან შედგებიან: 1. ერთია წვრილი აზნ-აური და 2. მეორე კი „ნამსახური" და „საპატიო" აზნაურისშვილი. თმოგველის სახლს ჰყავს აგრეთვე მსახურნი, რომელნიც გლეხთა ნრიდან არიან გამოსულნი. ყოველივე ამის, მათ შორის მონასტრისა კრებულითურთ „პატრონი" და მესაკუთრე არის თმოგველი, რო-მელიც, თავის მხრივ, მეფის ვასალია.

მონასტერს განაგებს წინამძღვარი ანუ მოძღვარი. პატრო-ნის მიერ განსაზღვრულია მონასტრის ძმობის შემადგენლობა: 24 მღვდელი, 7 დიაკონი, 20 – „მწირად ნოდებულნი იგი, რომელ არიან მონაზონნი... მსახურებისათვის მონასტრისა და ძმათაჲსა დიდად მო-სნრაფენი და უდრტნველად მორჩილნი წამისყოფასა მწყემსისა და მამისა სულიერისასა" (9, 63-64). ეს მონაზონი მწირები, როგორც ჩანს, ვალდებულნი არიან ფიზიკური შრომით ემსახურონ მონასტერს და მღვდელ-დიაკონთ, თუმცა ლოცვა-გალობანიც მათი საქმეა ცხა-დია. მონაზონთა რიცხვი სულ შეადგენს 51-ს. გარდა ამისა, თმოგვე-ლის მიერ მონასტერში განწესებულია „მსახურნი ი(10), რომელნი ყოველსავე ტრაპეზისა და სამზარეულოსა სახაბაზოჲსა სამსახურსა აღასრულებდნენ" (9, 64).

აქ ნახსენები 51 მონაზონი სამ დასად არის გაყოფილი. პირველი ორი დასი 31 მღვდელ-დიაკონთაგან შედგება. პირველ დასს ქმნის: წინამძღვარი და მონასტრის სხვა თანამდებობის პირნი, აგრეთვე ის მწირველნი, „რომელთაცა მკითხველ-კანანახობაჲცა შეეძლოს" და ის ძმანი, რომელნიც „მონასტრისა პატრონთადა თაყუანებულ იყვნენ".

მეორე დასს შეადგენს ის მღვდელ-დიაკონნი, „რომელთაცა წირვისა მეტი სხუაჲ სახმრობაჲ არაჲ შეეძლოს“, დაბოლოს, მესამე დასს შეადგენს „მწირნი“, რომლებიც მონაზვრები კი არიან, მაგრამ მათი მთავარი მოვალეობა ფიზიკური მუშაობა ჩანს (9, 70-71). საჭმელსასმელი, ჩასაცმელი თუ სხვა რამ სარგო სამივე დასს სხვადასხვა აქვს. ამ სამი დასის გარეთ დგას მონასტრის მსახურნი, მაგრამ მათი სარგო მწირთა სარგოსთან არის გათანაბრებული (9, 71.)

მონასტერს ჰყავს შემდეგი მოხელეები:

1. წინამძღვარი ანუ მოძღვარი, რომელსაც ირჩევს მონაზონთა კრება.
2. დეკანოზი.
3. იკონომოსი (მნე, სამეურნეო ნაწილის გამგე).
4. მეჭურჭლე (საჭურჭლის გამგე).
5. მეტრაპეზე (სატრაპეზოს გამგე).
6. იპიტიტროსი (დამხედვარი, ბერ-მონაზონთა ყოფაქცევის მეთვალყურე).
7. მესნეულე (სნეულთა მომვლელი, სასნეულოს გამგე).
8. კანდელაკი (მნათე, განათებისა და კანდელ-სანთლების მეთვალყურე) (9, 70. იხ. აგრ. დართული ლექსიკონი).

მონასტერს აქვს პატრონისაგან ბოძებული „სოფელნი და აგარანი“, რომელთაც უვლის მოხელე ერისკაცი. ტიპიკონში ნათქვამია: „სოფელთა და აგარათა შინა მონასტრისათა სანიადაგოდ ჴელისუფლად ნუმცა ოდეს დაიდგინების მონაზონი, არამედ ერისკაცნი დაიდგინებოდნენ, მოძღურისა და კრებულისა ბრძანებითა“ (9, 80). მონასტრის პატრონი უკრძალავს ძმობის წევრებს ქონების შეძენას: „ნუმცა ვის უკადრებიეს მამულობით მოგებაჲ სენაკთა, აგარაკთა, ვენაჴთა, ანუ ორნატთა, რაჲთა უცხო იყვნენ ყოვლისა მსოფლიოჲსა და ქუეყანისა საქმეთაგან, ვითა საქმეთაგან ანგაჰარებისა, გინა ვერცხლისმოყუარებისა, რაჲთა ესეცა აღმოიფხვრას, ვითარცა მიზეზი მრავალთა ბოროტთა“ (9, 82).

XI-XIII საუკუნეების საქართველოში მონასტრები თავიანთი მიკრორაიონების (ზოგჯერ კი, დიდი რეგიონებისაც) ერთგვარ სავაჭრო ცენტრებს წარმოადგენდნენ. ასეთი სავაჭრო ცენტრი იყო, მაგალითად, XI საუკუნეში ნიკორწმიდის მონასტერი, XI-XII საუკუნეებში შიომღვიმის მონასტერი და სხვა მრავალი. რუის-ურბნისის 1103 წლის კრების დადგენილებაში ხა-

ზგასმითაა ნათქვამი, რომ: „ნულარამცა კადრებულ არს ქმნად ამიერიდან, ნუცა მონასტერთა შინა შექმნა სავაჭროთა ერის კრებათა, ნუცამცა-რა სხუაი სამოქალაქოი და სოფლიოი ნესი ქმნილ არს მონასტერთა შინა“ (10, 119). მაგრამ ამ დადგენილებამ ვერ უშველა საქმეს. მონასტრები და მონაზვნები სასულიეროზე არანაკლებ სამეურნეო და სავაჭრო-სავახშო საქმეებით იყვნენ გატაცებულნი. ამას ებრძოდა როგორც საეკლესიო, ისე საერო ხელისუფლება, მაგრამ ვაჭრობა და მრეწველობა დროის მოთხოვნა იყო და მისი აღკვეთა დადგენილებებით, რა თქმა უნდა, არ ხერხდებოდა.

მხარგრძელ თმოგველი თავის მიერ შედგენილ ტიპიკონში საგანგებოდ ჩერდება ვაჭრობა-მევახშეობის საკითხზე და აღნიშნავს: „არავის ძმათაგანსა ჴელეწიფების მონასტერსა ამას შინა ვაჭრობად... არცა ვახშად და აღნადგინებად გაცემაი საჴმართაი მსოფლიოთა, გინა დაჭირებულთა ზედა სისხლითა გლახაკთაითა განმდიდრებაი... რომელსაცა ძმათაგანსა ემხილოს ღჳნის მოფარდულობაი, გინა მევახშეობა მყის განიდევნოს მონასტრით და მოიკუეთოს ყოვლითურთ და მისსა ადგილსა სხუაი დაიდგინოს“ (9, 72).

მექრთამეობაც საკმაოდ გავრცელებული მოვლენა ყოფილა XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოს მონასტრებში, რომ პატრონი იძულებულია სპეციალური მუხლი შეიტანოს ტიპიკონში: „განგჳნესებიეს, რაითა სასყიდელი ყოვლად რაითურთ არაი აიღებოდეს ძმად დანესებისათჳს... უკეთუ იკადროს მოძღუარმან ანუ იკონომოსმან, გინა დეკანოზმან, გარდარეულებითა ვერცხლისმოყუარებისაითა, აღებად ქრთამისა რაისმე ფარულად გინა ცხადად და ემხილოს, დაკლებულ იქნეს თჳსისა პატივისაგან“ (9, 79).

ვაჰანის მონასტერში შემონაზვნების უფლება ჰქონიათ თმოგველის აზნაურთა და მსახურთა, მხოლოდ პატრონის ნებართვით: „ესე მონასტრისა პატრონთაგან გაიჩინებოდეს: თუ ნამსახური იყოს და საპატიო აზნაურისშვილი, მწირველთავე (მღვდელთა – გ. ჯ.) თანა დაიწესებოდეს პურითა და ოქროითა და ჯდომითა ყუელაითა“. ხოლო „მსახურნი, რომელიცა მონასტერს შეშუებასა და დამკვიდრებასა ღირსიქმნებოდეს, მწირთა თანა დაენესებოდეს ტანისამოსითა, ოქროითა, პურითა და ყოვლითა საწესოითა საქმითა“ (9, 85).

XIV საუკუნის I ნახევარში თმოგველები ქართლში გადადიან (უჯარმელ-თმოგველი). მათ სამფლობელოს ღარიბასძენი ეუფლები-

ან. XIV საუკუნის შუა ხანებში ისინი ჯერ კიდევ მეფის ვასალები არიან. XVI საუკუნის დასაწყისისათვის თმოგვს მისითა, „სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა" შალიკაშვილები ფლობენ და ჯაყელების ვასალები არიან.

მცხეთის ეკლესიის სამცხის ნუსხაში არ არიან მოხსენებული თორელები. ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ XIII საუკუნის პირველ ნახევარში, როცა შედგენილი უნდა იყოს ე. ნ. „ძველი" ნუსხა, თორი არ შედიოდა სამცხეში (6, 51). XIV საუკუნისათვის კი თორის პროვინციაც უკვე სამცხე-საათაბაგოში შედის და სხვა გვარები ფლობენ მას.

ს. კაკაბაძე თორელებს მხარგრძელების ერთ განშტოებად მიიჩნევს (11, 60-64). ლ. მუსხელიშვილმა უარყო ს. კაკაბაძის მოსაზრება და გამოთქვა შეხედულება, რომლის მიხედვით, თორელები სამძივრებია (12, 23-47), ნ. შოშიაშვილის აზრით, თორელები შესაძლოა, სამძივართა ერთი შტო იყოს, მაგრამ მათგან გამოყოფილი. თორელთა და სამძივართა სახლები პარალელურად არსებობენ. თორელი თორის მფლობელს ანუ მემამულეს ნიშნავს (6, 16-19).

თორის მხარე პირველად მოხსენიებული ყოფილა VII საუკუნის სომხურ ანონიმურ გეოგრაფიაში (6, 50). ქართულ წყაროებში კი თორი მოხსენებულია 1066 წელს სულტან ალფარსლანის შემოსევასთან დაკავშირებით „მატიანე ქართლისაიში" (ქ. ცხ. I, 306). თავად თორელები ისტორიაში ჩანან X საუკუნიდან (მათი არსებობა კი უფრო ადრიდანაა სავარაუდებელი). ჩვენთვის ცნობილი პირველი თორელია გამრეკელი სარდალი დავით კურაპალატისა (მოხსენიებულია მათე ურჰაელის ისტორიაში) (6, შენიშვნები).

XI საუკუნის ქართული წყაროების მიხედვით, თორი სამცხეში შედის. ნ. შოშიაშვილის აზრით, XII-XIII საუკუნეებში თორი სამცხისაგან დამოუკიდებელი მხარეა. მისი აზრით, „თორი ალბათ, ისევე ჩამოყალიბდა ცალკე მხარედ სამცხეში, როგორც უფრო გვიან – თმოგვი ჯავახეთში" (6, 51), რაც, როგორც ჩანს, დაკავშირებულია თორელთა და თმოგველთა სენიორიების ჩამოყალიბებასთან და შემდეგ მათს გაძლიერებასთან.

XII საუკუნისათვის თორელების მამული მტკვრის გაყოლებაზე ტაშისკარიდან აწყურამდე გაუვრცელებიათ (აწყური საუფლისწულოდ დარჩენილა – ჯავახეთისა). „მათი სამფლობელო გამხდარა ქვაბისხევის ხეობა, დემოთის ციხით, სლესის ციხე და მათი მიმდგომი მხარე" (6, 52).

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის" მიხედვით, თორში, რომელსაც იქ პეტრას ლივა ეწოდება, შეტანილია 49 სოფელი (14).

ვახუშტის მიხედვით, თორის ტერიტორიაზე მტკვარს ერთვის შემდეგი ხევები: სამხრეთიდან ქიმერეთის, კორტანეთის ხევები, სადგერის ხეობა გაყოფილი სადგერად და გუჯარეთად, დღვაშისა და ყვერბილის ხევები; ჩრდილოეთიდან – ნეძვის, ზანავ-რველის, ეშმაკთ-უბნის, ლიკანის, ჭობის ხევები (15).

თორელთა სამფლობელოს მონასტრები იყო: ლიკანის, კიმოთისმანის, ნეძვის, ჩითახევის; ციხეები – დემოთის, სლესის, უზნარიანის. ციხეები უნდა ყოფილიყო თორშიც და ციხისჯვარშიც. თორი ეკლესიურად ანყურის სამწყსოში შედიოდა (6, 53).

რაც შეეხება თორის საზღვრებს, „ჩრდილო-აღმოსავლეთით თორის თემს ესაზღვრება შიდა ქართლი – ძამის ხეობა; სამხრეთ-აღმოსავლეთით თრიალეთი, ქციის ხეობა; სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით – ჯავახეთი და სამცხე..., ჩრდილო-დასავლეთით – იმერეთი" (6, 63).

თორი იყო თორელთა ძირითადი სამფლობელო, მაგრამ XII-XIII საუკუნეებში მათ მამულები ჰქონდათ აგრეთვე სხვა მხარეებშიც: საუფლისწულო დომენში, ჯავახეთში, ქვემო ქართლში. მეფის დომენში – ძამას ხეობაში და თეძმის ხევში (6, 63).

თორელთა საგამგეო ქვეყანა იყო ჯავახეთის საუფლისწულო. XII საუკუნის მეორე ნახევარში თორელების ძირითადი შტოს წარმომადგენლები არიან ჯავახეთის ერისთავები. 1191 წლიდან 1226 წლამდე ჯავახეთს განაგებენ თორელთა შტო – ახალციხელები. 1226 წლიდან 1270-იან წლებამდე ისევ თორელთა ძირითადი შტო, XIII საუკუნის მეორე ნახევარში კი – თორელთა მეორე შტო – ღობიარები (6, 62-63).

XIV საუკუნეში თორელები უკვე აღარ არიან თორში, არც ჯავახეთს განაგებენ. თორელთა ძირითადმა შტომ (კახა-გამრეკლებისა) ახალი საფეოდალო შექმნა შიდა ქართლში ძამისა და თეძმის ხეობებში. XV საუკუნეში ჯავახეთის საუფლისწულოც და თორის სამფლობელოც (აგრეთვე, თმოგველთა სამფლობელო) მთლიანად სამცხე-საათაბაგოს ფარგლებში შეეიდა. ასე დამთავრდა სამცხე-ჯავახეთის სამი უდიდესი ფეოდალური სახლის მეტოქეობა ჯაყელების სასარგებლოდ. ორი მეტოქე გვარი კი თანდათან ემცრობა, აქაურობას ეცლება და შიდა ქართლში მიდის.

კახეთის ერთ-ერთი მსხვილი საფეოდალო იყო აბულეთისძეთა სახლი. აბულეთისძენი დაწინაურდნენ XI ს. მეორე ნახევარში გიორგი II-ის მეფობაში. სამფლობელო ჰქონდათ არაგვის ხეობაში და კახეთის თეძმის ხევში (ესაა გვიანსაშუალო საუკუნეების ხიმშიაშვილებისა და გურამიშვილების სამფლობელო).

XII საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე აბულეთი დავით აღმაშენებლისა და დემეტრე მეფის სარდალია და მათთან დაახლოებული პირი. მეორე აბულეთისძე, ძაგანი კი, დავითის ცენტრალისტური პოლიტიკის მოწინააღმდეგეა. ძაგანმა დავითის წინააღმდეგ ერთ-ერთ ბრძოლაში დამარცხების შემდეგ თავი შეაფარა შიომღვიმის მონასტერს. მონასტერმა ძაგანი დავითს გადასცა. დავითმა ჩამოართვა ძაგანს ზედაზნის ციხე, მუხრანი, რომელიც მას გიორგი II-საგან ჰქონდა ბოძებული, და შიომღვიმეს გადასცა. XIII საუკუნის მოღვაწე ძაგანი ბაღდადის ლაშქრობის (1258 წ.) მონაწილეა. ჩამოტანილი ალაფით იყიდა სოფ. ანგროინი და მღვიმის მონასტერს შესწირა.

აბულეთისძეებს დიდი თანამდებობანი ეჭირათ. იყვნენ ერისთავთ-ერისთავები და დიდი საეკლესიო მოხელეები. XIII საუკუნის შემდეგ დაკნინდნენ, დაკარგეს მამულები და ერისთავთ-ერისთავობა. 1405 წლის დოკუმენტის ცნობით, აბულეთისძეთა მამულს აბაზასძენი დაეპატრონენ (16, 45).

ბაღვაშები IX-XIII საუკუნეების საქართველოში უძლიერესი ფეოდალური გვარია. მათი ძირი მამული არგვეთში იყო. საგვარეულო მონასტერი კაცხში ჰქონდათ. იქვეა სავარაუდებელი ბაღვაშთა სახლის ცენტრი. ისტორიულ წყაროებში ჩანან IX საუკუნიდან. IX საუკუნის 70-იან წლებში ლიპარიტ I ბაღვაში თრიალეთში გადადის, კლდეკარს აშენებს და დავით კურაპალატს ეყმობა. შექმნეს კლდეკარის საერისთავო, რომელიც სახელმწიფო ტერიტორიად განიხილებოდა, მაგრამ მათ ამ საერისთავოშიც ჰქონდათ მამულები და ჰყავდათ ვასალი აზნაურები თუ ყმა-გლეხები. ბაღვაშები მთელი საერისთავოს მამულად დამკვიდრებისათვის იბრძოდნენ. აქედან გამოდიოდა მათი კონფლიქტი და ბრძოლა ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ XI-XII საუკუნეების განმავლობაში (22).

როგორც ცნობილია, კლდეკარის საერისთავო დავით აღმაშენებელმა გააუქმა 1096 თუ 1097 წელს, როცა მოღალატე ლიპარიტ

ივანეს ძე ჯერ დააპატიმრა და შემდეგ საბერძნეთში გააძევა. მაშინ, როგორც ჩანს, არგვეთის მამული არ ჩამოურთმევია ბაღვაშებისათვის. ის, როგორც ჩანს, რატი ლიპარიტის ძეს დარჩა. ის გარდაიცვალა დაახლოებით 1103 წლის ახლო ხანებში და, როგორც დავითის ისტორიკოსი წერს, „არღარავინ დაშთა მათთა მკჳდრი... და მამული მათი აღიღო მეფემან", (13, 326) ვითარცა ბეითელმანი.

შემდეგ, როცა დავითმა გელათის მონასტერი ააშენა, იგივე მამული მონასტერს შესწირა. დავითის ისტორიკოსი აღნიშნავს: „მამული ლიპარიტეთი უმკჳდროდ დარჩენილ იყო, არამედ სხუათა მრავალთა და სამართლიანთა უსარჩელელ-მიუხვეჭელთა სოფელთა თანა მისცნა დედასა ღმრთისასა სამსახურებლად მისსა წინაშემდგომელთა მისთათჳს, და უზრუნველი ტრაპეზი განუჩინა" (13, 330).

საერისთავოს გაუქმება თუ ჩამორთმევა და უმკვიდრო მამულის – ლიპარიტეთის მეფის მიერ აღება სხვადასხვა მოვლენაა, სხვადასხვა დროს მომხდარი. ჩვენთვის აქ საინტერესო ისაა, რომ სამკვიდრო მამული იმდენად მტკიცე საკუთრებაა, რომ მეფის მოღალატეთა სახლს საგამგეო ტერიტორია კი ჩამოართვეს, მაგრამ მკვიდრი მამული დაუტოვეს. მხოლოდ ბაღვაშთა უმემკვიდროდ გადაშენების შემდეგ „აიღო" მეფემ როგორც ბეითალმანი ქონება. ეს ფაქტი საინტერესოა ფეოდალური მიწათმფლობელობის ხარისხის გასარკვევად. კერძოდ, ჩანს, რომ ქვეყანაში გაბატონებულია მიწის საკუთრების სამამულო სისტემა, რომელიც ხელშეუვალ საკუთრებად ითვლება და მისი ჩამორთმევა დანაშაულის შემთხვევაშიც კი არ ჩანს ადვილი საქმე (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, დამნაშავე გააძევეს, მაგრამ მისი შვილი, რომელიც, მართალია, იქედნეს ნაშობი კი იყო, მაგრამ უშუალო დანაშაული არ მიუძღოდა, და ამის გამო ბაღვაშთა სახლის მამული ხელშეუხებელი დარჩა). ამ ფაქტში სხვა საინტერესო გარემოებაც ჩანს, კერძოდ, ხელშეუვალი და მკვიდრი მამულის უზენაეს მესაკუთრედ მაინც მეფე ითვლება და ამიტომ აიღო ამონყვეტილი მამული მეფემ და არა ბაღვაშთა მეორე განშტოებამ, კახაბერიძეებმა, რომელთაც არგვეთში ჯერ კიდევ უნდა ჰქონოდათ მამულები შერჩენილი...

არგვეთში იყო ბაღვაშთა მეორე შტოს – კახაბერსიძეთა ძირი მამული. თუ ბაღვაშთა ძირითადი შტო IX საუკუნის ბოლოს კლდეკარის ერისთავები გახდნენ, კახაბერისძენი X საუკუნიდან რაჭის

ერისთავები იყვნენ. რაჭის საერისთავოში, გარდა თვით რაჭისა, როგორც ჩანს, არგვეთი და ოკრიბაც შედიოდა. კახაბერიძეებს, გარდა არგვეთისა, მამულები გაუჩნდათ რაჭაში და ოკრიბაში. ნიკორწმიდის მონასტერი, რომელიც XI საუკუნის დასაწყისში აშენდა, ბაგრატ III-ის მეფობაში, კახაბერისძეთა საგვარეულო მონასტერი უნდა ყოფილიყო, როგორც სწორად აღნიშნავს მ. ბერძნიშვილი თავის გამოკვლევაში (17).

ნიკორწმინდის მონასტრის სოციალური სტრუქტურისა და მეურნეობის მაგალითზე შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ საერთოდ XI საუკუნის დიდი ფეოდალის საგვარეულო მონასტრის შესახებ. ნიკორწმიდის მონასტრის შესახებ კი მოგვეპოვება ძვირფასი პირველწყარო, ე. წ. „ნიკორწმიდის დანერილის" სახით. ნიკორწმიდის „დანერილს" სპეციალური გამოკვლევა უძღვნა მ. ბერძნიშვილმა (17).

„ნიკორწმიდის დანერილის" მიხედვით, რაჭის და არგვეთ-ოკრიბის რეგიონის ფეოდალური საზოგადოების სოციალური სტრუქტურა შემდეგი სახისაა:

1. დიდებული (ე. ე. მიქელ (კახაბერისძე), რომელიც ამავე დროს, „პატრონია" მონასტრის,
   ივანე ლიპარიტისძე (ბაღვაში),
   კახაბერი, იოვანე ვარაზ-ვაჩე,
   წირქვალელის-ძე და სხვ.
2. აზნაური (ჯინჭარაისძე, დებორიანისძე, აბულახტარი და სხვ.)
3. გლეხი (მონასტრის 30 გლეხი – ნასყიდი, შენირული, მოგებული და სხვ.).
4. (ვაჭარი) წონელა, მონასტრის „მოკიდებული".

„დანერილის" მიხედვით, ნიკორწმიდის მამულები (შენირული და ნასყიდი) მოიცავს 31 სოფელსა და აგარას. მონასტრის მეურნეობის უდიდესი ნაწილი ქვემო რაჭაშია (17, 44).

„დანერილის" მიხედვით, ნიკორწმინდის მონასტრის წინამძღვარი უაღრესად ენერგიული კაცი ჩანს. ის არა მარტო უვლის წინარე ნინამძღვრების (ის მეორე-მესამე წინამძღვარი უნდა იყოს) თუ პატრონთა მიერ შექმნილ მეურნეობას, არამედ ენერგიულად ამრავლებს ყმა-მამულს. მონასტრის ყმა-მამულის გაზრდის წყაროა: შენირულობა, ყიდვა, მოგება, საზღვად აღება. შემწირველებად

გამოდიან კახაბერიძეები და სხვა დიდებულები. ისინი მონასტერს სნირავენ ძვირფას ნივთებს (სტავრა, ხმალი, ბაღდადურ აფს და სხვ.), გლეხებსა და მინებს. ასე მაგალითად, „ნირქუალელისა ძემან შემოსნირა გლეხი ზ(7); და მას თანა შემოატანეს ჯორი ა(1), ძულოი ა, ჴრმალი ა(1); და მისთჳს გარდაეჴდების აღაპი დღე ფერისცვალებისა და საფლავთა მისთა ზედა დაგჳდგენია ჟამის მწირველი ა(1)", „ვარაზ-ვაჩე შემოსნირა... ფუთს გლეხი ბ(2) და მინანი" და ა. შ.... „ნორბელმან შემოსნირა ზნაკუას გლეხი ბ(2) და მინანი..." და ა. შ. (10, 27).

ყიდულობს როგორც გლეხებს, ისე მინას, პარტახს, ვენახს, ყანას და სხვ. ასე მაგალითად, მეტეხარას დებორიანის ძისაგან იყიდა გლეხი, პარტახი, ჯინჭარაისძის გლეხისაგან იყიდა ნაოთხალი ვენახი, ზნაკუას ვახტანგის გლეხისაგან იყიდა ყანა 1 და სხვ. სულ საბუთში დამოწმებულია მინის, ყანის, ტყისა და ვენახის ყიდვის 30 შემთხვევა (17, 55).

შეწირვისა და სყიდვის გარდა ქონების შეძენის საშუალებად წინამძღვარი ასახელებს „მოგებას". მაგალითად, ასე: „საწირეს მოვიგე მინა და მივეც გლეხთა საბეგროდ" (10, 33).

მონასტრის მეურნეობაში დიდი ადგილი უჭირავს მარცვლეულ კულტურებს, აგრეთვე მესაქონლეობას, უფრო ნაკლები – მევენახეობას. გარკვეული ადგილი უჭირავს მეურნეობაში მეფუტკრეობასაც. მონასტრის მიწების დიდი ნაწილი გლეხობაზე ჩანს გაცემული. მონასტერს, როგორც ჩანს, აქვს საბატონო მეურნეობაც, რომელსაც მათივე გლეხები ამუშავებენ შრომითი ბეგარით (17, 70-72).

ყმა-გლეხთა გამრავლების პარალელურად, ნიკორწმინდელი დიდ სამშენებლო სამუშაოებსაც აწარმოებს. ეს განსაკუთრებით ეხება მეურნეობის ორგანიზაციის ცენტრებს – სასახლეებს. ნიკორწმინდაში სასახლის არსებობა, როგორც სწორად შენიშნავს მ. ბერძნიშვილი, ჩვენი „დაწერილის" წინარე ხანაშია სავარაუდებელი. წინამძღვარი მრავალ შენობას აგებს ნიკორწმინდაში.

მონასტრის სამფლობელოს მეორე სამეურნეო ცენტრი იყო საწირე. მონასტრის არგვეთულ მამულებსაც თავისი სამეურნეო ცენტრი ჰქონია მუხურის სასახლის სახით. მუხურში წინამძღვარს აუგია სახლი, ქვითკირის ბოსელი, ბეღელი და ჭიშკარი ზემო-ქვემო ორი (10, გვ. 33).

თვით რაჭაში ძირითადი სასახლის, ნიკორწმინდის სასახლის გარდა, მონასტერს კიდევ ჰქონია ორი მცირე სასახლე ხოტევის აგარაში და სოფ. ზნაკვას (17, 68).

ნიკორწმინდელი თავის სამფლობელოში მოსამართლეც არის და დამნაშავის სასჯელის საზღაურს თავად იღებს (17, 4).

რაჭის ერისთავები, კახაბერისძეები, რომელთა საგვარეულო მონასტერი იყო ნიკორწმინდა, ბაღვაშთა ძირითადი შტოს მსგავსად, გამოირჩეოდნენ ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლით. ამ ბრძოლას გადაჰყვნენ კახაბერისძენიც. XIII საუკუნის ბოლოს კახაბერისძეთა უკანასკნელი წარმომადგენელი დავით ნარინმა დაღუპა მრავალგზისი ღალატისათვის. ნიკორწმინდა XVI საუკუნემდე მონასტრად დარჩა. 1534 წელს ბაგრატ იმერთა მეფემ ნიკორწმინდა საეპისკოპოსოდ გარდაქმნა (17, 21).

როგორც ცნობილია, ბაღვაშთა ძირითადი შტოს გადაშენების შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში დავით აღმაშენებლის დროსვე დანინაურდა ორბელთა ფეოდალური გვარი. მათი აღზევება გაგრძელდა 1178 წლამდე, გიორგი III-ის წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყების დამარცხებამდე. ორბელთა დაცემის შემდეგ აღზევდნენ გიორგი III-ის მეფობის ბოლო ხანებში ორბელთა ყოფილი ვასალები – მხარგრძელები.

მხარგრძელები წარმოშობით ქურთული საგვარეულო ყოფილა. მათ ჯერ კიდევ თავიანთ პირველსაცხოვრისში მიუღიათ ქრისტიანობა – მონოფიზიტობა და XI საუკუნის შუა ხანებში უკვე სომხეთში, ლორე-ტაშირის სამეფოში გადმოსახლდნენ. მაგრამ მალე, XII საუკუნის დამლევს, ის მხარე საქართველოს შემოუერთდა და იქ გაბატონდა ქართული სახელმწიფოებრიობა და ეკლესია, რის გამოც, როგორც განსვენებული შ. მესხია ნერს, „მხარგრძელთა „სჯულით სომხობას" არ დასცალდა ენითა და კულტურით... გასომხების პროცესის დამთავრება. ქართულმა სახელმწიფოებრიობამ და მისმა გარემომ ქურთული ნარმოშობის საგვარეულო „მხარგრძელთა" ქართულ საგვარეულოდ აქცია... მალე გაქრა მათი „სომხობის" ერთადერთი ნიშანიც – სარწმუნოებრივი კუთვნილება. ჯერ მხარგრძელთა მეორე შტო, ხოლო შემდეგ, მე-12 საუკუნის მიწურულიდან, პირველი შტო და მათი შთამომავლობა ეკლესიურადაც მთლიანად „გაქართველდნენ" (18, 274).

შ. მესხიას ვარაუდით, მხარგრძელთა გვარი საქართველოს ისტორიის ასპარეზზე ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის დროს გამოჩენილან. მაგრამ ისინი თავიდან წვრილი ფეოდალები იყვნენ. გიორგი III-ის დროს წინაურდება სარგის ზაქარიასძე მხარგრძელი, რომელიც გიორგი III-მ ანისის აღების შემდეგ (1161 წ.) ივანე ორბელის „თანაშემწედ" დატოვა იქ „სხუათა თემისა დიდებულთა აზნაურებთან" ერთად (18). 1177 წლის აჯანყების დროს სარგისი შვილითა და ძმისწულით ნამოუვიდა ორბელთ და გიორგი მეფეს მიემხრო. ორბელთა აჯანყების შემდეგ კიდევ უფრო დაწინაურდა სარგისი. და ბოლოს, როცა ყუბასარი გადააყენეს, თამარმა „განაჩინა ამირსპასალარად სარგის მჭარგრძელი, კაცი გუარიანი და აღზრდილი ლაშქრობათა შინა და ჭაბუკობათა". ამავე დროს, თამარმა „უბოძა ლორე, სათავადო და სამთავრო სომხითსა შინა" (8, 33). ლორე დავითის დროიდან ამირსპასალარის ხელთან დაკავშირებულ დროებით მფლობელობად ითვლებოდა. ორბელებმა ამირსპასალარობა და ლორე აჯანყებამდე შეინარჩუნეს, შემდეგ კი ორივე დაკარგეს. ამირსპასალარობა და მასთან დაკავშირებული ლორე ჯერ ყუბასარს გადასცეს, შემდეგ კი სარგისს, მაგრამ სარგისს გადასცეს არა დროებით, არამედ „სათავადოდ და სამთავროდ" – ე. ი. სამემკვიდრეოდ ანუ სამამულედ (18, 293-294).

როცა სარგის მხარგრძელი გარდაიცვალა (1187 წ.) ამირსპასალარად დანიშნეს გამრეკელ თორელი, მაგრამ ლორე კი არ მისცეს, არამედ თმოგვი, ლორე მხარგრძელებს დარჩათ. ამიერიდან ლორე კი აღარ იყო ამირსპასალარის ხელთან დაკავშირებული, არამედ თმოგვი. შემდეგ, როცა გამრეკელი გარდაიცვალა, მის მემკვიდრეებს „თმოგვისაგან კიდევ არა დააკლეს" რა (8, 55).

მხარგრძელნი კიდევ უფრო აღზევდნენ გიორგი რუსის აჯანყების შემდეგ. ზაქარია სარგისის ძე მხარგრძელი ამირსპასალარად დანიშნეს: „მაშინ უბოძეს ამირსპასალარობა ზაქარიას მჭარგრძელსა, ძესა სარგის ამირსპასალარისასა, მჯდომსა სომეხთა მეფის ადგილსა, პატრონსა ლორისასა, მოუმატეს ქალაქიცა რუსთავი" (8, 55).

ამავე დროს, თამარ მეფემ „შეინყალა ზაქარია ვარაზისძე და უბოძა გაგი ქურდ-ვაჭრითა განძამდის, მრავლითა საკუთრითა და მრავლითა სანახევროთა ქალაქებითა, ციხეებითა და სოფლებითა. შეინყალეს და უბოძეს სარგისის ძესა ივანეს, პირველად მსახურ-

თუხუცესობა, ჴელი შინაური და საპატიოჲ, და კაენი და კაინონი გელაქუნით, სხჳთა მრავლითა სახარაჯოთა ქალაქითა და ციხითა" (8, 54). აჯანყებაში დამარცხებული ვარდან დადიანის სახელო (მსახურთუხუცესობა) და მისი სამფლობელოები თუ საგამგეოები მხარგრძელთა ხელში გადავიდა. ამავე დროს, დალოცეს მეოთხე მხარგრძელიც – სარგის ვარამის-ძე და „უბოძეს თმოგვი" (8, 55). იგი გახდა თმოგველთა გვარის ფუძემდებელი.

ყველაფერ ამის შედეგად მხარგრძელები გახდნენ უპირველესი ფეოდალები. მათ ხელში თავი მოიყარა უდიდესმა სამფლობელოებმა ქვემო ქართლში, სამცხეში და სომხითში, რომელიც შედგებოდა მრავალი ქალაქის, ციხისა და სოფლებისაგან. ნაწილი ამ სამფლობელოებისა სამამულე იყო, ნაწილი სახარაჯო, სანახევრო და სხვ. XII საუკუნის ბოლოს მხარგრძელებმა მიიღეს დვინიც და ანისიც. ამიერიდან სარგისი იწოდება შაჰანშაჰადაც (ანისის მფლობელის ძველი ტიტულის მიხედვით). როგორც ჩანს, ანისი მხარგრძელებმა მიიღეს მამულობით, თანაც, როგორც შ. მესხია წერს: „ანისი და მისი მიმდგომი ქვეყანა მხარგრძელთა მთელი საგვარეულოს სამფლობელო კი არ იყო, არამედ ზაქარიასა და მისი სახლის სამემკვიდრეო ქონება". ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ ანისი შემდეგ ზაქარიას ჩამომავლებს გაუყიდიათ XIII საუკუნეში (18, 300, 316).

XIII საუკუნის ბოლოსა და XIV საუკუნის დასაწყისში მხარგრძელნი თანდათან ქვეითდებიან. მათ ადგილებს სხვადასხვა ფეოდალები იჭერენ. ყველას ჯაყელებმა აჯობეს და ათაბაგობაც და მანდატურთუხუცესობაც მათ დაიმკვიდრეს (აგრეთვე, ზოგი მამულიც) და ხელმწიფეებად იქცნენ.

დიდი სამფლობელოები ჰქონდათ და ცალკე სენიორიების მფლობელებად უნდა იქნან განხილული აგრეთვე სურამელები, ქობულისძენი, ვარდანისძენი, დადიანი, ხორნაბუჯელი, გაგელი, ფარჯანიანნი, ირუფაქისძე, კორინთელი, შარვაშიძე, ქუენოფნეველი, ბურსელი და სხვ. აგრეთვე, დიდი სამეფო მონასტრები: პარხალი, ოშკი, ვარძია, შიომღვიმე, გარეჯა, გელათი და სხვ.

ჩვენ ზემოთ უკვე შევეხეთ ორ მონასტერს – ნიკორწმინდასა და ვაჰანს, მაგრამ ორივე მსხვილი ფეოდალური სახლის საგვარეულო მონასტერი იყო. ახლა გვინდა მოკლედ შევეხოთ სამეფო მონასტერს

– შიომღვიმის მონასტერს, რომელიც ცალკე, საეკლესიო სენიორიას წარმოადგენდა (მას ჩვენ ნაწილობრივ შევეხეთ წინა თავებში).

შიომღვიმის მონასტერი, რომელიც VI საუკუნეში შეიქმნა, XII საუკუნისათვის უკვე მსხვილ სამონასტრო მეურნეობას წარმოადგენდა. XII-XIV საუკუნებში მღვიმე სამეფო მონასტერი იყო (შემდეგ კი ზევდგინიძე-ამილახვრების საგვარეულო მონასტერი შეიქნა). განსაკუთრებით გაძლიერდა მონასტერი დავით აღმაშენებლის დროიდან. X-XI საუკუნეებში შიომღვიმეს 17-მდე სოფელი ჰქონდა, XII-XIII საუკუნეებში კი – 22 (20, 21). ამ 22 სოფლიდან ზოგი ნასყიდია, ზოგი მეფეთაგან შენირული, ზოგი კი მთავართაგან შენირული. თბილისში აქვთ ქულბაქები (9) და ყავთ ყმა-ვაჭრები. მათი ყმა-გლეხთა რიცხვი რამდენიმე ასეული უნდა ყოფილიყო. ჰყავდათ 5000 სული ცხვარი, ასი ფური მხოლოდ დავით აღმაშენებელმა უბოძა (ცხადია, სხვაც მრავალი ჰყავდათ), ჯორები, ცხენები და სხვ., აგრეთვე, დიდძალი ფულადი კაპიტალი. მონასტერი სპეციალურად აშენებდა გასაყიდ საქონელს. „XI-XII საუკუნეებში იმდენად მაღლა იდგა ფულადი მეურნეობა შიომღვიმის მონასტერში, რომ თამამად შეიძლება ითქვას, იგი მთელი შემოსავლის თითქმის ნახევარს უდრიდა. ფულად კაპიტალში შედიოდა სააღაპე და სულის მოსახსენებლად შემოსული ფულადი შენირულობანიც". მაგრამ ფულის ძირითადი წყარო... მესაქონლეობა იყო. ამასთან ერთად, შიომღვიმის მონასტერს სხვა საშემოსავლო მეურნეობანიც ჰქონდა. მაგ., ზეთსახდელები, წისქვილები და სავაჭრო დუქნები. ფულის ერთ-ერთ წყაროს სასამართლოც წარმოადგენდა. მონასტერი დამნაშავეს ფულად ჯარიმას ადებდა. შიომღვიმე გარკვეული მასშტაბით ეწეოდა მევახშეობასაც, ფულის პროცენტით გასესხებას" (19, 37-38).

ბ. ლომინაძის აზრით, „საქართველოს მონასტრებში შედარებით საერო სენიორიებთან მეტად მაღალ დონეზე იდგა სასაქონლო ფულადი მეურნეობა" (19, 38).

შიომღვიმის მონასტერი სარგებლობდა საგადასახადო, სასამართლო და ადმინისტრაციული შეუვალობით.

მონასტრის ყმები იხდიდნენ ნატურალურ და შრომით ბეგარას (ამუშავებდნენ მონასტრის ხოდაბუნებს, ზვრებს, უვლიდნენ ცხვრის ფარებს, ცხენ-ჯორის რემას, საქონლის ნახირს და სხვ.).

მონასტრის გლეხობა შედგებოდა „მკვიდრი", მეაღაპე და ნასყიდი გლეხებისაგან. გლეხები პირად თავისუფლებას მოკლებულნი იყვნენ. მათ ყიდდნენ და ყიდულობდნენ მთელი სოფლებით და ცალ-ცალკე. გლეხობა მთლიანად ემორჩილებოდა მონასტერს – მის ადმინისტრაციასა და სასამართლოს.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ სამთავრო-სენიორალური სისტემა, რომელიც ადრეფეოდალურ ხანაში ჩამოყალიბდა მთელი საქართველოს მასშტაბით და სარგებლობდა სადაგასახადო, სასამართლო და ადმინისტრაციული შეუვალობით, არსებობას განაგრძობდა ერთიანობის ხანაშიც, ასევე მთელი საქართველოს მასშტაბით. მიუხედავად ცენტრალური ხელისუფლების მცდელობისა, შეეზღუდა მთავართა პოლიტიკური უფლებები და ექცია იგი მორჩილ მოსაკარგავად, წარმატება არ ჰქონია.

ერთიანობის ხანაში ტერმინების მთავრისა და სამთავაროს სინონიმად ვრცელდება ტერმინები თავადი და სათავადო.

სამთავრო-სათავადო-სენიორები განაგრძობენ არსებობას გვიანსაშუალო საუკუნეებშიც, მთელი საქართველოს მასშტაბით, კიდევ უფრო გაზრდილი შეუვალობით.

ლიტერატურა

1. **ნ. ბერძენიშვილი**, საქართველოს ისტორიის საკითხები, ნ. VII, თბ., 1974, გვ. 203.
2. **ივ. ჯავახიშვილი**, თხზულებანი, ტ VI, გვ. 219.
3. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.), ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებელი ქრ. შარაშიძისა, თბ., 1961, გვ. 31-36.
4. **პ. ინგოროყვა**, თხზ. I, გვ. 91-94.
5. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1964, გვ. 319-347.
6. **ნ. შოშიაშვილი**, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, კრებ. „შოთა რუსთაველი", თბ., 1966, გვ. 16-17.
7. **ნ. შოშიაშვილი**, აბუსერისძენი, ქსე, ტ I, გვ. 47.
8. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ., ტ. II, გვ. 55.
9. ვაპანის ქვაბთა განგება, გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, 1939, გვ. 16-18.
10. ქართული სამართლის ძეგლები, III, ი. დოლიძის რედაქციით, გვ. 119.
11. **ს. კაკაბაძე**, თორელთა გვარეულობის შესახებ, „ნერილები და მასალები საქართველოს ისტორიისა", თბ., 1914, გვ. 60-64.

12. ლ. მუსხელიშვილი, თორელთა გენეალოგიის გარკვევის ცდა ჰამამლუს XII ს-ის წარწერებთან დაკავშირებით, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, X, თბ., 1940, გვ. 23-47.
13. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ., ტ. I, გვ. 308.
14. ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ნ. II, გვ. 326-332; ნ. III, გვ. 469-495.
15. ვახუშტი, აღნერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1940, გვ. 59-60.
16. ნ. შოშიაშვილი, აბულეთისძენი, ქსე, I, გვ. 45.
17. მ. ბერძნიშვილი, მეთერთმეტე საუკუნის ქართული საისტორიო წყაროები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესახებ, თბ., 1979, გვ. 44 და შემ.
18. შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, თბ., 1979, გვ. 274.
19. ბ. ლომინაძე, შიომღვიმე, 1953.
20. ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედ., ნ. II, გვ. 22;
21. ვახუშტი, აღნერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1940, გვ. 59-60.
22. ვ. კოპალიანი, ბაღვაშები, ქსე, ტ. 2, გვ. 247.

საქართველოს ფეოდალური ხანის
ისტორიის საკითხები. თბ. 1970. გვ. 3-32.

სათავადოთა საკითხისათვის*

ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია შეხედულება, რომლის მიხედვით, კახეთში სათავადოთა სისტემა არ ჩამოყალიბებულა (თუმცა თავადთა წოდების არსებობას არ უარყოფენ).

1959 წელს ნ. ასათიანმა გამოაქვეყნა სტატია – „საადგილმამულო ურთიერთობისა და სათავადოების არსებობის საკითხისათვის XVI-XVII საუკუნეების კახეთის სამეფოში".[1] ნაშრომში გაკეთებულია დასკვნა, რომ კახეთში XVI-XVII საუკუნეებში არ ნარმოშობილა სათავადოები. ავტორის სიტყვით რომ ვთქვათ: „XVIII საუკუნემდე მაინც არ აღმოცენებულა იქ სათავადოთა სისტემა" (ე. ი. თითქოს, ავტორი არ გამორიცხავს XVIII საუკუნის კახეთში სათავადოთა არსებობის შესაძლებლობას).[2]

ანალოგიური აზრი გამოთქვა გ. აკოფაშვილმა თავის მოხსენებაში – „აზნაურთა ფენა კახეთის სამეფოში (XV-XVIII სს.)". მოხსენების თეზისებში ნათქვამია: „როგორც ცნობილია, სათავადო სისტემა საქართველოში XV საუკუნისათვის ყალიბდება. ერთგვარ გამონაკლისს ამ მხრივ კახეთის სამეფო წარმოადგენს ...სათავადოთა სისტემის ჩამოყალიბება კახეთის სამეფოში დაგვიანდა".[3]

ვ. გაბაშვილი 1966 წელს გამოცემულ ნაშრომში წერს: „კახეთში, როგორც ცნობილია, სათავადოების სისტემა არ არსებობდა".[4]

---

* მოხსენება წაკითხულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XVI სამეცნიერო სესიაზე 1967 წ. 23 მარტს.

[1] თსუ შრომები, ტ. 77, 1959, გვ. 27-55.

[2] იქვე, გვ. 54.

[3] ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XV სამეცნიერო სესია, თბ., 1966, გვ. 20.

[4] ვ. გაბაშვილი, ფეოდალური საქართველოს ქალაქების ურთიერთობანი მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებთან, კრებულში: ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, I, 1966, გვ. 174.

გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრება, რომ ქართლის ყველა თავადური სახლის სამფლობელო არ წარმოადგენდა სათავადოს. ამ მოსაზრების საფუძვლად, ერთ შემთხვევაში, დასახელებულია ის გარემოება, რომ ზოგი თავადის „ყმა-მამული ერთიან ტერიტორიაზე არ იმყოფება და ამიტომ მათ არა აქვთ სათავადო".[1] სხვა შემთხვევაში, იგივე მოსაზრების საფუძვლად, სხვა გარემოებაა აღნიშნული: „ყველა თავადს არ ჰყავს ყმა-აზნაურები და არც ყველა თავადის საფეოდალო ჩაითვლება სათავადოდ".[2]

6. ასათიანმა სპეციალური სტატია უძღვნა კახეთს (დანარჩენი ავტორები ამ საკითხს სხვა მოვლენებთან დაკავშირებით ეხებოდნენ) ამიტომ უფრო დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ მის საბუთიანობაზე.

6. ასათიანი აქ დასახელებულ ნაშრომში, ლიტერატურაზე დაყრდნობით, იძლევა ქართლის სათავადოს ზოგად დახასიათებას და აყალიბებს იმ ნიშნებს, რომლებიც, მისი აზრით, სათავადოს დამახასიათებელი და განმსაზღვრელია:

1. „თავადური მიწათმფლობელობის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია მიწა-მამულის საერთო-საგვარეულო მემკვიდრეობითი მფლობელობა" (გვ. 44).

2. ტერიტორიის ერთობა.

3. ციხე-დარბაზები და ეკლესია-მონასტრები.

4. სათავადო სამხედრო ერთეულია.

5. სათავადო სამეურნეო ერთეულია (გვ. 45-46).

ეს ნიშნები, 6. ასათიანის აზრით, არ გააჩნია კახეთის საფეოდალოს და, ამდენად, არც სათავადოთა სისტემა ჩამოყალიბებულა იქ. ამის მიზეზი თითქოს ის იყო, რომ კახეთში XVI საუკუნეში ცენტრალური ხელისუფლება უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ქართლსა და იმერეთში. ეს სიძლიერე კი, თავის მხრივ, შედეგი იყო შედარებით მშვიდობიანობისა და იმ ადმინისტრაციული რეფორმებისა, რომელიც იქ გატარდა XV საუკუნის ბოლოს (გვ. 34-35).

---

[1] დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 256.

[2] გ. აკოფაშვილი, სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XV-XVIII სს. ქართლში, თბ., 1965, გვ. 71.

ახლა მოკლედ ქართლის სათავადოს ზემოჩამოთვლილი ნიშნების შესახებ. გააჩნია თუ არა ეს ნიშნები სათავადოს? იგი მეტ-ნაკლებად ახასიათებს ყველა სათავადოს, მათ შორის, ვფიქრობთ, კახეთის თავადის სამფლობელოსაც. მაგრამ, არის თუ არა ეს ნიშნები არსებითი და განმსაზღვრელი სათავადოებისათვის? ან უკეთ, ეს ნიშნები მხოლოდ სათავადოს გააჩნია, თუ შეიძლება სხვა საფეოდალოსათვის იყოს დამახასიათებელი? ვფიქრობთ, რომ ეს ნიშნები მხოლოდ სათავადოსათვის არაა დამახასიათებელი.

განვიხილოთ ცალ-ცალკე ნიშნები.

„საერთო-საგვარეულო მემკვიდრეობითი მფლობელობა". აქ იგულისხმება, რომ ფეოდალური სახლის წევრები ერთად, კოლექტიურად, ფლობენ მიწას. სახლში არის საკუთრების შემდეგი ფორმები: საერთო, საუფლისწულო და სათავისთავო. საერთო მფლობელობა დამახასიათებელია არა მარტო თავადის სახლისათვის, არამედ აზნაურისათვისაც, აზნაურის სახლშიც მისი წევრები კოლექტიური მფლობელნი არიან იმ მიწისა, რომელიც ამ სახლს ან ოჯახს მემკვიდრეობით აქვს ბოძებული თავისი პატრონისაგან. გარდა ამისა, აზნაურის სახლის თუ ოჯახის თითოეულ წევრს შეიძლება ჰქონდეს თავისი ნასყიდი ქონება, რომელიც ოჯახის საკუთრებაში არ შედის. აი, რას წერს გ. აკოფაშვილი: „სააზნაურო სახლში ჩვენ ვხვდებით საკუთრების მხოლოდ ორ ფორმას 1. საერთო-სასახლო ანუ „სახასო" და 2. „სათავისთავო".[1] მართალია, აქ არაა „საუფლისწულო", მაგრამ, რაც მთავარია, არის სახლის სამემკვიდრეო საკუთრება. სხვათა შორის, „საუფლისწულო" საკუთრება, როგორც ეს ო. სოსელიამ გაარკვია, არ არის არც დასავლეთ საქართველოს სათავადოებში.[2] იქაც მხოლოდ „საერთო" და „სათავისთავოა", მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია იქ სათავადოების არსებობისათვის.

ვფიქრობთ, „საერთო-საგვარეულო მემკვიდრეობითი მფლობელობა" ახასიათებდა არა მარტო გვიანი საუკუნეების თავადსა და აზნაურს, არამედ ერთიანობის ხანის დიდებულსაც.

ივ. ჯავახიშვილის აზრით IX-X საუკუნეებიდან „მამული უკვე საგვარეულო მემკვიდრეობით მიღებული საკუთრების აღმნიშვნელი

---

[1] გ. აკოფაშვილი, დასახ. ნიგნი, გვ. 96.

[2] ო. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 104.

ტერმინია... ეს მნიშვნელობა ამ ტერმინს საუკუნეთა განმავლობაში შერჩა".[1]

ცნობილია, რომ დიდებულის სამფლობელოს სწორედ ასეთი „მამული" ანუ საგვარეულო-სამემკვიდრეო საკუთრება წარმოადგენდა. მაგალითად, როგორც ნ. შოშიაშვილმა აჩვენა, თორელთა სახლის „მამული" ანუ საგვარეულო სამფლობელო იყო თორის პროვინცია,[2] რომელიც ერთ კაცს ან ერთ ოჯახს კი არ ეკუთვნოდა, არამედ მთელ ფეოდალურ სახლს, ე. ი. სახლის „საერთო" საკუთრება იყო (სხვა საკითხია, რომ დიდებულს სხვა ხასიათის სამფლობელოც – საპატიო, სანახევრო და სხვა – ჰქონდა). განსხვავება თავადისა და დიდებულის „საერთო მამულს" შორის საკუთრების ხარისხშია (თავადს „მამულის" თავისუფლად გასხვისების უფლება აქვს, დიდებულს კი პატრონის ნებართვა სჭირდება) და არა იმაში, რომ თითქოს დიდებულის სამფლობელო ინდივიდუალური საკუთრებაა, თავადისა კი – საერთო-საგვარეულო. დიდებულის სახლის წევრებსაც ჰქონდათ, რა თქმა უნდა, „ნასყიდი", რომელიც ფეოდალის „სათავისთავო" იყო.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნში (IX ს.) ერთი ასეთი მუხლია: „თუ დიდებულნი გაიყარნენ, ერთი უკეთესი სოფელი საუხუცესოდ აიღონ და სხუაჲ შუა გაიყონ. და მონაგებიცა [თავ-თავისი გაჰყვეს]".[3] ე. ი. დიდებულის სამფლობელო მთელი სახლის საერთო საკუთრება ყოფილა და გაყრის შემთხვევაში უნდა გაეყოთ, გაყრამდე კი ერთად სარგებლობდნენ. „საერთოს" გარდა დიდებულის სახლის წევრებს „მონაგებიც" ჰქონდათ, რომელიც გაყრაში არ შედიოდა, და პირადი ანუ, გვიანი ტერმინი რომ ვიხმაროთ, „სათავისთავო" ქონება ყოფილა.

მაშასადამე, მინის საერთო მფლობელობა, ფეოდალური სახლის საერთო მფლობელობა, მხოლოდ სათავადოსათვის არ ყოფილა ნიშანდობლივი. ვფიქრობთ, ასეთი მფლობელობა მთელი ფეოდალური ხანისათვისაა დამახასიათებელი.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ნ. II, ნაკვ. II, თბ., 1929, გვ. 389.

[2] ნ. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, კრებულში „შოთა რუსთაველი", თბ., 1966, გვ. 50-56.

[3] ქართული სამართლის ძეგლები, I, ი. დოლიძის რედ., თბ., 1963, გვ. 469, მუხ. 154.

„ტერიტორიის ერთობა". არც ეს ნიშანი გვგონია მხოლოდ სათავადოსათვის დამახასიათებელი. ჯერ ერთი, „ტერიტორიის ერთობა", რაც მამულების კომპაქტურ განლაგებას გულისხმობს ერთ კუთხეში, შედარებითი ცნებაა. არც ერთი სათავადო არ ყოფილა აბსოლუტურად კომპაქტური. მეორეც, განა ერთიანობის ხანის დიდებულთა სამფლობელოებს არ ჰქონდათ ასეთი შედარებითი „ტერიტორიული ერთობა"? ასეთია, ჩვენი აზრით, მაგალითად, ბაღვაშთა, თმოგველთა, თორელთა და სხვ. სამფლობელოები. თორი, რომელიც მთელი პროვინცია იყო, სნორედ, კომპაქტური ტერიტორია იყო და საკმაოდ დიდ სივრცეზე გადაჭიმული.

ასევე შეიძლება ითქვას „სამხედრო ერთეულის" შესახებაც. დიდებულიც, მსგავსად თავადისა, ვალდებული იყო თავისი ვასალებითა და ყმებით გამოსულიყო ლაშქრობაში. დიდებულის მამულიდან გამოსული ლაშქრის სარდალიც თვით იყო. იმ შემთხვევაში, როცა „ისტორიანი და აზმანი შარავანდეთთანის" ავტორი ნერს, რომ მეფემ არდაველზე ლაშქრობა უბრძანა „თორელთა, თმოგუელთა, ჰერკახთა" და სხვა,[1] თორელებსა და თმოგველებში მხოლოდ ამ ფეოდალური სახლის წევრები კი არ იგულისხმებიან, არამედ მთელი მათი მამულიდან გამომავალი ლაშქარი. რაც შეეხება „სამეურნეო ერთეულს", აქ შეიძლება ითქვას, რომ ნატურალური მეურნეობის ბატონობის პირობებში ყველა საფეოდალო თვითკმარი სამეურნეო ერთეულია; ასეთია არა მარტო თავადის, არამედ დიდებულის სამფლობელოც. ასევე უნდა ითქვას ციხე-დარბაზისა და ეკლესია-მონასტრის შესახებაც. ეს ატრიბუტები მხოლოდ თავადის სამფლობელოსათვის კი არაა დამახასიათებელი, არამედ დიდებულის სამფლობელოსთვისაც. მაგალითად, თმოგველთა სამფლობელოს რეზიდენცია იყო თმოგვის ციხე, საგვარეულო მონასტერი კი – ვაჰანის ქვაბი.

რადგან ზოგიერთ მკვლევარს სათავადოდ არ მიაჩნია ისეთი თავადის მამული, რომელსაც აზნაური არა ჰყავს, ამიტომ ერთი-ორი სიტყვა ამ საკითხის შესახებაც უნდა ითქვას.

სათავადოთა სისტემის ხანისათვის დამახასიათებელია, რომ აზნაურთა წოდება დაქვემდებარებული წოდებაა. აზნაური ეკუთვნის მეფეს, ეკლესიას ან თავადს. მაგრამ არც ეს ნიშანია მხოლოდ

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედ., გვ. 102. იხ. აგრეთვე გვ. 306, 308 და სხვ.

თავადისათვის დამახასიათებელი. აზნაურთა წოდება დაქვემდებარებული წოდებაა ჯერ კიდევ ერთიანობის ხანის საქართველოში (და უფრო ადრეც). ს. ჯანაშია წერს: „დიდი აზნაურების დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ მრავალრიცხოვან წვრილ აზნაურთა სახლები, ზოგჯერ ასობით. ზოგიერთი დიდებულის ფეოდალური სამფლობელო თავისი სიდიდით მთელ სამეფოს ემსგავსებოდა. „პატრონყმობის" (ასე ერქვა სენიორისა და ვასალის დამოკიდებულებას) საფუძველი იყო მიწა: „ყმა" იღებდა მიწას „პატრონისაგან" პირობითი მფლობელობისა და სარგებლობისათვის, და სამაგიეროდ ვალად იღებდა „პატრონის" ერთგულს სამხედრო სამსახურს"[1] თანაც ეს ვასალი აზნაურები ისეთივე წვრილი მფლობელები იყვნენ, როგორც გვიან, სათავადოთა არსებობის ხანაში. მაგალითად, ბაგრატ კურაპალატის IX საუკუნის სამართლის წიგნის მიხედვით, თუ დიდებულის სახლის გაყრისას საუხუცესო ერთი სოფელი იყო, აზნაურის სახლის გაყრისას – მხოლოდ ერთი კომლი გლეხი. თანაც ყველა აზნაურს არც კი ჰყოლია გლეხი.[2] ასეთი ვასალი აზნაურები ჰყავდათ, მაგალითად, თმოგველებს XIII საუკუნის დასაწყისში. ისინი „მათი სახლისა აზნაურნი" არიან.[3] ვასალი აზნაურები ჰყავთ აგრეთვე, XIII საუკუნის ერთი დოკუმენტის მიხედვით, შიდა ქართლში მოსახლე დიდებულებს (გვარი არ ჩანს).[4] აზნაური ჰყავს ბექა-აღბუღას სამართლით ცნობილ დიდებულს[5] და სხვ. მაშასადამე, არც ეს ნიშანია თავადისა თუ სათავადოს არსებითი ნიშანი.

ვფიქრობთ, ზემოთქმულის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ აქ ჩამოთვლილი ნიშნები, მართალია, გააჩნია სათავადოს, მაგრამ არც ერთი ეს ნიშანი, არც ცალ-ცალკე და არც ერთად, არაა სპეციფიკური ნიშანი სათავადოსათვის. მით უმეტეს, რომელიმე ამ მომენტის უქონლობა თავადის სამფლობელოში არ იძლევა საფუძველს უარვყოთ სათავადო.

---

1 ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 ს-მდე, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 429.

2 სამართალი ბაგრატ კურაპალატისა, მუხ. 153, ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ. 469.

3 ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 85, მუხ. 5.

4 ს. კაკაბაძე, XIII საუკუნის საჩივრის წიგნი, საისტორიო კრებული, ნ. III, თბ., 1928, გვ. 98.

5 სამართალი ბექასი, მუხ. 31, ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ. 436.

მაშ, რა არის სათავადო? ან უკეთ რაში მდგომარეობს ის არსებითი, სპეციფიკური ნიშანი, რომელიც ფეოდალის სამფლობელოს ე. ნ. სათავადოდ აქცევს?

ამ საკითხის გასარკვევად უნდა განვიხილოთ თავადთა წოდება მთლიანობაში და მოინახოს ის არსებითი ნიშანი, რომელიც საერთოა მთელი წოდებისათვის და რომლითაც იგი განსხვავდება როგორც დიდებულისაგან, ისე აზნაურისაგან. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გამოვლინდეს ის ნიშნები, რომელიც განასხვავებს ერთმანეთისაგან თვით ამ წოდების შიგნით დიდ, საშუალო და მცირე თავადებს და აგრეთვე, სხვადასხვა კუთხის თავადებს ერთმანეთისაგან (აქამდე წინა პლანზე გამოჰქონდათ სწორედ ეს არაარსებითი ნიშნები და მის საფუძველზე უარყოფდნენ კახეთში სათავადოს არსებობას).

სათავადო, უპირველეს ყოვლისა, არის თავადის მამული, სულ ერთია ის იქნება გაყოფილი თუ გაუყოფელი, დიდი თუ მცირე. მისი განმსაზღვრელი სპეციფიკური ნიშანია მიწის საკუთრების ფორმა, მიწის საკუთრების ხასიათი, რომელსაც შეიძლება ეწოდოს მიწის ფეოდალური საკუთრების თავადური ფორმა. სწორედ, მიწის საკუთრების ხასიათით განსხვავდება თავადი და სათავადო აზნაურისა და დიდებულისაგან და მათი სამფლობელოებისაგან.

ჯერ ვნახოთ რას ამბობს ნ. ბერძენიშვილი სათავადოს შესახებ: „ბატონები საშვილიშვილოდ დაუფლებიან იმ ქვეყნებს, რომლებიც მათ ოდესღაც სამეფო ხელისუფლებისაგან სამმართველოდ მიიღეს. საბოლოოდ მიუსაკუთრებიათ მათ თავისუფალი მიწის მუშებისაგან მინატაცები მინა-წყალიც. ყოველივე ეს მინათვისებ-მონატაცები მებატონის მამაპაპაეულ საკუთრებასთან ერთად სათავადოს ქმნის. მრავალ ბატონს შეუვალობის უფლება მოუპოვებია, ესე იგი, მეფეს ასეთი ბატონის ყმები ყოველგვარი სამეფო გადასახადებისაგან გაუთავისუფლებია... გადასახადები, ადმინისტრაცია და სამართალიც-კი მეტნილად ამიერიდან ამ მებატონეთა ხელშია"[1] ე. ი. ნ. ბერძენიშვილის აზრით, სათავადოს ქმნის ორი მთავარი მომენტი – სამოხელეო ანუ სამმართველო ტერიტორიების საბოლოო მითვისება (სამკვიდრო მამულთან ერთად), რომელიც თავადის მიწათმფლობელობის ეკონომიკური შინაარსია, და იმუნიტეტის მოპოვება (უკეთ

[1] საქართველოს ისტორია, თბ., 1943, გვ. 268.

გაღრმავება), რაც ეკონომიკის ზედნაშენია და თავადის პოლიტიკურ უფლებას განასახიერებს.

ახლა ვნახოთ რას ნიშნავს ეს ორი მომენტი კონკრეტულად.

ერთიანობის ხანის დიდებულის სამფლობელო შედგება „სამამულე და მკვიდრი" მამულისაგან და „საპატიო", „სახარაჯო", „სანახევრო", „საკარგავი" თემებისაგან, თუ პროვინციებისაგან. მთელი ეს სამფლობელო პირობითი მფლობელობა იყო. ნაწილი, რომელიც მოხელეობასთან იყო დაკავშირებული, მანამ ჰქონდა დიდებულს, სანამ თანამდებობა ეჭირა. ნაწილი კი „სამკვიდრო და სამამულე" იყო, ე. ი. მემკვიდრეობით გადადიოდა, მაგრამ მაინც პირობითი იყო, რადგან დიდებულს მისი გასხვისების უფლება არ ჰქონდა მეფის ნებართვის გარეშე. რა თქმა უნდა, დიდებულს ჰქონდა ნასყიდი მიწები, რომლის სრული განმკარგულებელი თავად იყო.

XIII-XIV საუკუნეებიდან თანდათან ხდება თანამდებობასთან დაკავშირებული ქვეყნების „სამკვიდრო და სამამულოდ" გადაქცევა. დასუსტებული ცენტრალური ხელისუფლება ვეღარ უმკლავდება ფეოდალების თვითნებობას და ბოლოს და ბოლოს ურიგდება ვითარებას და ოფიციალურად აღიარებს ფეოდალების მთელ სამფლობელოს „სამკვიდრო, სამამულე და ჭელშეუვალ" საკუთრებად. ეს ხდება XV საუკუნეში. XVI-XVII საუკუნეები პროცესის შემდგომი გაღრმავების ხანაა. ამიერიდან ახლად ნაწყალობევი მამულიც თავადის სამუდამო მფლობელობაში გადადის.

ამრიგად, დიდებულის სამფლობელოსაგან თავადის სამფლობელო, უპირველეს ყოვლისა, იმით განსხვავდება, რომ პირველის სამფლობელო საკუთრების სხვადასხვა სახეობის მიწისაგან შედგება, თავადის სამფლობელო კი, მხოლოდ „მკვიდრი და სამამულოა" (აქვთ აგრეთვე ნასყიდი ისე, როგორც დიდებულებს).

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ დიდებულსაც ჰქონდა „მკვიდრად და სამამულედ" ბოძებული სამფლობელო. თანაც იგი ხშირად შეუვალობითაც ანუ იმუნიტეტითაც სარგებლობდა. და, ყველაფერი ეს, მემკვიდრეობით გადადიოდა. მაგრამ საკუთრების ეს სახე მაინც პირობითი იყო. იგი დაკავშირებული იყო სამსახურის გარკვეულ სახეობასთან. ამ სამსახურის შეუსრულებლობის შემთხვევაში მფლობელი კარგავდა „მკვიდრ" მამულს. არც ერთ „მკვიდრად" გაცემულ მამულის სიგელში არაა ნათქვამი, რომ მის ახალ მფლობელს გაყიდვის ან სხვაგვარად გასხვისების უფლება ჰქონდა. მეტიც, ყოველ ასეთ

სიგელში აღნიშნულია სამსახურის რა სახეობისათვის მიეცა მას ესა თუ ის მამული (მაგალითად, როგორც დავით აღმაშენებლის ერთი სიგელიდან ჩანს, ნიანიას ვეძისხევი ჰქონდა მამულად „ლაშქრობის პირობით"[1]). ივ. ჯავახიშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით წერდა: „მამულობით" ან „მკვდრად და მამულობით", გინდა „სამამულოდ და მკვდრად", თვით „ყოველთა მომავალთა მათთადა", ე. ი. მემკვიდრეობით მიცემული უძრავი ქონება მაინც არც მისი მიმღების, არც მის შთამომავლობის კერძო საკუთრებად (იგულისხმება გასხვისების უფლება – გ. ჯ.) არ ხდებოდა".[2]

ახლა ვნახოთ როგორია თავადის სამფლობელოს საკუთრების ხასიათი.

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშიცაა აღნიშნული, ეს არის „სამკვიდროდ, სამამულედ, უცილობლად და ჭელშეუვალად" ნაწყალობევი მამული „ერთგულად სამსახურის პირობით", მაგრამ რომლის ჩამორთმევა მეფეს არ შეუძლია, რადგან „დაუნაშავებლად წართმა... აროდეს ყოფილიყო".[3]

პირობითობა აქ ფორმალურია. თავადს „სამკვიდრო მამულის" თავისუფლად გასხვისების უფლება აქვს. აი, რას წერს ამ საკითხთან დაკავშირებით ო. სოსელია. „მრავალი საბუთი მოგვეპოვება იმის მაჩვენებელი, რომ თავადი XVII და, უმეტეს შემთხვევაში, XVIII საუკუნეში სრულიად დამოუკიდებლად ასხვისებს (ყიდის, უბოძებს) ყმა-მამულს. ამასთან, არც ერთ შემთხვევაში არ არის მითითება იმაზე, თუ რა ხასიათისაა ეს ყმა-მამული – სამკვიდრო, ბატონისაგან დამოუკიდებლად შეძენილი თუ ბატონისაგან ნაწყალობევი. ჩანს, ასეთ დაყოფას თავადისათვის მნიშვნელობა უკვე ეკარგება, ჩვეულებრივი გარიგების დროს მას ყურადღება არ ექცევა".[4]

აი, ერთი შესანიშნავი დოკუმენტი, რომელშიც უაღრესი სიზუსტითაა განსაზღვრული სათავადოს მფლობელობის ხასიათი და რაობა: 1467 წელს მეფე კონსტანტინემ თავის „ერთგულსა თავადსა

---

1 თ. ჟორდანია, შიომღვიმის ისტორიული საბუთები, გვ. 21; იხ. აგრეთვე იქვე, გვ. 24; ს. კაკაბაძე, საისტორიო მოამბე, ნ. I, თბ., 1925, გვ. 237.

2 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ნიგნი II, ნაკვ. II, გვ. 410, იხ. აგრეთვე ო. სოსელიას დასახ. ნაშრომი, გვ. 103.

3 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 130.

4 ო. სოსელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 103-104.

ფანასკერტელსა ზაზას და მის შვილებს დაუმტკიცა ორბოძლელის ნაქონი მამული, რომელიც ნასისხლად უშოვიათ, აგრეთვე „... მამული ქვაჴრელი, უფლისციხე და კარალეთი მისითა ეკლესიითა, სასახლითა, ჭურ-მარანითა, გლეხებითა... მკვიდრად, სამამულოდ, საბოლოოდ და უცილობელ უსარჩელელად... როგორც თქვენსა მკვიდრსა მამულს მართებს, აგრე ჴელგეწიფების გასაყიდად, გაზითვებად, შეწირვად, თანაშეტანად და რაცაფერად გინდა... კიდეცა გვითარხნებია ყოვლისა სათხოვრისაგან და გამოსაღებისაგან... ჩვენი მოასილი ამა თქვენთა მამულთა შიგა ვერსად შევიდეს და ვერცავინ რა საქმე დაიდოს".[1] მაშასადამე, „მკვიდრად და სამამულედ" მიღებული სამფლობელო თავადის შეუზღუდველ საკუთრებაში გადადის. თავადს უფლება აქვს „მამულიც" ისევე გაასხვისოს, როგორც, მაგალითად, „ნასყიდი". მაგრამ ხომ არაა ეს განსაკუთრებული შემთხვევა? ვფიქრობთ, რომ არა. მრავალი საბუთია ცნობილი, საიდანაც ჩანს, რომ თავადი თავის სამკვიდრო მამულს თავისუფლად ასხვისებს.

ხომ არ ეწინააღმდეგება ამ ფაქტს ვახტანგის სამართალი, სადაც აღნიშნულია, რომ მამულის გასხვისების შემთხვევაში „ჴელმწიფესაც უნდა დაკითხვა, მაგრამ, უკითხავადაც სყიდულა და არც ხელმწიფე გამოჰკიდებია"... (მუხ. 162). ვფიქრობთ, რომ არა, პირიქით, აქ დაკანონებაა იმ უკვე დამკვიდრებული მოვლენისა, რომლის შეცვლა ვახტანგმა ვერ შეძლო. ის მხოლოდ მოკრძალებულ თხოვნას გამოთქვამს, რომ მამულის გაყიდვის დროს კარგი იქნება თუ ჩვენც გვკითხავთო.

აი, სნორედ ეს მომენტი – მკვიდრი მამულის თავადის სამუდამო მფლობელობაში გადასვლა და მისი გასხვისების უფლება – განასხვავებს XV-XVIII საუკუნეების სამამულო სისტემას ერთიანობის ხანის სამამულო სისტემისაგან. პირველი ფაქტობრივად უპირობო საკუთრებაა, მეორე კი – პირობითი (და არა ის მომენტი რომ, თითქოს ერთიანობის ხანაში გაბატონებული იყო მინის ინდივიდუალური საკუთრება, ხოლო XV-XVIII საუკუნეებში კი – მინის საერთო-საგვარეულო საკუთრება). იგივე მომენტი განსაზღვრავს თავადის პოლიტიკურ უფლებებს, რომელიც იმუნიტეტში გამოიხატება. ესაა ის მთავარი და არსებითი ნიშანი, რაც ფეოდალის მამულს სათავადოდ აქცევს, ე. ი. მთავარია არა ის, თუ რას ფლობს ფეოდალი, არამედ როგორ ფლობს,

---

[1] დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 121-122.

როგორია მისი საკუთრება და როგორია მისი პოლიტიკური უფლება ანუ იმუნიტეტი. თავისთავად ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს თუ რამოდენა მამულს და ან რამდენ აზნაურს და გლეხს ფლობს ფეოდალი, მაგრამ ეს და სხვა მომენტები განსაზღვრავენ არა იმას, არის თუ არა ფეოდალი თავადი, ან მისი მამული სათავადო, არამედ ეს მომენტები განსაზღვრავენ, თუ რომელი კატეგორიის თავადია იგი. რაც არ უნდა გაიყაროს და შემცირდეს თავადის მამული, ის მაინც არ კარგავს თავის ნოდებას თუ შეინარჩუნა ის არსებითი ნიშნები, რომელიც თავადისა და მისი მამულისათვის არის დამახასიათებელი.

ახლა მოკლედ, ორიოდე სიტყვით, იმის შესახებ, თუ რით განსხვავდება სათავადოს მფლობელობა აზნაურის მფლობელობისაგან. გარდა იმისა, რომ აზნაური ნვრილი მფლობელია, მისი მამული, რომელიც მემკვიდრეობით მფლობელობაში აქვს გადაცემული, პიროვნული საკუთრებაა, გასხვისების (გაყიდვა, შენირვა, მზითევში მიცემა...) უფლება მას არა აქვს. პატრონისაგან წასვლის შემთხვევაში, რის უფლებაც მას აქვს, ნაწყალობევი მამული პატრონს რჩება. აზნაურს ეკუთვნის მხოლოდ ნასყიდი მამული, რომლის მისაკუთრებასაც თავადი თანდათან მეტის მონდომებით ცდილობს.[1] თავადის საკუთრება კი, როგორც უკვე აღინიშნა, ფაქტობრივად უპირობო და შეუზღუდავია.

ვფიქრობთ, ცხადია განსხვავება თავადის მინათმფლობელობასა, ერთი მხრივ, და დიდებულისა და აზნაურის მინათმფლობელობას შორის, მეორე მხრივ. ამის შესაბამისია განსხვავება იმუნიტეტშიც. ჩვენი აზრით, მოხერხებული იქნება, თუ თავადის მინათმფლობელობას დიდებულისა და აზნაურის მინათმფლობელობისაგან განასხვავებლად, ერთი მხრივ, და XV-XVIII საუკუნეების გაბატონებულ სამამულო სისტემას ერთიანობის ხანის სამამულო სისტემისაგან განასხვავებლად, მეორე მხრივ, ვიხმართ ტერმინს: მიწის ფეოდალური საკუთრების თავადური ფორმა ანუ სათავადო საკუთრება. ეს ტერმინი უკვე იხმარება ლიტერატურაში.[2] მაგრამ არა იმ მნიშვნელო-

---

1. **ნ. ბერძენიშვილი**, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 104-105; **დ. გვრიტიშვილი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 250; **გ. აკოფაშვილი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

2. **გ. ჯამბურია**, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955, გვ. 199; საქართველოს ისტორია, I, მაკეტი, თბ., 1956, გვ. 270; **ნ. ასათიანი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

ბით, რაზედაც ზემოთ იყო საუბარი, არამედ საგვარეულო-სამემკვიდრეოს მნიშვნელობით. ამიერიდან აღნიშნულ ტერმინში უნდა ვიგულისხმოთ ფეოდალის უპირობო და შეუზღუდველი საკუთრება.

ნათქვამი, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ გაწყდა კავშირი თავადებსა და მეფეს შორის. მინათმფლობელობაში იერარქია (საკუთრების უფლების დანაწევრებულობა) კვლავ მოქმედებს, ოღონდ სხვა ფორმაში ვიდრე ადრე იყო. თავადი მეფის ვასალია. მისი მთავარი მოვალეობაა სამხედრო სამსახური. თავადის სამფლობელოს აგრეთვე ადევს ზოგიერთი სახელმწიფო გადასახადი (საური, კოდის პური და სხვ.), რომელიც იმუნიტეტის გაფართოების შედეგად თანდათან მცირდება, დაბოლოს, გაქრობის პირზე მიდის (მაგალითად, გიულდენშტედტს აღნიშნული აქვს, რომ „თავადები კანონითა და სამხედრო ლაშქრობის წესით თუმცა ემორჩილებიან მეფეს... მაგრამ გადასახადს მას არ უხდიანო"[1]). კანონით მეფეს ბეითალმანის უფლება აქვს – ამოწყვეტილი თავადის მამული მეფის საკუთრებაში გადადის. მაგრამ, ცხოვრებაში ეს ნორმა ხშირად ირღვევა და ასეთ მამულს გაყრილ სახლიკაცს აძლევდნენ. მეფეს აქვს აგრეთვე სამფლობელოს განახლების უფლება, მაგრამ ეს უფრო ხშირად ფორმალური ხასიათისაა და უფრო მაშინ ხდება, როცა ამას თავადის ინტერესი მოითხოვს. ვ. გაბაშვილი აღნიშნავს: „მართალია, მეფემ შეინარჩუნა მამულების მფლობელობის განახლების უფლება, მაგრამ ამ უფლების ნომინალური ხასიათი სავსებით აშკარაა. მეფეს ფაქტობრივად, ხელი არ მიუწვდება „სამამულოდ" და „სამკვიდროდ" ბოძებულ მამულებზე".[2]

ეს მოვლენა – მიწის თანდათან შეუზღუდველ საკუთრებაში გადასვლა ანუ ფეოდალური საკუთრების განმტკიცება – დამახასიათებელია ევროპისა და რუსეთის ფეოდალიზმისათვისაც გვიანფეოდალურ ხანაში. ბენეფიციუმი და ფეოდი, რომლებიც ორივე პირობითი საკუთრება იყო (პირველი მიემსგავსება ქართულ „საკარგავს", მეორე კი „მამულს"), გვიან ხანაში არსებითად შეუზღუდველ საკუთრებად იქცნენ. ასევე მოხდა რუსეთშიც, იქ „ვოტჩინა" და „პომესტიე" შეერთდნენ

---

[1] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, 1962, გვ. 225.

[2] **გ. გაბაშვილი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 149, სქოლიო 1.

და მუდმივ საკუთრებად, არსებითად უპირობო საკუთრებად იქცნენ (ეს მოხდა XVII ს. მანძილზე და XVIII საუკუნის პირველ ნახევარში). მაგრამ ევროპასა და რუსეთში ქალაქების განვითარებამ, მესამე ნოდების წარმოშობამ და ამის საფუძველზე ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებამ ვასალიტეტი და ფეოდალების პოლიტიკური უფლებები – იმუნიტეტი – კი არ გაზარდა, არამედ შეზღუდა, დაბოლოს სულ აღკვეცა. საქართველოში კი საგარეო ფაქტორმა (უცხოელ დამპყრობთა ხშირი შემოსევები, ბიზანტიის დაცემა და ევროპასთან კავშირის გაწყვეტა, „ლეკიანობა" და სხვ.) ქვეყანა ეკონომიკურად დააქვეითა და ცენტრალური ხელისუფლება დაასუსტა. ყველაფერს ამას ქვეყნის პოლიტიკური დაშლა მოჰყვა. ამ ვითარებამ კი, თავის მხრივ, გამოიწვია ვასალიტეტისა და იმუნიტეტის არა შემცირება და მოსპობა, არამედ მისი გაზრდა და გაფართოება.

ჩვენ ვცადეთ გვეჩვენებინა ის ცვლილებები, რაც საადგილმამულო ურთიერთობაში მოხდა. მაგრამ ცვლილებები შეეხო ცხოვრების მრავალ მხარეს: სახელმწიფო და სამოხელეო წყობილებას, სოციალურ ურთიერთობას და სხვ. (ჩვენ მხოლოდ მივუთითებთ ამ ცვლილებებზე).

ქართული სამართლის წიგნების მიხედვით ერთიანობის ხანის ფეოდალური საზოგადოების სოციალური სტრუქტურა შემდეგი სახისა იყო:

1. დიდებული,
2. აზნაური,
3. ჰეროვანი (თავისუფალი მთიელი მწარმოებელი),
4. გლეხი (არათავისუფალი მწარმოებელი),
   ა) მსახური,[1]
   ბ) მებეგრე ანუ მოყალნე (ანუ გლეხი. გლეხი ვიწრო მნიშვნელობით მებეგრეს აღნიშნავს).

XV-XVIII საუკუნეების ფეოდალური საზოგადოების სოციალური სტრუქტურა კი შემდეგნაირია:

---

[1] ამ ბოლო დროს საისტორიო ლიტერატურაში გაჩნდა აზრი, რომლის მიხედვით, მსახური არათავისუფალ ნოდებაში კი არ შედის, არამედ ფეოდალთა კლასში შემავალი ფენაა (ზ. რატიანი, მსახურთა სოციალური ნოდება (ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვით), ჟურნ. „ცისკარი", № 8, თბ., 1968, გვ. 123. ეს შეხედულება, ჩვენი აზრით, სნორი არაა.

1. თავადი,
2. აზნაური,
3. გლეხი,
   ა) მსახური,
   ბ) მებეგრე ანუ მოყალნე.

ჰეროვანი არ იხსენიება, თუმცა საქართველოს მთიანეთში მაინც შემორჩენილია თავისუფალი თუ ნახევრად თავისუფალი მწარმოებელი.

შეიძლება ამით აიხსნას ის გარემოება, რომ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში დარჩა ერისთავობა. ნიშანდობლივია, რომ საერისთავოები შემორჩა, სწორედ, მთასა და მთისწინა ზოლში (ქსანი, არაგვი, რაჭა, მთიანი გურია), სადაც მთლად არ გამქრალა თავისუფალი მწარმოებელი, რომელიც მეფის ყმად და ქვეშევრდომად განიხილებოდა, ერისთავი კი მისი და მეფის მიმართ მოხელე იყო. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ არსად არ ყოფილა ისე მწვავე კლასობრივი ბრძოლა, როგორიც იყო ქსნისა და არაგვის საერისთავოებში. იქ ათეული ნლების განმავლობაში გრძელდებოდა სისხლისმღვრელი ომი თავისუფალი მწარმოებლების დასამორჩილებლად და დასაბეგრავად. მეფის ხელისუფლება ამ ბრძოლაში ხშირად მთიელების მხარეზე იყო, რადგან მეფე მათ მიიჩნევდა, როგორც თავის ყმასა და ქვეშევრდომს. თეიმურაზმაც ხომ ასეთი ბრძოლის ერთი მომენტი გამოიყენა არაგვის საერისთავოს გასაუქმებლად.

უდავოდ ნიშანდობლივია ისიც, რომ ერეკლე-თეიმურაზმა, როცა მათ სცადეს მსხვილ ფეოდალთა ალაგმვა, პირველ რიგში საერისთავოებს მიადგნენ და მოსპეს ისინი. სათავადო კი ვერც ერთი ვერ გააუქმეს. აქ უდავოდ მნიშვნელობა ჰქონდა იმ მომენტს, რომ თავადის მამული მისი საკუთრება იყო, ერისთავს კი, ფორმალურად, მაგრამ მაინც, მოხელედ მიიჩნევდა მეფის ხელისუფლება.

ეს მომენტი რომ მხედველობაში ყოფილა მიღებული ჩანს შემდეგიდანაც, როცა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, ქსნის ერისთავები იბრძოდნენ სამფლობელოს უკან დასაბრუნებლად, ჩამორთმევის აქტის უკანონობას, სხვა მომენტებთან ერთად, იმითაც ასაბუთებდნენ, რომ საერისთავო ჩვენი მამული იყოო. ვახტანგ ბატონიშვილი კი იცავდა ჩამორთმევის კანონიერებას და აცხადებდა, რომ ქსნის ერისთავები მემამულეები კი არ იყვნენ, არამედ

მოხელეებიო.[1] ჩვენი აზრით, ორივე მხარე მართალი იყო: მეფის თვალსაზრისით, ერისთავი მოხელე იყო, ფაქტობრივად კი, ისინი თავადები იყვნენ. ერთი კია სათავადოთა სისტემის წარმოშობის ხანაში ერისთავები ჯერ კიდევ უფრო მოხელეები უნდა ყოფილიყვნენ, ვიდრე მემამულეები.

სახელმწიფოსა და სამოხელეო წყობილებაში მომხდარი ცვლილებებიდან აღსანიშნავია შემდეგი: გაქრა ინსტიტუტი ვაზირისა, რომელიც სახელმწიფოს მასშტაბით იყო მოხელე და შემოიღეს სახლთუხუცესი, რომლის კომპეტენციაში, უპირველეს ყოვლისა, სახასო მამულები შედიოდა. მეორე მხრივ კი, გაქრა ინსტიტუტი ერისთავისა – სახელმწიფოს ტერიტორიის გამგებლისა და დამკვიდრდა (უკეთ, გაფართოვდა და წინ ნამოინია) ინსტიტუტი მოურავისა – მეფის სახასო მამულების გამგებლისა. ამ დროიდან სულ გამქრალი არაა სახელმწიფო საკუთრების ცნება, მაგრამ, ფაქტობრივად, იგი სახასოს იდენტურია.[2]

ყველა ეს მოვლენა ერთად და ერთდროულად არ მომხდარა, არამედ ხანგრძლივი პროცესის შედეგი იყო. დამთავრდა იგი საქართველოს პოლიტიკურ დაშლასთან დაკავშირებით.

რატომ შეიცვალა ტერმინი „დიდებული" „თავადით"? დიდებულისა და მისი სამფლობელოს სიძლიერე რამდენადმე მაინც დაკავშირებულია მოხელეობასთან და მასზე მიმაგრებულ მინასთან. მას შემდეგ, რაც ასეთი მიწებიც სამემკვიდრეოდ გადაიქცა და ის სახელოები კი თანდათან გაქრნენ (გვიანი ხანის მოხელეებს მამული არ ეძლეოდათ, როგორც წესი) მნიშვნელობა დაკარგა მოხელეობის ძველმა წესმა. ან უკეთ, ფეოდალის სიძლიერეს ახლა განსაზღვრავდა არა მაინცდამაინც თანამდებობა, არამედ და პირველ რიგში, იმ მამულის სიდიდე, რომელსაც იგი „სამამულოდ" და „მკვიდრად" ფლობდა.[3]

---

[1] **Акты**, ტ. I, გვ. 500; **შ. ხანთაძე**, სოციალური ბრძოლის ეპიზოდი გვიანფეოდალურ საქართველოში, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XX-B, თბ., 1959, გვ. 153.

[2] **ივ. სურგულაძე**, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I, თბ. 1952, გვ. 132-133; **Н. Антелава**, Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX века, Тб., 1955, стр. 15-17; **ნ. ასათიანი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 35, სქოლიო 3.

[3] **დ. გვრიტიშვილი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 255.

ამიერიდან მსხვილი ფეოდალის სახლის მეთაური დიდებული კი აღარაა, არამედ თავადი (პირდაპირი მნიშვნელობით უფროსი), რომელიც ფეოდალური სახლის თუ ოჯახის მეთაურია და რომელსაც შეიძლება არავითარი სახელო არ ეჭიროს მეფის კარზე (თუმცა ასეთი დიდებულებშიც შეიძლებოდა ყოფილიყო გვიან ხანაში მაინც) ან ძალიან პატარა თანამდებობის მფლობელი იყოს. მაგალითად, XV საუკუნის პირველ ნახევარში ქართლის ერთ-ერთი უდიდესი ფეოდალური სამფლობელოს მეთაური ბარათა ქაჩიბაძე, მეფის სალაროს მოლარე იყო (იგივე თანამდებობა ეჭირა შემდეგ მის ვაჟს).[1]

ამავე საკითხთან, სათავადო რომ მისი მფლობელის სამუდამო მფლობელობაში აღმოჩნდა, დიდებულის სამფლობელოს ის ნაწილი კი, რომელიც მოხელეობასთან იყო დაკავშირებული არამყარია, უნდა იყოს დაკავშირებული ერთიანობის ხანის მსხვილ ფეოდალურ გვარებში ხშირი ცვლილებანი (აღზევება, დამცრობა, სრული გაქრობა და სხვ.). მაშინ, როცა სათავადო სისტემის გამარჯვების დროიდან საოცარ სიმყარეს იჩენს მსხვილი ფეოდალური გვარები – ჩოლოყაშვილი, ვაჩნაძე, ანდრონიკაშვილი, მაყაშვილი, ბარათაშვილი, ამილახვარი, ციციშვილი, წულუკიძე, წერეთელი, ანჩაბაძე და სხვა.

ზემოთ აღინიშნა, რომ მოხელეობა არ იყო გადამწყვეტი თავადისა და სათავადოს ცხოვრებაში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თავადები უარს ამბობდნენ თანამდებობებზე. პირიქით, მათ თანდათან მოხელეობაც სამემკვიდრეო საკუთრებად აქციეს და ისეთივე გააფთრებული ბრძოლა იყო თანამდებობებისათვის, როგორც მამულებისათვის. თავადების საშვილიშვილო საკუთრებად იქცა სარდლის თანამდებობანი ქართლსა და იმერეთში, სახლთუხუცესი, მდივანბეგი, ბოქაულთუხუცესი, მოურავი და სხვა მრავალი მთელ საქართველოში. მაგ., კახეთში სახლთუხუცესობა მთელ XVI-XVIII საუკუნეებში თითქმის ყოველთვის ჩოლოყაშვილების ხელშია, ასევე, მათ ხელშია თიანეთში მეფის სახასო მამულების მოურავობა და სხვა.

იმ შემთხვევაში, როცა მეფე ჩამოართმევდა სარდლობას ან სხვა თანამდებობას ერთ გვარს და მეორეს გადასცემდა, ეს აქტი უსამართლობად მიიჩნეოდა. დაზარალებული მხარე დაჟინებით ცდი-

---

[1] გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 20-21.

ლობდა თანამდებობის უკან დაბრუნებას და ხშირად წარმატებებსაც აღნევდა. ამ გარემოებას ხელს უწყობდა გართულებული საგარეო პირობებიც. ხშირად ქართველი ფეოდალები მამულებისა და თანამდებობების დამტკიცების სიგელებს ირანის შაჰებისაგან იღებდნენ, რის შედეგადაც, ადგილობრივი მეფე შეზღუდული იყო თავის მოქმედებაში. ასეთი ვითარება განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო XVII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოსათვის.

სახელოების სამემკვიდრეოდ დაჩემების ტენდენცია მთელი ფეოდალიზმის ხანისათვისაა დამახასიათებელი. მაგრამ, სანამ ცენტრალური ხელისუფლება ძლიერი იყო, არასოდეს არ ცნობდა ამ ვითარებას და ყოველ შესაფერ შემთხვევაში სპობდა ასეთ ტენდენციას. სათავადოთა წარმოშობის დროიდან კი დასუსტებული ცენტრალური ხელისუფლება, ფაქტობრივად, ურიგდება ვითარებას, უფრო მეტიც, ხშირად ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს სახელო „სამკვიდროდ" მოგეცა შენ და შენ სახლსაო. სახელო, ჩვეულებრივ, ისე, როგორც მამული, ერთგულად სამსახურის პირობით გაიცემოდა. მართალია, ეს ფორმულა ნომინალურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი იყო იმ მხრივ, რომ მეფე უფლებას იტოვებდა თავადის „შეცოდების" შემთხვევაში ჩამოერთმია მისთვის, როგორც მამული, ისე სახელო. ცხოვრებაში ეს ნორმა ხშირად ვერ ხორციელდებოდა, მაგრამ ჩვენ აქ ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ ფაქტობრივი მდგომარეობა ერთ სიგელში თვით მეფის მიერაა აღიარებული. ალექსანდრე მეფემ 1430 წელს გორის მოურავობა უბოძა ეზოს ჩუხჩარეხს ავთანდილ ზევდგინიძეს და მის სახლს „სამკვიდროდ" და ბოლოს, დასძენს: „თუ რამე ასეთი საქმე შეგეცოდოსო, რომე მოურავობისა ნაღება გვმართებდეს, სხვითა სამამულოთა გარდაგახდევინოთ და მოურავობა არცა მაშინ წაგიღოთო"[1] (მართლაც, XIX საუკუნემდე სულ ამ სახლის ხელშია გორის მოურავობა). ე. ი. მეფემ არა მარტო „სამკვიდროდ" გასცა სახელო, არამედ თავადის „შეცოდების" შემთხვევაშიც კი არ დაიტოვა უკან ნაღების უფლება. შეიძლება ეს განსაკუთრებული შემთხვევა იყოს, მაგრამ მასში მაინც კარგად ჩანს ეპოქის ტენდენცია.

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 122.

* * *

ახლა მოკლედ კახეთის შესახებ. ნ. ბერძენიშვილი, ახასიათებს რა სათავადოს, დასძენს: „მთელი საქართველო თანდათან ასეთი სათავადოებით მოიფინაო".[1] ვნახოთ რა მდგომარეობაა ამ მხრივ კახეთში.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ რამდენადმე გადაჭარბებითაა შეფასებული კახეთის ე. წ. რეფორმის მნიშვნელობა. აღნიშნულია, რომ, თითქოს, მთელი კახეთი ძველი საერისთავოების მაგიერ სამოურავოებად დაიყო.[2] სწორედ ამ გარემოებას უდებენ უმთავრესად საფუძვლად (სხვა გარემოებებთან ერთად) იმ მოსაზრებას, რომ, თითქოს, კახეთში სათავადოები არ წარმოშობილა. ეს შეხედულება, ჩვენი აზრით, სწორი არაა. სამოურავოებად დაიყო არა მთელი კახეთი, არამედ მეფის სახასო მამული, უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ კახეთი XVI საუკუნის დასაწყისისათვის დანაწილებული აღმოჩნდა მეფის, ეკლესიისა და თავადების მამულებად, ისე, როგორც ეს მოხდა ქართლში და დასავლეთ საქართველოში. მეფის სახასოს კი მოურავები განაგებდნენ არა მარტო კახეთში, არამედ საქართველოს სამეფო-სამთავროებშიც. პ. იოსელიანის ცნობით, მაგალითად, გიორგი XII მეფობაში, კახეთში 38 მოურავი ყოფილა, ქართლში კი – 34.[3] ქართლის მრავალი მოურავია აღნუსხული „დასტურლამალშიც".[4] მრავლად გვხვდება მოურავები სახასო მამულში აგრეთვე დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებში. მეფის სახასოს გარდა, თავისი მოურავები ჰყავდათ თავადებსა და ეკლესიას თავიანთ მამულებში მთელს საქართველოში.

1797-1799 წლებში იოანე ბატონიშვილს აღუნერია ქართლ-კახეთის სამეფოს სოფლები, რომლის სათაური ასეთია: „დროსა მეფისა ირაკლისასა და მეფისა გიორგისასა, ნებითა ამა ორთა მეფეთათა, აღნერილი სოფლები შენი და უშენი, სოფლები ქართლისა და კახეთისა, რომელიც აღწერა მეფის ძემ იოანემან თავისის თვისის ხეობით, რომელნი სოფელნი მიენერებიან თვითეულს ხეობას არიან შემდეგნი ესე და რომელიც სამეფო, სათავადო, სააზნაურო და

---

[1] საქართველოს ისტორია, ს. ჯანაშიას რედ., თბ., 1943, გვ. 268.

[2] იქვე, გვ. 278; ივ. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 387; ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 77; ნ. ასათიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 35.

[3] ივ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 402.

[4] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 237 და სხვა.

საეკლესიო".[1] ე. ი. ქართლ-კახეთის სამეფოში ყოფილა სამეფო, სათავადო, სააზნაურო და საეკლესიო მამულები. მაგრამ, იქნებ, ეს მხოლოდ ქართლს ეხება, სადაც მართლაც, ასეა დანანილებული ქვეყანა? ზემომოტანილი სათაურის შემდეგ მოდის ქართლის სოფლების ნუსხა ხევებისა და მხარეების მიხედვით. შემდეგ გადადის კახეთზე. აღნერას ინყებს „გრდანისა და საგურამოს ხეობით", რომლის სათაურია: „კახეთს რაც სოფლები მიეწერება ჩრდილოეთის კერძო, რომელიც მდებარეობს გრდანისა, საგურამოს ხეობისა არიან შემდგომნი ესე სამეფო, სათავადო, სააზნაურო, საეკლესიო, სოფლები და ადგილნი",[2] ე. ი. იოანეს აზრით, კახეთშიც ყოფილა „სამეფო, სათავადო, სააზნაურო და საეკლესიო სოფელი და ადგილნი". ასევეა დანანილებული გარე კახეთიც, ერწოს ხეობაც, შიგნით კახეთიც, გაღმა-მხარეც და სხვა ყველა პროვინცია გარდა ქიზიყისა, სადაც იოანე ბატონიშვილი ასახელებს მხოლოდ „სამეფო, სააზნაურო და საეკლესიო ადგილსა და სოფლებს", ე. ი. ქიზიყში თავადებს არ ჰქონიათ მამულები. იქ მოხსენიებული „სააზნაურო" კი მეფისა და ეკლესიის აზნაურების მამულებია. დანარჩენ მხარეებში ყველგან არის სათავადო მამულები, მათ შორის თიანეთშიც, ენისელშიც და სხვა ასეთ პროვინციებშიც. თიანეთის სამოურავოს რომ ახსენებენ ამ შემთხვევაში მთელი პროვინცია კი არ იგულისხმება, არამედ მხოლოდ სამეფო სახასო მამული. აი, ამის მოწმობაც: „თიანეთი და ამაში სახასო ადგილნი რომელნიც პირმშო ძე იქნება მეფისა, იმისი იყო, ვიდრე გამეფებამდე და მერე მის ნასლედნიკს მიეცემოდა... გარდა თავადთა და აზნაურთა და საეკლესიოთა". მაგრამ აქ მოტანილი ციტატი იმას ხომ არ ნიშნავს, რომ კახეთის სათავადოები სამოურაოებში იყვნენ მოთავსებული? რა თქმა უნდა, არა, აი, მაგალითიც: იოანე ბატონიშვილი ამთავრებს რა გარე კახეთის აღწერას, წერს: „ამას შეუდგების საენდრონიკო ადგილნი" ან კიდევ: ამთავრებს რა ქიზიყის აღნერას, აღნიშნავს: „ამავე ქიზიყს მოებმის სავაჩნაძო და საენდრონიკო სოფლები და ადგილნი".

ე. ი. ქიზიყის იქით, რომელიც სახასოა და მოურავი განაგებს, ყოფილა „სავაჩნაძო და საენდრონიკო სოფლები". აქ ისიც უნდა დაე-

---

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, S-3729, ფ. 128 და შემ.

[2] იქვე, ფ. 137.

მატოს, რომ სავაჩნაძოში და საენდრონიკოში მხოლოდ ამათი მამულები კი არ ყოფილა, არამედ „სამეფო, სააზნაურო და საეკლესიო ადგილნიც". აქ ძირითადი მამულები თავადებისაა, მაგრამ ყმა-მამული აქვთ სხვებსაც. ასეთი ვითარება მხოლოდ კახეთისათვის კი არაა დამახასიათებელი, არამედ ასე იყო სხვა სამეფო-სამთავროების თავადის სამფლობელოებშიც.

აქ შეიძლება დაიბადოს კითხვა: რატომაა, რომ აღწერაში სახელდობრ, დასახელებულია სავაჩნაძო და საენდრონიკო და არა სხვებიც. საქმე ისაა, რომ, იოანე ბატონიშვილს ის კი არ აინტერესებს, თუ რომელი სოფელი რომელ თავადს ეკუთვნოდა, მას სხვა მიზანი ჰქონდა. იოანეს აინტერესებდა, როგორც თვითონ წერს, თუ „რომელნი სოფელნი მიენერებიან თვითეულს ხეობას" (იქვე, ფ. 128). ე. ი. იოანე აღწერდა არა საფეოდალოების, არამედ „ხეობების" მიხედვით. მაგალითად, ქართლში: „თეძმის ხეობა", „ხოვლის ხევი", „ატენის ხეობა" და სხვა. კახეთში: „თიანეთის ხეობა", „ერწოს ხეობა", „გარე კახეთი", „შიგნით კახეთი", „გაღმა მხარი", „თორღის ანუ ლოპოტის ხეობა" და სხვ. (იქვე, ფ. 128-157). ისე კი, კახეთის საბუთებში ხშირად გვხვდება, გარდა სავაჩნაძოსი და საენდრონიკოსი, „საჩოლაყნო", „სამაყანო", „საჩერქეზო", „საგურამო" და სხვ.

სამოურავო, რომ, მართლაც, მეფის სახასო მამულია და თავადის მამული მის გარეთ არის, ამის დამადასტურებელი მრავალი დოკუმენტი მოიპოვება. ცნობილია, რომ კახეთში იყო გავაზის სამოურავო და გავაზის მოურავი, მაგრამ იმავე სოფელში იყო თავადის მამულიც. 1704 წ. მეფე იმამყულიხანი წყალობის წიგნს აძლევს ბებურ ვაჩნაძეს და „მომავალთა სახლისა მისისათა": „ბიძის შენის თამაზ მოურავის ნაქონს გავაზს მამულსა და სახელოს დაგვეაჯენით... ძველითაც თქვენი სამკვიდრო მამული და სახელო ყოფილიყო და ჟამთავითარებისაგან წაგრთმეოდათ ...შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენი სამკვიდრო გავაზს ძველათ თქვენი ნაქონი მამული [და გლეხები] საყმოთ ...და კიდევ იქავ გავაზს რომ ჩვენი სახასო გლეხები არიან ოცდაოთხი კაცი კომლი, როგორათაც ძველად სახასონი ყოფილან... ისევ ჩვენთვის სახასოთ დაგვიჭერია და თქვენთვის სამოურავოთ გვიბოძებია... სამკვიდროდ და საბოლოოდ გვიბოძებია" (Hd-8453).

ვფიქრობთ, აქ წარმოდგენილი მასალა სრულიად ნათელყოფს, რომ მთელი კახეთი კი არ იყო დაყოფილი სამოურავოებად, არამედ,

მხოლოდ სახასო მამულები. სახასოს გარდა, კახეთშიც იყო სათავადო, სააზნაურო და საეკლესიო ყმა-მამული, რომელთაც ამ სამფლობელოთა პატრონების მიერ დანიშნული მოხელეები – მოურავები და სხვ. განაგებდნენ.[1]

როგორი იყო კახეთის თავადების სამფლობელოების, ე. ი. სათავადოების, საკუთრების ხასიათი და ჰქონდათ თუ არა მათ შეუვალობა?

წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ კახეთის საბუთები, ქართლის საბუთებთან შედარებით, ცოტა შემორჩენილა. ჯერ შაჰ-აბასის შე-

---

[1] XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში რამდენიმე წელს ცხოვრობდა მისიონერი ლეონე, რომელმაც დაგვიტოვა საქართველოს მოკლე აღწერა. იქ დახასიათებულია ქართლის რამდენიმე დიდი თავადი, კახეთის შესახებ კი ნათქვამია: „კახეთში არიან თავადები, რომელთაც ქართულ ენაზე მოურავები ენოდებათ, რაც პრეფექტებსა ნიშნავს. მათ ექვემდებარება უამრავი ქვეყანა, ციხე-სიმაგრე და მათი ყმა". რა თქმა უნდა, ცდება ლეონე, როცა ჰგონია, რომ კახელ თავადს მოურავი ენოდება. არც ერთ ქართულ წყაროში თავადს მოურავი არ ენოდება და არც შეიძლება ენოდებოდეს, რადგან ერთი სოციალური ტერმინია, მეორე კი – სამოხელეო. მოურავი ენოდება მხოლოდ იმას, ვინც თანამდებობითაა მოურავი (ასეთი კი შეიძლება აზნაურიც იყოს). მაინც რატომ მოუვიდა ლეონეს ეს შეცდომა? (სხვათა შორის, მას სხვა ხასიათის შეცდომებიც ბევრი აქვს). კახეთში ხშირად ფეოდალს იხსენიებენ არა გვარით, არამედ თანამდებობით. მაგალითად, ერთ საბუთში მოხსენიებულია: ქიზიყის მოურავი რევაზი, მოურავი ფირანი, თუშთ მოურავი მამუკა, სახლთუხუცესი ედიშერ, ენისელთ მოურავი მერაბ, სუფრაჯი გიორგი, ყორჩიბაში ბეჟანი, მდივანბეგი დემეტრე, მარტყოფის მოურავი ზაალი, ბოქაულთუხუცესი ქაიხოსრო და სხვ. (Hd-2079, იხ. აგრეთვე, კახეთის დავთარი და სხვ. დოკუმენტები). რადგან კახეთში მოურავები უფრო მეტი იყო, ვიდრე სახლთუხუცესები ან მდივან-ბეგები, ლეონეს ხშირად ესმოდა მოურავი, რომელიც, ეტყობა, ტერმინ თავადის შესატყვისად მიიღო. დაახლოებით ანალოგიური შეცდომა მოუვიდა გიულდენშტედტს. იგი წერს: „ქვეყნის გაბატონებული ფენები არიან თავადები, ქართულად „შილი", „შილლი", აგრეთვე „შვილი" და „ტაუატი" და „აზნაური" (გვ. 225). „ეს ალბათ, იმიტომ მოხდა, წერს ძეგლის გამომცემელი გ. გელაშვილი რომ მას გარშემო ხშირად ესმოდა თავადთა გვარები, რომელთა უმეტესობა „შვილზე" თავდება" (გვ. 227). მასზე ალბათ გავლენა მოახდინა აგრეთვე, სიტყვა „თავადიშვილმა", რომელიც იმდროინდელ სასაუბრო ენაში ხშირად ისმოდა.
მისიონერ ლეონეს ნაშრომის ქართული თარგმანი მოგვანოდა ბეჟან გიორგაძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

მოსევებმა და მერე გამუდმებულმა ლეკიანობამ სხვა მრავალ ძვირფასეულობასთან ერთად, სიგელ-გურჯებიც იმსხვერპლა. ერთ კახურ საბუთში ნათქვამია: „ძველნი გუჯარნი და სიგელნი მტერთა ქრისტიანეთასა ლეკთა წარეხუნაო".[1] ჩვენამდე მოღწეულ დოკუმენტთაგანაც ბევრი გამოუცემელია. სწორედ ესაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ სხვა სამეფოებთან შედარებით კახეთი ნაკლებადაა შესწავლილი.

მინათმფლობელობის ხასიათის საკითხს, როგორც უკვე ითქვა, ნ. ასათიანი სათანადო ყურადღებას უთმობს. მას იგი ერთ-ერთ მთავარ მომენტად მიაჩნია სათავადოს განსაზღვრისათვის. მაგრამ, მისი აზრით, თავადური საკუთრების შინაარსი ის კი არ არის, რომ მამული თავადის ფაქტობრივად განუსაზღვრელი საკუთრებაა, მისი გასხვისების უფლება და იმუნიტეტი აქვს, არამედ ის მომენტი, რომ მამული მთელს სათავადო სახლს აქვს საერთო მფლობელობაში. რაც შეეხება თვით მამულის გასხვისების უფლებას, ნ. ასათიანს მიაჩნია, რომ: „პრინციპი, რომ „თუ კაცმა სოფელი ან გლეხი თავადისაგან ან აზნაურისაგან სასყიდლად მოინდომოს ჴელმწიფესაც უნდა დაკითხვა" – კახეთში უფრო მტკიცედ ტარდება, ვიდრე ქართლში, სადაც მამული უკითხავადაც სყიდულა და არც ჴელმწიფე გამოჰკიდებია".[2] „მკვიდრი" მამულის გასხვისების ფაქტებს იგი არ უარყოფს, მხოლოდ მიაჩნია, რომ „მეფის სათანადო ნებართვა და დამტკიცებაა საჭირო".[3] იმ შემთხვევაში კი, როცა გაყიდვის აქტს არ ახლავს მეფის დამტკიცება, მისი აზრით, ასეთი საბუთის „შედგენის დროს (1670 წ.) კახეთის სათავეში საკუთარი მეფე არა დგას".[4] რაც შეეხება იმუნიტეტის საკითხს, რომელიც ერთ-ერთი არსებითი ნიშანია სათავადოსი, ნ. ასათიანი საერთოდ არ ეხება.

მოვიტანოთ დოკუმენტები, საიდანაც ჩანს, რომ კახეთის თავადებსაც, ჩვეულებრივ, ყმა-მამული ეძლეოდათ „მკვიდრად, სამამულედ და ხელშეუვალად":

1. 1568 წელს ლეონ კახთა მეფე ანდერმან და სხვ. ჩოლოყაშვილებს აძლევს წყალობის წიგნს, რომელშიც ნათქვამია: „...მოხვედით კართა დარბაზისა ჩვენისათა და სამამულესა საქმესა გვეაჯენით...

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის რედ., გვ. 232.

[2] ნ. ასათიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

[3] იქვე.

[4] იქვე, იმ დროს იქ მეფობს არჩილ ვახტანგის ძე.

მოგიბოძეთ ღანუჭს მსახლობელნი კაცნი (ჩამოთვლილია 20 კომლი გლეხი – გ. ჯ.)... ასრე და ამა პირსა ზედა რომე საბატონო საქმე არცარა ეთხოვებოდეს და არცარა ექნევინებოდეს როგუარაც სხუა შენი მამული, ისრე აზატნი და ხელშეუვალნი იყვნენ..."[1] ე. ი. ჩოლოყაშვილთა ერთი ოჯახის (თუ სახლის) მთელი მამული „ხელშეუვალი" ყოფილა ანუ იმუნიტეტი ჰქონია.

2. 1576 წელს ალექსანდრე კახთა მეფე არსლან, ზაქარია და ზურაბ ჯანდიერიშვილებს აძლევს შეუვალობის წყალობის სიგელს, რომელშიც ნათქვამია: „...მოხუედით კართა დარბაზისა და ჩუენისა და ბარაუნთის თქუენის ყმებისა თარხნობისა საქმესა გუეაჯენით... რაც საჩუენო სათხოვარი იყო ყუელა ამოუკუეთეთ, ასრე რომე არც რა არა ექ[ნ]ევინებოდეს ერთის ლაშქარ-ნადირობისა და საურისაგან კიდე არც ბეგრობა და არცა საბაზიერო".[2]

3. 1584 წელს ალექსანდრე მეფე როსაბ ჯანდიერიშვილსა და მის შვილებსა და მომავალს აძლევს წყალობის სიგელს: „გიბოძეთ ფიფანეთით კაცი კუამლი თერთმეტი, ბარაუნთათ კუამლი კაცი ოცდაცხრა და ნასყიდი კაცი კუამლი ერთი. ესე ჭელშეუალად სამკუიდროდ და სამამულედ თქვენთვის გვიბოძებია... და არას დროსა და ჟამსა ესე ჩვენგან ნაბოძები ყმა და სამართლიანი მამული აროდეს არ მოგეშალოსო... და არც ზემო და არც ქუემო ამა თქუენისა მამულსა ბეგარი და მეკობრის სამძებნელო არა ეთხოებოდეს...".[3]

4. ასევე, „მკვიდრად და სამამულედ" და ჭელშეუვალად" უბოძა ალექსანდრე მეფემ 1589 წელს მაყა მაყაშვილსა და მისი „სახლის მომავალს" ბიძის, გივის, ნილი „მამული მამრეხს და იყალთოს".[4]

ყველა აქ მოტანილი საბუთი XVI საუკუნისაა. ამ მასალას განსაკუთრებული ყურადღება იმიტომ მივაქციეთ, რომ, სწორედ, XVI საუკუნე ითვლება კახეთში ისეთ ხანად, როცა ცენტრალური ხელისუფლება უფრო ძლიერია და ამდენად, არც სათავადო წარმოშობილა თითქოს იქ. მოტანილი დოკუმენტები, ვფიქრობთ, სრულიად ცხადყოფს, რომ კახეთშიც ისეთივე სათავადო მიწათმფლობელობა იყო, როგორც მთელს საქართველოში.

---

[1] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, I, გვ. 357.

[2] ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-14. 425.

[3] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 202, 203.

[4] ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-14, 423.

რას ნიშნავს „ჭელშეუვალად“ ან „თარხნად“, ან კიდევ, „აზატად“ ბოძება ყმა მამულისა? ესაა შეუვალობა ანუ იმუნიტეტი, რომელშიც იგულისხმება საგადასახადო, ადმინისტრაციული და სასამართლო შეუვალობა. საერთოდ, „მკვიდრად და სამამულედ“ გაცემული მამული გულისხმობს ამ მომენტებს. შეუვალობა გახსნილი სახით ქართულ დოკუმენტებში, ჩვეულებრივ, არაა აღნიშნული და რომ არ ყოფილიყო ორენოვანი, ქართულ-სპარსული დოკუმენტები, მამულის ნყალობის წიგნში არც გვექნებოდა, მაგალითად, სასამართლო შეუვალობის დადასტურება (თუმცა სხვა ნყაროებით, ეს ისედაც ცნობილი იყო). ორენოვანი, ქართულ-სპარსული საბუთების ქართულ ნანილში უბრალოდ ნათქვამია, რომ მამული გებოძათ „მკვიდრად და სამამულოდ“, ხშირად არცაა ნახსენები შეუვალობა. სპარსულ ნანილში კი, რომელიც არსებითად ქართული ნანილის განმარტებას ნარმოადგენს, ხაზგასმულია როგორც საგადასახადო, ისე ადმინისტრაციული (მეფის მოხელე ვერ შევიდესო), ისე სასამართლო შეუვალობა. ეს უკანასკნელი შეზღუდულია მხოლოდ სამოქალაქო საქმეებით. მოვიტანოთ ერთი მაგალითი: მეფე სიმონ II 1630 ნელს გოსტაშაბ იოვანეშვილს (ბარათაშვილია) „სამკუიდროდ და სამამულედ“ უბოძა რამდენიმე გლეხი „მათის მამულითა და დედულითა“.[1] ამ ორენოვანი საბუთის ქართულ ნანილში არც ერთი სიტყვა არაა ნათქვამი შეუვალობაზე, მაშინ, როცა საბუთის სპარსულ ნანილში საგანგებოდაა ხაზგასმული სასამართლო შეუვალობის უფლება. დასახელებულმა გლეხებმა „თავისი სასამართლოს საქმეები, გარდა სისხლის [სამართლის] საქმეებისა, მის [ბატონს] უნდა მიანდონო“.[2] მაგრამ ყველა ორენოვან საბუთში არცაა ეს განმარტება. სნორედ, ეს გარემოება და, რაც მთავარია, ის ფაქტი, რომ ქართულში არაფერია ნათქვამი სასამართლო შეუვალობის შესახებ, მოწმობს იმას, რომ ფეოდალის სასამართლო იურისდიქცია იმდენად ცნობილი და ტრადიციით განმტკიცებული მოვლენა ყოფილა, რომ მისი საგანგებოდ აღნიშვნა წესად არ ყოფილა მიღებული. ჩვენი აზრით, „სამკვიდროდ და სამამულედ“ ბოძებული მამული იმუნიტეტის გარეშე არ არის (მიუხედავად იმისა, აღნიშნულია ეს დოკუმენტში თუ არა).

---

[1] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმნა და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ, თბ., 1955, გვ. 78.

[2] იქვე, გვ. 80. ანალოგიური საბუთები იხ. იმავე გამოცემაში დოკ. № 9, 109, 111, 121, და სხვ.

კახეთის თავადებსაც ისევე აქვთ მამულის გასხვისების უფლება, როგორც ქართლისა და დასავლეთ საქართველოს თავადებს. სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან, როგორც ვნახეთ, ეს მამულები მათ „სამკვიდროთ“- და „ჴელშეუვალად“ აქვთ ნაწყალობევი. ნ. ასათიანსა და ამ სტრიქონების ავტორს მკვიდრი მამულის გაყიდვის ოთხი საბუთი გვაქვს:

1. 1670 წელს პაპუა ჩოლოყაშვილმა როსებ ოხიაყორჩს და მის შვილებს მიჰყიდა „დაკუკაური მამული მისის შესავალითა და გასავლითა... მისის სამართლიანის სამზღვრითა“. ნასყიდობის წიგნს ამოწმებს ოთხი თუ ხუთი თავად-აზნაური.[1]
2. 1673 წელს რამაზ ვაჩნაძემ და მისმა შვილებმა როსებ ოხიაყორჩს და მის შვილებს მიჰყიდა კალაურში „სამკვიდრო გემიაური მამული ერთი საკომლო მისის ვენახით და სათესითა ხელშეუვლელად“. საბუთს ემონმება ოთხი თავად-აზნაური.[2]
3. 1711 წელს ქაიხოსრო ვაჩნაძემ და მისმა შვილებმა მდივანბეგ პაატა ჯანდიერისშვილსა და მის შვილებს მიჰყიდა „მკუიდრი მამული კალაურში“ (ჩამოთვლილია რამდენიმე გლეხი თავიანთი საკომლოებით). „როგორც მრავალს ალალს მონასყიდეს მართებდეს გასყიდვად და გამზითუად, რათაც მოსახმარად გინდოდეს, ვერავინ შემოგესარჩლოს და ან ნამოგედაოსო“ – ნათქვამია საბუთში. საბუთს ემონმება ექვსი ეპისკოპოსი და თვრამეტი თავად-აზნაური. ბოლოს საბუთს ახლავს დედოფალ ანასა და თეიმურაზ ბატონიშვილის (რომელიც იმ დროს კახეთის გამგებელი იყო) დამტკიცება 1720 ნლის საბუთს ამტკიცებს დავით კახთა მეფეც.[3]
4. 1736 წელს თავადებმა კონსტანტინე და ზურაბ რობიტაშვილებმა ქიზიყის მოურავს აბელს, ეშიკაღაბაშს თამაზს და დავითს მიჰყიდა ყმა გლეხები თავის ცოლ-შვილით. საბუთს ემონმება ოთხი თავად-აზნაური.[4]

მაშასადამე, აქ ნარმოდგენილი ნასყიდობის ოთხი აქტიდან მხოლოდ ერთს ახლავს მეფის დამტკიცება. ეს აქტი სხვებისაგან

---

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad-1280; ნ. ასათიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

[2] ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad-1254.

[3] დოკუმენტები..., I, გვ. 381-384; ნ. ასათიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

[4] დოკუმენტები..., I, გვ. 396-397.

გამორჩევა იმითაც, რომ მას ამოწმებს 24 დარბაისელი. ვფიქრობთ, ეს გამოწვეულია არა იმით, რომ მამულის გასაყიდად საჭირო იყო მეფის ნებართვა, არამედ იმით, რომ მყიდველი იყო დაინტერესებული ნასყიდობის საიმედოობაში (გამყიდველის სახლიკაცი რომ არ წამოდავებოდა). მეფე აქ უფრო მოწმეა, ვიდრე ნებართვის მიმცემი. იმ შემთხვევაში, როცა ნებართვა იყო საჭირო მამულისა თუ სხვა სახის სამფლობელოს გასხვისებისათვის და მეფე თუ ბატონი ამის ნებას აძლევდა, ეს გარემოება პირდაპირ საბუთის ტექსტში აღინიშნებოდა როგორც ერთიანობის ხანაში, ისე გვიან საშუალო საუკუნეებში.[1] ყოველ შემთხვევაში, დამტკიცების ცალკეული შემთხვევები (ასეთი შემთხვევები სხვა სამეფო სამთავროებიდანაც არაა გამორიცხული) ვერ შეცვლის, რა თქმა უნდა, მთელს საქართველოში გაბატონებულ წესს, რომლის მიხედვით, თავადს „სამკვიდრო და სამამულე" ყმებისა და მინის გასხვისების უფლება აქვს.

ბეთალმანი მამულის წესი კახეთშიც ისეთივე იყო, როგორც ქართლში – სამართლით იგი პატრონს ეკუთვნოდა, მაგრამ ცხოვრებაში ისე ხდებოდა, რომ ასეთ მამულს უფრო ხშირად განაყარ სახლიკაცს უბოძებდნენ. ერეკლე II ვაჩნაძეს უბოძა თავისი განაყარის, ამონყვეტილი ბიძაშვილის მამული „ვითა შემსგავსი იყო ვიგულისმოდგინეთ და მოგიბოძეთ ისევ შენის ბიძაშვილის ნაქონი მამული კოლაკი, სოფელი ჩალაუბანი მისის წილის გლეხებით".[2]

კახეთში, ისე, როგორც ქართლში, მემკვიდრეობით იყო, აგრეთვე, სახელოებიც – სახლთუხუცესობა, მდივანბეგობა, მდივნობა, მოურავობა და სხვა მრავალი. კახეთის სამეფო სახლის სახლთუხუცესის თანამდებობა მთელი XVI-XVIII საუკუნეების განმავლობაში თითქმის ყოველთვის ჩოლოყაშვილების ხელში იყო. ეს სახელო ჩოლოყაშვილების სამემკვიდრეო თანამდებობად ითვლებოდა. 1736 წელს ალექსანდრე მეფემ „სახლთუხუცობის წიგნი, სიგელი და საფიცარი" მისცა გივი ჩოლოყაშვილს და მის სახლს. ამ წიგნში ნათქვამია: „ძველთაგან სახლთხუცობა ჩვენის სახლის მეფეთა და მეპატრონეთაგან წყალობა

---

[1] ნასყიდობის დანერილი ფაენელისა შიომღვიმისადმი, IX ს. (ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 3); შენირულობის დანერილი ჭიაბრისა შიომღვიმისადმი, XII ს. (იქვე, გვ. 28-30); 1716 ნ. გლეხი ყიდის მინას: „გამიჭირდა საქმე და ბატონის ჩემის ბიძინას და ჯამასპის დასტურით მოგყიდეთ (მინა)". ხელნ. ინსტ. Hd-7652 და სხვ.

[2] ხელნაერთა ინსტიტუტი, Hd-8510, 1751 ნ.

გჭირვებოდათ და ჟამთა ვითარებისაგან და დროგამოშვებით ცოტა ხანს შენს განაყოფს მისცემოდა... [მოხველ] და დაგვეაჯენით შენის სამკვიდროს სახელოს ჩვენს სახლთხუცობას... გიბოძეთ კახეთის ჩვენი კარის სახლთხუცობა, როგორადაც შენს პაპასა და პაპის მამას სჭეროდეს იმავე ნესით". საბუთს ამტკიცებს თეიმურაზ II.[1]

ჩოლოყაშვილების სამემკვიდრეო თანამდებობა იყო, აგრეთვე, თიანეთის მოურავობა. 1736 წელს ალექსანდრე მეფე სახელოს წყალობის წიგნს აძლევს იოანე ჩოლოყაშვილსა და მის ბიძაშვილებს დემეტრესა და ფირანს: „თქვენი სამკვიდრო თიანეთის მოურავობა ცოტა ხანს გამოგერთოთ... და თქვენს განაყოფს გივს მივეცით... ჩვენი ოჯახის ნამსახური იყავით, მუნასიბი ისევ შენი სახელოს მოცემა ისევ შენ გიბოძეთ".[2]

ჯანდიერიშვილთა ერთი შტოს სამკვიდრო სახელო ყოფილა ერნოს მოურავობა. 1728 წ. კონსტანტინე მეფემ ზაალ ჯანდიერიშვილსა და მის ბიძაშვილებს უბოძა წყალობის წიგნი, რომელშიც ნათქვამია: „ერნოს სამთავროს მოურავობა ძველთაგან თქვენი სამკუიდრო იყო... გიბოძეთ ერნოს სამთავროს მოურავობა ყოვლის კაცის უცილობლად, რომ არასდროს ეს ჩვენი წყალობა არ მოგეშალოს".[3]

სამკვიდრო სახელო ყოფილა მდივნობაც. 1702 წელს დავით მეფის წყალობის ნიგნში გარსევან ყოდალაშვილისადმი ნათქვამია: „თქვენს სამკვიდროს საჭელოს, ნახევარს კახეთის მდივნობას გვიაჯენით... ბატონის პაპის ჩვენისაგან, მეფის თეიმურაზისაგან, პანკისის და თუშეთის მოურავობის სანაცვალოდ ბიძაშენს იორამს ნახევარი კახეთის მდივნობა მისცემოდა... გიბოძებთ თქვენი სამკვიდრო საჭელო ნახევარი კახეთის მდივნობა მისის სამართლიანის სარგოთი და რუსუმით, ყოვლის კაცის მოუდევრად და უცილობლად..."[4]

ასევე, სამემკვიდრეო სახელოდ იყო ქცეული კახეთში თითქმის ყველა დიდი თუ პატარა თანამდებობა, როგორც ეს საერთოდ დამახასიათებელი იყო სათავადოთა სისტემისათვის მთელ საქართველოში.

---

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-9677.
[2] იქვე, Hd-9574.
[3] საქართველოს სიძველენი, III, გვ. 156-157.
[4] იქვე, გვ. 148-149.

კახეთის სათავადოებსაც, ისე, როგორც ქართლისას, თავისი ცენტრები ჰქონდა, სადაც თავმოყრილი იყო ძირითადი ნაწილი ყმა-მამულისა და, სადაც მათ ჰქონდათ სასახლე კარის ეკლესიით, ციხე ან კოშკი, საძვალე და სხვა ისეთი ატრიბუტები, რომლებიც საერთოდ დამახასიათებელია არა მარტო სათავადოსათვის, არამედ ყველა მსხვილი საფეოდალოსათვის.

ჩოლოყაშვილების სამფლობელო XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის „მოიცავდა საკმაოდ დიდ ტერიტორიას, კერძოდ, ილტოს, პანკისის და სტორის ხეობებს;[1] ამას გარდა, შიდა კახეთის მნიშვნელოვან ნაწილს (ახმეტიდან თურდოს ხეობამდე). მათი სხვა სამფლობელოები (გარე კახეთსა და თიანეთში) უფრო გვიან შეძენილი უნდა იყოს".[2] ეს სამფლობელო ჩოლოყაშვილებს ეკუთვნოდათ მკვიდრად და სამამულედ, სარგებლობდნენ იმუნიტეტით, ე. ი. „საჩოლაყნო" სათავადო იყო. XVI-XVII საუკუნეებში ჩოლოყაშვილთა ფეოდალური სახლი იყრება და XVIII საუკუნეში რამდენიმე სახლად ცხოვრობენ, მაგრამ რადგან საკუთრების უფლება იგივე რჩება („სამკვიდრო და სამამულე") სათავადოც, მართალია, დანწვრილერთეულებული, სათავადოდ რჩება.[3] საჩოლაყნოს ცენტრები იყო სასახლეებითა და ციხე-კოშკებით, ბახტრიონი, ახმეტა და მატანის ციხე (მდ. ილტოზე).[4]

სად იყო დანარჩენი სათავადოები? სავაჩნაძო და საენდრონიკო, როგორც იოანე ბატონიშვილი აღნიშნავს, მობმული ყოფილა ქიზიყზე. გურამიშვილების სათავადო საგურამოს ხეობაში იყო (აქედანაა დღევანდელი საგურამო), სადაც ჰქონდათ ციხე, სასახლე და ეკლესია. ხიმშიაშვილების სამფლობელო ძაგნაკორანსა და ბულაჩაურში ყოფილა. ჯორჯაძეების სამფლობელოს ცენტრი იყო ენისელი და საბუე, საჩერქეზოსი მანავსა და ვეჯინში. ვახვახიშვილების ცენტრი იყო თელავის შემოგარენში (ციხე თელავის გარეუბანში ჰქონდათ). სამაყნოს ცენტრი იყო რუისპირში, ციხე ჰქონდათ არტოზანაში.[5]

---

[1] სტორი (ანუ შტორი) ადრე, ვახუშტის ცნობით, საერისთავო იყო (იხ. მისი ისტორია, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, გვ. 151).

[2] ნ. ასათიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 50-51.

[3] ნ. ასათიანს საჩოლაყნოს გაყრა მიაჩნია ერთ-ერთ ფაქტორად, რის გამოც თითქოს საჩოლაყნო სათავადო არ იყოს, იქვე, გვ. 51-53.

[4] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ. გელაშვილის გამოცემა, თბ., 1962, გვ. 45, 227.

[5] გიულდენშტედტი, გვ. 43, 227.

ტუსიშვილებისა და ყარალაშვილების სათავადო „გაღმა მხარში" მდებარეობდა და ა. შ.

მართალია, კახეთის ფეოდალური სახლები ხშირად იყრებოდნენ, მაგრამ ასეთი ვითარება მხოლოდ კახეთისათვის არ იყო დამახასიათებელი, ხშირი იყო გაყრა სხვა სამეფო-სამთავროებშიც. მაგალითად, ქართლში XVIII საუკუნის დასაწყისისათვის მხოლოდ ოთხი ფეოდალური სახლი იყო გაუყრელი (აქედან ორი საერისთავო იყო, ბარათაშვილთა ფეოდალური სახლი კი 8 თუ 9 სახლად იყო გაყრილი).

მაინც რატომ იყო სათავადო სახლების გაყრა ხშირი როგორც კახეთში, ისე სხვა სამეფო-სამთავროებში? აქ შეიძლება შემდეგი ვარაუდის გამოთქმა: საერთო მფლობელობა, ცენტრალური ხელისუფლების სისუსტისა და ფეოდალური შინაომების პირობებში, არ იძლევა ინტენსიური მეურნეობის განვითარების საშუალებას. საერთო მამულს ყველაზე ნაკლებად უვლიან, სწორედ, საერთოს გამო ხდება ყველაზე მეტი ჩხუბი სახლიკაცებში, ყველაზე მეტად, სწორედ, საერთო მამულს არბევენ და იტაცებენ ფეოდალები. ამიტომ ხშირია გაყრაც, მაგრამ გაყრის შემთხვევაში ფეოდალური სახლი სუსტდება. ეს რომ არ მოხდეს, ცდილობენ შეინარჩუნონ ერთიანობა ან ხელახლა შეიყარონ. ეს წინააღმდეგობა დამახასიათებელია სათავადოს არსებობის მთელი ხანისათვის და წარმოადგენს მის სუსტ მხარეს. გაუყრელ სახლებშიც მამულები ოჯახებს „საუფლისწულოებად" აქვთ დაყოფილი და თავთავისთვის უვლიან. საერთო მფლობელობაში მხოლოდ მამულების ნანილია დატოვებული. ეს იყო გამოსავალი რამდენადმე იმ ჩიხიდან, რომელშიც სათავადო იყო მოქცეული (კახეთის მეურნეობის წამყვანი დარგები – მევენახეობა, მეაბრეშუმეობა და სხვ. კიდევ უფრო ნაკლებად იტანდა „საერთო" მფლობელობას).

გაუყრელი სათავადოები კახეთშიც ყოფილა. იოანე ბატონიშვილს აღნიშნული აქვს, მაგალითად, რომ თავად აფხაზიშვილებს თეიმურაზ მეფემ 1636 ნელს „უბოძა კარდანეხს სახასო მამულნი და ყმანი... და არიან ერთ სახლად" (S-550, ფ. 35). ასევე, რობიტაშვილები „ფხოელსა შინა ერთ სახლად, ან კონსტანტინეს შვილად წოდებულნი" (ფ. 35).

გაყრილ სათავადოებშიც მხოლოდ ერთი ოჯახი კი არ ცხოვრობდა ცალკე, არამედ ერთ ფეოდალურ სახლში თავმოყრილი იყო რამდენიმე ძმა და ძმათაშვილები თავიანთი ოჯახებით. ასეთ სახლს ჰქონდა

საერთო ქონება, რომელსაც ერთად უვლიდნენ. სახლის ნევრებს კი, სათავისთავოც ჰქონდათ (ნასყიდი, ნამზითი, მეფისაგან პირადად მისთვის ნაბოძები და სხვ.). თავად რუსიშვილებს დავა აუტყდათ სამამულო საქმეზე. ზაალ რუსიშვილი თავის სახლიკაცს აბიბოს, სხვა რამეებთან ერთად, ზვარს ედავებოდა. ეს ზვარი, როგორც სასამართლომ გამოარკვია, „აბიბოს გეეყიდნა, მალუჯათში გეეღო, ხუთი თუმანი ზაალის ნილის (სათავისთავოს – გ. ჯ.) ყმის მაგიერ გეეღო და ხუთი თუმანი სულ საერთოს ყმის მაგიერად მალუჯათში მიეცა".[1]

1737 წელს მამრიზა ბებურიშვილი-ვაჩნაძე და მისი რვა სახლიკაცი თანხმობის წიგნს აძლევს სავაჩნაძოს სხვა შტოს ნარმომადგენლებს: ასლან ვაჩნაძეს, შერმაზან ონანასშვილს, დავით ედიდ[ა]შვილს, ბეჟან და რევაზ აგათოშვილებს – „კარდანეხს ჩვენი სასახლე ვამჯობინეთ საციხეთ, ჩვენც ყაბული ვქენით, დავდევით საგვარეულოთ, არას ჩვენს სახლისკაცს საქმე არ ჰქონდეს ს[ა]ძ[მ]ოთ და საგვარეულოთ დავდევით ამიართ უკუნისამდინ".[2] ამ დოკუმენტით დასტურდება, რომ „საგვარეულო" ანუ „საერთო" ქონება სავაჩნაძოშიც ყოფილა.

1788 წელს ხიმშიაშვილების დავის გამო ერთ მხარეს სასამართლომ ფიცი დაადო ასე იფიცოსო: „როდესაც ეს ნყალობის სიგელი მიშოვნია, ბულაჩაური უწინაც საერთო ყოფილა, წიგნს შემდგომაც საერთოდ გაგვიყვია და შენის ნილის ბულაჩაურის ფარდად ეს მამული გვიჭირავსო".[3] ამ დროს ისინი გაყრილნი არიან, მაგრამ ადრე ბულაჩაური „საერთო" ქონება ყოფილა.

გაყრის შემთხვევაშიც ხანდახან ტოვებდნენ გაუყოფელს ხოდაბუნებს, ზვრებს, მოსალოდნელია, რომ სათიბი, ტყე თუ მთაც გაუყოფელი დაეტოვებინათ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ხელთა გვაქვს ერთი საბუთი XIX საუკუნის დასაწყისისა, რომლის სათაურია „ჯორჯაძეთ მთის სამძღვრები". ჩანს, რომ მთა, რომელიც საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავდა ჯორჯაძეების საერთო საკუთრება ყოფილა.[4]

დაბოლოს, ჩვენ ხელთ გვაქვს XVIII საუკუნის ორი საბუთი სათავადოში „საუფლისწულო" საკუთრების შესახებ. ერთ საბუთში

---

[1] დოკუმენტები... I, გვ. 422-423, 1749 წ. საბუთი.

[2] სცსსა, ფ. 1448, ს. 5153; საქართველოს სიძველენი, III, გვ. 447-448 (დაბეჭდილია შეცდომებით).

[3] საქართველოს სიძველენი, III, გვ. 221.

[4] ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-995.

ჩამოთვლილია 36 კომლი გლეხი და 14 ბოგანო. საბუთს ზურგზე აწერია: „საუფლისწულო [აილო] თუშთ მოურავმა".[1] მეორე საბუთში ნათქვამია: „ედიშერს მიეცეს 8 კომლი კაცი საუფლისწულოთ. ორი პირველი, სამი შუათანა და სამი ბოლოს კაცი. სახელოს გამოსავლიდამ მეექვსედი..."[2] ესენი ორივე ჩოლოყაშვილია.[3]

ვფიქრობთ, ეს მწირი ცნობებიც მოწმობს, რომ კახეთში არა მარტო სათავადო საკუთრების ხასიათი ყოფილა ისეთივე, როგორიც ქართლში იყო, არამედ თვით სათავადოშიც საკუთრების ისეთივე სამი ფორმა ყოფილა: 1. საერთო, 2. საუფლისწულო და 3. სათავისთავო (სხვა საკითხია, რომ შეიძლება ეს ისე გავრცელებული არ იყოს კახეთში, როგორც ქართლში, რადგან იქ უფრო ხშირი იყო გაყრა, პატარა სათავადოებში კი უფრო მოსალოდნელია „სათავისთავო" და „საერთო" საკუთრება, როგორც ეს იმერეთში იყო[4]).

როგორი იყო კახეთის სათავადოს სამეურნეო ორგანიზაცია და სამოხელეო სისტემა? ისეთივე, როგორიც ქართლში. მამულების უმრავლესობა გლეხებსა და აზნაურებზე იყო გაცემული. მაგრამ სათავადოში იყო საბატონო მეურნეობაც, რომელიც მონყობილი იყო ხოდაბუნებად და ზვრებად და რომელსაც ამუშავებდნენ მისივე გლეხები შრომითი ბეგარის საფუძველზე. მაგალითად, ჩოლოყაშვილების ერთ შტოს მატანში, გარდა ციხის, სასახლისა და სასაფლაოსი, ჰქონიათ „კარის საყდარი", შვიდი ხოდაბუნი, ზვარი, ნისქვილი და სხვ. ამავე სახლისა ყოფილა „თავი ჭართალა და ჭართალას აქეთ ილტაკანი, ვეტურა, საბუის სასახლე... ამას გარდა ილტოს გაღმა ქორდს აქეთ ახმეჯო თავისის საყდრითა, სახლითა, ზვრითა, ხოდაბუნითა"... ამათივე ყოფილა სარწყავი წყალი, რომელიც „ჭართლიდამ მოკიდებული ახმეჯომდინ" მათს მამულში მოედინებოდა, და სხვ.[5]

თავადი თავის ყმა-მამულს უვლიდა და მართავდა მოხელეების საშუალებით, რომელნიც მისივე აზნაურები და მსახურები იყვნენ. კახეთის ხალხის აღნერის XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის დავთრის მიხედვით, თავადის მოხელეები იყვნენ:

---

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd-7156.

[2] იქვე, Qd-7156.

[3] იქვე, Qd-7117.

[4] ო. სოსელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 104.

[5] რამინ და ქაიხოსრო ჩოლოყაშვილების არზა მეფისადმი, 1775 წ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-2849.

1. სახლთუხუცესი (უფრო ხშირად აზნაური),
2. მოურავი (აზნაური ან მსახური),
3. ნაცვალი (უფრო ხშირად მსახური),
4. მოჭელე,
5. ქემხა (მამასახლისი),
6. მესტუმრე,
7. მეზვრე.[1]

სხვა მოხელეები ამ დავთარში არ ჩანს. რა თქმა უნდა, არაა გამორიცხული, რომ სხვა მოხელეებიც ჰყავდა თავადს (თავადის ყმებში გვხვდება აგრეთვე მჭედელი, ხაბაზი, მღვდელი, ხუცესი მექვევრე და სხვ.).[2]

კახეთის სათავადოც ისეთივე სამხედრო ერთეული იყო, როგორიც ქართლისა. თავადი ვალდებული იყო თავისი მსახურ-აზნაურთა და განსაკუთრებულ შემთხვევაში, გლეხებითაც, ლაშქრობაში გამოსულიყო. ზემოდასახელებული კახეთის დავთარი მოსახლეობის, სწორედ, ამ თვალსაზრისით აღწერის დავთარია. თავადი თავის სამფლობელოდან გამომავალი ლაშქრის სარდალია. ის ეპისკოპოსის დროშის ქვეშ დგება. ეს უკანასკნელი „ჯარის რიგს თავადების რჩევით უძღვებოდა".[3]

გაყრის წესიც კი ისეთივე იყო კახეთის სათავადოში, როგორიც ქართლში. იქაც იყო „საუფროსო", „საშუალო" და „საუმცროსო".[4] გაყრას დარბაისელთაგან შემდგარი სასამართლო ხელმძღვანელობდა. იყოფდნენ როგორც უძრავ, ისე მოძრავ ქონებას, აზნაურებს და სხვ.[5]

კახეთშიც ყოფილა გაყრილი სახლების ხელახლა შეყრის პრაქტიკა. XVII საუკუნის პირველ ნახევარში ჩოლოყაშვილთა ორი შტო – სახლთუხუცესისა და მოურავის ოჯახები ხელახლა შეყრილან. მაგრამ, ხშირად დავა და ჩხუბი ჰქონიათ საერთო მამულზე. ერთი

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, I, თბ., 1967, გვ. 7-104.

[2] იქვე.

[3] განწესება სარუსთაველო დროშისა, 1722 წ. (ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 386).

[4] ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd-7117.

[5] სცსსა, ფ. 1448, ს. 5329.

მხარე დაჩაგრულად გრძნობდა თავს. როგორც სასამართლოს განაჩენშია ნათქვამი: „მოურავს ფირანსა და მის სახლისკაცებს სამკუიდროსა და შემატებულისა და ან სხვის საქმით ნაშოვნს მამულში წილი აღარ ქონდა".[1] სწორედ, ეს მხარე მოითხოვს გაყრას, რადგან მიიჩნევს, რომ მეორე მხარეს უსამართლოდ აქვს „სათავისთავოდ" დაჩემებული „საერთო" ქონების ნაწილი. „ბევრჯერ მოენდომებინათ გაყრა და გაშოვრება, მაგრამ ერთმანეთს ვერ შესჯერებოდნენ. ისრევ გაუყრელნი და ერთმანეთს მოუშორვებელნი დარჩენილიყვნენ".[2]

კახეთის სათავადოს სოციალური სტრუქტურაც ისეთივე იყო, როგორც ქართლისა თუ დასავლეთ საქართველოს სათავადოებისა:

1. თავადი,
2. აზნაური,
3. გლეხი,
   ა) მსახური,
   ბ) მებეგრე ანუ მოყალნე.

კახეთში, ისე, როგორც ქართლში, თავადთა სამი კატეგორია იყო. იოანე ბატონიშვილის მიხედვით, ჩოლოყაშვილნი არიან „თავადნი პირველნი; მაყაშვილები არიან მეორისა ხარისხისა თავადნი". წინანდლის ჭავჭავაძენი ყოფილან „მცირე თავადის ხარისხისა".[3] ეს ვითარება დადასტურებულია დოკუმენტურადაც. 1793 წლის სასამართლოს განაჩენში ნათქვამია: „ბარამ [გურგენიძე] რადგან მესამე თავადათ არის აღრიცხული, მესამე თავადის ერთის ქერის მარცვლის ზომა სისხლი არის 3 თუმანი და ოთხი მინალთუნი"[4] (თუ იყო მესამე ხარისხი, ცხადია, იქნებოდა პირველი და მეორეც).

* * *

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ, თითქოს, კახეთში არ იყო აზნაურთა დაქვემდებარებული წოდება, ე. ი. არ იყო საეკლესიო და სათავადო აზნაურები ანუ არ იყო განვითარებული ვასალიტეტი. „XVII საუკუნე და გან-

---

[1] სცსსა, ფ. 1448, ს. 5329.
[2] იქვე, ეს სახლი საბოლოოდ გაიყარა 1705 წ.
[3] ხელნაწერთა ინსტიტუტი, S-550, ფ. 29-31, 36-37.
[4] საქართველოს სიძველენი, III, გვ. 476-477.

საკუთრებით კი, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ვხვდებით თავადების მიერ აზნაურთა დაყმევების ცალკეულ ცდებს", რომელნიც მარცხით დამთავრდა.[1]

აქ უნდა ითქვას, რომ საკითხის ასე დაყენება, ჩვენი აზრით, მცდარია. ნვრილ აზნაურთა დაყმევება (ვასალის მნიშვნელობით) საქართველოში მოხდა ჯერ კიდევ ე. ნ. ადრეფეოდალურ ხანაში, ერთიანობის ხანაში კი, პროცესი გაღრმავდა და მივიღეთ განვითარებული ვასალიტეტი,[2] როგორც ეს იყო რუსეთისა და ევროპის ფეოდალურ ქვეყნებში. ევროპასა და რუსეთში გვიან-საშუალო საუკუნეებში ხდება ვასალიტეტის თანდათანი შეზღუდვა და შემდეგ სულ გაქრობა. ანალოგიური ტენდენცია – აზნაურთა ვასალობიდან გამოსვლის ცდები – შეიმჩნევა XVII-XVIII საუკუნეების საქართველოშიც (სააკაძეები, ფიცხელაურები, ფურცელაძეები და სხვ. ქართლში, ესიტაშვილები და სხვ. კახეთში). ამდენად, როცა კახეთში რომელიმე აზნაური იბრძვის თავადის ვასალობიდან გამოსვლისათვის, თავადი კი მის შესანარჩუნებლად მიუთითებს, არა „თავადების მიერ აზნაურთა დაყმევების ცალკეულ ცდებზე", არამედ აზნაურების თავადთა ვასალობიდან განთავისუფლების ცალკეულ ცდებზე, რაც ეპოქის დამახასიათებელი საერთო მოვლენაა. შ. ხანთაძე, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ასეთი ფაქტები, წერს: „აზნაურთა ბრძოლა თავადთა დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებისათვის საკმაოდ გავრცელებული მოვლენა იყო გვიანფეოდალურ საქართველოში".[3] აღნიშნული მოვლენების ნორმალურ განვითარებას ხელი შეუშალა საქართველოს ეკონომიკურმა ჩამორჩენილობამ, რაც გაპირობებული იყო საგარეო ფაქტორით (უცხოელთა შემოსევები, ტყვის სყიდვა, „ლეკიანობა").

მაინც რამ გამოიწვია იმ აზრის გაბატონება, რომ, თითქოს კახეთში არ იყო სათავადო და საეკლესიო აზნაურები? ამის მთავარი მიზეზი, ჩვენი აზრით ისაა, რომ 1783 წლის ტრაქტატს დართულ სიაში კახეთის აზნაურობა არაა ცალ-ცალკე – სამეფო, საეკლესიო, სათავადო – აღნუსხული, მაშინ, როცა ქართლის მიმართ არა მარტო ცალ-ცალკეა აღწერილი, არამედ ამა თუ იმ თავადს რომელი გვარის აზნ-

---

[1] **გ. აკოფაშვილი**, აზნაურთა ფენა კახეთის სამეფოში, ისტორიის ინსტიტუტის XV სესია, 1966, გვ. 20.

[2] იხ. **ს. ჯანაშია**, შრომები, II, გვ. 429-430.

[3] **შ. ხანთაძე**, სოციალური ბრძოლის ეპიზოდი გვიანფეოდალურ საქართველოში, მუზეუმის მოამბე, XX-B, 1959, გვ. 169, რეზიუმე.

აური ეკუთვნის ისიც კი აღნიშნულია. ასეთივე მდგომარეობაა იოანე ბატონიშვილის მიერ შედგენილ ნაშრომშიც – „შემოკლებითი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გუარებისა... ვ[ითარც]ა არს მოხსენებული ტრაკტატსა შინა"...[1] ამ ნაშრომში წარმოდგენილი თავადთა და აზნაურთა სია, აღმოსავლეთ საქართველოს ნაწილში მთლიანად ემთხვევა ტრაქტატის სიას. აი, სწორედ ამ ორმა ფაქტმა შეუნყო ხელი ზემოხსენებული აზრის გავრცელებას. ის შემთხვევები, როცა საბუთებში ჩანდა თავადისა თუ ეპისკოპოსის თუ კათალიკოზის აზნაური, ჩათვალეს შემთხვევითად და მხოლოდ აზნაურების დამორჩილების მარცხით დამთავრებულ ცდად.

მაინც რატომ არაა ტრაქტატს დართულ სიაში და იოანეს ნაშრომში ცალკე გამოყოფილი კახეთის სათავადო და საეკლესიო აზნაურები? სხვათა შორის, ქართლის ნუსხაში, იქ, სადაც სამეფო აზნაურებია ჩამოთვლილი, სათაურად აქვს „სახასო აზნაურნი",[2] (ე. ი. მეფის აზნაურნი). კახეთის ნუსხაში კი ასეა: „კახეთის აზნაურშვილების რიცხვი".[3] აქ სახასო (ე. ი. მეფის), ისე როგორც საეკლესიო და სათავადო, არაა აღნიშნული. ეს იმიტომ, რომ აქ ჩამოთვლილია არა მარტო მეფისა, არამედ, საერთოდ, კახეთში მცხოვრები აზნაურები. ამას გარდა, და რაც მთავარია, იოანეს ნუსხაში, სადაც დასავლეთ საქართველოს თავადთა და აზნაურთა სიებიც არის მოცემული, არსად – არც იმერეთში, არც სამეგრელოში, არც გურიაში და არც რაჭაში – ცალკე, გამოყოფილად არაა აღნერილი სამეფო, საეკლესიო და სათავადო აზნაურები (ე. ი. ისევეა, როგორც კახეთის მიმართ).[4] რა არის ამის მიზეზი ნათლად არ ჩანს (იქნებ, აღმნერმა არ იცოდა რომელი აზნაური რომელ თავადს ეკუთვნოდა და შეცდომისაგან თავი დაიზღვია). ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ფაქტია: კახეთის აზნაურები რომ დანანევრებულად არაა აღნუსხული, არ გამოდგება იმის სამტკიცებლად, თითქოს, კახეთში არ იყო სათავადო და საეკლესიო აზნაურები. ამ საფუძველზე მაშინ ისიც უნდა გვემტკიცებინა, რომ არც დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებში არ ყოფილა საეკლესიო და სათავადო აზნაურები.

---

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, S-3729.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 485.

[3] იქვე, გვ. 491.

[4] ხელნაწერთა ინსტიტუტი, S-3729, ფ. 111-119.

აზნაური ესიტაშვილები, რომელნიც, თითქოს, ადრე სახასონი ყოფილან, XVIII საუკუნეში ჩოლოყაშვილების აზნაურები არიან. ერეკლე II დროს ესიტაშვილებმა დავა დაიწყეს და მეფეს არზა მიართვეს: „არ ვიცით ჩოლოყაშვილებს როგორ ვყმობივართ ან რის მიზეზით უჭირავართ და ან ახლა უსამართლოდ ყმობის წიგნი რათ მოგვაცემინეთო".[1] როგორც ჩანს, ჩოლოყაშვილებს დაუმტკიცებიათ მეფისათვის, რომ ესიტაშვილები მათი ყმები (ვასალები) იყვნენ. ერეკლე II ბრძანებით ესიტაშვილებს „ყმობის წიგნი" მიუციათ ჩოლოყაშვილებისათვის, მაგრამ ესიტაშვილები ბრძოლას განაგრძობენ და ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ისინი სახასონი არიან. ბოლოს და ბოლოს ესიტაშვილებმა მონმეების საშუალებით შეძლეს დაემტკიცებინათ, რომ „თავისის მამულით სახასონი იყვნენ". ერეკლემ ესიტაშვილები ჩამოართვა თავადს და „სამართლის მიხედვით სახასოდ დადო"...[2] ამ ფაქტში, ჩვენი აზრით, ნათლად ჩანს, რომ კახეთშიც თავადის აზნაური ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მონმეების ძებნა და გაუთავებელი დავა, რომელშიც ხან ერთი მხარე იმარჯვებდა და ხან მეორე, საჭირო კი არ იქნებოდა, არამედ ესიტაშვილებიცა და მეფეც იტყოდნენ: სად გაგონილა, რომ კახეთის თავადს აზნაურები ჰყავდესო და საქმე მარტივად გადაწყდებოდა.

კახეთის ხალხის აღწერის XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის დავთარში, რომელიც სამეფოდან გამომავალი ლაშქრის აღწერას ნარმოადგენს, აღწერილია სახასო, საეკლესიო და სათავადო მამულებიდან გამომავალი მოლაშქრე. ეს დავთარი სრული არაა, მას აკლია დიდი ნაწილი. ამდენად, დავთარი სრულ წარმოდგენას ვერ მოგვცემს კახეთიდან გამომავალი ლაშქრის რაოდენობაზე და, მაშასადამე, ვერც აზნაურთა რაოდენობის შესახებ. მიუხედავად ამისა, იგი ძვირფასი ცნობების შემცველია.

ამ ნაკლულ დავთარში სულ აღნუსხულია დაახლოებით 69 აზნაური, აქედან 8 არის სამეფო, 6 თეიმურაზ ბატონიშვილისა, 10 საეკლესიო და 45 – სათავადო.[3]

---

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-4163, პირი, 1792 წ.

[2] იქვე, მიუხედავად ერეკლეს ამ ბრძანებისა, ესიტაშვილები XIX საუკუნის დასაწყისში კვლავ ჩოლოყაშვილთაგან განთავისუფლებისათვის იბრძვიან.

[3] **ივ. ჯავახიშვილი**, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, I, 1967, გვ. 7-104.

თავადთაგან აზნაურები ჰყავთ ოთარ (ჩოლოყაშვილს) (უჯარმას, მარილისს და ქორდს):

1. ბერი ბახახა აზნაურშვილი მოლაშქრე,
2. ფარსადან ბესტოლაშვილი აზნაურშვილი მოლაშქრე,
3. იასე სუმბიაშვილი აზნაურშვილი,
4. ონანა სუმბიაშვილი მოჴელე,
5. ტოხაშვილი აზნაურშვილი,
6. მარკოზ ტოხაშვილი აზნაურშვილი
7. დემეტრე ტოხაშვილი აზნაურშვილი,[1]

მეითარ ფარსადან [ჩოლოყაშვილს] (ქორდსა და მარელისს),

8. ბერძნიშვილი ოთარი აზნაურშვილი,
9. გიორგი ტოხაშვილი აზნაურშვილი,
10. ნასყიდა სუმბიაშვილი მოჴელე.[2]

გარსევან [ჩოლოყაშვილს] (უჯარმას):

11. სა[ა]კაძე პ[ა]ატა აზნაურშვილი მოლაშქრე,
12. ნაცვლიშვილი ხოსია აზნაურშვილი მოლაშქრე,[3]
13. დათუნა აზნაურშვილი მოლაშქრე,[4]

სახლთუხუცეს საზვერელ [ჩოლოყაშვილს?] (საცხენისს, ყარაბულახს და მატანს):

14. პეტრე ქვლივიძე აზნაურშვილი,
15. იოთამ აზნაურშვილი,
16. ბაინდურა აზნაურშვილი მოლაშქრე,
17. დათუნა მოლაშქრე აზნაურშვილი,
18. ზაალ აზნაურშვილი მოლაშქრე,
19. ტოხაშვილი გიორგი აზნაურშვილი,
20. ტოხაშვილი პატარკაცი აზნაურშვილი.[5]

---

[1] **ივ. ჯავახიშვილი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 26, 71.

[2] **ივ. ჯავახიშვილი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 71, ოთარი და ფარსადან მეითარი სახლიკაცები ჩანს 1705 ნ. გაყრის ნიგნიდან (სცსსა, ფ. 1448, ს. 5329).

[3] ეს ხოსია მოხსენიებულია 1690 ნ. ნიგნში, რომელსაც რევაზ ჩოლოყაშვილი აძლევს თავის აზნაურს მთავარ ეპისკოპოსს ქრისტეფორეს და მის ძმებს.

[4] იქვე, გვ. 26. გარსევანი რომ მეითარ ფარსადანის ძმაა, ჩანს ერეკლე I ნყალობის ნიგნიდან ჩოლოყაშვილებისადმი (ხელნან. ინსტიტუტი, Hd-9690. 1689 ნ. საბუთი).

[5] იქვე, გვ. 25, 28, 72, საზვერელიც ჩოლოყაშვილი უნდა იყოს სახლთუხუცესობა ამ ოჯახის სახელო იყო. ს. მატანიც ჩოლოყაშვილებისა ჩანს, ტოხაშვილების გვარის აზნაურებიც ამ ოჯახს ჰყავდა.

ჩვენი ვარაუდით, ოთხივე ეს პირი ეკუთვნის ჩოლოყაშვილთა იმ შტოს, რომელთა ნარმომადგენლები იყვნენ სახლთუხუცესები. თუ ეს ვარაუდი სნორია,[1] მაშინ 1705 ნლის გაყრამდე, ჩოლოყაშვილთა ერთ სათავადო სახლს, რომლის მეთაური იყო სახლთუხუცესი რევაზ ჩოლოყაშვილი, XVII საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე, არასრული ცნობით ჰყოლია 20 აზნაური.

მდივან გორჯასპის (გვარი არ ჩანს) კონდოლსა და კისისხევს, გლეხებს გარდა, ჰყავს ერთი სახლთუხუცესი, ორი „მოჭელე" და ოთხი აზნაური.[2]

ალავერდელს ს. კაკაბეთში ჰყავს ექვსი აზნაური, ორი მოურავის ნაცვალი (ერთი აზნაურთაგანია), ორი ქეზა და 100-მდე გლეხი.[3]

მანავს შიოშ მდივანს ჰყავს, გლეხებს გარდა, სამი აზნაური (აქედან ერთი ნაცვალია), ერთი სახლთუხუცესი და ერთი ქემხა.[4]

იყალთოში გოშფარ მაყაშვილს ჰყავს სამი აზნაური, ერთი სახლთუხუცესი, ერთი მოჭელე და 50 გლეხი.[5]

ვილაც ჯანაშდაალს (გვარი არ ჩანს) სოფ. ჩაილურს ჰყავს ექვსი აზნაური, ამათგან ერთი სახლთუხუცესია) და ერთი ქემხა (ყმები ჰყავს სხვა სოფლებშიც).[6]

შიბლიანში ქაიხოსრო ენდრონიკაშვილს ჰყავს ორი აზნაური და ერთი „მოჭელე".[7]

აზნაურები ჰყავთ აგრეთვე კათალიკოზს, სამებელს, ჭავჭავაძეს, ჯანდიერს და სხვ. (იხ. დავთარი). სავარაუდებელია, რომ აქ დასახელებულ ფეოდალთა აზნაურების რიცხვი არ იყოს სრული, რადგან დავთარი ნაკლულია.

აქ ნარმოდგენილი მასალიდან, ვფიქრობთ, სრულიად ნათელია, რომ კახეთში მეფის აზნაურებს გარდა, ყოფილა აგრეთვე საეკლე-

---

[1] რამდენადმე საეჭვოდ გვეჩვენება მხოლოდ საზვერელის კუთვნილება ამ ოჯახისადმი.

[2] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, I, თბ., 1967, გვ. 104.

[3] იქვე, გვ. 15-17.

[4] იქვე, გვ. 14.

[5] იქვე, გვ. 93-94.

[6] იქვე, გვ. 12-14.

[7] იქვე, გვ. 17.

სიო და სათავადო აზნაურებიც, მაგრამ სურათის სისრულისათვის მოვიტანოთ სხვა ხასიათისა და სხვა ხანის მასალაც.

ალავერდის ეკლესიის აზნაურები დამოწმებულია XV საუკუნეში. 1492 წელს კახეთის მეფე ალექსანდრე I (1476-1511) ალავერდს შესწირა, სხვა ყმა-მამულთან ერთად, რაჭით „მონდობილნი სამი კომლი აზნაურიშვილი ბაქრაძენი, კარისა ჩვენისა ბოქაულნი გოჩია, დემეტრე და ხარება მისი მამულითა და ყმითა... როგორც სხუა წმიდის გიორგის აზნაურშვილი ალავერდელს მსახურებდეს, იმავე წესით ამათ მსახურონ".[1] საბუთი განაახლა და დაამტკიცა ერეკლე II-მ 1784 წელს ისე, რომ არაფერი შეუცვლია.

ალავერდელის აზნაურები გვხვდებიან სხვა საბუთებშიც. XVII-XVIII საუკუნეების საბუთებში მოხსენიებულია ალავერდის „სახლთუხუცესი სულხან", „მეღვინეთუხუცესი ბამან", სახლთუხუცესი ზარასპ". აგრეთვე ამათი სახლისკაცები: მამუკა, ქუცნა, გიორგი, პაატა, ქაიხოსრო, იოვანე სულხანიშვილები და სხვ.[2]

XVI საუკუნის ერთ საჩივრის წიგნში როსაბ ჯანდიერიშვილი ვიღაც ვახტანგიშვილზე ჩივის: „სამი ისარი მე მკრეს, კინალამ შვილი მომიკლეს, თამაზ, ერთი აზნაურშვილი მომიკლეს და ორი მსახური დამიკოდესო" (Hd-3683).

1690 წელს სახლთუხუცესმა რევაზ ჩოლოყაშვილმა ძმებითა და შვილებით თავის აზნაურებს „ერთგულთ და თავდადებითა ნა[მ]ს[ა]ხურს მთავარეპისკოპოს ქრისტეფორეს[3] და ძმასა [მისსა] გიორგის, რუსსა, პაპუასა, ბეჟანს, ხოსიასა, დათუნასა, სანჯარს, უთრუთს" უბოძა „წყალობის წიგნი", რომელშიც ნათქვამია: „ამას წინათაც პაპისა და მამისა ჩუენისაგან წყალობა გჭირვებოდა და ახლა შემოგიმატეთ და წყალობა გიყავით: უჯარმასა და ან სიონს, ან ხორუგს რისაც მქონებელი იყ[უ]ნეთ მამულის, ყმის, ნასყიდისა, უსყიდისა, უჯარმის მოურაობა სამკვიდროთ გქონდა ახლა

---

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-9494, პირი, საბუთს ქორონიკონად უზის „სი" (1522ნ.) რაც გადამწერის შეცდომა უნდა იყოს (ამ დროს ალექსანდრე I კახთა მეფე გარდაცვლილია). საბუთი დანერილია ალექსანდრეს მეფობის მეთექვსმეტე ინდიქტიონს, რაც უდრის 1492 ნ.

[2] იქვე, Qd-28, Hd-1638.

[3] რევაზ ჩოლოყაშვილის აზნაური ქრისტეფორე ნაცვლიშვილი ერეკლე I ქართლის მთავარეპისკოპოსად დასვა ქართლში გამეფებისას 1688 წელს.

უზუნქ[ა]ნთისა და აღოზნის მოურაობა შემოგიმატეთ. ესე გვიწყალობებია და მოგვიცემია, რომე არა ჩვენგან და არა ნათესავთა ჩვენთაგან არ მოგეშალოს... თუ შენ ჩვენზე არა სტყუო-რა".[1]

1705 წელს გაიყარა ოთარ და ფირან ჩოლოყაშვილების სახლი. ოთარი წინააღმდეგი იყო და გაყრას არ დაესწრო. მაშინ მომრიგებელი მოსამართლენი იძულებულნი გახდნენ „რომელიც ოთარის უნინ წილში ნარგები აზნაურშვილი იყო", ისინი მოეწვიათ, რათა მათ დაეცვათ ოთარის ინტერესები. მართლაც, „რომელიც ოთარის აზნაურშვილებმა ილაპარაკეს და წილში ერგოთ, დავანებეთ და ბარათით გაუყავით. უსამართლო არა გვიქნია რაო" – აცხადებენ მოსამართლენი გაყრის წიგნში.[2]

XVIII საუკუნის 30-იან წლებში მეფემ კალოკოზს დაუმტკიცა კახეთის ეკლესია-მონასტრები მათივე მამულებით და „აზნაურნი და გლეხნი".[3]

1781 წლის ერთ საბუთში მოხსენიებულია ზაალ გურამიშვილის ათი კომლი და ერთი აზნაური.[4]

ანალოგიური მასალის გამრავლება შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობთ, მოტანილიც საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ კახეთშიც მრავლად იყვნენ საეკლესიო და სათავადო აზნაურები. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ კახეთის თავადებს მაინც უფრო ცოტა ჰყავდათ აზნაურები, ვიდრე ქართლის დიდებულ თავადებს, თუმცა ქართლშიც, თუ სხვა სამეფო-სამთავროებშიც მრავლად იყვნენ ისეთი თავადები, რომელთაც ერთი-ორი აზნაური ჰყავდათ, ან კიდევ სულ არ ჰყავდათ.

კახეთის აზნაურობა, ისე როგორც სხვა სამეფო-სამთავროების აზნაურობა, იყო თავისი პატრონის – სენიორის (მეფე, ეკლესია-მონასტერი, თავადი) მხლებელი, მოლაშქრე ან მოხელე. ამ სამსახურისათვის მას წყალობად ეძლეოდა მამული ერთგულად სამსახურის პირობით.[5] თუ აზნაური სამსახურში ერთგულებას არ გამოიჩენდა,

---

1 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-10.921.

2 სცსსა, ფ. 1448, ს. 5329. ეს საბუთი მოგვაწოდა თ. ენუქიძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

3 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-14. 531.

4 საქართველოს სიძველენი, III, გვ. 508.

5 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-10.921.

სენიორს შეეძლო ნაწყალობევი მამული უკან წაელო. ასეთ მამულს გარდა, აზნაურს ჰქონდა აგრეთვე ნასყიდი, ნამზითვი, ცალკეულ შემთხვევაში კი მეფისაგან ნაჯილდოები თუ სხვა სახის ქონება, რომელიც მისი უშუალო სენიორის კომპენტენციაში არ შედიოდა (თუმცა ძალადობის შემთხვევებს აქაც ჰქონდა ადგილი). კახეთის ვასალი-აზნაური წვრილი მფლობელი იყო. ჩვეულებრივ, მისი ყმათა რიცხვი ერთი-ორი ან სამი-ოთხი კომლი გლეხისაგან შედგებოდა. მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში აზნაურის გლეხთა რიცხვი ერთ-ორ ათეულამდეც აღწევდა. გამონაკლისის სახით იყო ისეთი აზნაურიც, რომელსაც სულ არ ჰყავდა გლეხი. აზნაურს, როგორც ფეოდალთა კლასის წარმომადგენელს და იმდენად პირადად თავისუფალ ადამიანს, თავისი პატრონისაგან წასვლის უფლება ჰქონდა. მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, ნაწყალობევ მამულზე ხელი უნდა აეღო.[1]

კახეთის აზნაურობაც, ისე, როგორც ქართლისა, სამ კატეგორიად იყოფოდა. აზნაურის ფარსადან ესიტაშვილის შესახებ სასამართლო განაჩენში ნათქვამია: „ძველი და პირველი კახეთის დავთრები მოიკითხეს და გაშინჯეს, რომ წინასა და პირველ აზნაურშვილად გამოცხადდით, ძველად კახ მეფეების დავთრებით".[2] კახეთში მეორე და მესამე ხარისხის აზნაურებიც დოკუმენტურადაა დადასტურებული.[3]

---

[1] სცსსა, ფ. 1448,ს. 1558.

[2] ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-4.163.

[3] საქ. სიძვ. 1, № 211; ხელ. ინსტ. Ad-1421.

თსუ შრომები. ტ. 246. 1984. გვ. 103-108.

„მოქალაქეთა“ საკითხისათვის გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში

საქართველოს ქალაქური მოსახლეობის აღსანიშნავად გვიანსაშუალო საუკუნეებში ერთი საერთო ტერმინი არ არსებობდა. მაგალითად, „მოქალაქე“ მხოლოდ თბილისის მცხოვრებს ერქვა: სხვა ქალაქის, ვთქვათ, გორის მცხოვრებს „გორელ კაცს“ ეტყოდნენ. ეს იმიტომ, რომ იმდროინდელ საქართველოში სასაუბრო ენაში და ხშირად წერილობით ძეგლებშიც, ქალაქს მხოლოდ თბილისს უნოდებდნენ, მოქალაქეს კი – თბილისელს.

ქართულ საისტორიო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვით გვიანსაშუალო საუკუნეებში „მოქალაქე“ ეწოდებოდა ქალაქის მოსახლეობის ზედაფენას, პრივილეგირებულ ფენას.

შ. მესხიას აზრით, „X-XVI სს. თბილისში მცხოვრები თავისუფალი და არათავისუფალი, მდიდარი და ღარიბი ვაჭრები და ხელოსნები ერთნაირად მოქალაქეებად (ქალაქელებად) ინოდებოდნენ“ (I, 171). მას მოაქვს 1523 წლის საბუთის მონაცემები, რომლის მიხედვით, თავად თაყა ზევდგინიძის თბილისელი ყმა-ვაჭარი ინოდება მოქალაქედ. შ. მესხიას აზრით, XVI საუკუნის შუა ხანებში, ბატონყმურ ურთიერთობათა განვითარებისდაკვალად ღრმავდება თბილისის მოსახლეობის სოციალური დიფერენციაცია, რის შედეგადაც მოქალაქე უკვე ეწოდება არა მთელი თბილისის ვაჭრულ-ხელოსნურ მოსახლეობას, არამედ მის ერთ, შეძლებულ ნაწილს. XVII საუკუნის დოკუმენტებში „მოქალაქე“ უკვე აღნიშნავს თბილისის მოსახლეობის ერთ ნაწილს (I, 170). ამ აზრის საილუსტრაციოდ შ. მესხიას მოაქვს 1628 წლის დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს სიმონ II-ის წყალობის ნიგნს თბილელი ეპისკოპოსისადმი. მასში ნათქვამია: „რაც სიონთა ღმრთისმშობელს ქალაქს ან ვაჭარი ჰყოლებოდეს შეწირული ან ქულბაქი, ან საბარათაშვილოში და ან ქართლში. ჩუენც შეგვინირამს უკლებლად და თბილელობა თქუენთჳს გვიბოძებია. და რა რიგადაც

ან მოქალაქესა ან თემის კაცს სხვის თბილელისათჳს ემსახუროს, ისრევე თქვენ უნდა გემსახუროს..." (2, 213). შ. მესხიას აზრით, ამ საბუთში დაპირისპირებულია თბილისის მოსახლეობის ორი ფენა – „მოქალაქე" და „თემის კაცი". შ. მესხიამ სავსებით სნორად თარგმნა „თემის კაცი" ყმაგლეხად (крепостной) (1, 170). მაგრამ, როგორც თ. ბერიაშვილმაც აღნიშნა (3, 16). „თემის კაცი" აღებულ კონტექსტში, ნიშნავს არა თბილისში მცხოვრებ ყმა-გლეხს, არამედ საბართაშვილოში და ქართლში მცხოვრებ ყმა-გლეხს, ამდენად, აქ დაპირისპირებულია ერთმანეთთან არა თბილისის მოსახლეობის ორი ფენა, არამედ – თბილისში და სოფელში მცხოვრები სიონის ყმები.

თ. ბერიაშვილს მიაჩნია, რომ XVII საუკუნის დოკუმენტებში მოქალაქე ჯერ კიდევ თბილისელს ნიშნავს, მაგრამ XVIII საუკუნის 20-იანი წლებისათვის, მისი აზრით, „უკვე გარკვევით ჩანს მოქალაქეთა განსაკუთრებული ნრე, ქალაქის დანარჩენი მოსახლეობისაგან განსხვავებული და განსაკუთრებული ნოდების სახით" (3, 19). ამ აზრს იგი ამყარებს ვახტანგ VI-ის 1722 ნლის წყალობის წიგნზე, რომელიც გაცემულია მოქალაქეთადმი. აღნიშნულ წიგნში ნათქვამია: „წყალობის წიგნი და სიგელი დაგინერეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა ერთგულთა და თავდადებით ნამსახურსა მკვიდრსა ტფილისისა მსახლობელთა მოქალაქეთა ხელერთპირ დიდებულთა ვაჭართა, ქეთხუდათა, სომეხთა და ქართველთა, უფროსთა და მცირეთა... თუ ქალაქში კაცნი ამოვარდეს და თუ (ვაჟი) არ დარჩეს და არცა ასული, იმისი საქონელი, სახლი, კარი და აგარაკი, მამული და მინა-წყალი, ვინც იმისი ვარასი გამოჩნდეს, იმისთვის გვიბოძებია, ჩვენ ხელი არა გვაქვს და ვერც ვინ ჩვენი მოსაქმე მიედავების. არც სათათრო სამტყვეო გამოგერთმეოდეს" (4, 125). ჩვენი აზრით, ამ საბუთის მიხედვით ის კი არ ჩანს, რომ მოქალაქეა მოსახლეობის ცალკე ფენა, არამედ ის, რომ მოქალაქეთა (თბილისელთა) ზედა ფენა არის „დიდებულნი ვაჭარნი" (და აგრეთვე ქეთხუდები).

ვ. გაბაშვილის აზრით, გვიანსაშუალო საუკუნეების საქართველოში ცალკე საზოგადოებრივ ფენად ყალიბდება მოქალაქეები. „მოქალაქეთა" პრივილეგიები, ამ საზოგადოებრივი ფენის როლი და მნიშვნელობა საქალაქო ცხოვრებისა და მმართველობის სარბიელზე საბოლოოდ ფორმდება მხოლოდ XVII-XVIII საუკუნეებში" (5, 153-154). ამ საკითხზე ჩვენ, როგორც უკვე ითქვა, განსხვავე-

ბული აზრისა ვართ. მაგრამ საესებით ვეთანხმებით ვ. გაბაშვილის შემდეგ დებულებას: „სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით, ერთმანეთისაგან ასხვავებდნენ მაღალი და დაბალი რანგის „მოქალაქეებს". „მოქალაქეთა" საზოგადოებრივ ფენას განეკუთვნებოდნენ დიდვაჭრებიც, საშუალო ვაჭრებიც და წვრილი ვაჭარ-ხელოსნებიც" (5, 156).

ჩვენ აქ გვინდა მოვიტანოთ მასალები, საიდანაც, ვფიქრობთ, ნათელი იქნება, რომ მოქალაქე XVII-XVIII საუკუნეებში, ისევე, როგორც ეს XVI საუკუნეში იყო, ეწოდებოდა სამეფო, სადედოფლო, საეკლესიო და თავადაზნაურთა კუთვნილ ვაჭრულ-ხელოსნურ მთელ მოსახლეობას. ვაჭრულ-ხელოსნური მოსახლეობის ზედა ფენას კი, როგორც თბილისში, ისე მთელს საქართველოში წარმოადგენდა დიდვაჭრები ანუ „დიდებულნი ვაჭარნი" და ე. წ. „შუა ვაჭარნი", როგორც ეს იყო ერთიანობის ხანის საქართველოში.

ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტში, რომელიც შედგენილია XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, სიმონისა და დაუთხანის ბრძოლის აღწერასთან დაკავშირებით ნათქვამია: „სცნა რა ესე დაუთხან ქალაქზე წამოსვლა სვიმონისი, იმანაც სომხით-ბარათიანნი, თათარნი და მოქალაქენი შემოიყარნა, და ძმას საომრად მიეგება"... (6, 512), ან კიდევ: „მოადგა მეფე სვიმონ ციხესა ტფილისისა, და ეგონა მოქალაქენი მომივლენო. ყაენის შიშით მოქალაქენი არ მოუვიდნენ"... (6, 513). ვფიქრობთ, აქ მოტანილი ადგილებიდან ცხადი უნდა იყოს, რომ „მოქალაქეებში" იგულისხმება თბილისის მოსახლეობა და უფრო მეტად, დაბალი ფენები, რომლებიც ბრძოლაში გამოდიოდნენ, და არა მოსახლეობის ზედაფენა (დიდვაჭრებისა და სხვ. სახით).

ბაგრატ-ხანის (1616-1619 წწ.) ერთი ბრძანების წიგნში ნათქვამია: „რაც ქალაქს სუეტისცხოვლის ყმა იყოს, ბაშმალს ნუ სთხოვთ, რარიგადაც სუეტისცხოვლისათვის ემსახუროს, ისრეე მსახურონ და იმრიგადვე თარხანი იყვნენ". საბუთს სხვა ხელით მინერილი აქვს შემდეგი სათაური: „მეფის ბაგრატის წიგნი მოქალაქეთ მალის გამოურთმევლობისათვის" (4, 9). გამოდის, რომ სვეტისცხოვლის თბილისში მცხოვრებ ყველა ყმას მოქალაქე ეწოდება (თბილისის მცხოვრების მნიშვნელობით).

უფრო ნათელია ეს საკითხი როსტომ მეფის ერთ 1639 წლის ორენოვან „ყანუნ-ლამადან" რომელშიც ერთმანეთთან დაპირისპ-

ირებულია „მოქალაქე და უცხო მგზავრი კაცი“ (ქართულ ტექსტში) და „ქალაქ თბილისისა და საქართველოს ოლქის მოსახლეობა“ (რაია) სპარსული ტექსტში (7, 149-151).

კიდევ უფრო ცხადად ჩანს „მოქალაქის“ მნიშვნელობა როსტომ მეფის 1645 ნლის ორენოვან საბუთში, რომლის ქართულ ტექსტში მოხსენებულ „მოქალაქე იავანგულათ ფარყუზათაშვილს“ სპარსულ ტექსტში ენაცვლება „თბილისელი ქრისტიანი ფერხოზადაშვილი“ (7, 191-192).

მოქალაქედ ინოდება თბილისში მცხოვრები არა მარტო სამეფო და საეკლესიო ყმა ვაჭრები, არამედ თავადის ყმა ვაჭრებიც. როსტომ მეფის 1649 ნლის სითარხნის ნიგნში, რომელიც თუმანიშვილების სახელზეა გაცემული, ნათქვამია: „ასრე გათარხნეთ, რომე სამოცის თუმნისა რაგინდარა სავაჭრო მოქალაქემ თქუენმა ყმებმან ამგზავროს ჩუენს საბატონოში, არა ქალაქს, არა გორს და არა სხუაგან ბაჟი არ ეთხოვებოდეს“... (7, 211).

ასეთივე ვითარებაა XVIII საუკუნის მიმართაც. ამ მხრივ, საინტერესო მასალას იძლევა 1755-1760 და შემდეგი ნლების მდივანბეგის კანცელარიაში შესული საჩივრების ნუსხები, რომლებშიც მოქალაქე ჩვეულებრივ სხვა ადგილის მცხოვრებს უპირისპირდება. ასე მაგალითად: „მოქალაქემ უფლისციხელს მინასაშვილს უჩივლა პური კოდი 10“, ქასიყელმან კაცმან მოქალაქეს ხარი უჩივლა“, „მოქალაქე გრიქოლამ სურამელს მიროტაძეს უჩივლა თორმეტი კოდი პური“, „ნავკელმან მირაქასშვილმან მოქალაქეს უჩივლა ერთი თუმანი“. არის სხვა ხასიათის ცნობებიც: „მოქალაქე ხეჩატურას ჯალაბმან თავის ნასყიდს ყმას უჩივლა თავს არ მიდებსო“; ან კიდევ, „მოქალაქე ოჰანეზმა ისევ მოქალაქეს გურგენს უჩივლა 8 თუმანი და 5 მინალთუნი“ (8, 28-29). ვფიქრობთ, ამ მასალიდანაც ჩანს, რომ მოქალაქე ქალაქის (ანუ თბილისის) მცხოვრებს ნიშნავს და არა მის ერთ ნანილს – ზედაფენას.

მაინც რატომ იყო, რომ „მოქალაქენი“ XIX საუკუნის პირველი ნახევრის ზოგიერთ სტატისტიკურ ცხრილში ცალკე შეპქონდათ დანარჩენ თბილისელთაგან განსხვავებით?

XIX საუკუნეში, როცა ესა თუ ის მოქალაქე ცდილობს დაუმტკიცოს მეფის მოხელეებს, რომ ის პრივილეგირებულ ნოდებას ეკუთვნის და აზნაურთან იყო გათანაბრებული, ერთის მხრივ, საბუთად

მოაქვს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის სათანადო მუხლები, მეორეს მხრივ კი – ის, რომ მოქალაქე შეტანილი იყო მახტის გადასახადის წიგნში. მაგრამ ვახტანგის სამართლის წიგნში აზნაურებთანაა გათანაბრებული არა ყველა მოქალაქე, რომელიც გვიან მახტის წიგნში შეიტანეს, არამედ მხოლოდ დიდვაჭარი ანუ დიდებული ვაჭარი (როგორც ვახტანგი უწოდებს), აგრეთვე შუა ვაჭარი და თანაც არა მხოლოდ თბილისელი, არამედ საქართველოს სხვა ქალაქების დიდვაჭრებიც. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში ნათქვამია: „შუა აზნაურის მთელის სისხლის ტოლადვე – დიდებულის დიდვაჭრის მოქალაქის სისხლი" (9, 16). იგივე მუხლი ვარიანტში ასე იკითხება: „დიდებულის დიდვაჭრის მოქალაქის და სხვას ქალაქების ვაჭრის სისხლი" (9, 16 სქოლიო). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში ვაჭრების სულ ოთხი კატეგორიაა. შუა ვაჭარიც აზნაურთანაა გათანაბრებული, მესამე და მეოთხე კატეგორიის ვაჭრები კი მსახურებს და მებეგრე გლეხებს უთანაბრდება. ამდენად, ტყუიან ის მოქალაქეები, რომლებიც აცხადებენ, რომ ყველა აზნაურთან ვიყავით გათანაბრებულიო. ზემოგანხილული მუხლებიდან ვახტანგის დედანთან უფრო ახლო მდგომად მეორე ვარიანტი მიგვაჩნია, სადაც მოქალაქე თბილისელს ნიშნავს სხვა ქალაქის მცხოვრებისგან განსხვავებით.

როდის იქნა შემოღებული გადასახადი მახტა და როდის შედგა მახტის დავთარი, რომელიც მთავარი საბუთია მოქალაქეთა ხელში მათი პრივილეგიების დასამტკიცებლად. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში გამოკვლეულია (გ. გოზალიშვილი, შ. მესხია), მახტა თბილისში შემოღებულია არა უადრეს XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა. შ. მესხია წერს: „მახტა გადასახადის სახით ქალაქებში შემოღებული იქნა ერეკლეს მიერ – თავდაპირველად მხოლოდ თბილისში და გორში, XVIII საუკუნის ბოლოდან კი... საქართველოს სხვა ქალაქებშიც" (1, 213; 10).

მახტის შემოღება ერეკლეს საფინანსო რეფორმების ერთ-ერთი ღონისძიებაა. ამ გადასახადის შემოღებასთან დაკავშირებით, ერეკლემ შეადგინა მახტის დავთარი, სადაც შეიტანა მხოლოდ თავისი ვაჭარი და ხელოსანი. გადასახადი დაანესა არა კომლობრივ ან სულადობრივ, არამედ ყველა თავის ყმას შეაწერა 4.000 მანეთი. გადასახადი ერთმანეთში უნდა გაენაწილებინათ შეძლებისდამიხედ-

ვით. ამ დავთარში შეტანილი აღმოჩნდა ქალაქის ზედაფენის წარმომადგენლებიც – დიდვაჭრებიც, რომლებიც მეფის ყმებად ითვლებოდნენ და, რომელნიც, როგორც ფენა, დიდი ხანია არსებობდა საქართველოში. ისინი მართლაც სარგებლობდნენ განსაკუთრებული პრივილეგიებით და აზნაურებთან იყვნენ გათანაბრებულნი. ამ გარემოებამ საბაბი მისცა საზოგადოების ზოგიერთ წევრს, ემტკიცებინა რუსეთის მთავრობისათვის, რომ ყველა გათანაბრებული ვიყავით აზნაურებთანო და მოითხოვდნენ ამის დადასტურებას. მაგრამ მათ ვერ შეძლეს თავიანთი მოთხოვნების განხორციელება. რადგან არც სათანადო საბუთები და არც სათანადო ეკონომიკური შეძლება მათ არ ჰქონდათ. ამიტომ იყო სწორედ, რომ მეფის მთავრობამ მხოლოდ მოქალაქეთა ზედაფენა – დიდვაჭრები ჩარიცხა მემკვიდრეობით საპატიო მოქალაქეთა რიცხვში, დანარჩენი მოქალაქეები კი იმავე უფლებებში დატოვა, როგორშიც სხვა სახაზინო ყმები იყვნენ (ყოფილი სამეფო ყმები რუსეთის მმართველობის დროს ხაზინის საკუთრებაში გადაირიცხნენ (3).

ჩვენი დასკვნა ასეთია: XIX საუკუნის სტატისტიკურ ცნობებში შეტანილი „მოქალაქენი" არიან მეფის (შემდეგ მიემატა დედოფლისა და ბატონიშვილების) ყოფილი ყმები, რომლებიც ერეკლემ შეიტანა ე. წ. „მახტის წიგნში" და არავითარ ცალკე წოდებას ისინი არ ქმნიან. რაც შეეხება ვაჭარ-ხელოსანთა ზედა ფენას, დიდვაჭრების სახით, ის ადრიდანვე არსებობდა საქართველოში. შ. მესხიას და ვ. გაბაშვილის გამოკვლევებიდან ჩანს, რომ ეს ფენა ჯერ კიდევ XI-XII საუკუნეებში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის ცხოვრებაში. შემდეგ საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური დაქვეითების ხანაში, დიდვაჭრების რიცხვი და მათი როლი ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში შესამჩნევად მცირდება. ამ ფენის რამდენადმე გაძლიერება XVII საუკუნეში (როსტომ მეფის დროიდან) ხდება. შემდეგ უფრო ძლიერდებიან დიდვაჭრები ჯერ ვახტანგ VI და შემდეგ ერეკლე II მეფობაში. დიდვაჭართა გარკვეულ ეკონომიკურ აღზევებას შედეგად მოჰყვა მათი სოციალურ-პოლიტიკური უფლებების აღიარებაც. ეს აისახა ვახტანგის სამართალში და მის 1722 წლის წყალობის წიგნში, რომელიც გაცემულია „ტფილისისა მსახლობელთა მოქალაქეთა ხელერთპირ დიდებულთა ვაჭართა, ქეთხუდათა"... სახელზე. საბუთში აღნუსხულია ამ ფენის მრავალი

პრივილეგია (მათ შორის, საკუთრების ქალაქური წესი). ერეკლემაც გარკვეული პრივილეგიები მიანიჭა დიდვაჭართა სოციალურ ფენას. სწორედ, ამ ფენის განვითარება ქმნის ბურჟუაზიული კლასის ბირთვს XIX საუკუნის საქართველოში (დიდვაჭრებში იგულისხმებოდნენ მრეწველებიც, რომელნიც ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ჩანან საქართველოში).

ლიტერატურა

1. **Ш. А. Месхия.** Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959.
2. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. II, თბ., 1965.
3. **თ. ბერიაშვილი,** რეფორმამდელი ხანის საქართველოს ქალაქების სოციალური ფენები, თბ., 1964.
4. დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI-XIX სს.), ნ. I, შეადგინეს ნიკო ბერძენიშვილმა და მამისა ბერძნიშვილმა, თბ., 1962.
5. **ვ. გაბაშვილი,** თბილისის „მოქალაქეთა" კლასობრივი და პოლიტიკური მისწრაფებანი XVI-XVIII საუკუნეებში, ნიგნში: „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან", II, თბ., 1970.
6. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 1959, ტ. II.
7. ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმნა და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ, თბ., 1955.
8. **თ. ენუქიძე,** მასალები ქართლის სამეფოს სამდივანბეგო სასამართლოს ისტორიისათვის (1755-1760 წწ.), კრებულში: „XIV-XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964.
9. **ვახტანგ VI,** სამართლის ნიგნი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ტერმინთა საძიებელი დაურთო თინა ენუქიძემ, თბ., 1955.
10. **გ. გოზალიშვილი,** გლეხთა მდგომარეობის ისტორიის მასალებიდან მე-19 ს. პირველ მეოთხედში, „საქართველოს არქივი", ნ. II, თბ., 1927.

GIVI JAMBURIA

QUESTIONS OF GEORGIAN FEUDALISM

SAMTAVRO-SEIGNORIAL SYSTEM IN GEORGIA IN THE EARLY FEUDAL PERIOD

The emergence of large-scale feudal landownership, i.e. development of the samtavro-seignorial system in the form of church-monasterial and *aznaur* estates, dates to the 4th-5th centuries, its full maturation being completed in the 9th century.

In the initial stage of development of large landownership (4th-6th cc) there are clear indications of the existence of hierarchic landownership and vassalage, reaching their peak in the second period (7th-9th cc). By the 9th century there already existed a developed samtavro-seignorial system and a three- or four-stepped vassalage with manorial economy, immunity, and feudal exploitation of the peasants.

IMMUNITY IN GEORGIA (6TH-14TH CENTURIES)

The Georgian correspondence of the Latin immunity is "freedom". The document that conferred the privilege of immunity was called "order of freedom".

In the 11th century, along with the terms "freedom" and "freeing" the term "inviolability" also occurs with the same meaning. In the Typicon of the 11th century Petritsoni Monastery of Georgians "aznaureba" is also used as a synonym for "freedom" and "inviolability". In the 12th century in parallel with "inviolability" the Persian word "azadi" came into use. From the time of Mongol sway the word "tarkhnoba" was used as a synonym of immunity. "Freedom" and "inviolability" were largely used even in the late Middle Ages as the Georgian correspondence of the word "immunity", notwithstanding the terminological diversity.

Immunity in Georgia appeared in the early feudal period. The first report on monastic immunity is preserved in a piece of evidence referring to the second part of the 6th century. Immunity became current in the 8th-10th centuries and was further developed in the 11th-12th centuries. In Georgia, like in Western Europe, church immunity was more widespread. Unlike Western Europe, in Georgia individual churches had immunity (from the 12th century). Frequently, the immunity of churches and monasteries was violated by secular feudal lords and king's officials (but subsequently renewed).

Big feudal lords enjoyed the same immunity (sometimes even to a greater extent) as churches and monasteries. Georgian immunity implied taxation, administrative and

judicial privileges. Immunity, with a few exceptions, was never absolute and complete. Some obligations still remained with the person enjoying immunity. Usually, judicial immunity, too, included only civil and petty criminal cases. No feudal lord was exempted from military duties. Taxation immunity was also frequent (mostly in churches and monasteries).

ON SERFDOM

The view prevails in Georgian historiography which dates the establishment of serfdom in this country to the 11th-12th centuries. Some specialists propose the 13th century, and others the 14th-15th or 10th-11th and 9th-10th centuries.

The term *batonqmoba* (serfdom) in its modern understanding first occurs in the works of 19th cent. historians. Prior to this, *batonqmoba* (or *patronqmoba*) was used in the sources as a synonym of feudalism, embracing the interrelations of all strata of society, beginning with the king and ending with the peasant. Prior to the diffusion of the term *patronqmoba* (9th-10th cent.), these relations were designated by the terms *upali* (master) and *mona* (here: "servant").

The feudalization process occurred from the first centuries of the new era – in conditions of the communal and slave-owning systems. The proclamation of Christianity the state religion proved a turning-point in this process.

Back in the 5th century the feudal class of *aznauris* was in place, consisting of two strata: 1. *sepe-tsuli*, *mtavari* and *didi-aznauri*, later *didebuli* (Arm. *nakharar*) and 2. *aznauri*, being a vassal (*tsinashemdgomeli*) of the above-mentioned *mtavaris*.

The class of immediate producers consisted of free or semi-free commoners, peasants that had lost personal freedom, as well as members of the above-mentioned two classes of *msakhuri* and *mona-mkhevali*.

In the 5th century early-feudal seignories (*sakhli*) come into being. The inhabitants of the villages lying on the territory of the given seignory gradually fell into administrative, military and judicial dependence on the *upali*, ultimately losing their personal freedom and joining the ranks of peasants. The process of turning the working population into serfs was intensive in the 7th-8th centuries, when the seigniorial system reanched a high degree of development.

In the 9th century the producers of the lowland regions of Georgia had already turned into *glekhis* (peasants). It should be noted here that the mountainous zone of the country constantly yielded a definite contingent of free producers (*garetmosuli glekhi*). The term mdabio, mentioned in Georgian sources since that time, is basically a synonym of *glekhi*.

In the author's view, the 9th century is marked by the establishment of serfdom in Georgia. Beginning with that time, it prevailed, with some modifications, to the 1860s.

CASES OF EMANCIPATION FROM SERFDOM IN GEORGIA (12TH-13TH CC.)

The development of urban life and commodity-money economy began from the 9th-10th centuries in Georgia, reaching a high level in the 11th-12th centuries. At the same time, cases of replacing rent in work and kind with rent in money are on record, implying the linkage of peasants with the market. Property differentiation among peasants, intensification of class struggle, growth of the poor stratum are in evidence. All this leads the author to assume that in Georgia too, like in West Europe, individual cases of freeing peasants from serfdom took place.

Of these facts a piece of evidence of the historian of David the Builder is significant according to which, David released of levies not only monasteries, "but also freed the priests of his kingdom from all statute-labour and other obligatory duties, so that they should be free to devote themselves to God."[1]

Thus, David released of serfdom village priests of the whole Georgia, being serfs not only of the King, but of nobles as well. This action, along with other major measures taken by David, must have had a political goal – to turn village priests into his supporters.

A deed of 1261 of David Narin granted the residents of Khepiniskhevi and Tsakvi, villages of Upper Imereti, is also interesting The deed says that as far back as Giorgi III (1156-1184) had releaved these two villages from all kinds of levies and even officials had no right to enter them. Thus, Giorgi III had these two villages freed from serfdom. This status was confirmed by David Narin in 1261 (although he imposed on them the levy in hens) Presumably, there must have been other facts similar to these, but as is known, many documents are lost. In consequence of the inroads of the Mongols, Timur Lenk and other conquerors the process ceased (but was renewed in the Late Middle Ages).

SAMTAVRO-SEIGNORIAL SYSTEM IN THE TIMES OF THE UNITED MONARCHY (11TH-14TH CC.)

The seignorial system, which was created in the early feudal era and had a broad immunity, continued to exist throughout Georgia during the period when the country was a united kingdom,

Attempts of the central government to restrict the immunity of seignories were unsuccessful.

In the time of the united Georgian Kingdom, the terms "tavadi" and "satavado" were used as synonyms of "mtavari" and "samtavro".

These seignories existed throughout Georgia even in the Late Middle Ages, when their immunity even strengthened.

---

[1] The Georgian Chronicle, Translated by Katharine Vivian, Amsterdam, 1991, p. 37

ON THE SATAVADO

Satavado – an estate of a tavadi or big feudal lord in the 15th-18th centuries, a patrimony granted "hereditarily and inviolably" and actually turned into an unlimited ownership of the *tavadi's* house with a right of alienation and immunity.

Unlike the view prevalent in Georgian historical literature, the author has shown that the right of ownership of estates with Kakhetian *tavadis* was of the same character as elsewhere in Georgia. In contrast to the accepted view, the author asserts that the *aznauris* in Kakheti were vassals of the king, church and *tavadis*. The character of the dependence of an *aznauri* on his patron, based on land ownership, was the same in Kakheti as throughout Georgia.

ON THE *MOKALAKES* IN LATE MEDIEVAL GEORGIA

In late medieval Georgia there was no single common term to designate urban population. *Mokalake* ("town dweller") in documents of the period was used to designate only the residents of Tbilisi, for in the vernacular of the period under discussion only Tbilisi was called a city. The residents of other towns were not called city-dwellers. Thus, e. g. in documents a resident of Gori is called "a man of Gori".

The view was advanced in Georgian historical literature according to which, the term *mokalake* denoted the elite of a city's population – its privileged part. The documentary evidence, adduced in the author's paper, leads him to the belief that in the 17th-18th centuries the entire trade and artisan population of Tbilisi, belonging to the king, queen, church and nobility, were called *mokalakes*. The *didvachari* or *didebuli vachari* ("merchant") and the so-called *shua vachari* ("middle merchant") constituted the elite of the city population – both in Tbilisi and throughout Georgia, – as was the case in the period of a single feudal monarchy.

ГИВИ ДЖАМБУРИЯ

ВОПРОСЫ ГРУЗИНСКОГО ФЕОДАЛИЗМА

САМТАВРО-СЕНЬОРАЛЬНАЯ СИСТЕМА В ГРУЗИИ РАННЕФЕОДАЛЬНОЙ ЭПОХИ

Возникновение крупного феодального землевладения, т. е. становление самтавро-сеньоральной системы в виде церковно-монастырских и азнаурских владений, относится к IV-V векам, полное же оформление его завершается в IX веке.

На первом этапе развития крупного землевладения (IV-VI вв.) имеются явные признаки существования иерархической земельной собственности и вассалитета, которые полностью проявляются во втором периоде (VII-IX вв.). К IX веку уже существует развитая самтавро-сеньоральная система и трех-четырехступенчатый вассалитет с господским хозяйством, иммунитетом и феодальной эксплуатацией крестьян.

ИММУНИТЕТ В ГРУЗИИ (VI-XIV ВВ.)

Грузинское соответствие латинскому «иммунитету» – «свобода» Документ, который жаловал привилегию иммунитета назывался «приказом о свободе».

В XI веке, наряду с терминами «свобода» и «освобождение», встречается также термин «неприкосновенность» с тем же значением. В Типике XI века петрицонского монастыря грузин, *азнауреба* также используется в качестве синонима «свободы» и «неприкосновенности». В XII веке, параллельно с словом «неприкосновенность», персидское слово *взади* вошло в обиход. Со времени монгольского ига слово *тархноба* использовалось в качестве синонима «неприкосновенности». «Свобода» и «неприкосновенность» широко использовались даже в позднее средневековье в качестве грузинского соответствия слова «иммунитет», невзирая на терминологическое различие.

Иммунитет в Грузии появился в ранюю феодальную эпоху. Первое сообщение о монастырском иммунитете сохранилось в документе относящемся к второй части VI века. Применение иммунитета расширилось в VIII-IX веках, и получило дальнейшее развитие в XI-XII веках. В Грузии, как и в Западной Европе, церковный иммунитет был более широко распространен. Иммунитет церквей и

монастырей часто нарушался светскими феодалами и королевскими чиновниками (но впоследствии возобновлялся).

Крупные феодалы пользовались тем же иммунитетом (иногда даже более широким) как церкви и монастыры. Грузинский иммунитет подразумевал налоговые, административные и судейские привилегии. С немногими исключениями, иммунитет никогда не был абсолютным и полным. Лицо, ползующееся иммунитетом все-же должно было выполнить некоторые обязательства. Судебный иммунитет обычно также включал лишь гражданские дела.

К ВОПРОСУ О КРЕПОСТНОМ ПРАВЕ

В грузинской историографии рапространено мнение, датирующее установление крепостного права в нашей стране XI-XII веками. Некоторые же специалисты этим временем считают XIII в., а иные – XIV-XV или X-XI и IX-X столетия.

Термин «батонкмоба» (крепостное право) в современном понимании впервые встречается в трудах историков XIX века. До этого же «батонкмоба» (или «патронкмоба») в источниках употреблялся синонимом феодализма и охватывал взаимоотношения всех слоев общества, начиная от царя и кончая крестьянином. До распространения термина «патронкмоба» (IX-X вв.) эти отношения обозначались термином «упали» (господин) и «мона» (здесь слуга).

Процесс феодализации протекал еще в первые века нового летоисчисления в условиях общинного и рабовладельческого укладов. В этом процессе переломным моментом явилось объявление христианства государственной религией.

Уже в V в. налицо феодальный класс азнауров, состоявший из двух слоев: 1. сепе-цули, мтавари или диди-азнаури, впоследствии дидебули (арм. нахарар) и 2. азнаури, являвшийся вассалом («цинашемдгомели») вышеупомянутых мтаваров.

Класс непосредственных производителей состоял из свободных или полусвободных общинников, крестьян, потерявших личную свободу, а также выходцев из вышеупомянутых двух сословий «мсахури» и «мона-мхевали».

В V веке в Грузии возникают раннефеодальные сеньории («сахли»). Жители селений, находившиеся на территории данной сеньории, постепенно попадали в административную, военную и судебную зависимости от «упали», а под конец теряли личную свободу и переходили в ряды крестьян. Процесс закрепощения трудового населения интенсивнее протекал в VII-VIII вв., когда сеньоральная система достигла значительного развития.

В IX в. производители низменных районов Грузии в основном уже стали крестьянами. Тут же следует отметить, что горная зона страны постоянно давала определенный контингент свободных производителей («гаретмосули глехи»). Упомянутый того же времени в грузинских источниках «мдабио» в основном является синонимом «глехи».

IX в., по нашему мнению знаменуется становлением крепостного права в Грузии. Начиная с того времени. оно господствовало с некоторыми изменениями вплоть до 60-х годов XIX в.

ФАКТЫ ОСВОБОЖДЕНИЯ КРЕСТЬЯН ОТ КРЕПОСТНИЧЕСТВА В ГРУЗИИ (XII-XIII ВВ.)

Новый этап развития городов и торгово-денежных отношений в феодальной Грузии начинается в IX-X веков, а высшего развития достигает в XI-XII веках. Параллельно происходит частичная замена трудовой повинности денежной рентой, что подразумевает сближение крестьян с рынком. Происходит имущественная дифференциация, усиливается классовая борьба и увеличивается слой неимущего населения. Поэтому, можно предположить, что в Грузии, так же как и в Западной Европе, имели место отдельные факты освобождения от крепостной зависимости.

С этой точки зрения значительно одно сведение летописца Давида Строителя, согласно которому Давид освободил от податей не только монастыри, но и сельских священников во всей стране.

Таким образом, Давид освободил крестьянских священников, которые были не только государственными крепостными, но и собственными крепостными местных феодалов. Этот акт, так же как и другие великие деяния Давида, должен был иметь определенную политическую цель – превращение сельского духовенства в государственную опору.

В этом плане интересна грамота 1261 года, которую Давид Нарин выдал жителям деревень Верхней Имеретии – Хепинисхеви и Цакви. В грамоте говорится, что еще Георгий III (1156-1184 гг.) освободил эти деревни от всякой подати и даже царские чиновники не имели права туда вступать, т. е. Георгий III освободил эти селения от крепостничества. Этот документ обновил Давид Нарин в 1261 году (хотя, он все-таки наложил «куриную подать»).

Предположительно, были и другие аналогичные факты, но, как известно, многие документы утеряны. Господство монголов, Тимура и других завоевателей приостановило этот процесс (он продолжился в позднем средневековье).

САМТАВРО-СЕНЬОРАЛЬНАЯ СИСТЕМА В ЭПОХУ ОБЪЕДИНЕННОЙ МОНАРХИИ (XI-XIV ВВ.)

Сеньоральная система, которая была создана в ранне-феодальной эпохе и имела широкий иммунитет, продолжала существовать во всей Грузии в течение периода, когда страна была объединенным царством.

Попытки центрального правительства ограничить иммунитет сеньорий были безуспешными.

В период объединенного грузинского царства термины *тавади* и *сатавадо* использовались в качестве синонимов *мтавари* и *самтавро*.

Эти сеньории существовали по всей Грузии даже в позднем средневоковье, когда их иммунитет даже усилился.

К ВОПРОСУ О САТАВАДО

Сатавадо, – владение крупного феодала XV-XVIII вв., тавада, – «потомственно, наследственно и неприкосновенно» пожалованная вотчина, фактически перешедшая в неограниченное владение тавадского дома с правом отчуждения и иммунитета.

В отличие от установившегося в грузинской исторической литературе взгляда, нами показано, что право собственности на владения у кахетинских тавадов носило такой же характер, как и во всей Грузии.

В отличие от принятого взгляда, мы доказываем, что в Кахети азнауры были вассалами царя, церкви, тавадов. Характер зависимости азнаура от патрона, основой которой является землевладение, был в Кахети такой же, как и по всей Грузии.

К ВОПРОСУ О «МОКАЛАКАХ» В ПОЗДНЕСРЕДНЕВЕКОВОЙ ГРУЗИИ

Для обозначения городского населения в позднесредневековой Грузии не было одного общего термина. «Мокалаке» (горожанин) в документах тех времен употребляется лишь для обозначения жителей Тбилиси, так как в разговорной речи рассматриваемого периода городом именовался только Тбилиси. Жителей других городов не называли горожанами. Например, житель Гори в документах называется «горийским человеком».

В грузинской исторической литературе было высказано мнение, согласно которому термин «мокалаке» означал верхушку городского населения, его привилегированную часть. Из приведенного в нашей работе документального материала, думаем, ясно видно, что «мокалаками» в XVII-XVIII веках именовались все торгово-ремесленное население Тбилиси, принадлежащее царю, царице, церкви и дворянству. Верхушку же городского населения как в Тбилиси, так и по всей Грузии, составляли «дидвачари» или «дидебули вачари» (крупные купцы) и так называемые «шуа вачари» (средние купцы), как это было в эпоху единой феодальной монархии.